

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები

ლიტერატურაზე

თბილისი - 2010

უაკ 821(082)

კრებულში შესულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში განხორციელებული ელექტრონული ლიტერატურული პროექტების ბეჭდური ვერსიები.

განკუთვნილია მათთვის, ვისაც უყვარს ლიტერატურა და აინტერესებს ლიტერატურული სივრცის ძველი და ახალი ამბები.

ISBN: 978-9941-0-3031-4

ლიტერატურული ისტორიები, ზეპირად მოთხრობილი ლევან ბერძენიშვილის მიერ¹

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, თუ არ მეშლება (თუ მეშლება, გამისწორეთ), პირველი ლექსი იყო ურითმო და ალბათ, უსტროფოც... «ვერლიბრი?!» შემდეგ შემოვიდა რითმა და ასე გაგრძელდა ძალიან დიდ ხანს... «ცისფერყანწელებს» და 70-იანი წლების ცნობილ პოეტებს თუ არ ჩავთვლით, საქართველოში კონვენციური ლექსის ხანა იდგა... აი, 90-იანი წლებიდან საქართველოში უკვე ამერიკელი უიტმენის, ბელგიელი ვერჰარნისა და რა თქმა უნდა, ფრანგი სიმბოლისტების დამკვიდრებული «ვერლიბრის» ბატონობის დროა. თუმცა არიან გამონაკლისებიც: მაგალითად, დღეს კონვენციულ ლექსებს ქმნიან ტარიელ ჭანტურია, გივი ალხაზიშვილი, რეზო გეთიაშვილი, გიორგი საჯაია და სხვები... რაც შეიძლება ვრცლად გვესაუბრეთ ქართული ლექსის გენეზისზე...

ლევან ბერძენიშვილი: პირველი ლექსი, რომელიც მსოფლიოში დაიწერა, მთლად ვერლიბრი ვერ იქნებოდა, მაგრამ რითმა, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. ვარაუდობენ, რომ თავიდან იყო რეჩიტატიული ლექსი, ანუ მასში რაღაც წესრიგი აუცილებლად იყო. შეიძლება იგი ვერლიბრზე უფრო მოწესრიგებულიც კი იყო, ოღონდ არა შინაგან რიტმზე, არამედ რაოდენობრივ რიტმზე აწყობილი, შესაძლოა, ერთნაირი რაოდენობის ერთეულების მონაცვლეობაზე აგებული. ეს შეიძლება ყოფილიყო ერთნაირი რაოდენობის მორები, მარცვლები და ა.შ. სხვადასხვა კულტურაში. მაგრამ პირველ დიდ სიმაღლეს ლექსმა მიაღწია მაშინ, როდესაც ის ჩამოყალიბდა ისეთ საზომში, როგორც არის ჰექსამეტრი, სადაც, რა თქმა უნდა,

¹ დასაწყისი. იხ. «საუბრები ლიტერატურაზე», საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2009.

მოწესრიგებულია ყველაფერი. ქართულ სინამდვილეში ქართულმა ლექსმა ყველაზე დიდ სიმაღლეს, რომელიც კი შეიძლებოდა ოდესმე წარმოგვედგინა, მიაღწია რუსთაველთან და მისი ორი ტიპის შაირში: მაღალსა და დაბალში. შემდეგ არის მისგან განვითარებული ბევრი რამ და შემდეგ არის ექსპერიმენტი. ეს ექსპერიმენტი, უპირველეს ყოვლისა, ეკუთვნის გურამიშვილს, რომელმაც ძალიან დიდი რაოდენობის საზომები შემოიტანა. ზოგი დამკვიდრდა, ზოგი არა. შემდეგ მოდის XIX საუკუნე, რომელიც ამ თვალსაზრისით ძალიან ღარიბი იყო. მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში კონვერციული ლექსის ხელახალი აფეთქება მოხდა. ამ დროს კონვერციულმა ლექსმა ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ უკვე ძნელი წარმოსადგენია, დღეს ვინმემ ამ სიმაღლის და ამ დონის კონვერციული ლექსი დაწეროს. ამიტომ ის ამბავი, რომ დღეს საქართველოში კონვერციული ლექსი ფაქტობრივად აღარ იწერება, ან იშვიათად იწერება და მხოლოდ გამონაკლისები არსებობს, არის ქართული ენის ბუნებრივი პასუხი იმ კატასტროფაზე, რომელსაც ჰქვია გალაკტიონი. გალაკტიონის შემდეგ კონვენციური ლექსების წერა ტრადიციული რითმებით იმ კაცის შემდეგ, რომელსაც შეეძლო ეთქვა «და მესიზმრები შენ, ვისაც ქერა/სამოსი გამოსავს სწეულ ოცნებით/ და არ მშორდება ღვთისმშობლის ცქერა...» და «ქერას» და «ცქერას» გართიმვა რომ შეუძლია, ამ ტიპის კონვენციური ლექსის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია, ვინმემ შეძლოს ამ სიმაღლეზე ასვლა. გალაკტიონის ბგერწერა აღმოჩნდა მიუწვდომელი და მან კონვენციური ლექსი ფაქტობრივად თან ჩაიყოლა საფლავში, თუმცა ეს არ ეხება ყველა პოეტს, რომელიც გაბედავს და კიდევ დაწერს. და მაინც, გარკვეული საფრთხე ყველას ემუქრება. ამიტომ ვერლიბრი საქართველოში მოდის ორი გზით: ერთი, ტრადიციული ევროპული გზით, როდესაც მთავრდება კონვენციური ლექსის ეპოქა, მით უმეტეს, იოლად მთავრდება იმ ენებში,

რომელთაც დიდი რითმებისთვის არც არასოდეს მიუღწევიათ; მაგრამ მთავრდება ქართულშიც, სადაც რითმის განსაკუთრებული შესაძლებლობები და სიმდიდრე იყო. გალაკტიონი ერთგან აღნიშნავს, რომ რუსთაველს არც ერთხელ არ აქვს გამეორებული არც ერთი რითმა. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ამოდენა პოემაში რას ნიშნავს ეს. თვითონ გალაკტიონიც ძალიან იშვიათად იმეორებდა რითმებს და, ფაქტობრივად, მან ქართულ პოეზიაში, აი ასე, «კონვენციულად» სათქმელი მართლაც ამოწურა. უცხოეთიდანაც მოდიოდა ვერლიბრი და საქართველოშიც გახდა ეს მოვლენა პოპულარული. 60-იანი წლებიდან ძალიან ძნელია დაწერო ლექსი ტრადიციული ქართული საზომებით და რითმებით და არ ჰგავდე გალაკტიონს, და თუ ჰგავხარ გალაკტიონს, ძნელია აჯობო მას. გარდა ამისა, კონვენციურ ლექსს სხვა სათქმელი ჰქონდა და თანამედროვე ლექსს სხვა სათქმელი აქვს. ძალიან ძნელია ოსვენციმის შემდეგ ლექსების წერაო, ერთმა ავტორმა თქვა. საერთოდ, მართლაც ძალიან ძნელია რომანტიკული დაჯერება, როდესაც არსებობს ცოდნა ურანის დაშლის შესახებ, კაცობრიობის მოკვდავობის შესახებ, რაც მანამდე არასოდეს ყოფილა. ახლა ძალიან ღრმაა ცოდნა რელიგიათა შესახებ, — ესეც არასოდეს ყოფილა, რადგან მანამდე ადამიანი ერთ რელიგიაში იყო ჩაკეტილი და მან არ იცოდა სხვა რელიგიების შესახებ, იმიტომ რომ იყო დაპირისპირება არა «ჩემი რელიგია / შენი რელიგია», არამედ «ჩემი რწმენა და შენი ურწმუნოება». ძნელია მოგვეთხოვა, მაგალითად, «შუმანიკის წამების» ავტორისგან, რომ მას სცოდნოდა სხვა რელიგიის, ვთქვათ, მაზდიანობის არსი. თანამედროვე ადამიანმა, რომელიც არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, იცის ბუდიზმის შესახებ და იცის ბუდიზმის სიკეთის შესახებაც. ანუ დღეს გაცილებით ძნელია, ვინმეს მიაწოდო ისეთი მხატვრული სიმართლე, რომელიც ჩაეტევა ერთ სისტემაში, მათ შორის, კონვენციურ ლექსში. თუმცა, რა თქმა უნდა, პატივს ვცემ იმ ავტორებს,

რომლებსაც არ ემინიათ გალაკტიონის და ბედავენ კონვენციური ლექსის წერას. ეს იმიტომ, რომ კონვენციური ლექსი ძალიან იოლად ამხელს ტალანტს. უნიჭო კაცის მიერ დაწერილი კონვენციური ლექსი ძალიან იოლად საცნობია და იოლი გადასაგდება, მაშინ როდესაც შეიძლება ვინმე მოატყუოს ვერლიბრმა, განსაკუთრებით იმ ვერლიბრმა, რომელიც შინაგანი რიტმით არის გამდიდრებული და რომელშიც კონვენციური ელემენტებია. ზოგი ამას ვერ ხედავს, მაგრამ ვიღაც იოლად ხედავს. კარგი ქართული ვერლიბრი რომ აიღოთ, იქ აუცილებლად იპოვით საფუძველს წმინდა მარცვლოვანი ერთეულების გამეორებისა, რომელსაც ზედ ეშენება რაღაც, ანუ ის ვერლიბრი მთლად «ლიბრი», ანუ მთლად თავისუფალი არ არის. იქაც არის ბგერწერა. ბუნებრივია, ბგერწერის გარეშე საერთოდ არ არსებობს პოეზია. იქ შეიძლება არ იყოს რითმა, მაგრამ იქ შეიძლება იყოს ალიტერაცია, სიხშირეთა დარღვევა, მოულოდნელობები სიხშირული თვალსაზრისით და ა.შ. ლექსი ლექსია. ფორმის გარდა, მთავარია, რას ამბობს ავტორი. როგორც წესი, თანამედროვე ავტორი მთვარეზე არ წერს და ძალიანაც ცდება, იმიტომ რომ ლექსის ძალიან დაშორება მთვარისგან (მთვარე ერთ-ერთი ვეტერანი პოეტური სახეა, როგორც ბულბული, ვარდი და ა.შ.), ლექსის მეტისმეტად გაქცევა აქედან ყოველთვის ძალიან სათუოა, იმიტომ რომ ახალი სახეები აუცილებლად ძველი სახეების ადგილს იკავებდა. შეიძლება ლექსში ბევრი იყოს ლაპარაკი, მაგალითად, თვითმფრინავზე, მაგრამ თვითმფრინავიც ძველი სახეა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც ითქვა, რომ «მხოლოდ რელიგია დარჩა სულ ახალი, რელიგია / დარჩა მარტივი, როგორც თვითმფრინავის ანგარი». დღეს კომპიუტერის ეპოქაში თვითმფრინავის ანგარი განსაკუთრებულად რთული სახე ნამდვილად არ არის, მაგრამ თავის დროზე ის რთული იყო. ამიტომ თვითმფრინავი იქნება თუ რაკეტა, პოეზიაში მთვარისგან

ანუ ადამიანისგან, მისი შინაგანი სამყაროსგან ძალიან შორს მაინც ვერ გაიქცევი. ამიტომ დღევანდელი პოეტები, რომლებიც წერენ, როგორც წესი, წერენ უფრო ინდივიდუალიზებულ შინაგან გამოცდილებაზე, ვიდრე ეს ადრე იყო.

დღეს ავტორი, რომელიც დაწერს ილიაზე და აკაკიზე, ნამდვილი ავტორი არ არის. ყველა ხვდება, რომ მას შთაგონება აკლია და სწორედ შთაგონებას ესესხება ამ სახელებს. დღეს პოეტები ცდილობენ თავიანთ შინაგან სამყაროზე ილაპარაკონ, რომლის განზოგადება შეიძლება ისეთი ფართო არ არის, როგორც ეს იყო ძველი პოეტების დროს. დღევანდელი ავტორის თარგმნა ხდება შეუძლებელი. ფაქტობრივად, თარგმანში არაფერი არ რჩება. ადრინდელი ავტორების თარგმნის დროს რაღაც პროცენტები მაინც რჩებოდა. თავადაც მშვენივრად იცით, რომ საერთოდ, პოეზიის თარგმნას დიდი აზრი არა აქვს, იმიტომ რომ თარგმანში ყველაზე მთავარი არ გადადის. სიტყვას, რომელიც ავტორმა იხმარა, რა ვალენტობა აქვს მშობლიურ ენაში, არ ჩანს თარგმანში, ამიტომ არანაირი მოულოდნელობა არ არის და ა.შ. რომ თარგმნო, ან უნდა გააუარესო ან გააუმჯობესო. ადეკვატური ვერ იქნება. იყო დრო, როდესაც პასტერნაკი ცბიერობდა. მას, ფაქტობრივად, ლექსების წერა აუკრძალეს. იღებდა ქართველ ავტორებს, წერდა საკუთარ ლექსებს და ამბობდა რომ მაგალითად, სიმონ ჩიქოვანია. მერე სიმონ ჩიქოვანი დადიოდა სასტიკად ამაყი — ნახეთ რა მაგარი ვარ რუსულადო. სინამდვილეში ეს ასე არ იყო — ალბათ, ხვდებით. რა თქმა უნდა, მისი თარგმანები სჯობდა მას. ეს იმას ნიშნავს, რომ პასტერნაკი ახალ ლექსებს წერდა. ამას ვერ ვიტყვი ბარათაშვილის თარგმანებზე, რომელიც ბარათაშვილის ტოლია — რაღაც სხვაა. პასტერნაკმა თქვა, რომ ბარათაშვილი დიდია ძალიან, მაგრამ ნამდვილი ბარათაშვილი მასთან არ არის. მე ვგულისხმობ თუნდაც გენიალურ თარგმანს „Цвет небесный

– синий цвет“ («ცისა ფერს, ლურჯსა ფერს»), რომელიც, რა თქმა უნდა, არავითარი თარგმანი არ არის. ეს არის ახალი ლექსი, ლექსი XX საუკუნისა — აშკარად, XIX საუკუნის ბარათაშვილის გამოყენებით. ეს უბრალოდ მოდერნისტული და, მე ვიტყვოდი, აი, დღეს რომ მეტნაკლებად უფრო გასაგები გახდა, პოსტმოდერნისტული პოეზიაა, სადაც ყველაფერი, მათ შორის ბარათაშვილი, გამოყენებულია როგორც მასალა. ის არ არის თარგმანი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იმიტომ რომ პასტერნაკი დიდი პოეტია. დიდ პოეტს არ შეუძლია თარგმნა, დიდი პოეტი ქმნის. ჩემი აზრით, შექსპირის სონეტებშიც იგივე ვითარებაა. პასტერნაკს არ უყვარდა პარალელური გამოცემები. ყოველთვის, როდესაც სთავაზობდნენ, რომ ინგლისური და რუსული გვერდიგვერდ იქნება, ის არ იყო თანახმა, იმიტომ რომ ეს ამხელს იმას, რომ ის არ არის მთარგმნელი სინამდვილეში. მაგალითად, მან აიღო ერთი ქართველი პოეტის (რომელიც მაშინ დიდ პოეტად ითვლებოდა, მაგრამ დრომ არ დაინდო და გალაკტიონის ჩრდილში მოექცა. დღეს ის XX საუკუნის ვერც მეორე, ვერც მესამე და ვერც მეხუთე პოეტად ვერ გადის, ჩემი აზრით. მაშინ კი პირველობისთვის იბრძოდნენ შანშიაშვილი, გრიშაშვილი და გალაკტიონი; ასეთი დრო იყო. მახსოვს, იოსებ იმედაშვილი სერიოზულად წერდა, რომ ამ სამში ერთ-ერთი დიდი პოეტიაო. ეს სასაცილოა დღეს, როდესაც ვიცით, ვინ ვინ არის). მოკლედ, პასტერნაკმა აიღო იოსებ გრიშაშვილის ლექსი, თარგმნა და იქ, სადაც გრიშაშვილს ჰქონდა «ვრჩები ოტელო უდებდემონოდ» და ა.შ., თარგმნა „Я Меджнун без Лейлы“, ანუ მიუხედავად იმისა, რომ აქ სულაც ოტელოზე, დებდემონაზე, შექსპირსა და ევროპაზე იყო ლაპარაკი, მან «ამხილა», იმ წუთას დაინახა გრიშაშვილში აღმოსავლეთი და პირდაპირ თარგმნა — მეჯნუნი, ლეილი. ეს არის გრიშაშვილის ნამდვილი სახეები, მისი ნამდვილი სამყარო და არა შექსპირი, ოტელო და დებდემონა. პასტერნაკმა

გააუმჯობესა, რა თქმა უნდა, დააბრუნა გრიშაშვილი მის ნამდვილ წიაღში, მაგრამ ამავე დროს, ეს იყო პატარა დაცინვაც. იცით, ეს როგორი დაცინვა იყო? ერთი შესანიშნავი ქართველი პოეტის ლექსით ვიტყვი, რომელიც მან რუსულად დაწერა. ეს არის პაოლო იაშვილის *Ангорской кошки дикий взгляд /И образ Иверской Мадонны,/ Но все манеры говорят, /Что Вы, мадам, из Зестафони.*“. ზუსტად ეს გაუკეთა პასტერნაკმა გრიშაშვილს. კი ბატონო, იქ მთელი ამბებია — მარტოობა, ევროპული გრძნობა, მაგრამ ბოლოს უთხრა, საიდანაც იყო წარმოშობით. აღმოსავლეთში დიდი პოეზიაა, უზარმაზარი. ნიზამი არის უდიდესი პოეტი, სამწუხაროდ ნაკლებად ცნობილი საქართველოში; თუმცა კი ნიზამს თბილისშიც უცხოვრია და ცოტა მეტი ყურადღება ეკუთვნის ჩვენგან ამ უზარმაზარი მნიშვნელობის პოეტს, მაგრამ ქართველები, ტრადიციულად აღმოსავლეთისკენ არ იხედებიან. თუმცა კი ხშირად ტრაბახობენ, რომ მათი კულტურა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გადაკვეთაა. ქართულ პოეზიაში ადრე ბევრი იყო აღმოსავლური მოტივი, მაგრამ არა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. დღევანდელ ქართულ პოეზიაში აღმოსავლური მოტივი საერთოდ არ არის. ასე რომ, ის კითხვა, რომელიც თქვენ ბრძანეთ კონვენციური ლექსის აღსასრულზე, ამავე დროს არის კითხვა ლექსის შიდა ბუნების ცვალებადობაზე. შეუძლებელია დღევანდელმა ნერვიულმა რიტმმა და დღევანდელმა პოეტმა გადმოსცეს ის უზარმაზარი ჰარმონია, რომელსაც მართლა გადმოსცემდა კონვენციური ლექსი.

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, მე აღსასრული არ მითქვამს. პოეზიის გარდაცვალებაზე დათო ჩიხლაძემ, 80-იანი წლების ერთ-ერთმა ლიდერმა თქვა...

ლევან ბერძენიშვილი: ჩვენ ყველამ ვიცით, რომ პოეზია არ მომკვდარა, მაგრამ ავადაა, ანუ სიკვდილის პირას არის, ვთქვათ პირდაპირ! ადრე, მაგალითად, 20-იან წლებში რომ ცხოვრობდა ქართველი ადამიანი, მას ჰქონდა შანსი, ეყიდა

ჟურნალი «მნათობი», გადაეშალა და წაეკითხა მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის 100 ლექსი ან გალაკტიონის რომელიმე შედეგრი სხვა ჟურნალში, ან ეყიდა გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, რომელშიც მარტო შედეგვრები იბეჭდებოდა. დღეს ქართველ ადამიანს არანაირი შანსი არა აქვს რაიმე იყიდოს და იქ ეწეროს ამ დონის შედეგვრი. არის, იწერება დღესაც კარგი ლექსი, მაგრამ ის უნდა იპოვონ კრიტიკოსებმა, უნდა მოხდეს მისი «გაპიარება» და შემდეგ შეიძლება ჩვეულებრივმა არ რჩება. ადრინდელი ავტორების თარგმნის დროს რაღაც პროცენტები მაინც რჩებოდა. თავადაც მშვენივრად იცით, რომ საერთოდ, პოეზიის თარგმნას დიდი აზრი არა აქვს, იმიტომ რომ თარგმანში ყველაზე მთავარი არ გადადის. სიტყვას, რომელიც ავტორმა იხმარა, რა ვალენტობა აქვს მშობლიურ ენაში, არ ჩანს თარგმანში, ამიტომ არანაირი მოულოდნელობა არ არის და ა.შ. რომ თარგმნო, ან უნდა გააუარესო ან გააუმჯობესო. ადეკვატური ვერ იქნება. იყო დრო, როდესაც პასტერნაკი ცბიერობდა. მას, ფაქტობრივად, ლექსების წერა აუკრძალეს. იღებდა ქართველ ავტორებს, წერდა საკუთარ ლექსებს და ამბობდა რომ მაგალითად, სიმონ ჩიქოვანია. მერე სიმონ ჩიქოვანი დადიოდა სასტიკად ამაყი — ნახეთ რა მაგარი ვარ რუსულადო. სინამდვილეში ეს ასე არ იყო — ალბათ, ხვდებით. რა თქმა უნდა, მისი თარგმანები სჯობდა მას. ეს იმას ნიშნავს, რომ პასტერნაკი ახალ ლექსებს წერდა. ამას ვერ ვიტყვი ბარათაშვილის თარგმანებზე, რომელიც ბარათაშვილის ტოლია — რაღაც სხვაა. პასტერნაკმა თქვა, რომ ბარათაშვილი დიდია ძალიან, მაგრამ ნამდვილი ბარათაშვილი მასთან არ არის. მე ვგულისხმობ თუნდაც გენიალურ თარგმანს „Цвет небесный – синий цвет“ («ცისა ფერს, ლურჯსა ფერს»), რომელიც, რა თქმა უნდა, არავითარი თარგმანი არ არის. ეს არის ახალი ლექსი, ლექსი XX საუკუნისა — აშკარად, XIX საუკუნის ბარათაშვილის გამოყენებით. ეს უბრალოდ მოდერნისტული და, მე

ვიტყოდი, აი, დღეს რომ მეტნაკლებად უფრო გასაგები გახდა, პოსტმოდერნისტული პოეზიაა, სადაც ყველაფერი, მათ შორის ბარათაშვილი, გამოყენებულია როგორც მასალა. ის არ არის თარგმანი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იმიტომ რომ პასტერნაკი დიდი პოეტია. დიდ პოეტს არ შეუძლია თარგმნა, დიდი პოეტი ქმნის. ჩემი აზრით, შექსპირის სონეტებშიც იგივე ვითარებაა. პასტერნაკს არ უყვარდა პარალელური გამოცემები. ყოველთვის, როდესაც სთავაზობდნენ, რომ ინგლისური და რუსული გვერდიგვერდ იქნება, ის არ იყო თანახმა, იმიტომ რომ ეს ამხელს იმას, რომ ის არ არის მთარგმნელი სინამდვილეში. მაგალითად, მან აიღო ერთი ქართველი პოეტის (რომელიც მაშინ დიდ პოეტად ითვლებოდა, მაგრამ დრომ არ დაინდო და გალაკტიონის ჩრდილში მოექცა. დღეს ის XX საუკუნის ვერც მეორე, ვერც მესამე და ვერც მეხუთე პოეტად ვერ გადის, ჩემი აზრით. მაშინ კი პირველობისთვის იბრძოდნენ შანშიაშვილი, გრიშაშვილი და გალაკტიონი; ასეთი დრო იყო. მახსოვს, იოსებ იმედაშვილი სერიოზულად წერდა, რომ ამ სამში ერთ-ერთი დიდი პოეტიაო. ეს სასაცილოა დღეს, როდესაც ვიცით, ვინ ვინ არის). მოკლედ, პასტერნაკმა აიღო იოსებ გრიშაშვილის ლექსი, თარგმნა და იქ, სადაც გრიშაშვილს ჰქონდა «ვრჩები ოტელო უღებდემონოდ» და ა.შ., თარგმნა „Я Меджнун без Лейлы“, ანუ მიუხედავად იმისა, რომ აქ სულაც ოტელოზე, დეზდემონაზე, შექსპირსა და ევროპაზე იყო ლაპარაკი, მან «ამხილა», იმ წუთას დაინახა გრიშაშვილში აღმოსავლეთი და პირდაპირ თარგმნა — მეჯნუნი, ლეილი. ეს არის გრიშაშვილის ნამდვილი სახეები, მისი ნამდვილი სამყარო და არა შექსპირი, ოტელო და დეზდემონა. პასტერნაკმა გააუმჯობესა, რა თქმა უნდა, დააბრუნა გრიშაშვილი მის ნამდვილ წიაღში, მაგრამ ამავე დროს, ეს იყო პატარა დაცინვაც. იცით, ეს როგორი დაცინვა იყო? ერთი შესანიშნავი ქართველი პოეტის ლექსით ვიტყვი, რომელიც

მან რუსულად დაწერა. ეს არის პაოლო იაშვილის *Ангорской кошки дикий взгляд /И образ Иверской Мадонны,/ Но все манеры говорят, /Что Вы, мадам, из Зестафони.“*. ზუსტად ეს გაუკეთა პასტერნაკმა გრიშაშვილს. კი ბატონო, იქ მთელი ამბებია — მარტოობა, ევროპული გრძნობა, მაგრამ ბოლოს უთხრა, საიდანაც იყო წარმოშობით. აღმოსავლეთში დიდი პოეზიაა, უზარმაზარი. ნიჟამი არის უდიდესი პოეტი, სამწუხაროდ ნაკლებად ცნობილი საქართველოში; თუმცა კი ნიჟამს თბილისშიც უცხოვრია და ცოტა მეტი ყურადღება ეკუთვნის ჩვენგან ამ უზარმაზარი მნიშვნელობის პოეტს, მაგრამ ქართველები, ტრადიციულად აღმოსავლეთისკენ არ იხედებიან. თუმცა კი ხშირად ტრაბახობენ, რომ მათი კულტურა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გადაკვეთაა. ქართულ პოეზიაში ადრე ბევრი იყო აღმოსავლური მოტივი, მაგრამ არა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. დღევანდელ ქართულ პოეზიაში აღმოსავლური მოტივი საერთოდ არ არის. ასე რომ, ის კითხვა, რომელიც თქვენ ბრძანეთ კონვენციური ლექსის აღსასრულზე, ამავე დროს არის კითხვა ლექსის შიდა ბუნების ცვალებადობაზე. შეუძლებელია დღევანდელმა ნერვიულმა რიტმმა და დღევანდელმა პოეტმა გადმოსცეს ის უზარმაზარი ჰარმონია, რომელსაც მართლა გადმოსცემდა კონვენციური ლექსი.

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, მე აღსასრული არ მითქვამს. პოეზიის გარდაცვალებაზე დათო ჩიხლაძემ, 80-იანი წლების ერთ-ერთმა ლიდერმა თქვა...

ლევან ბერძენიშვილი: ჩვენ ყველამ ვიცით, რომ პოეზია არ მომკვდარა, მაგრამ ავადაა, ანუ სიკვდილის პირას არის, ვთქვათ პირდაპირ! ადრე, მაგალითად, 20-იან წლებში რომ ცხოვრობდა ქართველი ადამიანი, მას ჰქონდა შანსი, ეყიდა ჟურნალი «მნათობი», გადაეშალა და წაეკითხა მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის 100 ლექსი ან გალაკტიონის რომელიმე შედევრი სხვა ჟურნალში, ან ეყიდა გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, რომელშიც მარტო შედევრები იბეჭდებოდა. დღეს

ქართველ ადამიანს არანაირი შანსი არა აქვს რაიმე იყიდოს და იქ ეწეროს ამ დონის შედეგები. არის, იწერება დღესაც კარგი ლექსი, მაგრამ ის უნდა იპოვონ კრიტიკოსებმა, უნდა მოხდეს მისი «გაპიარება» და შემდეგ შეიძლება ჩვეულებრივმა ეწერა. ბავშვობიდან ზეპირად იცოდა ის პოეზია. ის წიგნები სჭირდებოდა მოსაფერებლად, ფრანგულიც იცოდა რა. ძალიან კარგად არც ერთი უცხო ენა არ იცოდა. შეუძლებელია დიდი ქართველი პოეტი იყო და კარგად იცოდეს უცხო ენები. გამონაკლისი იყო, ალბათ, რუსთაველი, თუმცა ამაზე თავს ვერ დავდებ. საერთოდ, როცა შენს ენაში ასე ღრმად შედიხარ, წარმოუდგენელია, რომ სხვა ენებს ძალიან ღრმად დაეუფლო. გამონაკლისი არის. ერთადერთი პოეტი, რომელიც ორ ენაზე თითქმის თანაბრად წერდა, იყო ბროდსკი. სხვების მაგალითები მოსაყვანი არ არისო, ამბობენ ექსპერტები. ბროდსკიც თანამედროვე მოვლენაა. მისი შემოქმედება არის გარდამავალი ძველ და ახალ პოეზიას შორის. ის წერდა კონვენციურ ლექსს, მაგრამ მისი კონვენციური ლექსი იყო ძალიან გრძელი. ეს თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი ნიშანია. მოკლე ლექსების, მაგალითად, «ახლა იწყება წიფის გვირაბი, თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ». წერა დღეს შეუძლებელია, მე ეს ვერ წარმომიდგენია. ავტორები ვერ ახერხებენ და ვერც მოახერხებენ მოკლედ თქვან სათქმელი.

გაგრძელება იქნება...

«ლიტერატურული მესამე კორპუსი»

ანუ ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ცხოვრება

2009 წლის 7 ოქტომბერი. ოთხშაბათი. საღამოს 7 საათი — საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის განახლებულმა მესამე კორპუსმა საპრეზენტაციოდ უამრავი სტუმარი მოიწვია.

თარიღებიც და საათიც განგებ დავაზუსტე — ყველაფერი სიმბოლურია და ესე იგი, შინაარსიანი. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან საქმე ლიტერატურას ეხება. ლიტერატურას კი სიზუსტე ისევე უყვარს, როგორც საიდუმლო.

ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის გახსნას (რემონტის გამო დროებით არ ფუნქციონირებდა) ბევრი ელოდა. ბიბლიოთეკის ერთგულ მკითხველებთან ერთად ელოდნენ ისინიც, ვინც არანაკლებ ერთგულად მონაწილეობდა ამ შენობაში მიმდინარე ლიტერატურულ ღონისძიებებში, ვისაც კარგად ახსოვს ცნობილი «ოთხშაბათობები» და საინტერესო შეხვედრები თანამედროვე ავტორებთან. ვისაც კარგად ახსოვს სწორედ ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტ. ფორუმი «ებლიტფო», რომელიც ასევე მრავალი იდეის თუ პროექტის ინიციატორი და სულისჩამდგმელი გახდა.

მოკლედ, «ლიტერატურული მესამე კორპუსი» სიმბოლოების სრული დაცვით გაიხსნა და ახალ

პროექტებსაც გზა მიეცა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ამ პროექტების ავტორები არც მანამდე იყვნენ გულხელდაკრეფილნი, არამედ პირიქით — მკითხველებს, ლიტერატურის მოყვარულებს საინტერესო კრებულები დაახვედრეს და ახალი იდეებიც გაუზიარეს.

მრავლობით რიცხვში ვსაუბრობ და მთელ შემოქმედებით ჯგუფს მოვიაზრებ, ვინც ერთი აზრად მანაც შემატა ამ კრებულს და ვისაც ერთი იდეა მანაც დაემატა. თუმცა ძალიან გულწრფელი თუ ვიქნები (და რატომ არ უნდა ვიყო), ამ მრავლობითშიც ყველაზე მეტად ერთ კაცს ვგულისხმობ. პირადად ჩემთვის ეროვნული ბიბლიოთეკის ყველა ლიტერატურული პროცესიც, «ებლიტფოც», «ოთხშაბათობებიც» და უამრავი საქმე, რაც აქ კეთდება და გაკეთდება, სწორედ ამ ადამიანთან ასოცირდება და ის არის ჩემთვის ხორცშესხმული აზრი იმისა, თუ როგორ უყვარს კაცს ლიტერატურა. ბევრს ადარ გავაგრძელებ — ეს არის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, «ებლიტფოს» ადმინისტრატორი (ასეც უხმობენ ლიტ. წრეებში — «ადმინი»), — გიორგი კილაძე.

გიორგისთვის ყოველი ახალი კრებული ისეთივე სიხარულია, როგორც ნებისმიერი ავტორისთვის საკუთარი წიგნის გამოცემა. ცოტა ხნის წინ მის მიერ დამუშავებულ პროექტებს ორი ახალი კრებული შეემატა — «საუბრები ლიტერატურაზე» და «მონოლოგები.. პირისპირ».

პირველ კრებულში 14 ავტორის სხვადასხვა თემაზე შექმნილი ლიტ. წერილია თავმოყრილი, ეს წერილები პერიოდულად იდებოდა სხვადასხვა ლიტერატურულ საიტზეც. წერილები ჟანრობრივადაც მრავალფეროვანია — ესე, კრიტიკა, რაც ძალიან კარგი და საშური საქმეა დღევანდელ ლიტერატურულ პროცესში. მეორე კრებული კი «ორგანზომილებიანია»: ერთი — მონოლოგების ციკლი, 24 ავტორის სხვადასხვა თემაზე დაწერილ მონოლოგებს

შეიცავს, მეორე კი — «პირისპირ». ეს ინტერვიუს ერთგვარი ნაირსახეობაა, ოღონდ ერთმანეთს არა ჟურნალისტი და მწერალი ესაუბრება, არამედ მწერალი — მწერალს. ინტერვიუც პირობითია, რადგან საუბარი ხანდახან სულაც არ გულისხმობს კონტრარგუმენტებს, მით უფრო მაშინ, თუ ერთმანეთს ორი საერთო მსოფლხედვის, სულისკვეთების მქონე ავტორი ესაუბრება... ამ კრებულების გაცნობა მკითხველისთვის ერთი სიამოვნებაა და ეროვნული ბიბლიოთეკის სტუმრებს ეს სიამოვნება წინ აქვთ.

«ოთხშაბათობებზე» არაერთი ახალბედა ავტორი გაიცნო საზოგადოებამ. მათი მიზანიც სწორედ ეს იყო — თანამედროვე ავტორთა მაქსიმალური ხელშეწყობა. გასახარია, რომ სადამოები ისევ განახლდა. მართალია, მაინცდამაინც ოთხშაბათობით აღარ, მაგრამ ადამიანები ხომ იმითაც მდიდრები ვართ, რომ კვირაში შვიდი დღე გვაქვს და რომელსაც გვსურს, იმას მივუძღვნით საყვარელ საქმეს.

პირველ ასეთ სადამოზე, განახლებულ მესამე კორპუსში, ახალგაზრდა პოეტის ქეთი გზირიშვილის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნს «სვლა» ჰქვია და ის ქეთის პირველი პოეტური კრებულია. თუმცა, ამ ავტორს კარგად იცნობს «ებლიტფოს» ყველა მკითხველი, რადგან დღიდან ამ საიტის დაარსებისა, ქეთი აქტიურად მონაწილეობს ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ცხოვრებაში — ის ბიბლიოთეკის თანამშრომელია და წიგნის პრეზენტაციაზე მისივე კოლეგებისთვის აღმოჩენად იქცა მისი პოეზია. ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მაია სიმონიშვილმა ქეთის პოეზიას ასე უწოდა: «პოეზია ნოტებად».

დასრულდა ორი პროექტი: «ჩემი მოთხრობა», სადაც 60-ზე მეტი ავტორის თითო მოთხრობა შევიდა, და «ჩემი ლექსი» — აქ 90-ზე მეტი ავტორის მიერ მოწოდებული 5-5 ლექსია თავმოყრილი. ეს კრებულები უნიკუმურ გამოცემებად ითვლება, რადგან მხოლოდ თითო

ეგზემპლარია. ისინი ბიბლიოთეკის ფონდების, კონსერვაციისა და რესტავრაციის განყოფილებაშია აკინძული და ზუსტად ერთი წლის შემდეგ იშვიათ გამოცემათა განყოფილებას გადაეცემა.

მიმდინარეობს მუშაობა ახალ პროექტზე — ესაა ავტორთა ლიტერატურული საუბრები. პირველი კრებული მარსიანს (გია ბენიძეს) ეკუთვნის. მასში მწერლისა და კრიტიკოსის ძირითადად «ებლიტფოსთვის» დაწერილი ლიტერატურული წერილებია თავმოყრილი, გარეკანზე კი მის მიერვე შესრულებული ნახატია. სავარაუდოდ, ამ პროექტის ფარგლებში წელიწადში თითო ავტორის თითო კრებული გამოვა. ცოტა ხნის წინ გიორგი კილაძემ თავის კოლეგებთან ერთად თავი მოუყარა ძალიან საინტერესო მასალას ლევან ბერძენიშვილთან საუბრებისას. სწორედ აქედან გაჩნდა ამ პროექტის იდეაც. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო ამ საუბრების წიგნად გამოშვება დროებით შეჩერებულია. ვიმედოვნებთ, რომ მხოლოდ დროებით.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლიტერატურული პროექტების, მთელი ამ ლიტერატურული პროცესების მთავარი მიზანი, როგორც ვთქვით, რაც შეიძლება მეტი ავტორის წარმოჩენა და მათი ხელშეწყობაა. ეს საქმეც არანაკლებ კეთილშობილურია, ვიდრე თავად შემოქმედებითი პროცესი.

ეს ყველაფერი კი — ბიბლიოთეკის წიაღში, ანუ ყოველგვარი პათეტიკის, მაღალფარდოვნების გარეშე და იმ ფარული ეჭვის გარეშეც, რომ თანდათან ბიბლიოთეკებიც კარგავენ ფუნქციას საზოგადოებაში — ლიტერატურული პროცესები აქტიურად ცოცხლდება სწორედ იქ, სადაც ყოველი ამქვეყნად დაწერილი სიტყვა — ნაღდი, ძვირფასი, საბოლოოდ დაიდებს ბინას.

ლიტერატურული პროექტი: ინტერვიუ

მიმოწერით

«საუბრები ლიტერატურაზე» აგრძელებს ინტერვიუებს სხვადასხვა თაობის მწერლებთან. ინტერვიუები სხვადასხვა ელექტრონული საშუალებებით (ელექტრონული ფოსტა, ე.წ. «მესინჯერები» და ა.შ.) განხორციელდა. პირველი ინტერვიუ მიმოწერით ბატონ ვაჟა ხორნაულთან «ჩავიწერეთ».

მადლობა «ინტერვიუ მიმოწერით» ყველა მხარდამჭერს.

გიორგი კილაძე: ბატონო ვაჟა, მთაში წამიყვანეთ, ან ვერტმფრენში ჩამსვით, ან მანქანაში ან უბრალოდ გვერდით ამომიყენეთ და მთა მაჩვენეთ. სანამ მიპასუხებდეთ, თქვენი ნებართვით, ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ «ებლიტფოზე» პროექტს — «სტუმრად ამელისთან» — გაგახსენებთ. ქალბატონ ნინო თარხნიშვილს, იგივე ამელის, «ებლიტფოზე» რამდენიმე ახალგაზრდა მწერალი ეწვია. მსგავსი კითხვა (ოღონდ ზღვასთან დაკავშირებით) პოეტ შალვა ბაკურაძეს დაუსვა. იქნებ აქვე «ებლიტფოც» გაიხსენოთ. მისთვის ძალზე ბევრი რამ გააკეთეთ.

ვაჟა ხორნაული: ძალიან დიდი სიყვარულითა და ლამაზი სევდით ვიგონებ "ებლიტფოს" — იმ პერიოდის დავიწყება შეუძლებელია. იყო საოცარი ურთიერთობები, გულების გადაძახილ-გადმოძახილი და, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია, პოეზიის მაღლი. მე ბევრი არაფერი გამიკეთებია ამ საოცარი და გარკვეული ძალებისაგან "შერისხული" საიტისათვის... ახლაც არ ვიცი, რა მოხდა და როგორ, რატომ "გაგვიქრა" "ებლიტფო" — ეს მართლაც მშვენიერების კუნძული.

რაც შეეხება მთას:

ვერც ვერტმფრენიდან, ვერც მანქანიდან, ვერც კოსმოსური ხომალდიდან ვერ შეიცნობ მთას მთელი სიდიადით — უმთავრესი რამ დარჩება განუცდელი — სამყაროს შექმნისდროინდელი ხიბლი, ღმერთისგან ნაბოძები.

ერთი გამოსავალი დაგვრჩენია: ფეხით უნდა მივიდეთ ამ საოცრებასთან ("ვის ელით? რას ელით?"). მთის ძირას შევჩერდებით, როგორც დიდი ტაძრის კარებთან. წინასწარ ვიგრძნობთ, რომ ვიხილავთ სასწაულს, სიტყვით ძნელად რომ გადმოიცემა.... და აღმართს ავუყვებით — უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე აღმართზე ასვლაა, ჩემთვის წარმოუდგენელია. ავყვებით ბილიკს, თანდათან ქვემოთ დარჩებიან დაბლობები, დაპატარავდებიან და სიმწვანეში აქა-იქ გაბნეულ სოკოებს დაემსგავსებიან სახლები, გამკრთალდება გზა და მდინარე. ქვემოთ დარჩებიან ხმებიც და უცხო, მაგრამ მშობლიურ სიჩუმეში სულ სხვაგვარი ფიქრით გალამაზდება გული და გონება. ვივლით და ვივლით, მივუახლოვდებით ჰორიზონტს, და ღრუბლები ჩვენს ქვემოთ რომ გამოჩნდებიან, ვიგრძნობთ მთების ღონესა და სითბოს და ერთხელ კიდევ ვირწმუნებთ სიცოცხლის უკვდავებას...

არ ვიცი, როგორი მეგზური გამოვდექი.

პასუხი ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი და თუ ვერ ივარგა, არ გამიკვირდება, მაგრამ მაინც:

"მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა. "

გიორგი კილაძე: ბატონო ვაჟა, მშვენიერი მეგზური ბრძანდებით... მთა ვახსენეთ, პოეტ ვაჟა ხორნაულს ვესაუბრები... ვაჟა-ფშაველაზე მესაუბრეთ. იქნებ პატარა ესეც დამიწეროთ — «ჩემი ვაჟა-ფშაველა».

ვაჟა ხორნაული: ამჟამად, ასე ნაუცბადევადად, ადვილი არ იქნება ესეს დაწერა. ვაჟას სახით კაცობრიობას მოევლინა შემოქმედი, რომელიც ერთნაირად გრძნობდა და

ითავისებდა იისა თუ ზვავის, წყაროსა თუ ოკეანის, დარდისა თუ სიხარულის — და ესაა საოცარი — სიცოცხლისა თუ სიკვდილის მშვენიერებას.

ვაჟას ღმერთი ალაპარაკებდა. ამიტომაც იწვოდა განუწყვეტლივ და ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, რომელმაც უღვთოდ გაწირა იგი.

ქუთუთოჩამოხეული გენიოსი ტანჯვით იყო ბედნიერი — ღმერთთან სიახლოვე სხვაგვარად წარმოუდგენელია.

«"მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შაწუხებული».

ვაჟა არათუ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედი, არამედ ერთ-ერთი უდიდესი წმიდანია. მის შემოქმედებას გახუნება არ უწერია, რადგან იგი სიკვდილ-სიცოცხლის დაბადების ჟამინდელი ხმებითა და სიჩუმითაა გასხივოსნებული.

«"ერთხელ იმასაც გავიგებთ,

ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა».

გიორგი კილაძე: მთა ჩემთვის ჯანმრთელობასთანაც ასოცირდება, «კაცობრიობა (კი) დანა-ჩანგლით ითხრის სამარეს». ვიდრე ამ წიგნზე ისაუბრებდეთ, თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე ამიწერეთ. აქვე ბატონ გივი ალხაზიშვილის «ებლიტფოზე» «გაჟღერებული» მშვენიერი ხუმრობა მინდა გავიხსენოთ... «ვაჟა ერთადერთი პოეტია, რომლისაც არ მეშინია, რომ შემჭამსო», ალბათ, წარმოიდგინა, რა დღეში აღმოვჩნდებოდით და ცოტა ქვემოთ დაამატა: «ვაჟა ხორნაული ვეგეტარიანელიაო»...

ვაჟა ხორნაული: ლელთ ღუნიას სიტყვები მახსენდება:" იქაველ კაცს (ბარელს გულისხმობს მოხევე) ფერი არა აქვნ, ჯანი არა აქვნ. აქაველ ჯანმრთელ არნ. ცარგვლის გამჩენმა განაგო: იქაით მამდრობა, აქაით სიმრთელე."

თქვენ შინაგანად ლელთ ღუნიას ეხმიანებით და ეს სრულიად ბუნებრივია. მთა უფრო ახლოსაა ცასთან, მას ადვილად ვერ შეეხებიან ცივილიზაციის საცეცები. სადაც

მთათა საუფლოა, იქაა სუფთა წყარო, კრიალა ჰაერი და იქაა უმთავრესი რამ — მოძრაობა (ფიზიკურიც და გონებისმიერიც). მიხარია, რომ გახსოვთ ჩემი წიგნი- — სნეული, სნეული, სნეული მსოფლიო (კაცობრიობა დანა- ჩანგლით ითხრის სამარეს)". თვითონ წიგნი არ ვიცი, მაგრამ მისი შექმნის ისტორია საინტერესოა. მახსოვს გივი ალხაზიშვილის ხუმრობაც — ეს მოხდა ჟურნალ "«ჩვენი მწერლობის»" რედაქციაში.

ჩემი ერთი ჩვეულებრივი დღე ასეთია:

ვღებები ადრე (დილის 6 ან 7 საათი, ხშირად 5-ზეც). ვღებულობ ცივ შხაპს და ნელი სირბილით ავდივარ თბილისის ზღვაზე. იქ დავრბივარ დაახლოებით 10-12 კილომეტრს (ზოგჯერ მეტიც მირბენია). ეს ხდება საოცარი სიმსუბუქით — დაღლა თუ იგრძენი, ვარჯიში არაფრის მომცემია. ზღვიდან მობრუნებული ვღებულობ შხაპს (ახლა უკვე კონტრასტულს, რომელიც საოცრებაა) და დღის 12 საათისთვის ვსაუზმობ (ამას წინ უძღვის ხილეულის წვენი მიღება. წყალს საერთოდ არ ვსვამ). საუზმე ხილ- ბოსტნეულის "გალობა" და ღმერთის წყალობაა.

სუფრასთან მეორედ მივდივარ საღამოს 6 საათზე — საკვები ახლაც ბუნების კალთიდანაა ამოღებული.

იოგები ჭამენ დღეში ერთხელ,
გურმანები — ორჯერ,
ავადმყოფები — სამჯერ.

10 საათისთვის კიდევ ერთხელ შევდივარ შხაპში ("ჭუპა-ჭუპა წყალი მალე") და 11-ის ნახევრიდან გადავდივარ ძილის სამეფოში, რაც ძალიან ძნელია: ხმაურობს ქალაქი, ხმაურობს ოჯახი, მაგრამ «"თეთრი ყვავი"» მაინც იძინებს.

ღამის 10 საათიდან შუაღამის 2 საათამდე გრძელდება სამკურნალო ძილი. ამ დროს ისვენებს მთელი სხეული და განსაკუთრებით — გონება, ცნობიერისა და ქვეცნობიერის მხარეებში ქრებიან სიმძიმეები და ხალისის ნიავი უბერავს... დღევანდელი ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი იძინებს 2 საათის მერე და ამიტომაცაა ნაადრევი სკლეროზითა თუ სიბერით "შემკობილი."

გიორგი კილაძე: ბატონო ვაჟა, სიმართლე გითხრათ, კიდევ ერთხელ გავწითლდი, თუმცა გაწითლება თქვენი წიგნის პირველი წაკითხვისას გენახათ... საუბარი პოეტური კრებულით განვაგრძოთ. თქვენი კრებული — «სამოთხის წყალში ოქროს თევზი რომ გაიელვებს» — ქალბატონ მაკა ჯოხაძის წინათქმით — «გულიდან ამოსული მზე» — იწყება, ხოლო თავად კრებული — «სიყვარული კიბეა უხილავი, აპყვები, აპყვები//და მეშვიდე ცაზე აღმოჩნდები» — საერთოდ განსხვავებული კრებულისა: სიყვარული, პოეტი, სიხარული, ქალი, ბედნიერება, ყვავილები, მიწა, ფიქრები, სიხარული — პირველ ცხრა ლექსში ამ სიტყვებით და სიტყვებზე «საუბრობთ» — შემდეგ ორ ლექსში — ღმერთზე. არა მგონია, «სიტყვათა» ასეთი რიგითობა შემთხვევითი იყოს (იქნებ კრებულის შედგენის ხელოვნებაზეც გვესაუბროთ). შემდეგი ლექსი ისევ სიყვარულზეა. ვფიქრობ, «გულიდან ამოსული მზეც» — სიყვარულისა და რწმენისათვისაა. თქვენთვის რა არის სიტყვა — სიყვარული და რწმენა?

ვაჟა ხორნაული: მართალი ბრძანდებით: რომ არა ღმერთი და სიყვარული (თუმცა ეს ერთი და იგივეა), გულიდან მზე არ ამოვიდოდა. ნებისმიერი ლექსი (რა თემასაც უნდა ეხებოდეს), სიყვარულის ნაყოფია და ამ მარადიულ თემას ეხება. თანამედროვე ქართულ პოეზიაში სოკოებივით მრავლობენ ისეთი ლექსები, რომლებიც სიყვარულის მადლსა და იდუმალებას არიან მოკლებულნი და ამიტომაც ქრებიან წაკითხვისთანავე. ისეთი ლექსებიც "იჩეკებიან", სიყვარულს რომ ეძღვნება თითქოს, მაგრამ მაინც

დაბადებისთანავე კვდებიან, რადგანაც გულის სევდა და სიხარული აკლიათ.

ვაჟა-ფშაველა ბევრს არ წერს სიყვარულზე, მაგრამ მთელი მისი შემოქმედება სიყვარულის ფონზეა გაშლილი.

კრებულის შედგენის ხელოვნებას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება. ასეთ დროს მე დიდი სიყვარულითა და ბავშვური აზარტით "ვნადირობ" ორი ლექსის აღმოსაჩენად — ერთით იწყება და მეორით მთავრდება წიგნი.

არცთუ იშვიათად ამგვარი "ცოდვა" ჩამიდენია: თუ რომელიმე ლექსი მოისუსტებს, მას, როგორც უმწეო ბავშვს, ავიყვან და უფრო მუხლმაგარ ლექსს "ამოვაფარებ."

რაც შეეხება მინიმალისტური (დღემდე არ ვიცი, საიდან გაჩნდა ეს ყოვლად გაუმართლებელი ტერმინი) პოეზიის კრებულის შედგენას, აქ მთავარია იმ ორი ლექსის "მონადირება", რადგან პროლოგსა და ეპილოგს რომ მოგვაგონებენ, ხოლო დანარჩენი ლექსები, ყოველგვარი გადაადგილების გარეშეც თავს კარგად გრძნობენ ერთმანეთის გვერდით, როგორც ყვავილები მწვანე მინდორზე.

"სიტყვა, სიყვარული და რწმენა" — ეს ის სამებაა, რომელსაც ძალუმს სამყაროს გადარჩენა. ამ სამებიდან ნებისმიერი (ცალ-ცალკე აღებული) შეიცავს დანარჩენ ორს, იმდენად ღრმა და ბუნებრივია მათ შორის არსებული შინაგანი კავშირები.

რწმენის აუმიღვრეველ ნათელში ამოზრდილი სიყვარულია ის უმშვენიერესი ძალა, რომელიც შობს მზესავით საჭირო სიტყვას.

ერთ სალოცავში ანთებული სამი სანთელი — ესაა ჩემთვის სიტყვა, სიყვარული და რწმენა.

გიორგი კილაძე: ბატონო ვაჟა, მეგობარ პოეტებზე გვიამბეთ... მათ პოეტურ და ადამიანურ (თუმცა პირველი მეორესაც გულისხმობს, ალბათ) ღირსებებზე...

ვაჟა ხორნაული:

მეგობარ პოეტთა რიცხვი დიდი არაა. ვისთანაც ვმეგობრობ, ისინი არამარტო შემოქმედებითი, პიროვნული თვისებებითაც გამოირჩევიან. მათ კარგად იციან, რომ პოეზია ღმერთისგან ნაკურთხი სასწაულია და ყოველ სიტყვას ისე ეხებიან, როგორც სამყაროს ულამაზეს და მარადიულ ნაწილს. პოეზია მათთვის მზისფერი ტაძარია, საიდანაც სიყვარულის — უძველესი და უპირველესი რელიგიის — მადლი მოეფინება.

მეგობრებს ძალიან უჭირთ საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ მათი ნაკალმარი დიდებულად ახერხებს ამას. თითოეულ მათგანს მიესადაგება გიორგი ლეონიძის სიტყვები, ვაჟა-ფშაველას რომ ეხება:

«"ლექსით მდიდარი, ღარიბი ვაჟა,
თავის ჩოხაზე უფრო ღარიბი»."

რამდენი გენიალური ლექსი თუ ტაძარია ამქვეყნად, რომელთა შემოქმედნიც უცნობნი არიან. მათი გვარ-სახელები მხოლოდ ღმერთის ხსოვნაში ჩანან. ამგვარი სინამდვილის ფონზე მე ყოველთვის მიჭირდა და ახლაც მიჭირს როგორც საკუთარ თავზე საუბარი, ასევე მეგობარ მწერალთა დასახელებაც. მთავარია, რომ ისინი არსებობენ და თავიანთი არსებობით ალამაზებენ ამ უფერულ და მაინც ძვირფას, გულიდან მოუშორებელ საწუთროს.

გიორგი კილაძე: პოეზია ალბათ კრიტიკის არსებობასაც გულისხმობს. დღეს რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

ვაჟა ხორნაული:

საერთოდ, რომ არ არსებობდეს კრიტიკა, მაინც გვეყოლებოდა შოთა რუსთველი და ვაჟა-ფშაველა, მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კრიტიკა საჭირო არაა, თუმცა ობიექტური კრიტიკაც ისევე იშვიათია, როგორც გენიალური ლექსი, ქანდაკება თუ სიმღერა.

კრიტიკა არასოდეს ყოფილა და ვერც მომავალში იქნება იმ სიმაღლეზე, მწერლობას რომ აქვს დაპყრობილი, რაც სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ქართული კრიტიკა არსებობს, მაგრამ გვარიანადაა დასწეულელებული იმგვარი დაავადებებით, როგორცაა პირფერობა, არაფრის მომტანი მრავალსიტყვაობა, სავარძელსა თუ რომელიმე პრემიას დამიზნებული ვირუსი — ჩალიჩი."

კრიტიკა რომ სათანადო სიმაღლეზე იდგეს, მწერლობის "ტერიტორიები" აღარ დაიტბორებოდა ემოციებისგან დაცლილი, მშრალი, ხელოვნური და უსურნელო ლექსებით, აღარ "დაამშვენებდნენ" დღევანდელობას სხვადასხვა ლიტერატურულ კუნძულებზე გამოჩეკილ-გამოგონილი "გენიოსები."

გიორგი კილაძე: ბატონო ვაჟა, სულ რამდენიმე საათი და ახალი წელი დადგება. რით იყო მნიშვნელოვანი ჯერ კიდევ მიმავალი წელი თქვენთვის და საერთოდ, ქართული პოეზიისთვის? და რას უსურვებდით მომავალ წელს ქართულ პოეზიასა და მის თაყვანისმცემლებს?

ვაჟა ხორნაული:

ამ კითხვამ დიდი ილია გამახსენა: "რა გითხრათ? რით გაგახაროთ?"

წლევანდელმა წელმაც დაგვიტოვა ღრმა ჭრილობები.

საქართველო წააგავს უკაპიტნო გემს, რომელიც ამღვრეულ და ადიდებულ ოკეანეში მიცურავს ტანჯვით. აწმყოთი დათრგუნული ხალხი მომავალსაც დაეჭვებული და დაღონებული უყურებს... და ისევ ილია: "აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია»."

ღმერთი თუ გვწამს, "უნდა კიდევაც მივსდიოთ მას" — თუნდაც ოთხივე მხრიდან უდიდესი კატასტროფა გვიახლოვდებოდეს.

"«სულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში, კვნესა რად ისმის ჩვენითა?!»" — ესაა ჩვენი ისტორია; ესაა ჩვენი დღევანდელი

მდგომარეობა და სწორედ ასეთ უმძიმეს ვითარებაში უნდა გვახსოვდეს, რომ სადაც ღმერთის სიყვარულია, იქაა თავგანწირვა და, სადაც თავგანწირვის ნიჭია, იქაა გამარჯვება.

ყოველ ნაბიჯზე გაიგონებთ:" ჩვენთან არს ღმერთი. ასეა — ღმერთი ყველასთან და ყველგანაა (მათ შორის — ჯოჯოხეთშიც), მაგრამ ესეც ვიკითხოთ და თანაც, ხშირად: ჩვენ თუ ვართ ღმერთთან? საკითხავი, აი, ეს არის."

ეს ელვა ვაჟას გულიდანაა:

"ელირსებაო ლუხუმსა

«ლაშარის გორზე შადგომა.»«

გვენახოს ლუხუმი ლაშარის გორზე მზესთან ერთად გამოჩენილი — ცალ ხელში მახვილით, მეორეში — სანთლით.

...

ბოდიშს გიხდით ნაჩქარევი, საახალწლო ხმაურსა და ფორიაქში, პირდაპირ დესკტოპზე "დაექსპრომტებული" პასუხებისთვის.

მრავალ შობა-ახალ წელს დაესწართ.

გიორგი კილაძე: უ/ღრმესი მადლობა, ბატონო ვაჟკა. მრავალ შობა-ახალ წელს დაესწართ!

გიორგი კილაძე — მაია კილაძე

გიორგი კილაძე: მაია, შენი ლიტერატურული «ნიკი» — «ზევის დაქალია». შენ ბერძნული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ხარ. არის რაიმე კავშირი სპეციალობასა და «ნიკს» შორის? შენ პოეტიც ხარ... როგორ ფიქრობ, სწორი გზით მიდიხარ? საერთოდ, რა არის პოეტური გზა, სად იწყება და სად მთავრდება... შარაგზაა თუ ბილიკი?

მაია კილაძე: ჩემს სპეციალობასა და «ნიკს» შორის კავშირი პირდაპირია. თუმცა მე არ მომიგონია. სტუდენტობის დროს შემარქვა ერთმა პოეტურმა ნატურამ. რატომ ჩათვალა, რომ ზევსს ვედაქალებოდი, არ ვიცი. მერე როდესაც ლიტერატურულ საიტზე მოვინდომე დარეგისტრირება, ეს სახელი ავირჩიე.

მე პოეტი? ხმამაღალი ნათქვამია. როდესაც ვინმე მეუბნება, პოეტი ხარო, ამას კომპლიმენტად ვიღებ, მაგრამ პოეტი ვარ-მეთქი, არასდროს მითქვამს. ეგ კი არა, ჩემს ნაწერებს ლექსებსაც ვერ ვუწოდებ. 2008 წლამდე ოფიციალურად პროზას ვწერდი. მერე და მერე შევამცირე ნაწერების ზომა. როდესაც საიტზე დავრეგისტრირდი (2007 წლის დეკემბერი ალბათ) და სხვების ნაწერები ვნახე, ვიფიქრე, რომ თუ ჩემს მინიატურებს პროზასავით გადაბმულად კი არ გამოვაქვეყნებდი, არამედ ყოველ ახალ აზრს ახალი ხაზიდან დავიწყებდი, ამით აქცენტებს გავამახვილებდი.

ასეთი ფორმით გამოქვეყნებულ ჩემს მინიატურებს ვერლიბრი უწოდეს. მე უფრო პოეტური პროზა მეგონა. მაგრამ რადგან პოეზია დაერქვა, მერე ნელ-ნელა უფრო

ვერლიბრისკენ გადავიხარე და რა და როგორ გამომდის, არ ვიცი.

უბრალოდ ვწერ. როდესაც რაღაც ემოცია მოდის, თუ არ დავწერე, სხვანაირად ვერ ვიცლები.

სწორ გზაში ჩემს შემოქმედებას გულისხმობ? არ ვიცი. მე რომ რაიმე ამბიცია მქონდეს, ალბათ იმაზეც ვიფიქრებდი, რამდენად სწორი გზით მივდივარ შემოქმედებითად.

სიმართლე გითხრა, ახლა ჯერ გზით არ მივდივარ, ჯერ გზას ვემებ. ყველანაირად. ფილოლოგი ვარ და საბაჟოზე ვმუშაობ. არასოდეს მიჭირს რამე ახალი მოვსინჯო. ასე რომ, ზევსმა უწყის, სწორი გზით მივდივარ — თუ არა.

პოეტურ გზას რაც შეეხება, როგორც ფილოლოგი, გიპასუხებ (როგორც პოეტმა, პოეტებმა გიპასუხონ) — ეს გზა ალბათ შენში იწყება და იქ მთავრდება, როდესაც პოეზია ხელოსნობაში გადაგდის.

აი ხელისგულზე რომ დაიხედავ, ხომ არის ხაზები, გზები — ზოგი ფერმკრთალი, ზოგი მუქი. სხვადასხვა ადამიანების ხელისგულებზე მათი სიგრძეც იცვლება.... პოეტური გზაც ასეა — ზოგისთვის შარაგზაა, ზოგისთვის ბილიკი, ზოგი სულაც ფრენით მიდის. გალაკტიონისთვის ვარდისფერი გზა იყო. მართლა არ ვიცი, რა არის და როგორია პოეტური გზა, ან საერთოდ თუ არსებობს. პოეზია ყველა ადამიანში შიგნით არის — ზოგში მეტად, ზოგში ნაკლებად, და ვინ რა გზით იარა, ამას გზის ბოლოს დაადგენენ ლიტერატურის კრიტიკოსები.

გიორგი კილაძე: არც თუ ისე დიდი ხნის წინ კონკურსში გაიმარჯვე. «ლიტერატურული საუბრის» მკითხველებს მასზე მოგვიყევი, საერთოდ, კონკურსებზე გვესაუბრე: სიხშირე, ჟიურის ობიექტურობა, ფულადი პრემიები და ა.შ. კიდევ რამე კონკურსში თუ მიგიღია მონაწილეობა?

მაია კილაძე: კონკურსების ამბებში დიდად ჩახედული არ ვარ, თუმცა რასაც ვხედავ, ვფიქრობ, საკმაოდ ხშირად

ტარდება. ეს ძალიან კარგია ერთმანეთის გაცნობის, აზარტის მხრივ. ახლა საიტმა «ლიტსახელები» ძალიან კარგი პროექტი დაიწყო, კონკურსების უწყვეტი ციკლივითაა.

ფულადი პრემიები და საჩუქრები ყველა კონკურსში სხვადასხვაა. ჟიურის კომპეტენტურობას რაც შეეხება, როგორც ხშირად აღნიშნავენ ხოლმე, ობიექტური ჟიური არ არსებობს. ისინი თავისი სუბიექტური აზრის მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას.

საერთოდ კონკურსი, მით უმეტეს ლიტერატურული, შედარებითია. კონკრეტულ დროს კონკრეტულ სიტუაციაში უპირატესობა ენიჭება ამა თუ იმ ნაწერს.

არის კონკურსები, სადაც აგზავნი, რაც მანამდე გქონდა დაწერილი, ისე, ბუნებრივად.

არის კონკურსები, სადაც კონკრეტული მოთხოვნებია, მიმართულება, სიტყვების რაოდენობა და ა.შ.

პირველი სახის კონკურსში რამე ადგილის მოპოვება უფრო კომპლიმენტია, გარკვეულწილად შეფასებაა იმის, რასაც ქმნი.

მეორე სახის კონკურსი უფრო აზარტულია და ოსტატობაზეა — უფრო სპორტულ შეჯიბრებას ჰგავს.

ჟიური ყველა შემთხვევაში სუბიექტურია, მაგრამ კომპეტენტურობაში ალბათ უფრო ის იგულისხმება, რამდენად სუფთად ტარდება კონკურსი.

არ ვიცი, კონკრეტული პრეტენზიები ამ მხრივ არავისგან გამიგია.

პირველი კონკურსი, სადაც მონაწილეობის მიღება ვცადე, ფენ-მარათონი იყო. პატარა ვიყავი მაშინ და შესარჩევ ტურსაც ვერ გავცდი.

მერე აღარც მიცდია.

ამას წინათ კი მოწვევა მივიღე «ლექსების გამოფენაში» მონაწილეობის მისაღებად. ზაზა ფირცხალაიშვილი (ორგანიზატორი) ძალიან კარგი ადამიანია. სიმართლე რომ ვთქვა, მისი ხათრით გავგზავნე. მითხრა, რომ სადღაც

ჰქონდა წაკითხული ჩემი ნაწერები და თვლიდა, ღირდა, მიმელო მონაწილეობა. კონსკურსის პირობა კი ასეთი იყო: ყოველი ავტორი თითო ლექსს გზავნიდა. არჩევაზე ბევრი არც მიფიქრია, რაც ხელში მომხვდა, გავგზავნე.

როდესაც მომწერეს, 20-ეულში გახვედიო, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ბათუმში რომ ჩავედი და ჟიურში დათო ტურაშვილი და რატი ამდლობელი დამხვდნენ, ძალიან გამიხარდა და ცოტა შემრცხვა კიდეც. ძალიან მინდოდა, მივსულიყავი და გამოვლაპარაკებოდი.

აი, პირველი ადგილი რომ გამოაცხადეს, რა მომივიდა, ვერ აგიწერ. ზე-გაოგნება და შოკი იყო.

მიხაროდა და არ ვიცოდი, რა მიხაროდა.

ამის შემდეგ მწერალთა კავშირმა ჩაატარა კონკურსი პოეზიაში ბარათაშვილის პრემიის მოსაპოვებლად. იქაც მივიღე მონაწილეობა და დიპლომი ავიღე (მგონი ათეულში გავედი, თუ რაღაც ეგეთი).

ახლა მგონი ყველა კონკურსში ვიღებ მონაწილეობას, სადაც რამეს მოვკრავ ყურს — პროზაშია, პოეზიაში თუ სიმალლეზე ხტომაში.

გიორგი კილაძე: «სიმალლეზე ხტომაში» ცოტა არ იყოს გამაკვირვა... შენი აზრით, რა ხდება დღეს ქართულ პოეზიაში, რამდენად დაშორდა ქართული ლექსი კლასიკური ლექსის სტრუქტურას, ვთქვათ, ძველ ბერძნულს? თანამედროვე ბერძნულ პოეზიასთან რამე მსგავსებას თუ ხედავ, გავლენას? საერთოდ, «გავლენებზეც» გვესაუბრე, მათ შორის ქართველი პოეტების ქართულ გავლენაზე, ხანდახან გავლენა პლაგიატშიც ხომ არ გადადის?

მაია კილაძე: ჩემთვის ძალიან საინტერესო საკითხებს შეეხე და თუ შევყევი, საუბარი შორს წაგვიყვანს. ვეცდები მეტ-ნაკლებად ზოგადი პასუხი გაგცე. ბერძნული პოეზია დღეს საქართველოში პოპულარული არაა. ეგ კი არა და

მგონი ბერძნულ ენას ფილოლოგების მეტი არც არავინ იცნობს. ამდენად თანამედროვე ქართულ პოეზიაზე რამე გავლენას ნამდვილად ვერ მოახდენს. შესაძლოა, რომელიმე კონკრეტული ავტორის შემოქმედებასთან რამე კავშირი ჰქონდეს. ბერძნულ-ქართული კულტურის მჭიდრო ურთიერთობები შორეულ წარსულში დარჩა. დღესაც თუ რამე კავშირი აქვს ბერძნულ კულტურას ქართულთან, ძირითადად ისევ ძველიდან გამოყოლილი.

თანამედროვე ბერძნულ და თანამედროვე ქართულ პოეზიაზე პატარა ესსეც მაქვს დაწერილი. მთავარი მსგავსება ალბათ ისაა, რომ იქაც აქტუალურია ვერლიბრი და მინიატურული პოეზია.

გადმოვინაცვლებ ქართულ ლექსთან. ყველაფერი ვითარდება. გავლენები ჩემი აზრით დასაწყის ეტაპზე იკვეთება ხოლმე. ვინც სხვისი გავლენიდან ბოლომდე ვერ გამოდის და საკუთარ ხმას ვერ პოულობს, ავტორადაც ვერ ყალიბდება.

პლაგიატის საკითხი ყველაზე საინტერესო თემაა ჩემთვის. არის ერთი მოვლენა, რასაც მე უნებლიე პლაგიატს ვუწოდებ. როდესაც ორი ავტორი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ერთსა და იმავე სახეს ქმნის. მოკლედ რომ აგისხნა, რას ვგულისხმობ, ასე ჩამოვაცალიბებ: როდესაც კონკრეტული მხატვრული ტროპი ან პერსონაჟი კი არ ემთხვევა, არამედ აღქმა. მაგალითისთვის ერთ ჩემს ნაწერს მოვიყვან. აქ ქალის ფეხები სცილასა და ქარიბდეს შვეადარე. მეორე დილით წავიკითხე დიანა ანფიმიადის ლექსი, სადაც ქალის თემოები სცილასა და ქარიბდესაა შედარებული.

ასეთი დამთხვევები ხშირია და ამ თემაზეც ვაპირებ ესსეს დაწერას.

ახლა კი დასკვნის სახით ვიტყვი: ინტერნეტ სივრცე საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ ყოველი ახალი ავტორის ჩამოყალიბების პროცესს. მასალა ძალიან ბევრი გროვდება. დაახლოებით ისეთი სიტუაციაა, ცეკვის

სასწავლად რომ მიიყვანო უამრავი ადამიანი და უყურო მათ რეპეტიციებს. ნელ-ნელა გამოიკვეთებიან ინდივიდები. ამას დრო სჭირდება. ახლა ყველაფერი ჩვენს გარშემო ხდება და შეფასება უფრო ძნელია.

ინდივიდები არ იკარგებიან. ასე მგონია, თავისით გამოიკვეთებიან დროთა განმავლობაში.

თუმცა ჩემთვის, როგორც ფილოლოგისთვის, ძალიან საინტერესოა ის გარემო და თანაავტორები, ვის გარემოცვაშიც წერს ინდივიდი; იმ საკითხების გამოკვეთა, რაზეც იწერება ძირითადად; ის განცდები, აღქმები, რასაც თავისდაუნებურად კარნახობს კონკრეტული ეპოქა და სიტუაცია ავტორებს.

ვფიქრობ, ამ მხრივ ყველაზე საინტერესო პროექტია «თაობები». ლიტერატურის მკვლევარს საშუალებას მისცემს მისთვის საინტერესო პროცესები როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში შეისწავლოს.

გიორგი კილაძე: მაია, «სინქრონულ» და «დიაქრონულ ჭრილზე გვესაუბრე... უპირველეს ყოვლისა მე, და მერე «საუბრების» მკითხველს...

მაია კილაძე: ერთხელ მიხეილ თუმანიშვილს თემურ ჩხეიძის დადგმა დაუწუნებია — ასე ხომ მეც შემიძლიაო, და შემდეგ განუმარტავს, — ჩვენს შორის იმხელა სხვაობაა, შენ ახალგაზრდა ხარ; თუ შენც იგივე აკეთე, რასაც და როგორც მე ვაკეთებ, ეს ნიშნავს, რომ წინ ვერ წავსულვართო. — გენიალურია.

ერთია, რამდენად წინ მიდის და ვითარდება ავტორი საკუთარ თავთან შედარებით. თუკი კონკრეტული ავტორის ნაწერებს ქრონოლოგიურად დავალაგებთ და ისე წავიკითხავთ, ნათელ სურათს დავინახავთ. თუმცა სხვა საკითხია, რამდენად წინ წასული და განვითარებულია ავტორი თავის წინამორბედებთან შედარებით.

რაც შეეხება სინქრონულ ჭრილს, აქ ყურადღებას ვაქცევთ, რა ადგილი უჭირავს, რითი გამოირჩევა ავტორი თავისი თანამედროვეებისგან («სინ» ბერძნულად ნიშნავს — თანა, «ქრონოს», «ხრონოს» კი დროს).

სქემა რომ ჩამოვაყალიბო, ასე გამოვა: ზოგადად ერის კულტურის (ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ ქართულ ლიტერატურაზე) განვითარებას დიაქრონულ ჭრილში ანუ დროში ქრონოლოგიურად განვიხილავთ და ვხედავთ თაობების ფონზე. თაობებს ჩემი აზრით, ხელოვნებაში არა საუკუნე, არამედ საერთო პრობლემატიკა აერთიანებს. თაობებს განვიხილავთ — ისინი წარმოდგენილი არიან კონკრეტული ავტორებით.

ცალკე საკამათო და საკვლევი საკითხია, ჩემი აზრით, — რატომ კონკრეტული თაობა კონკრეტული ავტორით ან ავტორებით? რით იყვნენ ისინი გამორჩეული თავისი თანამედროვეებისგან? რითი ჰგავდნენ მათ?

პროექტი «თაობები» შემთხვევით არ მიხსენებია. ეს აღმანახები საზოგადოებრივ გამოკითხვას ჰგავს. ლელა კოდალაშვილი წერდა, რომ «თაობები» ზუსტად ასახავს თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესს. წარმოიდგინე, იღებ ხელში ერთ აღმანახს და ზოგად (რადგან შეუძლებელია აბსოლუტური შეიქმნა) წარმოდგენას იქმნი იმის შესახებ, ამა და ამ წელს რა იწერებოდა. ეს ხომ რჩეული არაა, ავტორები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გზავნიან შესატან მასალას. არც საერთო თემაა მითითებული. თითოეული არჩევს იმას, რაც მისთვის მნიშვნელოვანია. ერთ აღმანახში თავმოყრილია სხვადასხვა ადამიანების აზრები და შენ შეგიძლია გააკეთო საერთო დასკვნა — რა არის მათი მთავარი სათქმელი, რა და როგორ იწერება მოცემულ მომენტში.

შემდეგი აღმანახი უკვე საშუალებას გაძლევს შეადარო, რა შეიცვალა. ვგულისხმობ არა კონკრეტული ავტორის შემოქმედების თვალსაზრისით, არამედ კოლექტიურად.

რაღა თქმა უნდა, სხვების ფონზე გამოარჩევ კონკრეტულ საინტერესო ავტორებსაც და თუ სურვილი გაგიჩნდა, უფრო ახლოს და ღრმად ეცნობი.

როგორც აღვნიშნე, ინტერნეტის საშუალებით დღეს ყველას შეუძლია საკუთარი შემოქმედება თუ შემოქმედების მცდელობა გამოიტანოს დღის, უფრო სწორედ კი მონიტორის სინათლეზე, და ამ უკიდევანო ლიტ. მასალაში ხსენებული ალმანახი სარჩევის როლსაც ასრულებს.

შესამღებლობას იძლევა (და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მომავალ თაობას მისცემს, თუკი ისინი დაინტერესდებიან) საკუთარი თვალთ იხილო, რატომ გახდა თაობის «ოფიციალური წარმომადგენელი» კონკრეტული ავტორი თუ ავტორთა ჯგუფი ლიტერატურის ისტორიაში.

როგორც წესი კი, ისტორიას ისინი შემორჩებიან ხოლმე, ვინც რაიმე გარდატეხას ახდენს, ნოვატორულ იდეებს ახორციელებს. თუმცა ასეთი ადამიანები საკუთარი ეპოქისთვის ხშირად მიუღებელი არიან, რადგან წინ უსწრებენ დროს და თანამედროვეებისგან ზედმეტად გამორჩეულად აზროვნებენ.

და აქვე მივუბრუნდები ზემოთ დასმულ კითხვას — რამდენად დაშორდა ქართული ლექსი კლასიკურ ფორმას. უნდა დაშორებულიყო. სხვაგვარად არ მესმის განვითარება. თუ ახლაც ისეთივე იქნა, როგორც ანტიკურ ხანაში, მაშინ როგორ წავიდოდა წინ? აი, მუსიკას რომ უსმენ. თუ მუსიკაში არაფერი იცვლება და როგორც დაიწყო, ბოლომდე ისე მიდის, მონოტონური, მდორე და მოსაწყენია; ხოლო თუკი მუსიკაში განვითარება იგრძნობა, ასეთი მუსიკა მოგწონს, გითრევს, გაინტერესებს. აქვე დავამატებ — უნდა დაშორებულიყო-მეთქი, როდესაც ვამბობ, არ ვგულისხმობ, რომ მაგალითად, კონვენციური ლექსი აღარ უნდა იწერებოდეს და ვერლიბრი ყველა კარგია, ან გაზაფხულზე არ უნდა იწერებოდეს, რადგან უკვე დაწერილია და ა.შ. მე ვგულისხმობ, რომ ავტორი უნდა ვითარდებოდეს საკუთარ

თავთან შედარებით, თაობა თაობასთან შედარებით და მულტიმედია ახლის ძიებით, ახლის შექმნით უნდა იარსებოს.

ილიას დავიხმარ: მოძრაობა და მოძრაობა, ჩემო თერგო.

და კიდევ — ყოველმა შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზე გაჩერდა მამა, რომ იქიდან განაგრძოსო.

თუკი ვამბობთ, რომ ჩარჩოების გარღვევა გვინდა (და როგორც წესი, ყოველი ახალი თაობის მოთხოვნილება ესაა), მაშინ ჯერ კარგად უნდა დავინახოთ და შევისწავლოთ, სადაა ეს ჩარჩოები.

ერთსაც ვიტყვი: ყოფილა თაობები, რომლებიც ისე გამქრალან, ერთი ავტორიც არ შემორჩენია ისტორიას. მე არ ვიცი, ალბათ ზევსს ეცოდინება, დღევანდელი რეალობიდან ვინ დარჩება და როგორს დაინახავენ ჩვენს თაობას ძალიან დიდი ხნის შემდეგ.

თუმცა, ეს ისე დიდი ხნის შემდეგ იქნება, შეიძლება იმ დროისთვის ლიტერატურა აღარც არავის აინტერესებდეს.

იმედს ვიტოვებ, ასე არ იქნება.

სიტყვა ისე გამიგრძელდა, მგონი თავი მოგაბეზრეთ შენც და მკითხველსაც.

გიორგი კილაძე: მაია, «უინტერესო ლიტერატურის» შემდეგ...

მაია კილაძე: უინტერესო ლიტერატურა არ არსებობს. ლიტერატურა თუ არსებობს, ე.ი. რაღაცით მაინც საინტერესოა. ის, რაც არავის აინტერესებს, უბრალოდ დავიწყებას ეძლევა, ქრება.

შეიძლება არსებობდეს დაბალი დონის ლიტერატურული ნაწარმოებები, თუ ამას გულისხმობ. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან დაბალი დონის და, ასე ვთქვათ, ცუდი ლიტერატურული ნაწარმოებებიც შეიძლება იყოს პოპულარული გარკვეულ პერიოდში და გარკვეულ წრეებში, მაგრამ ასეთები დროს ვერ უძლებენ და უმტკივნეულოდ ქრებიან.

ამის მაგალითად «თბილისის ლიტერატურული ბოჰემა» გამომადგება. ვინმე სკანდარნოვა და გივიშვილი იმდენად პოპულარულები იყვნენ, მათი ლექსები მთელმა თბილისმა ზეპირად იცოდა. წერა-კითხვასაც მათი ნაწარმოებებით სწავლობდნენ...

ჩაიარა მტკვარმა და ეგ იყო და ეგ.

თუ შენ გულისხმობ ზოგადად საზოგადოების ინტერესის კლებას ლიტერატურული პროცესების მიმართ, ეს სხვა საკითხია. ვფიქრობ, ცხოვრების აჩქარებულმა ტემპებმა შესაძლოა შეანელოს ადამიანების ინტერესი ხელოვნების, განსაკუთრებით კი ლიტერატურის მიმართ, რამდენადაც ლიტერატურას წაკითხვა უნდა, წაკითხვას — დრო. ჩემი აზრით, სწორედ ზემოხსენებული ტემპების აჩქარების გამო შემცირდა ნაწარმოებების ზომა, — ვგულისხმობ მინიმალისტურ პოეზიას. პოეზია უფრო საქმიანი გახდა, ასე ვთქვათ. დღეს არავინ წერს ტრაქტატებს 15 მარცვლიანი შაირით და უკიდევანოდ ვრცელ გასაუბრებებებს გაზაფხულისა და შემოდგომისა ან სხვა. ღრმად ჩასაფიქრებელი და გაბუნდოვნებული სიმბოლიზმიც ჩანაცვლებულია უფრო გულახდილი და პირდაპირი სახეებით.

ისევ გადავუხვიე. იმის თქმა მინდოდა, რომ ოდესმე თუ ისე მოხდა, საზოგადოებამ გაწყვიტა კავშირი ლიტერატურასთან, ეს მხოლოდ დროებითი იქნება. ძალა, რომელმაც ოდესღაც აიძულა კაცობრიობა ქვაზე ამოეკვეთა თუ თიხის ფირფიტებზე ეწერა, არ მოასვენებს, ისევ ხელახლა ამოხეთქავს და ხელახლა შეაქმნევენებს ლიტერატურას.

ადამიანი შემოქმედმა თავის მსგავსად შექმნა და ამდენად ქმნადობის სურვილიც თითოეულ ჩვენგანში თავიდანვეა ჩადებული.

გიორგი კილაძე: მაია, «ქმნადობის სურვილიც თითოეულ ჩვენგანში თავიდანვეა ჩადებული» და მაინც ლიტერატურა მკითხველთათვის იქმნება, მეთანხმები? რას ნიშნავს შენთვის გემოვნებიანი მკითხველი? როგორ ყალიბდება ლიტერატურული გემოვნება? განათლებით? თუ გემოვნება ერთგვარი ნიჭია? იქნებ ორივე...

მაია კილაძე: მე ასე ვიტყვი: ლიტერატურა მკითხველით არსებობს. თუ მკითხველი არ ეყოლება, პირადი დღიურივით იქნება — წერე და იყავი.

ლიტერატურული გემოვნება ცოტა რადიკალური ნათქვამია.

მე მაინც გავმიჯნავდი აღქმასა და მოწონებას.

განათლება გეხმარება აღქმაში. არა მარტო იმას ვგულისხმობ, რომ სწორად გაიგებ სიმბოლოებს, შენთვის საჭირო არ იქნება აგისხნან, რას ნიშნავს სიტყვა, რომელიც სინამდვილეში რომელიმე მითოლოგიური ან ისტორიული პირის თუ ადგილის სახელი შეიძლება იყოს. უბრალოდ, რაც უფრო განათლებული ხარ, სხვა თუ არაფერი, შედარებისთვის მეტი მასალა გაქვს.

მაგრამ გემოვნება გემოვნებაა — ზოგს ის მოსწონს, ზოგს ეს.

შესაძლოა იცოდე, რომ ნაწარმოები, რომელიც წაიკითხე, მაღალმხატვრულ დონეზეა შესრულებული, დაინახო ავტორის ნიჭიერება და ოსტატობა და სხვ., მაგრამ არ მოგეწონოს.

ხელოვნება თავისთავად ძალიან სუბიექტური მოვლენაა. ავტორი სუბიექტურად აღიქვამს სამყაროს, გაატარებს საკუთარ თავში და მხატვრულად გადმოსცემს. თითოეული მკითხველი აგრეთვე სუბიექტურად გაიაზრებს და მიიღებს ამ ნაწარმოებს. არასოდეს ხდება ისე, რომ მკითხველმა ან კრიტიკოსმა ზუსტად იგივენაირად წაიკითხოს ნაწარმოები, როგორც მას ავტორი წერს, რადგან ყველა ინდივიდია

საკუთარი განცდებით, ასოციაციებით, საკუთარი ტკივილებითა და სიხარულებით.

დროს კი ის ნაწარმოები უძღვებს, რომელშიც ყველა თუ არა, უმეტესობა პოულობს რაღაც მისთვის გასაგებსა და მისაღებს.

გიორგი კილაძე: «ლიტერატურული საუბრები — 2009-ში» გამოქვეყნდა სტატია: «ომი, ეროსი და ზევსის დაქალი» — ქალბატონ ნინო დარბაისელსა და შენს შორის საინტერესო საუბარი გაიმართა. ცნობილ ლიტერატურათმცოდნესთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა. შენთვის რით იყო საინტერესო ეს სტატია, შენი აზრით, რატომაა იგი ახალგაზრდა მკითხველთათვის საჭირო და საერთოდ, რა უნდა ისწავლოთ შენ და შენმა თანატოლმა პოეტებმა (ლექსის მწერლებმა).

მაია კილაძე: უი, ეგ დაიბეჭდა უკვე?

საინტერესო ბევრი კუთხით იყო.

განსაკუთრებით მეორე ნაწილმა ჩამითრია. საშინლად მაინტერესებდა, როგორ გააკეთებდა ჩემს ტექსტს ავტორი, რომელიც ფლობს ტექნიკას და აქვს ოსტატობა, გამოცდილება.

მკითხველისთვისაც ვფიქრობ, სწორედ ამ კუთხით იქნებოდა საინტერესო.

სწავლას რაც შეეხება, ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი უნდა ვისწავლოთ და არა მარტო იმათ, ვინც წერს. არ მინდა დიდაქტიკურ ნოტზე დავამთავრო ჩვენი საუბარი. მე ვერავის დავუწყებ იმის ახსნას და ჭკუის დარიგებას, რა უნდა ისწავლოს.

სხვისი არ ვიცი, მე კი ყველაფერი სასწავლო მაქვს. ოღონდ არ ვგულისხმობ მხატვრული ტროპების, ქორე-დაქტილების და სიმბოლოების სწავლას.

დაწყებული ფსიქოლოგიიდან, დამთავრებული მანქანის მართვით, ყველაფერს ვგულისხმობ. ასეა, რაც მეტს სწავლობ, უფრო მეტ შესაძლებლობას იძენ.

როდესაც სწავლას წყვეტ, წყვეტ ძიებას.

ძიების შეწყვეტა კი ნიშნავს განვითარების შეწყვეტას.

გიორგი კილაძე — ლევან ტატიშვილი

გიორგი კილაძე: თქვენ ერთ-ერთ ცნობილ უნივერსიტეტში «რიტორიკას» ასწავლით. «რიტორიკის» წარმოთქმაზე მე პირადად «კაცია-ადამიანის?!» დასაწყისი მახსენდება. თქვენ? თუ შეიძლება გაგვიმარტეთ, რა არის «რიტორიკა» , როგორია მისი გენეზისი, რა განსხვავებაა ამ ცნების პირველ და თანამედროვე გაგებას შორის?

ლევან ტატიშვილი: დიახ, შემახსენეთ, «რიტორიკაში სწერიაო, რომ ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოსო კაცმაო...» თუმცა კლასიკური რიტორიკის თეორიის მიხედვით მთლად ასე არ არის და ზოგჯერ არც შესავალია სავალდებულო, ზოგჯერ კი მიზანშეწონილია სხვაგვარად და არა შესავლით დაწყება. აი მეც, კლასიკური რიტორიკის მიერ ამ ნებადართული თავისუფლებით ვისარგებლებ და შესავლის გარეშე დავიწყებ და პირდაპირ ვუპასუხებ შეკითხვას: კლასიკური რიტორიკის თეორიამ, სულ მცირე, რიტორიკის ორი განმარტება მოგვცა. არისტოტელემ „რიტორიკის ხელოვნების» პირველი წიგნის მეორე ნაწილში განმარტა: «რიტორიკა» განვსაზღვროთ, როგორც დარწმუნების საშუალებების მოძიების უნარი დაკავშირებით

ნებისმიერ საგანთან», ნიშანდობლივია, რომ რიტორიკა არა დარწმუნების საშუალება, არამედ მხოლოდ ამგვარი საშუალებების მოძიების უნარია, რადგან ჩვენ ხელთ მხოლოდ ეს უნარია; ხოლო რამდენად შევძლებთ აუდიტორიის დარწმუნებას და რამდენად გამოგვადგება ეს საშუალებები, მხოლოდ ჩვენზე და რიტორიკაზე არ არის დამოკიდებული. აუდიტორიის დარწმუნება დამოკიდებულია აგრეთვე აუდიტორიაზეც. არისტოტელეს ასეთი მაგალითი მოჰყავს: როგორც მედიცინის შემთხვევაში, როცა პაციენტი უკურნებელია და მედიცინა მაინც არ აკლებს მზრუნველობას ამ უკურნებელ პაციენტს, ზუსტად ასევე, რეიტორიკაც ეძებს იმ ხერხებს, რომლებმაც წესით უნდა დაარწმუნოს აუდიტორია, მაგრამ, თუ აუდიტორია „უკურნებელი« სენითაა შეპყრობილი, ცხადია, რეტორიც და რეიტორიკაც უძლურია. სხვათა შორის ეს მე პირადად მაფიქრებინებს, რომ დღევანდელ ადამიანს პროპაგანდა უფრო წარმატებულად „ჩააგონებს,« ვიდრე რეტორიკა არწმუნებს.

თუმცა, ელინისტური ეპოქის ორატორებმა, სახელდობრ, ჰერმაგორასმა, ორატორის საქმიანობა შემოფარგლეს საჯარო სფეროთი. რიტორიკა ამგვარი გაგების მიხედვით, ორატორის იმ საკითხებზე საუბრის უნარია, რომელიც საჯარო სფეროს განეკუთვნება, ადათებითა და კანონებითაა განსაზღვრული და მიზნად ისახავს აუდიტორიის დარწმუნებას, რამდენადაც შესაძლებელია. ეს მნიშვნელოვანი თქმა, რაც არისტოტელეს ეხმაურება, კვლავ ხაზს უსვამს აუდიტორიის ფაქტორს.

მაგრამ მე მაინც მეჩვენება, რომ არისტოტელესა და არც ელინისტური ეპოქის რეტორების განმარტება მხოლოდ რეპრეზენტაციულია, ვიდრე ამომწურავი. უფრო ზუსტად კი, წარმოგვიდგენს კლასიკური რიტორიკის ერთ, თუმცა, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს, მაგრამ ვერ ახასიათებს რიტორიკის არსს ამომწურავად, რადგან

რიტორიკის დანიშნულება არც მხოლოდ კანონითა და ადათებით განსაზღვრული სფერო არ არის და არც მხოლოდ დარწმუნებაა მისი ერთადერთი მიზანი. ახლა გადავალ მეორე შეკითხვაზე: უნდა ისწავლოს თუ არა თანამედროვე პოეტმა რიტორიკა, და მერე კვლავ დავუბრუნდები პირველს, ანუ რა განსხვავებაა რიტორიკის თანამედროვე და ავთენტურ ანუ კლასიკურ გაგებებს შორის.

გიორგი კილაძე: და მაინც, თქვენი აზრით, რატომ უნდა ისწავლოს თანამედროვე პოეტმა «რიტორიკა». საერთოდ, რა კავშირია რიტორიკასა და ლიტერატურას შორის?

ლევან ტატიშვილი: პირველ რიგში, არ მგონია პოეტმა და ისიც თანამედროვემ რამე «უნდა» ან «არ უნდა» იცოდეს. რაც შეეხება კლასიკურ პოეტიკას, ე.ი. თეორიას პოეზიაზე, იგი ცალსახად დაეფუძნა კლასიკურ რიტორიკას და განსაკუთრებით (მაგრამ არა მხოლოდ) რიტორიკის მესამე ნაწილს — სტილს. მე-19 საუკუნის რომანტიზმამდე რიტორიკა და პოეტიკა ექვივალენტური ცნებები იყო, უფრო ზუსტად კი პოეტიკა კლასიკური რიტორიკის ნაწილად აღიქმებოდა. თუმცა ამანაც არ უნდა შეგვიყვანოს უზუსტობაში და გვაფიქრებინოს, რომ პოეტიკის დაყვანაა შესაძლებელი რიტორიკის ნაწილამდე: კლასიკური სულისკვეთების გამზიარებელ პოეტს, გარდა რიტორიკისა, აუცილებლად უნდა სცოდნოდა მითოგრაფია და კლასიკური სიძველეები და ამასთან, მუზებიც მისდამი კეთილგანწყობილნი უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენ იმას, რასაც კლასიკური ტრადიცია მუზების ჰელიკონიდან პოეტთან ხლებად აღიქვამდა, «შთაგონებას» ვუწოდებთ. სინამდვილეში ფუნდამენტური განსხვავებაა ჩვენს «შთაგონებასა» და მუზების კეთილგანწყობას შორის. ჩვენს წარმოდგენაში «შთაგონება» სხვა არაფერია, თუ არა შემოქმედში წარმოშობილი «შემოქმედებითი პროცესი,» რომელსაც არც არავითარი წყარო არ გააჩნია თავად

შემოქმედის გარდა და ვერც ვერაფერი ვერ ზღუდავს ან არ უნდა ზღუდავდეს. ეს იდეა რომანტიზმის ეგრეთწოდებულ «რომანტიკულ ირონიას» უკავშირდება, რომლის ავტორებიც ძმები შლეგელებია. აი, კლასიკურ ტრადიციაში კი პოეტი და შემოქმედი მხოლოდ შუამავალია, შეიძლება ითქვას, თუთიყუშიც კი და მხოლოდ იმას იმეორებს, რასაც მუშები ჩააგონებენ. აი, როგორც ეს «ილიადას» მეორე ქებაშია:

მიმღერეთ ახლა, ო, მუშებო, ოლიმპოს მკვიდრნო, —
თქვენ ღმერთები ხართ, შეგიძლიათ ჭვრეტა ყოველის,
ჩვენ კი, უმეცართ, მხოლოდ გავარდნილი ხმა გვესმის...

უფრო ცხადად ამის ჩვენება ალბათ ელიოტისეული ელიზაბეტისდროინდელ «ორატორულ» პოეზიასა და თანამედროვე «სასაუბრო» პოეზიას შორის დაპირისპირების საფუძველზეა შესაძლებელი.

გიორგი კილაძე: იქნებ დააზუსტოთ მაინც, რა არის პოეტი კლასიკურ ტრადიციაში?

ლევან ტატიშვილი: პოეტი კლასიკურ ტრადიციაში მხოლოდ მუშების შუამავალია, იარაღია — ერთი მხრივ და მეორე მხრივ — რიტორიკის საშუალებების ოსტატია. ამის გარდა იგი მითოგრაფიული ტრადიციის და საზოგადოდ, სიძველეების მცოდნეცაა. სხვათა შორის, *classicus*² ანუ

² "...it was until very late, and then only in a single instance, that the name *classicus* appears: in Aulus Gellius (*Noctes Atticae*, XIX, 8, 15). This learned compiler of the Antonine period discusses a large number of grammatical problems. Are *quadriga* and *arena* to be used in the singular or the plural? The thing to do is to follow the usage of a model authors: "e cohorte illa dumtaxat anitquiore vel oratorum aliquis vel poetarum, id est *classicus* adsiduusque aliquis scriptor, non proletarius": "some one of the orators or poets, who at least belongs to the older band, that is, a first-class and tax-paying author, not a proletarian," [....] «... [საკმაოდ გვიან და მხოლოდ ერთხელ ჩნდება სიტყვ «კლასიკური» [*classicus*]: აულუს გელიუსთან (ატეკური ღამეები *Noctes Atticae*, XIX, 8, 15). ეს ანტონინების პერიოდის განათლებული კომპილიატორი მსჯელობს

«კლასიკური» სწორედ სიმველის კარგ მცოდნეზე მიუთითებს. თანამედროვე პოეტს არა მგონია მოეწონოს ამგვარი როლი. თუ სწორად მესმის, მის წარმოდგენაში იგი თავადაა მუზაც, თავადაა ნორმებისა და წესების «კანონმდებელიც» და ყოველივეს თესაურუსიც და ამდენად, კლასიკური სიმველები ან წესები არაფერში სჭირდება. დღეს ერთგვარ მოდადაც კი იქცა ამ «ზედმეტი ბარგისგან» თავისუფლებით ტრაბახი — აქაო და მეტრიკა რაში მაინტერესებსო? ან ნოტების ან ელემენტარული მუსიკის თეორიის ცოდნა არაფერში მჭირდებაო, — ბრძანებს ვინმე პოპულარული ვარსკვლავი, რომელსაც ჯერ კიდევ ჩემს ყმაწვილობაში მუსიკალურ ოთხწლედშიც კი არ მიიღებდნენ, მაგრამ დღეს რაღაც ჯადოქრობით ლამის „პირველ მოცარტადაა» (ანუ ნამდვილ მოცარტზე უფრო მოცარტად) აღიარებული, ან თაბაშირის ბიუსტის აკადემიურ ნახატზე მხოლოდ უნიჭოები თუ იწვალევენ თავსო და ამაოდ კარგავენ დროსო, ბრძანებს ვინმე

გრამატიკულ პრობლემებზე. *quadriga* და *arena* მრავლობით თუ მხოლოდობით რიცხვშია? (ლათინურში, ა-ზე დაბოლოებული არსებითი სახელები სახელობით ბრუნვაში, შეიძლება პირველი კანკლედობის, უმთავრესად მდებრობითი სქესის არსებითი სახელები იყვნენ მხოლოდობით რიცხვში, ან საშუალო სქესის (მეორე, მესამე და მეოთხე კანკლედობის) არსებითი სახელები მრავლობით რიცხვში) რაც უნდა გავაკეთოთ ამ პრობლემის გადასაწყვეტად, უნდა მივყვეთ სანიმუშო ავტორებს: «*e cohorte illa dumtaxat anitquiore vel oratorum aliquis vel poetarum, id est classicus adsiduusque aliquis scriptor, non proletarius*». ვინმე ან ორატორების ან პეოტების იმ ჯგუფიდან რომელიც უფრო ძველებს განეკუთვება, ის, ვინც «პირველი კლასის» გადასახადის აკურატული გადამხდელია და არა პროლეტარია],» Curtius, *European Literature, European Literature and the Latin Middle Ages*, translated from German by Willard R. Trask, (New York: Harper & Row Publishers, 1990), 149 იგულისხმება როგორც ძველი, ასევე მდიდარი ავტორები (არა პროლეტარები), ვისაც მაღალი ქონებრივი ცენზის გამო კარგი განათლება უნდა მიეღო, ანუ ყველაზე სავარაუდოდ, პირველი კლასიდან უნდა ყოფილიყო; სერვიუს ტულიუსის რეფორმის მიხედვით, ქონებრივი ცენზის გათვალისწინებით, რომის მოქალაქეები დაიყვნენ 5 კლასად (სენატორების, მხედრების და პროლეტარების გამოკლებით), რომელთაგან პირველი კლასი, ანუ როგორც ხშირად უწოდებდნენ, უბრალოდ „კლასი», ყველაზე მაღალი ქონებრივი ცენზი გააჩნდა — 100000 სესტერციის ოდენობით.

ექსკრემენტებით თხუპვნით სახელგანთქმული მხატვარი. ამგვარი «გენიოსების» წინაშე რიტორიკაც, კლასიკური სიძველეებიც და თავად მუზეუმიც კი ფერმკრთალდებიან და შეძრწუნებული ფრთხიან.

არის მეორე მომენტიც. საქმე ისაა, რომ კლასიკურ ტრადიციაში კერძო და საჯარო სფეროები მკვეთრადაა გამიჯნული. კერძო სფეროს, რომელიც მხოლოდ პირად ინტერესს, გამრავლებას და ბიოლოგიურ-ვეგეტატიურ (ცხოველურ-მცენარეულ) არსებობას ეთმობა, არავითარი ღირებულება არ გააჩნია. იგი მხოლოდ აუცილებელია, მაგრამ არც მშვენიერი, არც ღირსეული და არც მნიშვნელოვანია. მართლაც, ყველაზე აუცილებელი ადამიანისთვის სუნთქვაა, მაგრამ რომ გვეთქვა — ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის სიცოცხლეში სუნთქვააო და მთელი ძალისხმევა ამას და სხვას არაფერს არ უნდა მოვახმართო, გამოგვიდოდა სრული სისულელე. კერძოს უპირისპირდება საჯარო განზომილება, რომელიც წესით და რიგით კერძო ინტერესიდან და ცხოველურ-მცენარეული ზრუნვიდან დამოუკიდებელი, თავისუფალი სფეროა, სადაც ადამიანმა შეიძლება გამოავლინოს თავისი ღირსებები, მაგალითად, სამართლიანობა ან სიმამაცე, და ამით ეზიაროს რჩეულთა რიგებს, ანუ გაემიჯნოს ჩვეულებრივ მოკვდავს, რომელსაც ჭამა-სმის, კომფორტის და გამრავლების მეტი არაფერი ანაღვლებს (უკვდავებასაც მივათვლიდი). აი, კლასიკური წარმოდგენებითაც ის, ვინც მხოლოდ სარჩოს შოვნით, შთამომავლობით და ოჯახითაა დაკავებული და საერთოდ არ აინტერესებს საჯარო მოღვაწეობა — იდიოტია. ბერძნულად «იდიოტეს» სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა «კერძო პირს» და ასეთი, მხოლოდ პირადულით დაინტერესებული ადამიანის ცხოვრება იდიოტურია.

გიორგი კილაძე: იქნებ დააზუსტოთ, მაინც რა აზრი აქვს ამ დაყოფას?

ლევან ტატიშვილი: ამ დაყოფას ის აზრი აქვს, რომ რიტორიკაც და პოეზიაც, განსაკუთრებით კი ეპიკური, კლასიკურ ტრადიციაში მხოლოდ ამგვარი, საჯარო სფეროს არსებობის პირობებშია შესაძლებელი. მართლაც, კერძო ადამიანის ანუ იდიოტის განცდები, მისწრაფებები და ჭმუნვა არავის არ აინტერესებს და კაცმა რომ თქვას, რომც აინტერესებდეს კიდეც ვინმეს, ამისთვის ლექსების თხზვა, რომანების წერა და პიესების გათამაშება სრულიად უსაზრისოა: ეს ჭმუნვები და განცდები ხომ სინამდვილეშიც და ყოველდღიურ ყოფაშიც მრავლადაა, ლამის ყოველ ნაბიჯზე და თანაც, მთელი თავისი ნამდვილობის «უზადობით,» სცენისგან განსხვავებით, სადაც თამაშდება ვიღაც ბოგანოს მხოლოდ რაღაც უზადრუკი სუროგატი. რიტორიკაც ასევეა: იგი პრინციპულად მხოლოდ საჯარო სფეროსთვისაა, რათა ააღელვოს, მომართოს და აღზარდოს საგმირო საქმეებისთვის და არა როგორც დღეს ბევრს ჰგონია, თითქოს ღ-ის არქაული ვერსია იყოს, რომლის შემწეობითაც რომელიმე კანდიდატი პარლამენტისკენ ბილიკს დამშეული და ხარბი ბრბოს გაცურებით იკვალავს. ბრბოს გასაცურებლად დიდი დახელოვნება სულაც არ არის საჭირო: ბრბოს თითოეულ წევრს ხომ არაფერი აინტერესებს დედამიწის ზურგზე გარდა იმისა, რომ რაც შეიძლება მეტი სარჩო მიიტანოს შინ, ნაშიერები გამოკვებოს და საღამოს ტელევიზორთან მუცელი მუხლებზე დაასვენოს. ტელევიზორთან მუხლებზე მუცელდასვენებული ამომრჩევლის მოსყიდვა ძალიან იოლია, ისედაც გაღორებული მადის კიდეც უფრო გახარბებით სრულიად აბსურდული და უაზრო დაპირებებით.

რიტორიკას და საგმირო საქმეს არაფერი საერთო არ აქვს არც დასაქმებასთან, არც სარჩოსთან, მოკლედ მუხლებზე მუცელდასვენებულ ობივატელთან. პირიქით, მისგან და მისი ტელევიზორისგან წარმოუდგენლად შორს დგანან, და სწორედ ეს ორი რამ გამოარჩევს ეპიკურ გმირს მუხლებზე

მუცელდასვენებული ობივატელისგან. აი,= «ილიადას» მეცხრე ქებაში, როცა აქილევსს ელჩობა ეწვევა შემოსარიგებლად, აქილევსის აღმზრდელი ფოენიქსი ასეთ რამეს ეუბნება თავის სახელოვან აღზრდილს:

მწვრთნელად გამოგყევ, რომ საბჭოზე გებრწყინა მუდამ
მჭევრმეტყველებით, მოქმედებით — ყოველ საქმეში.

ციტირებული ნაწყვეტიდან საინტერესოა მეორე სტრიქონი. ბერძნულად ეს სტრიქონი ასე გამოიყურება:

μῆτιν τε ἦτρ μῆναι προκτρά τε ρῶν

სიტყვა-სიტყვით რომ გადმოვაქართულოთ, ეს სტრიქონი ნიშნავს:

[[რომ შენ იყო] სიტყვების/ამებრ რიტორი [მჭევრი] და [დიად] საქმეთა ჩამდენი]

საინტერესოა, რომ ეს სტრიქონი პროსოდიულად შუაზე იყოფა და ერთი ნახევარი რიტორობას, მეორე კი გმირობას ეთმობა, ანუ ფოენიქსს თავის ყველაზე დიდ ღვაწლად მიაჩნია ის, რომ აქილევსს სიტყვა და საქმე შეასწავლა. სიტყვა და საქმე ერთმანეთის გარეშე არაფერია და ეპიკური გმირისთვის ორივე ინტეგრალურია, ანუ რიტორობა გმირობის გარეშე არაფერია ისევე, როგორც გმირობა რიტორობის გარეშე მხოლოდ გონებაჩლუნგი ჯარისკაცის ხვედრია. ეპიკური გმირი სწორედ ისაა, ვისაც საქმე საგმირო და სიტყვა ერთად შესწევს. სხვათა შორის იქვე, მეცხრე ქებაშივე ცოტა ადრე, აქილევსის სიტყვებითვე, როცა იგი არჩევანის წინაშე დადგა ან — მშვიდად ეცხოვრა სიბერემდე მამულში იდიოტური ცხოვრებით ან ტროაში სიცოცხლე დაეთმო უკვდავი სახელისთვის, მან ეს

უკანასკნელი არჩია; ხოლო უკვდავი სახელი კი სხვა არაფერია, თუ არა აქილევსის ის საგმირო საქმენი, რომელთაც პოეტები მარად და მარად იმღერებდნენ ეპოსში. ანუ, ეპოსიც პოეზიის, ანუ საგმირო ამბისა და საგმირო საქმის ქორწინებაა.

გიორგი კილაძე: ჩვენ დროში რაღა ხდება?

ლევან ტატიშვილი: ჩვენს დროში კი, როცა აღარც საგმირო საქმეებია მოდაში და საჯარო სფეროც კერძო და მერკანტილურმა ინტერესებმა ჩაანაცვლეს, არა მარტო ეპოსი და პოეზია საკუთრივი გაგებით მოკვდა, არამედ რიტორიკაც ღ-ის უღიმღამო აჩრდილმა განდევნა. ამას კი ისევ ეპიკური სიკვდილი აჯობებდა. უცნაურია, მაგრამ დღეს ქართველი ინტელექტუალებიც კი სრული სერიოზულობით და ღრმად ჩაფიქრებული გამომეტყველებით გვარწმუნებენ, რომ თითქოს ადამიანის სიცოცხლეზე მაღალი ღირებულება არაფერი იყოს. ვინმე ამერიკელი ან ევროპელი მემარცხენე ყაიდის ინტელექტუალი რომ ფიქრობდეს ასე უბადრუკად, სულაც არ გავიკვირვებდი. მაგრამ ამ სრულიად ბანალურ და ბრტყელ „მაქსიმას“, — რომელიც მხოლოდ დამფრთხალ „ფართუკიან“ დიასახლისს თუ აღაფრთოვანებს, ამას უკლებლივ ყველაფრის რომ ეშინია, — ქართველი ინტელექტუალი, მორალურ-კატეგორიულ იმპერატივად აყალიბებს, ნამდვილად ვერაფერი ვერ გამიგია. დავიჯერო, სავალდებულო სასკოლო კურსიდან «ვეფხისტყაოსნის» ორიოდე სტრიქონიც დაავიწყდათ სულ რაღაც თხუთმეტოდე წელიწადში:

«სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!»

ან

«მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად»

ადარაფერს ვამბობ «სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა...»

მე მაინც არ მინდა, ცუდად ვიფიქრო ქართველ ინტელექტუალებზე. ადამიანი კი მიდრეკილიაო შეცდომისკენო. ალბათ ღ-ს განუზომლად ძლიერი საშუალებები აქვს ადამიანზე მანიპულირებისა და შეცდენისთვის, მით უმეტეს, რომ ადამიანი თავადაც, ძალდატანების გარეშეც ხშირად ცდება. რიტორიკა და რუსთაველი კი სრულიად უძლურია ამ ყოვლისშემძლე საშუალებების წინაშე, თვით ინტელექტუალების შემთხვევაშიც კი, რომ ადარაფერი ვთქვათ უბრალო მოკვდავებზე. მოდური სახელწოდებებით და „სათაყვანო“ და «საკრალური» ფორმულებით გაბრუებაც და ტერორიზებაც ხომ ძალიან იოლია და ამას არც რიტორიკა და არც რუსთაველი არ სჭირდება. ერთიც და მეორეც სრულიად უძლურია ისეთი მაგიური სიტყვების წინაშე, როგორცაა «დემოკრატია», «ადამიანის უფლებები», «დასავლური ღირებულებები», «ცივილური», «ლიბერალური», «ევროპული», «ამერიკული» და მისთანა ჯადოსნური შელოცვები, და როგორც კი რაიმე ან ვინმე ამ ბუნდოვანი შინაარსის, თუმცა ყოვლისშემძლე შელოცვებს სრულ მორჩილებას არ უცხადებს, უმაღლეს ეშმაკულ და კანიბალურ ამბოხად და შეთქმულებად შეირაცხება (ვშიშობ, რომ მეც კანიბალიზმი არ დამბრალდეს).

საბოლოოდ შევაჯამებდი: დღევანდელი რიტორიკაზე არათუ რაიმე წარმოდგენა, არამედ არავითარი წარმოდგენა არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს, და დღეს «თანამედროვედ» წოდებულ პოეტს არა რიტორიკა, არამედ უფრო ფსიქოანალიზი სჭირდება თავისი ჭმუნვების ვითომ, პოეტურ «აღსარებაში» გასაცხადებლად, რათა უბადრუკი არსებობის წიაღში

შობილი კაემანი ოდნავ მაინც შეიმსუბუქოს. მოკლედ, როგორც ვატყობ, პოეზია დღეს ერთგვარ თერაპიაში, ხოლო რიტორიკა ღ-ში ერევათ.

ჩემი აზრით, თანამედროვე პოეტებმა არც უნდა ისწავლონ და არც არაფერი ესაქმებათ კლასიკურ რიტორიკასთან, და თუ მაინც გაბედავენ და ისწავლიან, გაითავისებენ და გამოიყენებენ და თანაც მუზეუმის ჩურჩულსაც მიაყურადებენ, მაშინ თანამედროვე პოეტებად კი არა, არამედ უბრალოდ, პოეტებად დაიბადებიან ხელახლა.

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, უბრალოდ პოეტად დაბადებულ, თანამედროვე პოეტს (პოეტებს) თუ იცნობთ?.

ლევან ტატიშვილი: რომც ვიცნობდე ვინმე ნამდვილ პოეტს, არ გავახმაურებდი და დიდი სურვილიც რომ მქონოდა, ერთი ნამდვილი პოეტი მაინც აღმომეჩინა ჩვენს დროში და მთელი ქვეყნის გასაგონად მეყვირა, არა მგონია, ამის საფუძველი მოეცა დღევანდელიობას. თანაც, მე ხომ არც განათლებით, არც მოწოდებით და პროფესიითაც კი არა ვარ ფილოლოგი. მხოლოდ თავს ვდებ კლასიკურ ფილოლოგობაზე და ისიც მხოლოდ როგორც თვითნასწავლი. მოკლედ, ეს ჩემი სფერო არ არის, როგორც მოგახსენეთ, წარმოდგენაც კი არა მაქვს დღეს «პოეტი» ან «პოეზია» ობიექტურად რას ან ვის ნიშნავს და მხოლოდ იმას გიყვებით, თუ რა მგონია, რა არის თანამედროვე პოეზია და ვინ არის პოეტი, ვუშვებ, რომ მხოლოდ ჩემი მცდარი წარმოდგენა იყო და მეტი არაფერი, რადგან კლასიკური რიტორიკისგან განსხვავებით, როგორც მოგახსენეთ, თანამედროვე პოეზია და პოეტები, არც ჩემი უშუალოდ შესწავლის საგანია და არც ინტერესის და კვლავ, მხოლოდ მგონია, რომ ის საცოდაობა, «პოეზია» რომ ქვია რატომღაც, დღევანდელი ინტელექტუალების კეკლუცობაა სარკეში და სხვა არაფერი. მე არც ინტელექტუალად მივიჩნევ თავს და

მით უმეტეს, როგორც ატყობთ, სარკვე არ უნდა მიყვარდეს მაინცდამაინც, თუ ზედმეტმა წონამ ძალიან არ შემაწუხა.

ჩემი, როგორც გარეშეს და უცხოს, ანუ არაპოეტის და არაინტელექტუალის დაკვირვებით, დღევანდელი, ეგრეთ წოდებული «პოეზია» წააგავს კეკლუცობას უჩვეულოთი და სიახლით, ანუ ეგზოტიკით და გინესების რეკორდებით. ცხადია, პოლიტიკურად აქტუალურ თემაზე შეთხზულ ქმნილებებს, მაგალითად, თეთრი მამაკაცის სექსისზმის და მაჩიზმის გამაქილიკებელ, ან ქალის, როგორც ბიოლოგიური არსების არაბიოლოგიურ ლამის ღვთაებრივ აღმატებულობაზე, ან ყველა ჯურის რასისტის დამგმობ ოპუსებზე აღარაფერს მოგახსენებთ, რადგან ამ ბოდვებზე ირონიულადაც კი საუბარი შეუძლებელია უზომო იუმორის გრძნობის შემთხვევაშიც კი. რამდენიმე ინგლისურენოვან პოეტურ საიტზე ვიყავი გაწევრიანებული და ოცამდე ლექსიც გამომიქვეყნეს ამერიკაში სხვადასხვა კრებულში და საკმაოდ კარგად ვიცნობ ამგვარ პოლიტიკურად და ცივილურად პროგრესულ პოეზიას, რომელიც უნიჭობით არაფრით არ ჩამოუვარდება თუ არ აღემატება უძრაობის ოქროს ხანაში მცირე მიწისადმი მიძღვნილ ციკლს. თუმცა ვერ ვიტყვოდი, რომ ეგზოტიკით ან «გინესების რეკორდებით» აღფრთოვანება მაინცდამაინც შორს დგას, ყოველ შემთხვევაში მხატვრული ღირებულებებით. მაგალითად, თეთრ ვაჟთა მგმობელ ან ერთსქესიანი გამიჯნურების სახოტბო ქმნილებებისგან.

ამიტომ აღფრთოვანებას ნამდვილად ვერ იწვევს ჩემში თანამედროვე «ეგზოტიკა» და ელიტური მოდა და ამიტომ ვერც ვერაფერს ვერ მოგახსენებთ, როგორც ხედავთ, სისულელეების გარდა. დღევანდელ ინტელექტუალად რომ შედგე, თავისებური ნიჭიც კი უნდა დაგანათლოს ზეცამ; მხოლოდ მონდომება არ კმარა. განა ადვილია, პოეზია გააიგივო ეგზოტიკასთან ან, გნებავთ, ნოვატორობასთან, გეგონებათ, «ეგზოტიკა», ან «გინესის რეკორდების წიგნი» და

«პოეზია» სინონიმები იყვნენ. მე მიჩვეული ვარ არა მხოლოდ დანაწევრებულ მეტყველებას, არამედ დანაწევრებულად ფიქრსაც და შეძლებისდაგვარად ვცდილობ გავმიჯნო და გავარჩიო ერთმანეთისგან, პოეზია, გინესის რეკორდების წიგნი, ან ეგზოტიკა და არ ავურიო ერთმანეთში. იცით, ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსებს მკაფიო წარმოდგენა გააჩნდათ მონაზე. მონისთვის ბევრი რამ არის ნიშნული, რაც თავისუფალს არ ახასიათებს პრინციპულად. მაგალითად, მონა ყველაფერში ეძებს გამორჩენას, აგრეთვე, თავისუფალისგან განსხვავებით, როგორც სენეკამ თქვა, ვერ ელევა სიცოცხლეს³ (ამას «ფილოფსიქია» ეწოდებოდა, რაც სიცოცხლის ზედმეტად მოყვარეობას, მასზე მიბმულობას, სიცოცხლეზე სიმხდალით გამოწვეულ მზრუნველობას ნიშნავდა), და არის კიდევ ერთი არსებითი თვისება, რითაც მონა განირჩევა თავისუფალისგან, სახელდობრ, მას არ აქვს გარჩევის უნარი, ანუ ერევა ერთმანეთში სხვადასხვა, ობიექტურად და ფუნდამენტურად ერთმანეთისგან განსხვავებული რამეები და, შესაბამისად, უჭირს ერთმანეთისგან გარჩევა. აი მეც არ მსურს ერთმანეთში ამერიოს „სიახლეები«, «გინესის რეკორდების წიგნი«, «ეგზოტიკა» და «პოეზია» მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მოდური კვლევებაა და ვამჯობინებ ისევ ვერგილიუსის «აენეიდოს» მეოთხე წიგნის დაზეპირებას მოვახმარო ძალისხმევა და ვერგილიუსთან ერთად თუნდაც სისულელე გავიზიარო, ვიდრე დღევანდელ მოკვლევებ ინტელექტუალებთან ერთად სიბრძნის მწვერვალებს ვეზიარო.

გიორგი კილაძე: და მაინც, შეუძლებელია თანამედროვე ერთ ქართველ პოეტს არ იცნობდეთ...

³ *vita, si moriendi virtus adest, servitus est* [— ცხოვრებას კვდომის სიქველე აკლია, მონობაა].

ლევან ტატიშვილი: აკი მოგახსენეთ, რომ მაინცდამაინც არ ვიწუხებ-თქო თავს თანამედროვე ქართული პოეზიით. თუმცა, ფავორიტები მეც მყავს, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი პირადი პრეფერენციაა და მეტი არაფერი. მაგალითად, ძალიან ვხალისობ გიორგი კეკელიძის შემოქმედებით, განსაკუთრებით მეტონიმიური სიმდიდრით და მსუბუქი ირონიით. აი ახლაც მახსოვს ზეპირად მისი ერთი-ერთი ლექსი:

ფერადმა მინდვრებმა გამიტყუეს
და მომდგარი ცრემლი ჩავიბრუნე
თვალს დავალევინე წყალი.

თუმცა, აქაც მგონია, უფრო გონებამახვილობით ვხალისობ, ვიდრე საკუთრივ პოეზიით. ყოველ შემთხვევაში «პოეზიით» იმ გაგებით, როგორც ძველებს ესმოდათ.

მაგრამ კვლავ გავიმეორებ: თანამედროვე, ან გნებავთ, ქართული პოეზია ჩემი სფერო არ არის, მაინცდამაინც არც მაინტერესებს და ბევრი არც არაფერი გამეგება. პირიქით, მე უფრო სხვას მოვუსმენდი იმაზე, რაც არ გამეგება, ვიდრე თავად ვისაუბრებდი. ეგება და რამე ისეთი გამეგო, რაც ვერ გამიგია. ჩემი მკვახე შთაბეჭდილება კი საზოგადოდ თანამედროვე პოეზიაზე უკვე მოგახსენეთ, რაც სხვათა შორის, არის კიდევ იმის მიზეზი, რომ აღფრთოვანებული არა ვარ თანამედროვე პოეტებით.

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, დამეთანხმებით ვერგილიუსს, ჰორაციუსს, ოვიდიუსს და ა.შ. ბევრი ვერ წაიკითხავს. მოდით, თარგმანებზე გვესაუბრეთ — როგორ თარგმნიდნენ (ხარისხს ვგულისხმობ), როგორ თარგმნიან და რას ელოდებით ამ მხრივ მომავალში.

ლევან ტატიშვილი: კლასიკური ენებიდან თარგმნას, გარკვეული თვალსაზრისით, დიდ მნიშვნელობას სულაც არ

მივანიჭებდი. უფრო ზუსტად, ამგვარ მთარგმნელობას შევაფასებდი, როგორც «უმეცრების სენის» მეტ-ნაკლებად წარმატებულ მკურნალობად, თუ უფრო ზუსტად — მხოლოდ მზრუნველობად. «მკურნალობის» ერთადერთ ქმედით საშუალებად კი მხოლოდ კლასიკური ენების კარგად შესწავლას მივიჩნევდი და ორიგინალის უშუალოდ გაცნობას. ცხადია, თარგმანებით მეც ვსარგებლობ, რადგან მეც «დასნეულებული» რაკი ლიბერალურ-ეგალიტარულ-დემოკრატიულ რეფორმებამდელ კლასიკურ გიმნაზიაში არ მისწავლია და მხოლოდ ჩემით ნასწავლი ლათინური და ბერძნული სულაც არ მამღლევს არც უფლებას და არც საშუალებას, რომ თავი დიდ ლათინისტად ან გრეცისტად გამოვაცხადო და ლიბრო აპერტო ვიკითხო — ძველი ავტორები, მეც, როგორც ილიტიტერატუს, თარგმანები მჭირდება, როგორც «თვითმკურნალობის» შემავსებელი «მზრუნველობა». ცხადია, საუკუნე ნახევრით ადრე რომ დავბადებულიყავი, კლასიკურ გიმნაზიაში მესწავლა და არ მეზარმაცა, არც მკურნალობა ლათინურის და ბერძნულის თვითსწავლით და არც მზრუნველობა თარგმანების სახით არ დამჭირდებოდა.

ეს ერთი მხარეა, მაგრამ სრულიად გაუგებარია ჩემთვის თარგმანებისთვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მინიჭება. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თარგმანი გაცილებით უფრო ფასობს, ვიდრე თავად დედანი, თანაც არგუმენტი «გენიალური»: აღფრთოვანებულნი გვარწმუნებენ, აქაო და ფართო მკითხველი გაეცნობაო ამა და ამ ნაწარმოებსო და ამასო რა სჯობსო?! ხოლო ფართო მკითხველმა რომ არათუ არ იცის, არამედ რომ არც უნდა იცოდეს არც ლათინური და არც ბერძნული, თავისთავად იგულისხმება. მართლაც, მკვდარ ენებზე დროსა და ენერგიას რატომ უნდა ხარჯავდნენ ფართო მასები, როცა გაცილებით ნაკლებ დროში კომპიუტერისა და ინგლისურის სწავლაა შესაძლებელი, ხოლო სიბრძნე და უცდომელობა

ლათინურისა და ბერძნულის გარეშე უხვად დაანათლა ხალხს

ზეცამ, განსაკუთრებით კი ინგლისურის, კომპიუტერისა და ტელევიზორიდან ცივილური თუ ადამიანის უფლებებით «განათების» შემდეგ. ამიტომ მაღლობელიც კი უნდა ვიყოთ და აღფრთოვანდეთ კიდეც, თუ ეს დასაქმებული ფართო მასები დროს გამოჩნავენ, კეთილ ნებას გამოიჩენენ, პინდარეს ორიოდ ოდას დიდ პატივს დასდებენ და წაიკითხავენ თარგმანში ძილის წინ, რომელნიც, ცხადია, ჩაძინებამდევე დაავიწყდებათ. ამიტომ ამ ფართო მასებს და დემოკრატias რომ არ ვაგრძნობინოთ, რომ არაფერი ესაქმებათ ჰომეროსთან და ვერგილიუსთან და მათი ადგილი დილით ოფისში, ხოლო საღამოთი კი ტელევიზორის წინ სავარძელშია, ან ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში — პაბლო ნერუდასთან, ამიტომ ვმლიქვნელობთ, ქვევძრომობთ და ფეხქვეშ ვეგებით ბრბოსა და დემოკრატias და სრულიად უაზრო ხარკსაც კი ვუხდით თარგმანებით. მე კი მგონია, უფრო სწორიც და სამართლიანიც იქნებოდა, თუ თარგმნის ენერგიასა და ხარჯებს მოვახმარდით კლასიკური განათლების აღორძინებასა და კლასიკურ გიმნაზიებს და ფართო მასებს თავს დავანებებდით და დავაყენებდით თავიანთ ოფისებსა და სავარძლებში. არც იმაზე მეტი უნდა მოვთხოვოთ ფართო მასებს, რაც მათი ბუნების თანაზომვადია, და არც უფრო „ნათელ შუქში» უნდა წარმოვიდგინოთ, თორემ ერთი მხრივ ორივე სასაცილო მდგომარეობაში ჩავცვივდებით და ორივე მხოლოდ შეურაცხყოფას დავიმსახურებთ.

მაგრამ მთლად ისეც არ უნდა გავიგოთ, რომ თარგმანი საერთოდ არ არის საჭირო და სრულიად უსარგებლო ან უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ დროის უკუღმართობით, უმეცრებით დასწეულულებზე მზრუნველობის საშუალებაა. არა, თარგმანსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ფართო მასები წაიკითხავენ. საქმე

ისაა, რომ თარგმანი ყველაზე მეტს თავად მთარგმნელს აძლევს და თარგმანი განუზომლად ბევრის მომცემია უამრავი თვალსაზრისით, როგორც ენის დახვეწის, ისე ტექსტის კრიტიკულად წაკითხვისა და სიღრმისეულად გაგების თვალსაზრისითაც. ამიტომ მეც სულ ვთარგმნი რაღაცას.

აგრეთვე იმის გათვალისწინებითაც, რომ დღეს კლასიკური განათლება მკვდარია, თარგმანსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩემნაირი პოეზიის მოყვარული illiterati-სთვისაც.

მაგრამ თარგმანები განუზომლად დიდ სარგებელს მოუტანდა და გაამდიდრებდა თავად ქართულ პოეზიას, კლასიკური განათლება მკვდარი რომ არ იყოს. კლასიკური განათლების, სიძველეებისა და კლასიკური კონტექსტის ცოდნის გარეშე ეს თარგმანებიც ისევე მკვდარია, როგორც კლასიკური ენები და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქართული ან თანამედროვე პოეზიისთვის. საქმე ისაა, რომ არასწორად მიაჩნიათ, რომ თითქოს ამა თუ იმ ენის თავისთავადი ენობრივი შესაძლებლობები საკმარისია ყველაფრის გამოსახატავად ამ შესაძლებლობის ფარგლებში. არა, მხოლოდ აბსტრაქტული და თეორიული შესაძლებლობა არაფერს არ ნიშნავს. ამ აბსტრაქტულ შესაძლებლობაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ენობრივი გამოცდილება და ტრადიცია (სწორედ ენობრივი გამოცდილებისა და ტრადიციის გათვალისწინებითაა ლათინური და ბერძნული სიტყვიერება შეუდარებელი და ერთადერთი პარაგონი). უფრო გასაგები რომ გახდეს, რაზე ვსაუბრობ, მოვიყვან მაგალითს. მოვიყვანოთ ერთი სტრიქონი ვერგილიუსის «აენეიდოს»- დან:

Umentemque aurora polo dimuverat umbram.

ენობრივი თვალსაზრისით ძნელი არ არის ქართულად, სიტყვასიტყვით ვთარგმნოთ ეს სტრიქონი:

«ნესტიც ავრორამ მოაცილა ზეცას და ჩრდილიც».

მაგრამ ვერბატიმ თარგმანი გამოვიდა სრული ბოდვა.

ახლა ჩავატაროთ მცირე ექსპერიმენტი: შევცვალოთ სტრიქონი ისე, რომ აზრი ზუსტად იგივე დარჩეს, მაგრამ გახდეს უფრო გასაგები. ერთ-ერთი ვარიანტი იქნებოდა:

«განთიადის ქალღმერთმა ნესტისგან და ჩრდილისგან გაანთავისუფლა ცა».

ეს ვარიანტი წინას სჯობს, მაგრამ მაინც ბოდვაა. მოდით, კვლავ «გადმოვაქართულოთ»:

«განთიადმა გაფანტა ნესტი და სიბნელე და გამოჩნდა ცა».

ამას უკვე არა უშავს რა. მაგრამ მოდით, კიდევ უფრო გასაგებად გადავაკეთოთ, ოღონდ ისე, რომ აზრი არ შეიცვალოს:

«განთიადმა გაფანტა ნესტი და სიბნელე და გაანათა ცა».

ან კიდევ უფრო ზუსტად:

«განთიადმა გაანათა ცა, ნესტიც აორთქლდა და სიბნელეც გაქრა».

ეს უკვე გასაგებია და ქართული პოეზიის სრულიად ორგანული მეტაფორაა. თუ ქართველი მკითველისთვის გვსურს თარგმნა, ალბათ, გაცილებით ამჯობინებს ბოლო

ვარიანტი ვთარგმნოთ ეს სტრიქონი, ვიდრე ვერბატიმ, ანუ:

«განთიადმა გაანათა ცა, ნესტიც აორთქლდა და სიბნელეც გაქრა»,

ვიდრე

«ნესტიც ავრორამ მოაცილა ზეცას და ჩრდილიც».

მაგრამ საქმე ისაა, რომ უფრო მისაღები ვარიანტი ვერანაირად ვერ ამდიდრებს და ვერ ზრდის ქართული პოეტური ენის სფეროს და ფარგლებს, ხოლო ვერბატიმ თარგმანი სრულიად გაუგებარია და არაშესატყვისია ქართული პოეტური ენობრივი გამოცდილებისთვის (თუმცა სრულიად „თანაზომვადია« ენობრივი შესაძლებლობებისადმი). იმისთვის, რომ ამ ვარიანტმა გაამდიდროს ენობრივი სფერო და გაზარდოს მისი საზღვრები, არც ქართულის კარგი ცოდნა, არც ქართული პოეტური ენობრივი გამოცდილება და არც თავად განყენებული ენობრივი შესაძლებლობებია საკმარისი. საჭიროა ლათინურის ცოდნაც და ლათინურ პოეზიასა და რიტორიკაში გამოცდილებაც.

ამ კონკრეტულ მაგალითს თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ დედანში «გათენება» ყველა თანმდევი მოვლენით გამოხატულია საკმაოდ გართულებული მეტონიმიით, ანუ პოეტი პირდაპირ კი არ ამბობს — «გათენდა, ნესტი აორთქლდა, სინათლემ გაფანტა წყვდიადი და გამოჩნდა გაკაშკაშებული ცა» — არამედ მომიჯნავე, თანხმლები მოვლენით მიუთითებს ამ ყველაფერზე, სახელდობრ, განთიადმა (დილის ქალღმერთმა) ცას ნესტი და ჩრდილი რომ მოაცილა, იგულისხმება, რომ გამოჩნდა ნათელი ცა და დათბა თუ გაშრა ჰაერი და მიწა. ეს რიტორიკული ტროპი — მეტონიმია (როცა თანხმლები ან

შემთხვევითი მოვლენით გამოიხატება ძირითადი მოვლენა ისე, რომ ამ ძირითად მოვლენას არ ვახსენებთ: ჰაერის გათბობას, გაშრობას, ცის განათებას არ ვახსენებთ და ამას გამოვხატავთ მხოლოდ ინფერენტულად — ცის თალიდან ჩრდილის და ნესტის მოცილებით) და სანამ ეს რთული მეტონიმია რთულ მეტონიმად რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ენამ მშვენივრად გადმოიტანა ქართულად, სრული ბოდვა და სრულიად გაუგებრად მოგვესმა. მაგრამ ეს რთული მეტონიმია თანდათან გასაგები და მისაღები ხდებოდა, რაც უფრო ვამარტივებდით, სანამ ბოლოს «გარდავსახეთ» მხოლოდ მხატვრულ აღწერად, ანუ ჯერ რთული მეტონიმია თანდათან გავამარტივეთ და ბოლოს, როგორც ამას რიტორიკაში ეწოდება, ცირცუმიტიო ანუ «პერიფრაზად» ვაქციეთ, ე.ი. როცა მარტივი აზრი — «ცა განათდა, ჰაერი გათბა და გაშრა» — გამოვხატეთ აღწერილობითი სახით — «ნესტი აორთქლდა და სიბნელე გაიფანტა». ეს ტრანსფორმირებული ვარიანტი მეტონიმიიდან პერიფრაზამდე გაცილებით უფრო გასაგებიც და პოეტური ენისთვის მისადაგებელიც აღმოჩნდა.

საქმე ისაა, რომ როგორც აღმოვაჩინე (რამდენიმე ქართველ ფილოლოგსაც დავეკითხე და დამიდასტურეს), ქართული პოეზია მდიდარია მეტაფორებით, მაგრამ საკმაოდ ღარიბია მეტონიმიებით. მიუხედავად იმისა, რომ ენას განყენებულად თავისუფლად შეუძლია მეტონიმიის გადმოთარგმნა, ენობრივი გამოცდილების მეტონიმიური სიმწირე არ იძლევა რთული მეტონიმიის გადმოტანის საშუალებას და გვიხდება არა იმდენად ენობრივად გადმოთარგმნა, რამდენადაც ენობრივად გამოცდილ და შეთვისებულ სტრუქტურაზე, შაბლონზე დაყვანა. ამიტომ მთავარი არა ენის განყენებული წმინდა ენობრივი შესაძლებლობებია, არამედ ენობრივი გამოცდილება. მხოლოდ ენობრივი გამოცდილება სძენს ძალასაც და საზრისსაც ენის განყენებულ წმინდა ენობრივ

შესაძლებლობებს, რომლებიც ცალკე აღებული, ყოველგვარ კონკრეტულ მნიშვნელობას მოკლებულ მათემატიკურ გამოსახულებებს წააგავს. ამიტომ როცა არ არსებობს ის ენობრივი გამოცდილება ერთ ენაში, რომელიც არსებობს სხვა ენაში, გამოსავალი ორია: პირველი გზა ტრივიალური და შედარებით მარტივია, — დავიყვანოთ სათარგმნის ენის გამოცდილება თარგმანის ენის გამოცდილებაზე. როგორც ვთქვით, ეს თარგმანის ენას არც ამდიდრებს და საერთოდ არც არაფერს სძენს. მაგრამ არსებობს მეორე გზაც: სათარგმნის ენის გამოცდილება გადმოვიტანოთ უცვლელად თარგმანის ენაზე, სწორედაც რომ თარგმანის ენის გამდიდრების მიზნით. მაგრამ ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მკითხველთა ნაწილმა მაინც იცის და ნაზიარებია სათარგმნის ენის გამოცდილებას.

შესაბამისად, რადგან დღეს ლათინური ენა ინტელექტუალმაც არ იცის, არავითარი აზრი არა აქვს ენობრივი გამოცდილების გასამდიდრებლად თარგმნას, რადგან იმისთვის, რომ ლათინური ენის გამოცდილება დამკვიდრდეს ქართული პოეზიის ენობრივ სივრცეში, მკითხველთა ნაწილისთვის მაინც უნდა იყოს ნაცნობი და ახლობელიც კი ქართულისთვის უცხო ენობრივი გამოცდილება.

გიორგი კილაძე — თეა თოფურია

გიორგი კილაძე: თეა, «პიტნის კალოს» შემდეგ ამბებზე მომიყევი...

თეა თოფურია: „პიტნის კალოს» შემდეგ კიდევ რამდენიმე მოთხრობა დავწერე და სამი ზღაპარი. ახლა ვფიქრობ, ეს ზღაპრები წიგნად გამოვუშვა. ძალიან ბევრი ლექსი დამიგროვდა, როდესმე მათაც ცალკე წიგნად დავბეჭდავ. ჯერ იყოს.

გიორგი კილაძე: 2008 წელს «ებლიტფოსთან» ინტერვიუში თქვი: «მე, სამწუხაროდ, მოთხრობებსაც ლექსების ტემპში ვწერ. ხშირად ხდება, როცა სიუჟეტი მოფიქრებულია, ვიცი რაც უნდა დავწერო, დავიწყებ და სანამ ბოლომდე ჩავალ, განწყობა გადადის, ახლა სხვა რაღაცის წერის ხასიათზე მოვდივარ. ასეთი დაწყებულ-დაუმთავრებელი მოთხრობა უამრავი მაქვს კომპიუტერში. პროზას მაინც უფრო მყარი ხასიათი სჭირდება» — შეიცვალა თეა თოფურია?... რომელი მოთხრობები «გამოიტანა კომპიუტერიდან»? შენთვის კიდევ ბევრი დაიტოვე?

თეა თოფურია: დიდად არ შეცვლილა. ერთი-ორი მოთხრობა მართლა დავასრულე, სამაგიეროდ რამდენიმე ახალი დავიწყე და ახლა ისინი დაემატა კომპიუტერს. ჯერჯერობით, მე თვითონაც ვერ ვიგებ, როგორ და რა სტილში უნდა ვწერო, რა უნდა ვწერო. წერე რაც გეწერება, ეს ალბათ დილექტანტების მიდგომაა და უფრო სერიოზულ მწერლობაში ნაკლებად გამოდგება. რასაკვირველია, უნდა გეწერებოდეს კიდეც, მაგრამ ეს საკმარისი არაა. მწერალი გარკვეულწილად ექიმს ჰგავს, პირველი პრინციპია — შენი

საქმით არავის არაფერი დაუშავო და ამის შემდეგ თუ ნიჭი და ნებისყოფა გეყოფა, შეიძლება მკურნალობაც შეძლო.

გიორგი კილაძე: ორ «უჩვეულო» კითხვას დაგისვამთ — რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობთ და კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით (რალა თქმა უნდა, ლიტერატურულ კითხვებს ვგულისხმობ).

თეა თოფურია: ხშირად ხდება, რალაც იდეა, რალაც თემა მაქვს და იმაზე ვფიქრობ, ეს ახლა ლექსად დავწერო თუ პროზად, ან რომელ ჟანრში... ეს პარქტიკული კითხვაა და თითქმის ყოველთვის მეზადება.

ზუსტად ვიცი, ის, რომ ნაწერს ყველაზე ადვილად ბოღმა და სენტიმენტალიზმი აფუჭებს. თუმცა, ამისგან დაზღვეული არავინაა, არც მე. ისიც ზუსტად ვიცი, რომ ნიჭი სიყვარულივითაა, მოფრთხილება სჭირდება, უფრთხილდები კი იმით, რომ თავად ხარ კარგი ადამიანი, ყოველ შემთხვევაში, ცდილობ, რალაც ფასეულობები შეინარჩუნო. თუ როგორც პიროვნება მოკვდი, ერთხელაც დაგიდგება დღე, როცა ველარაფერს დაწერ. ისიც კი გაგიკვირდება, ადრე როგორ წერდი, ან უბრალოდ იტყვი, რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო და ასეც მარტივად იცხოვრებ. ეს ადამიანის არჩევანია.

გიორგი კილაძე: როგორია ლიტერატურული სამყარო, რომელშიც პოეტი, მეზღაპრე, პროზაიკოსი თეა თოფურია ცხოვრობს, თუ არსებობს სამყარო რომელიც მარტო შენია, და სხვა არავისი, და თუ არსებობს, როგორია ამ სამყაროსეული თეა თოფურია.

თეა თოფურია: სამყარო თუნდაც ეს, რომელშიც მეც ვარ და სხვებიც, რალაც დოზით ყოველთვის არარეალურია. ყოველთვის არის რალაც სივრცე, რომელიც ამ ყველაფრის მიღმა იწყება. პროზაში სულ ვცდილობ, დავწერო ისე, რომ

მკითხველს რაღაც სხვა რეალობის განწყობა შეექმნას. ხან გამოდის, ხან — არა, ხან — მეტნაკლებად.

გიორგი კილაძე: საკუთარ პოეზიაზე რას იტყვი? განიცდი თუ არა ვინმეს გავლენას.. რამდენად საშიშია სხვისი გავლენა პოეტისათვის? ვის ლექსებს კითხულობს ყველაზე ხშირად თეა თოფურია... რას აკეთებს თეა, როცა საყვარელი პოეტის ახალი ლექსი «იგვიანებს»?

თეა თოფურია: დღეს უკვე ყველა ერთმანეთის გავლენას განიცდის. განსაკუთრებულად თვითმყოფადი ლექსები არც იწერება. უბრალოდ, ზოგი ახერხებს ლექსის წერას, ზოგი — ვერა. ეს ტენდენცია ლიტერატურულმა საიტებმა და ინტერნეტ-ფორუმებმა მოიტანა. ყველაფერი ვიწრო სივრცეშია თავმოყრილი, დაწერ, დადებ და მას უკვე ათასობით ადამიანი კითხულობს. პროცესები, იქნება ეს განვითარება, სტილის დახვეწა თუ ასე შემდეგ, გაცილებით ჩქარა მიმდინარეობს. ზოგი ამაში საფრთხეს ხედავს, რადგან ავტორი დაცული არაა, თვითმყოფადობაც ძნელი მისაღწევი ხდება. საიტზე ხშირად ნახავ ლექსებს, რომლებიც ერთმანეთს არამარტო სტილისტურად და თემატურად ჰგავს, არამედ მეტაფორებით, წყობით და იმისთანა დეტალებით, რომ გადაწერილი გეგონება. არადა, ისიც ჩანს, რომ ეს ლექსები ავტორებმა ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად შექმნეს. ანუ ეს საფრთხე (გამეორებადობა) ნამდვილად არის, მაგრამ მეორეს მხრივ, ჩვენ ერთმანეთს ვზრდით. უფრო და უფრო მეტი ავტორი იკვეთება, რომელსაც უკვე კარაგად შეუძლია წერა.

ლექსის წაკითხვისას ავტორი ჩემთვის გადამწყვეტი არაა, მთავარია, თვითონ ლექსი ვარგოდეს. ხანდახან სრულიად უცნობ ადამიანთან ისეთ კარგ რამეს წააწყდები, გაგიკვირდება. არც საყვარელი პოეტები მყავს, არც იმას განვიცდი, რომ ვინმეს ლექსმა დაიგვიანა. უბრალოდ, შეიძლება გული დამწყდეს, რომ გარკვეული პერიოდის

განმავლობაში არც საიტებზე, არც ჟურნალებში კარგი არაფერი გამოჩენილა.

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობ, არის კრიტიკა საქართველოში? შენ ვის აკრიტიკებ ყველაზე ხშირად და ვის კრიტიკას ელოდება თეა თოფურია? რით განსხვავდება კრიტიკა უარყოფითი გამოხმაურებისაგან? კრიტიკოსები მართლა არშემდგარი პოეტები არიან თუ...

თეა თოფურია: საქართველოში კრიტიკა მოიკოჭლებს. ბევრი, უბრალოდ, ერიდება ვინმეზე ცუდის თქმას და გადაკიდებას. მე ძირითადად მწერალ მეგობრებს ვაკითხებ, თუ მათ მითხრეს რამე ხელშესახები, ვასწორებ. ძირითადად ვუჯერებ ხოლმე. კრიტიკოსს უპირველს ყოვლისა, ტაქტი უნდა ჰქონდეს, მერე შესაბამისი ცოდნა და გემოვნება, ის შეიძლება არშემდგარი პოეტიც იყოს და შემდგარიც, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. დადებითი ან უარყოფითი გამოხმაურებისგან კი კრიტიკა ძალიან მარტივად განსხვავდება, ის არც ქებაა და არც ლანძღვა, კონკრეტული ნაწარმოების განხილვაა.

გიორგი კილაძე: არაფერი გვითქვამს პროზაზე. რა მდგომარეობაა დღეს ქართულ პროზაში... რა წავიკითხე ბოლოს და რით გაიხსენებ ამ ნაწარმოებს, ვთქვათ 10 წლის შემდეგ? ისიც გვითხარი, რომელი ქართველი მწერლის გაცნობას ურჩევ უცხოელ მკითხველს (ანუ ვინ უნდა ითარგმნოს და რომელ ენებზე)?

თეა თოფურია: ქართული პროზა შედარებით ნელა ვითარდება, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ ჩვენ მაინც მივიღებთ რამდენიმე სერიოზულ ავტორს. ბოლოს ვინ წავიკითხე არ მახსოვს. ვფიქრობ, რომ თუ თარგმანზე მიდგა საქმე, ჯობია ისევ ისინი ვითარგმნოთ, ვინც ნამდვილად კლასიკოსია, უცხოეთმა კი ვერ გაიცნო: იგივე ჭილაძე, ქარჩხაძე, ჩოხელი... ამასობაში დანარჩენებიც წამოგვეწვიან.

თუმცა, უკვე დღესვე შეიძლება თანამედროვე ავტორების მოთხოვნების კრებული გაკეთდეს ინგლისურად და ის გავიტანოთ გარეთ. მაგრამ სამწუხაროდ, ქართველი ავტორების ნაწარმოებების საზღვარგარეთ გატანა და მათი პიარი, დღეს საკმაოდ რთული საკითხია, რომელსაც თავი ვერავინ მოაბა, ვერც კერძო გამომცემლებმა და ვერც ხელისუფლებამ.

პროექტი — «ჩემი ერთი ლექსი»

ჩვეულებრივ მკითხველს, რომელსაც ლექსი ბავშვობის შემდეგ აღარ დაუწერია, შესაძლოა, ლექსის წაკითხვის შემდეგ დაინტერესდეს, თუ როგორ «მოუყვებოდა» ავტორი ახლახან წაკითხულ ნაწარმოებს.

უმრავლეს შემთხვევაში ავტორები ამგვარი წაკითხვისაგან თავს იკავებენ. მიაჩნიათ, რომ ეს მხოლოდ მკითხველის საქმეა. არსებობს გამონაკლისი — თუნდაც პოეტები, ნინო დარბაისელი და მარსიანი.

გასულ წელს, რამდენიმე ახალგაზრდა პოეტს საკუთარი ლექსის «მკითხველის თვალთ წაკითხვა» და ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ «ებლიტფოზე» გამოქვეყნება შევთავაზეთ. პროექტს ორი ახალგაზრდა პოეტი გამოეხმაურა. მათ არა მარტო საკუთარი ლექსების წაკითხვა, არამედ ერთმანეთის ლექსების მათეული ხედვაც წარმოადგინეს, რომელიც 2009 წელს, ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ კრებულში «საუბრები ლიტერატურაზე» დაიბეჭდა.

საკუთარი ლექსის წაკითხვას ცნობილი პოეტი და კრიტიკოსი მარსიანი აგრძელებს. «ავტორეცენზია» ჩვენი თხოვნით დაიწერა და კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად

მნიშვნელოვანი და სიცოცხლისუნარიანია «ეზლიტფოზე» განხორციელებული, არც თუ ისე მცირერიცხოვანი ლიტერატურული პროექტები.

პროექტი «ჩემი ერთი ლექსი» შეეცდება თავი მოუყაროს უკვე ცნობილ თუ ახალგაზრდა პოეტთა მიერ «წაკითხულ» ლექსებს; ასევე, ამ ლექსებზე მკითხველთა მინაწერებსა და გამოხმაურებებს.

მარსიანი

ალუზიები

«არიან დღენი...» გალაკტიონი

არიან დღენი გასაოცარნი:
მოგელანდება ლანდი მარტორქის,
ან დაგაფიქრებს ფიქრი არყოფნის,
ვითარცა ჰამლეტს —
არიან დღენი გასაოცარნი.

ძმურად დაიწვევენ მკლავზე კარგ დობილს,
თუ ხარ ვაჟკაცი, თუ ხარ ფშაველი,
გადაიარო უნდა ცხრა ველი,
თუ გსურს იხილო ველი მარტყოფის.

თუ გსურს იხილო ჟამი ვარდობის,
უნდა ეტრფოდე მეფეთა ასულს,
ფლობდე ლათინურ ენას გარდასულს,
თუ გსურს შეება ღამის მკვდარ პროფილს.
უნდა ეტრფოდე მეფეთა ასულს —
პარიზით მოსულს;

ესე სწავლანი ვუწყოდი ფრიად:
ვეომებოდი ღამით კარტოფილს,
რისხვას ვატეხდი წყვდიადის წიაღ
მცენარეს უმნოს და უარყოფილს.

არა, არ ვიყავ წყნარი, დამნდობი,
მაინც ზღვას ფეხით ვერ გადაუვლი,
მაგონდებოდა ზოგჯერ ვან გოგი
და ზოგჯერ ბესიკ ხარანაული.

წუხილი ზოგჯერ ამოკლებს დრო-ჟამს,
წუხილის ლანდი მოდგა იმერეთს,
მეუბნებოდა: მართალსა რომავ
და მაინც არავინ არ დაგიჯერებს.

ავტორეცენზია ლექსზე «ალუზიები»

ლექსის დასაწყისში ორი სიტყვა ციტირებულია გალაკტიონის ერთ-ერთი ლექსის დასაწყისიდან («არიან დღენი...»), როგორც ეპიგრაფი მიუთითებს. მომდევნო სტრიქონებში — «მოგელანდება ლანდი მარტორქის ან დაგაფიქრებს ფიქრი არყოფნის, ვითარცა ჰამლეტს» — უკვე ცხადი ხდება ნაწარმოების ირონიულ-პაროდიული ხასიათი: ჯერ ერთი, გალაკტიონის ლექსის (სერიოზულ) თემატიკასთან რა მოსატანია მარტორქა და მეორეც — უკვე ჩემს ლექსში — სად მარტორქის მოლანდება და სად ჰამლეტური დაფიქრება ყოფნა-არყოფნაზე! ირონიულ-პაროდიულ ეფექტს სწორედ არასერიოზულისა და სერიოზულის ერთ სიბრტყეზე განლაგება და ამით ტრადიციულ ღირებულებათა (ამ შემთხვევაში გალაკტიონისა და შექსპირისეულ მოტივთა) გადაფასება-

გაუფასურება ქმნის. მომდევნო, მეორე სტროფში სტრიქონებით «ძმურად დაიწვენ მკლავზე კარგ დობილს, თუ ხარ ვაჟკაცი, თუ ხარ ფშაველი» ირონიზებულია ფშავ-ხევსურეთში არსებული წაწლობის (სწორფრობის) ტრადიცია — იქ წაწლები ერთმანეთს ნაძმობს (ძმობილს) და ნადობს (დობილს) უწოდებდნენ, არადა წაწლობა ქალ-ვაჟის სექსუალური გართობა იყო (დღევანდელი ჟარგონით «ზასაობა»), რომელიც ზოგჯერ კოიტუსითაც მთავრდებოდა და რა მოსატანია აქ და-ძმობა! ამავე სტროფის მომდევნო სტრიქონებში «გადაიარო უნდა ცხრა ველი, თუ გსურს იხილო ველი მარტყოფის» თითქოს ირონია ყრუვდება, ისე აშკარა აღარ არის, მაგრამ მაინც იგრძნობა კიდევ ერთი «ტრადიციული ფასეულობისათვის» მსუბუქი «კბილის გაკვრა» — მარტყოფის ველი ხომ ისტორიული ადგილია — გიორგი სააკაძემ აქ შემოიტყუა სპარსელთა ჯარი და სასტიკად დაამარცხა; ეს ისტორიული რემინისცენცია და წაწლობის ინსტიტუტზე ქილიკი ერთმანეთთან მიმართებაში ირონიული «განურჩევლობის» ეფექტს ქმნის; აქ ალბათ ერთი კითხვა გაჩნდება — ცხრა ველის გადავლა რატომაა საჭირო იმისათვის, რომ მარტყოფის ველი იხილო? იმიტომ რომ აქ არა ემპირიულ-ფიზიკური, არამედ ვირტუალური, ისტორიულ მეხსიერებაში არსებული მარტყოფის ველი იგულისხმება და მასთან მისასვლელად გარკვეული ძალისხმევაა საჭირო: ქართული ცნობიერებისათვის ერთგვარად საკრალიზებული რიცხვი «ცხრა» თავისთავში მოიცავს «მრავლის» გაგებასაც; ასე რომ, საჭიროა ისტორიული მეხსიერების «შენჯღრევა», მრავალი «ველის», ანუ სიძნელის გადალახვა, რათა მარტყოფის ველი ვიხილოთ.

მომდევნო, მესამე სტროფში მეორდება სიტყვები «თუ გსურს იხილო», ოღონდ ამჯერად სხვა სახილველი იგულისხმება: «თუ გსურს იხილო ჟამი ვარდობის, უნდა ეტრფოდე მეფეთა ასულს», რაზეა აქ საუბარი?

ეს ავტოალუზია გახლავთ ჩემივე რომანიდან «ანამაისი»: ვარდობის ჟამი ვარდობისთვეა, ანუ მაისი. «მეფეთა ასული», ანუ ბაგრატიონთა შთამომავალი არის ამ რომანის მთავარი გმირი, ოცი წლის ქალწული ანამაისი. როგორც ვხედავთ, ამ სახელში სიტყვა «მაისი» იკითხება: ლექსში ეს მინიშნებულია «ვარდობის ჟამით», (ანუ ვარდობისთვით). ასე რომ, ლექსის ამ მონაკვეთის გასაგებად საჭიროა ეს რომანი წაკითხული გვექნოდეს. შემდეგ მოდის სტრიქონები «ფლობდე ლათინურ ენას გარდასულს, თუ გსურს შეება ღამის მკვდარ პროფილს». ლათინური «მკვდარ ენად» იწოდება, მაგრამ მისი ლექსიკა ხომ ყველა ცივილიზებული ერის ენაშია გამოყენებული, უპირატესად სამეცნიერო ტერმინოლოგიის სახით და ამდენად ლათინურის ცოდნა, ფლობა ნიშნავს ცივილიზებულობისა, განათლებულობისა. ხოლო «განათლება» «სიბნელის» პოლარული ცნებაა: «თუ გსურს შეება ღამის მკვდარ პროფილს». «მკვდარი» რატომ? იქნებ «მკვდარი ენის» ასოციაციით გაჩნდა აქ ეს სიტყვა ერთგვარ პარადოქსულ კონტექსტში, რადგან სიბნელეს, ღამეს, მკვდარულ უნათლობას სწორედ «მკვდარი ენის» მეშვეობით უნდა შეება და შუქი მოჰფინო; შემდეგ ამავე სტროფში მეორდება სტრიქონი «უნდა ეტრფოდე მეფეთა ასულს», ამას კი მოსდევს მოკლე სტრიქონი «პარიზით მოსულს». ანამაისი პარიზიდან ჩამოვიდა საქართველოში, ქალაქ ბაგრატისში, აქ გაუმიჯნურდა მას პოეტი ივერ მინდელი და ამ პოეტს ჩააბარა «მეფეთა ასულმა» პარიზიდან ჩამოყოლილი ქალწულობა... ირონია ამ სტროფშიც ყრუ და ნაკლებშესამჩნევია, თუმცა მის არსებობაზე მიგვანიშნებს კვლავაც ურთიერთგანსხვავებულ რეალობათა განურჩეველი განლაგება ერთ სიბრტყეზე (სად მეფეთა ასულთან გამიჯნურება და სად ლათინური ენის დაუფლება).

მეოთხე სტროფში პირველი სტრიქონის ყოველი სიტყვა მარკირებული ლექსიკის ერთეულს წარმოადგენს: «ესე სწავლანი ვუწყოდი ფრიად». ეს, როგორც იტყვიან, «მაღალი

შტილით» გაწყობილი ფრაზა თავისი საგანგებო პომპეზურობით აშკარად ირონიულ-პაროდულ დატვირთვას ატარებს, ხოლო მომდევნო სტრიქონებში აბსურდის ელემენტიც ჩნდება: «ვეომებოდი ღამით კარტოფილს, რისხვას ვატეხდი წყვდიადის წიაღ მცენარეს უშნოს და უარყოფილს»: სად «ესე სწავლანი» და სად კარტოფილი! თანაც, ნეტავი რას ვერჩოდი ამ საწყალ კარტოფილს, რა დამიშავა? მომდევნო, მეხუთე სტროფშიც გრძელდება ლაპარაკი რაღაც დაუნდობლობაზე (ალბათ კარტოფილის მიმართ) და მერე კიდევ ერთი მოულოდნელობა: «მაინც ზღვას ფეხით ვერ გადაუვლი». ქრისტეს სასწაულის ეს რემინისცენცია საიდანღა გამოტყვრა? არ ვიცი. ვითომ კარტოფილთან ატეხილი ეს «საღვთო ომი» იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სასწაულის ტოლფარდ ქმედებად შერაცხვის პრეტენზია (თუმც უნაყოფო) შეიძლება ჰქონდეს? ხოლო იმ კითხვაზე, თუ რა ფუნქცია აქვს საერთოდ ამ ლექსში კარტოფილს, პასუხს მომდევნო სტრიქონები გაგვცემენ: «მაგონდებოდა ზოგჯერ ვან გოგი და ზოგჯერ ბესიკ ხარანაული». რის გამო დაწყვილდა ტექსტში ჰოლანდიელი მხატვარი და ქართველი პოეტი? სწორედ კარტოფილის გამო: ვან გოგს აქვს ფერწერული ტილო «კარტოფილიჭამიები», ბესიკ ხარანაულს კი — ლექსი-ნოველა «კარტოფილის ამოღება». რატომ ვუწოდებ კარტოფილს «უარყოფილ მცენარეს»? ალბათ იმიტომ, რომ ბესიკ ხარანაული გააკრიტიკეს ამ ნაწარმოების გამო, უსაყვედურეს, რომ მან პროზაული და არაესთეტიკური კარტოფილი აირჩია ლექსის საგნად და არა ვაზი, რომელიც ქართველი ერისათვის განსაკუთრებული პოეტური და რელიგიური სიმბოლიკის მატარებელი კულტურა გახლავთ; არ ვიცი, ვან გოგს უსაყვედურა თუ არა ვინმემ, რომ კარტოფილის ნაცვლად თევზი არ აირჩია; თევზი ხომ, ისევე, როგორც ვაზი, ქრისტიანული სიმბოლოა...

და ბოლოს, მთელი ამ ბატალიების შემდეგ მეწვია წუხილი (თუ მისი ლანდი) ჩემს მშობლიურ იმერეთში, დრო-ჟამი შეამოკლა (რატომ და როგორ, არ ვიცი) და მრავალგზის მითხრა: «მართალსა რომავ და მაინც არავინ არ დაგიჯერებს»-ო; რა სიმართლეზე და რა არდაჯერებაზეა ლაპარაკი, ადვილი გასარკვევი არაა. და, საერთოდ, რისი თქმა მინდოდა ამ ლექსით? არაფრის! დააკვირდით ლექსის ფორმას და იქნებ დამეთანხმოთ, რომ შესაძლოა, აქ მთავარი სწორედ ფორმაა, რომელსაც თან რაღაც აბსურდული შინაარსი თუ უშინაარსობა ახლავს.

ვნახოთ, ეს ფორმა რას წარმოადგენს:

პირველ სტროფში პირველი სტრიქონი მეორდება სტროფის ბოლოს, და, ამდენად, სიტყვა «გასაოცარნი» თავკიდური რითმის ფუნქციას ასრულებს. მეორე-მესამე სტრიქონებში შიგა სარიტმო წყვილია «მარტორქის — არყოფნის», ხოლო მეოთხე, მოკლე სტრიქონი «ვითარცა ჰამლეტს» არ არის გართმული სხვა რომელიმე სტრიქონთან: ამას აქვს თავისი მუსიკალურ-აზრობრივი ეფექტი — ეს სტრიქონი თითქოს საგანგებოდ, კონტრასტულად განსხვავებული და «გამოდგმულია» სხვა სტრიქონთა ფონზე, რიტმულ პაუზას ქმნის და თავისთავზე აქცენტის გაკეთებას ითხოვს. მუსიკალურ ეფექტს აძლიერებს აგრეთვე ნასახელარი ზმნების დაწყვილება მათსავე წარმომქმნელ არსებით სახელებთან: «მოგელანდება ლანდი» და «დაგაფიქრებს ფიქრი».

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მესამე სტროფში მეორდება წინა სტროფის სიტყვები «თუ გსურს იხილო», ოღონდ განსხვავებული სახილველით: «ველი მარტყოფის» ჩანაცვლებულია სხვა, ოღონდ ამ სიტყვებთან გართმული სიტყვებით «ჟამი ვარდობის». რა თქმა უნდა, განმეორების ხერხი აქაც მუსიკალურდინამიკას ემსახურება, ეს მოხდენილი გრადაცია აზრსაც მუსიკალურ დენადობას ანიჭებს. ამავე სტროფში ორჯერ არის განმეორებული «უნდა

ეტრფოდე მეფეთა ასულს», არის აგრეთვე მოკლე სტრიქონიც «პარიზით მოსულს». ეს ფაქტი ერთგვარ კამერტონულ შეხმანებას ქმნის პირველ სტროფთან, სადაც მსგავსი ფორმისეული თავისებურებანია — სტრიქონის განმეორება და მოკლე სტრიქონის (გაურითმავის) შემოტანა, მაგრამ ამავე დროს არის სხვაობაც — პირველი, ხუთსტრიქონიანი სტროფისაგან განსხვავებით მესამე სტროფი ექვსსტრიქონიანია, მასში ჩართული მოკლე სტრიქონიც გართიმულია სხვა სტრიქონებთან და მთლიანადაც ეს სტროფი განსხვავებული აღნაგობისაა; ამ მსგავსება-განსხვავების ერთდროული არსებობაც მუსიკალური თემის ვარიაციული დამუშავების ეფექტს ქმნის.

კიდევ ერთი ფორმისეული თავისებურება ამ ლექსისა არის ის, რომ პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტროფს ლაიტმოტივად გასდევს ერთი რითმა (მარტორქის — არყოფნის — კარგ დობილს — მარტყოფის — ვარდობის — მკვდარ პროფილს — დამნდობი — ვან გოგი), ხოლო მეექვსე, დამამთავრებელ სტროფში ეს რითმული გადაჯაჭვულობა წყდება: ბოლო სტროფი, როგორც დასკვნითი და შემაჯამებელი, თითქოს ფორმალურადაც და აზრობრივადაც ერთგვარად გამიჯნული და ავტონომიზებულია სხვა სტროფთაგან: ესეც თავისებური მუსიკალური ეფექტი გახლავთ.

ეს ლექსი თავისი არატრადიციული ფორმით, სტრუქტურით ერთჯერადი, იმპროვიზაციული ტიპის ნაწარმოებებს მიეკუთვნება: პირველი და მესამე სტროფები, როგორც ვნახეთ, სტრიქონთა რაოდენობითა და მოკლესაზომიანი სტრიქონის ჩართვით, აგრეთვე გართიმვის თავისებურებით არაკონვენციურია; მეორე სტროფი თავკიდური და მოსაზღვრე შიგა რითმებითაა გაწყობილი; მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სტროფებში კი ჩვეულებრივი ჯვარედინი რითმებია გამოყენებული. ლექსის ამგვარ ორიგინალურ აღნაგობასაც კვლავ და კვლავ

მუსიკალურობაზე აქვს პრეტენზია: ეს მომცრო ლექსი თავისებურ კომპოზიციას ჰგავს, რომელსაც მუსიკოსი უშუალოდ, იმპროვიზაციულად ქმნის საკრავზე შესრულებისას.

რაც შეეხება ჩემს განაცხადს, რომ აქ მთავარი შეიძლება ფორმა იყოს და არა შინაარსი, რომელიც საკმაოდ აბსურდული ჩანს, მკითხველმა შეიძლება გაიზიაროს, შეიძლება არა; ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ აქ ფორმა და შინაარსი, მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან: ისინი არსებითად ერთნი არიან.

26.X.2009.

იკა ქადაგიძე

Salve

(ავტორეცენზია)

Salve — ლათინურად ნიშნავს — კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება

Salve, სილა, სავლე
სული სარკინოზობს
საიქიო სამანების სისხლთან...
შემოავლე შრომნის შარავანდი შაგრენს
მჩაგრე სიტყვის გვამში,

სადაც ღმერთსაც გრილა...
Salve, საიქითო, სილაბური სითბო
პითონს პირგამშრალსაც პირქვე აპირკეთებს
განვლე გეთსიმანის გული უგუმბათო
კედელს კითარების კვალ ააკვნესებს,
ხეთებს ხელთუპყრელი ხომლი ხარებისა
დაკოდელი დროის ხომალდს ახრიალებს
აზონ,
აზავთდება ზურნა ზანზალაკი,
ქართულ სისხლს გრაალის თასში ათავსებენ
Salve სილა, სავლე
სული ისალბუნებს
საიქიო სამანების სუნთქვისას...
შემასწავლე შროშნის შარავანდი შუქი\
სულეიმანის საიდუმლო,
სადაც ღმერთსაც გრილა.

17.03.2010.

ეს რთული ლექსი ერთი ამოსუნთქვით დაიწერა. Salve — პირველი სიტყვა თვითონ მიგვიძღვის საიდუმლოს ამოსახსნელად. შალვე ძველებური სადარბაზოების ზღურბლზე ეწერა (ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო და დამამახსოვრდა). სილა ჩემი პოეზიის თანმდევი სიმბოლო. Savle — პავლე მოციქულის საერო სახელი. მთელი ლექსი კაცობრიობის ისტორიის თავისებური (პოეტური) ამეტყველებაა. შროშნის შარავანდი — ღვთისმშობლის სიმბოლოა, რომელმაც შაგრენის ტყავი (რომელიც თანდათან მცირდება, პატარავდება ბალზაკის შემოტანილი ცნებაა.) უნდა გაამთელოს, შეაჩეროს მისი რღვევა (კაცობრიობის შესაბამისად. დედამიწის) და ამ საყოველთაო რღვევას პოეტი სხვაზე მეტად განიცდის, როგორც მესიტყვე, სიტყვის მსახური, სადაც ღმერთსაც გრილა — სიტყვის საუფლოში,

უფალი შვებას გრძნობს. რადგან «პირველი იყო სიტყვა» (იოანეს სახარება), და სიტყვა იყო ღმერთი...

პირგამშრალი პითონის (გველი) სამოთხიდან გამეფების ცოდვის შეხსენებაა გეთსიმანიის ბაღი, სადაც იესო შეპყრობის წინ განმარტოებით ლოცულობდა. კედელში, გოდების კედელი იგულისხმება.

შემდეგ სტროფებში კაცობრიობის ისტორიის შუაგულში ქართული სამყარო შემოდის. ხეთები, — ვარსკვლავთა ხომლი — წინარექრისტიანული ხარების შესატყვისი სიმბოლო.

შემდეგ აზონი რომელიც მცხეთას იპყრობს, ზურნა-ზანზალაკი უცხო კულტურათა ნაძალადევ შერწყმაზე მიუთითებს.

ლექის დედააზრი ცხადდება სტრიქონში.

ქართულ სისხლს გრაალის თასში ათავსებენ. აქ ქართული სისხლის (სულის) ტრაგიზმია ხაზგასმული. ქართული სისხლი, როგორც ქართული მართლმადიდებლობის განსაკუთრებული დევნისა და მსხვერპლის გაღების სიმბოლო, უფლის ტანჯვასთანაა გატოლებული. იგივე — უფლის სისხლია. ბოლო სტროფი ღვთისმშობლისადმი ვედრებაა. პოეტის თხოვნა მარადისობას (სიტყვის მეოხებით) აზიაროს. ღვთისკენ სავალი გზა შეძლებისდაგვარად «შეუმსუბუქოს». ეპოქალურ უღმერთობას განარიდოს. ტექნიკურ მხარეს რაც შეეხება, ლექსის თვალშისაცემი მუსიკალობა (ვინც ლექსს გაეცნო, უპირველესად მუსიკალობას გაუსვა ხაზი) მხოლოდ ალიტერაციის საშუალებით არ არის მიღწეული, შინაგანი რიტმი რითმასთან თანამყოფობს. სხვათა შორის, მარსიანმა ჩემთვისაც მოულოდნელად რადიოეთერში ამ ლექსს ვირტუოზულად ნაგები უწოდა.

ამ გულწრფელი, დაუგეგმავი (წინასწარ შეუთანხმებელი) შეფასებისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის, თუმცა აქვე დავძენ, რომ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, Salve

რთული არქიტექტონიკის მიუხედავად ადვილად დაიწერა. უმნიშვნელო ჩასწორებები რამდენიმე ადგილზეა, რა თქმა უნდა მთავარი შედეგია, თუმცა მწერლის ლაბორატორიის ე. წ. «წვრილმანი» სივრცე ძირითადად ბევრ საიდუმლოს ინახავს. ყველა ლექსს თავისი ბედი აქვს, ზოგი თავისით მოდის, ზოგს ხელის შევლება და გადამუშავება სჭირდება, ზოგი ფურცელზევე კვდება. Salve-ს შექმნამდე ერთი ასეთი მკვდრადშობილი ლექსი ფურცელზე დაუკითხავად დაიმარხა.

Salve თავისით მოვიდა და ამან მეც გამაკვირვა, (აზრობრივადაც) რთული აგებულება აქვს და შინაარსიც შესაბამისი გააჩნია. ლექსის დათარიღება ჩვევად მაქვს და როცა რიცხვი გავიხსენე, კალენდარმა 17 მარტიაო დამიდასტურა. 17 მარტი გალაკტიონის, პოეტების მეფის თვითმკვლელობის დღეა.

თარიღმა მიბიძგა ლექსი გალაკტიონისთვის მიმეძღვნა. იგი ჩემთვის უპირველესი პოეტია — ტიტანი, რომელმაც ქართული პოეზია არნახულ სიმაღლეზე აიყვანა.

გალაკტიონი ის მწვერვალია, იოლად რომ ვერ გაუშინაურდები. თარიღმა კი საშუალება მომცა მის მიმართ ჩემი დამოკიდებულება გამომეხატა. დღეს ბევრს გულზე ხვდება, რომ იგი პოეტების მეფეა.

გალაკტიონმა ეს დაიმსახურა. უმადურობაა, როცა პოეტები თვითდამკვიდრების უკადრის ხერხს მიმართავენ.

საამისოდ მხოლოდ აგრესიული პატივმოყვარეობა არ კმარა.

«ნიჭი, ძამიკო, ნიჭი» გალაკტიონის თქმისა არ იყოს.

აი, ასეთი უჩვეულო ისტორია აქვს Salve-ს.

ნამდვილად უნდა მომეყოლა!

ნინო სადღობელაშვილი

აველუმ, მშვიდობით!

ეძღვნება ოთარ ჭილაძის ხსოვნას

მოცლილო მკითხველო, ვისაც შეურყენელი ვნებით გიყვარს წიგნი და იქ ნანახ-განცდილით ცხადში ცხოვრება; ვინც ჯერაც ერთგულებ ყველა ამქვეყნიურ კანონზე აღმატებულს და თუნდაც მსოფლიო უკანონობას — ლიტერატურას; ვისაც გინდა, რომ გადაგხდეს რამე ისეთი, რაც არ შეიძლებოდა სხვას გადახდენოდა, ან გაიგო რაღაც კიდევ მეტი, კიდევ უფრო მეტად გაოცდე — ქუჩაში შენთვის მოხეტიალე, ერთხელაც, პირველივე შემხვედრს გაუჩერდი და თბილად მიეგებე:

— გამარჯობა, აველუმ!

პასუხად ალბათ გემრიელ ლაწანს მიიღებ, მაგრამ, ეს რაა იმასთან შედარებით, რაც შენი შემხვედრის ტვინში გასკდება. ზუსტად ისე, როგორც ბავშვების მიერ სადმე ჩაფლული ტყვია. და იცი, რატომ? იმიტომ არა, რომ სიტყვა «აველუმი» ჩაესმება უცხოდ და უცნაურად. იმიტომ, რომ სიტყვა «აველუმი» არავის ახსოვს (ან რატომ უნდა ახსოვდეს), ადამიანებს კიდევ ყველაზე მეტად მივიწყებულის შემოგებება აკრთობთ.

«აველუმი» შუმერული სიტყვაა და თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს. ერთმა მწერალმა, შესაძლოა, სულაც გამოიგონა, თუმცა გამომგონებლობა ხშირად რაღაც ძალზე დავიწყებულის გახსენებას გავს. მითუმეტეს, თუ მას გენიოსი იხსენებს.

თუ გენიოსი მწერალი სიტყვას იხსენებს და ამ სიტყვით თავის ახლობელს მიმართავს:

— გამარჯობა, აველუმ! — ამ დროს სამყაროში რაღაც მართლა ხდება.

1999 წელი. შვედეთში, ნობელის პრემიის დაჯილდოების ცერემონიალზე, მსოფლიო გამარჯვებულთა ახალ სახელებს ელოდება. ლიტერატურის დარგში წარდგენილი არიან: გიუნტერ გრასი, უმბერტო ეკო, ოთარ ჭილაძე(!)... ოთარ ჭილაძე რომან «აველუმით» და მთელი შემოქმედებით! ნობელს გიუნტერ გრასი იღებს. თუმცა, ოთარ ჭილაძე მთელი ევროპული ლიტერატურული სამყაროს უდავო ფავორიტია. საქართველოში პოლიტიკურ-სოციალური გარდატეხების დრო დგას (როდის არ დგას ასეთი დრო!). ეს ფაქტი «ნიუსების» კულტურის ბლოკის ბოლო ნაწილში ზუსტად იმ ნაწილში ხვდება, რომელიც რეალურად მონაცემთა ბაზაში ადგილს უფრო იკავებს, ვიდრე რაიმეს ნიშნავს.

2009 წელი. 4 ოქტომბერი. სამების საკათედრო ტაძრიდან პროცესია მთაწმინდისკენ მიემართება. დიდ მწერალს კრძალავენ. მწერალი — ოთარ ჭილაძეა. ზუსტად ათი წელია გასული. საიდან სადამდე? კაცმა არ იცის. (უხეშად რომ ვთქვათ — ნობელის ამბიდან მწერლის სიკვდილამდე), მაგრამ ვინ დათვალა ეს დრო, ან ვინ შეაფასა, შეაჯერა თავისთავში? საქართველომ ეს ათი წელი ისეთი ცხოვრებით იცხოვრა, ბევრ სხვა ქვეყანას, შესაძლოა, ბარე-ორი ათეული დასჭირვებოდა. და სწორედ ეს — დაღლილი, გატანჯული საქართველო მთაწმინდისკენ თავის დიდ შვილს მიაცილებს. «საქართველოში» შედის ძალიან მცირე ნაწილი ოთარ ჭილაძის თანამედროვე საზოგადოებისა, იმდენად მცირე,

რომ ჩამოთვლაც შეიძლება გვარ-სახელის და პროფესიის მიხედვით, (ნეტა, ათი წლის წინ ნობელი რომ მიეღო, მაშინაც ასე ცოტანი იქნებოდნენ «ჭირისუფლები»? ადამიანური ბუნებაა — ჩინი ჩანს და ამით უფრო აფასებს, ჩინი, ჯილდო, მედალი, ორდენი და ათასი სისულელე).. დანარჩენი «საქართველო» ალბათ უხილავად მიჰყვება მას — წინაპართა გამჭვირვალე სულები და სევდიანი აჩრდილები.

ეს სწორედ ოთარ ჭილაძე წერდა ბედნიერ ტანჯულ ერზე, რომელსაც უამრავი პარადოქსი ახლავს თან: უკიდევანო ქრისტიანობა შეუძლია ასევე ენითუთქმელ ფარისევლობას შეუზავოს, სიბრიყვემდე სიალალით მოყვარე მოიძულოს, მტერი კი გაახაროს.. ეს მზით ნაზავი დასაფლავებაც ხომ თავიდან ბოლომდე პარადოქსი იყო: ხალხი, რომელსაც შეუძლია პრეზიდენტის ან ნებისმიერი მეტ-ნაკლებად ეფექტური ოპოზიციური ლიდერის დამახეზაზე ქუდზე კაცით გამოსვლა, ის ხალხი დიდი, ძალიან დიდი მწერლის დაკრძალვაზე არსად ჩანდა.

ან რა უნიჭო სიტყვაა «ხალხი» იმასთან შედარებით, რაც არის ქართული სიტყვის საგანძურში თავად ოთარ ჭილაძე. «ხალხი» აქ ძალიან ცოტას ნიშნავს, აქ — მის შემოქმედებაში — ერთი კონკრეტული ადამიანი უფრო ბევრია. ჩანდა, თითქოს ეს ლიანდაგი სიშორეში ვიწროვდებოდა, სადღაც სიღრმეში უხვევდა და იქ განაგრძობდა გზას. თვალს ვერ მოწყვეტდი, და თან თუ ოთარ ჭილაძის წიგნებწანაკითხი თვალი გქონდა — მით უფრო გემცნაურებოდა: ცა და მისი შესაყარი დედამიწაზე სწორედ მწერლის სამყარო იყო, მითოსურიც და რეალურიც, უცნობიც და ახლობელიც. ეს ალბათ, ძალიან იშვიათად ხდება, როცა შემოქმედი კვდება და ცოტახნით ყველაფერი მის გარშემო, მისსავე შემოქმედებას ემსგავსება.

«ვმორდებით, ყოველ წუთას ვმორდებით

და აკრძალული სევდის ტოტებით
ერთმანეთს ვუმტვრევთ სულის დარაბებს..»

ოთარ ჭილაძე ჩემი პოეტია. იშვიათად მინახავს შემოქმედი, რომელიც ასეთი «მაღალი», განუზომლად და თანაბრად ძლიერი იყოს პროზაშიც და პოეზიაშიც. თანაც ისეთი ძლიერი, რომ ერთი მისხალითაც არ არღვევდეს არცერთი ჟანრის კანონებს და თითოეულს ერთგულვდეს მწერლური ვნებით.. თუმცა, გამომრჩა! ესეისტიკა! ოთარ ჭილაძის გენიალური ესსეები, ლიტერატურული წერილები, რომლებიც, სულაც რომ სხვა აღარაფერი დაეწერა მას, თავად მოუტანდნენ დიდებულ სახელს.

ამხელა ლიტერატურული დიაპაზონი რჩეულობასთან ერთად ტვირთიცაა ალბათ. აბა, როგორი საქმეა, იარო და შენ თავში უშველებელი ტაძარი ატარო.

ჰო, ასეა — ოთარ ჭილაძე ტაძარია. უშველებელი, უმტკიცესი, ჩუქურთმებამდერებული. და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს დრო, რომელშიც ვცხოვრობთ (ეს არაა სიყვარული — შეგუების გამო დაბადებული, ეს კიდეც სხვა სიყვარულია), მაინც მგონია, რომ ოთარ ჭილაძე არაა ჩვენი დროის შემოქმედი. დროზე აღმატებულობას რომ თავი დავანებოთ, ამ თავისი უნივერსალურობით, უკიდევანო შემოქმედებითი სიმალლით, ღვაწლით, თავის დიდ წინაპრებს მაგონებს და იმ საუკუნეს, რომელიც თავადაც ალბათ ძალიან უყვარდა — ფიქრის და განსჯის საუკუნე, მისი უდიდებულესობა: მეცხრამეტე!

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადკაცობრიულ ტკივილებზე წერდა, მისთვის პირველი და მთავარი მაინც ეროვნული ფიქრი და სატკივარი იყო, აქედან ხედავდა და აქედან განიცდიდა. წერდა იმაზე, რაც ჩვენს თვალწინ ელვის სისწრაფით ხდებოდა და მაშინ, როცა ყოველდღიური ჟურნალისტიკა ფაქტების დახვავებას ვერ აუდიოდა, იბადებოდნენ წიგნები, როგორც სარკეები თითოეული

ჩვენგანისათვის — უნდა ჩაგეხედა და შიგ შენი თავი, შენს გარშემო სამყაროთი, — დაგენახა.

70 წელი, ვითარცა 7 წუთი.. — «ზემოდან» შესაძლოა ასეც ჩანდეს. ჩვენ კი დღემდე ამ 70-წლიანი ტყვეობის ტყავს ვიდრობთ, ეროვნულობაშიც და მოქალაქეობაშიც ბევრი რამე ამ ტყავის გამო ვერ დაგვილაგებია, და თუკი მწერალმა მაინც სხვების საფიქრალი ფიქრი და სატკივარი ტკივილი იტვირთა, ესაც ხომ წყალობაა! ოთარ ჭილაძის მთელი შემოქმედება თავისუფლებაზე ფიქრს ეძღვნება, თავისუფლება კი მისთვის — ბრძოლის უფლებას ნიშნავს.

ტაძარია-მეთქი, — ეს ფრაზა მე კი არა, ჩემმა საყვარელმა პოეტმა, ლია სტურუამ თქვა ოთარ ჭილაძეზე. ჩვენს სინამდვილეში ცხოვრობდა კაცი-ტაძარი, ფიქრით, აზროვნებით, მოღვაწეობის მასშტაბით, და ისე იდგა «გამჭვირვალე ესთეტიკის» ეპოქაში, რომ შორიდან ეგებ ვინმეს ქარის წისქვილადაც მოსჩვენებოდა. ტაძრებით დღეს ვილას გააკვირვებ, მაგრამ ადამიანის სულ-ხორციტ ნაგები კიდევ სხვა არის, თანაც ისეთ დროსა და ისეთ რეალობაში, სადაც «კაცთმოყვარული» მიზნებისათვის, თვით ყველაზე ბრაზიანი შენობაც კი დედამიწაზე, სადაც იარაღიანი პოლიციელები მუშაობენ, - შაბიამნისფერი შუშისგანაა აგებული, მთლად შუშებია ოთხივე კედელიც, ჭერიც და იატაკიც, ანუ ისეთი გამჭვირვალე, ღია და სანდო, რომ გეშინია, ამდენი სინატიფე ხელში არ შეგაფშხენეს..

და ამ დროს — კაცი-ტაძარი, რომელიც დუმდა და ისე წერდა.

როცა გარდაიცვალა, მერეღა მოქექეს ტელევიზიებმა და აღმოაჩინეს რომ სულაც თითზე ჩამოსათვლელი კადრები ჰქონიათ არქივში, სადაც ამ კაცის დანახვა და მისი სახის დამახსოვრება შეიძლება. ესეც მაშინ, როცა სწორედ ტელევიზორში, პირდაპირ ეთერებში ხდება რევოლუციებიც, ტერაქტებიც.

ოთარ ჭილაძის ერთი ფოტო მიყვარს განსაკუთრებულად. გურამ თიკანაძის გადაღებულია. აი სწორედ ისეთი მინდა რომ დავიმახსოვრო, მეც და ბევრმა — ძლიერი, ახალგაზრდა, შუბლშეკრული, როგორც ყველა ფარული მეამბოხე. თავისივე პერსონაჟებს გავს, დაუწერელ გმირებსაც კი.

სულ თავში, მისივე სიტყვებით დავიწყე: «მოცლილო მკითხველო».. ეს ალბათ ის მოცალებობაა, რუსთაველი რასაც გულისხმობდა შეყვარებულის (მიჯნურის) მთავარ ათ თვისებათა შორის ერთ-ერთ აუცილებლად.. შეყვარებული თუ არ ხარ, ოთარ ჭილაძის ერთ ფურცელსაც ძვრას ვერ უზამ.

შეყვარებულობაც — ბრძოლის უფლებაა. გიყვარს და, გინდა შენს გარშემო სამყარო შეცვალო. ამისთვის იბრძვი. ძნელია აველუმობა. აველუმი ხომ, თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს.

თვითონ ასე დაამთავრა:

«გაუფასურდა, ჩაბარდა წარსულს,
რითაც დროს ვკლავდით და თავს ვირთობდით,
მე კი სხვაგვარად ცხოვრება არ მსურს
კარგად იყავით. გმადლობთ. მშვიდობით.» (2007)

* * *

და თუკი მაინც არ მოიშლი შენსას და ისევ წიგნებით ცხოვრებას გადაწყვეტ, მოცლილო მკითხველო, ადექი და იმ შენს პირველივე შეხვედრილ თანამგზავრს ხანმოკლე და უცნაური დიალოგი ასე დაუმთავრე:

— აველუმ, მშვიდობით!

შეიძლება ვერ გაიხსენოს, რას ნიშნავს ეს სიტყვა, მაგრამ ტვინში ერთი ფიქრი აუცილებლად საშენოდ გაუსკდება. ბოლოს და ბოლოს, შენც, მეც, შენი თანამგზავრიც და კიდევ ვინ იცის რამდენი ვინმე, - ახლა ჩვენი ფიქრის აღმართ-

დაღმართებზე დაჯეტიალობთ და ერთ კაცზე ვლაპარაკობთ; ყველას რომ ყველაფერი დაგვავიწყდეს, იმ ერთს ემახსოვრება, რადგან დამახსოვრება, ზოგადად, მისი მოვალეობაა. ის მწერალია — მთავარი აველუმი.

და ვინ იცის, ეგებ მე და შენ კი არ ვლაპარაკობდით ამდენ ხანს მასზე, არამედ თვითონ ის — თავის მარტოსულ სენაკში იჯდა და ჩვენზე სევდიანი სიყვარულით წერდა, ჩვენზე — მკითხველებზე და მოქალაქეებზე.

და ბოლოს კი მიაწერა: ოთარ ჭილაძე.

ნინო დარბაისელი

ტოტალიტარიზმი, შემოქმედებითი თავისუფლება და თავისუფალი ლექსი

შეიძლება თუ არა, არსებობდეს რაიმე მიმართება ტოტალიტარიზმსა და სალექსო ფორმას შორის?

უძველესი დროიდან მოყოლებული, რაც პლატონმა თავის «სახელმწიფოში» ტოტალიტარიზმს თეორიული საფუძველი ჩაუყარა და პოეზიას ფუნქციად სახელმწიფოებრივ-პატრიოტული მიზნებისადმი მოტივატორული მსახურება დაუტოვა, ამ ტიპის მმართველობები მუდამ ავლენდნენ ძალისხმევას, რათა თავის სამსახურში ჩაეყენებინათ სიტყვიერი კულტურა და განსაკუთრებით მისი ყველაზე სუგესტიური სფერო — პოეტური ხელოვნება, მაგრამ ეს ნაკლებად ვრცელდებოდა მხატვრული ნაწარმოების ფორმაზე. ამრიგად, მოვლენა,

რომელსაც ვეხები, არ განეკუთნება ტოტალიტარიზმის ტიპობრივ პრობლემათა რიგს და იგი შემოქმედებითი (არა)თავისუფლების ერთი კერძო გამოვლინებაა. ეს არის შემთხვევა, როდესაც საკუთრივ ლექსმცოდნეობით პრობლემათა მთელი კომპლექსი: ქართული თავისუფალი ლექსის ანუ ვერლიბრის ისტორია, თავისებურება, მისი სახეობანი და ა.შ. სცილდება დარგის ფარგლებს და მუდმივად უხდება შეხება სხვა ჰუმანიტარულ სფეროებთან.

ქართული თავისუფალი ლექსის ისტორია გასული საუკუნის ათიანი წლებიდან იწყება. იგი იმ სალექსო რეფორმის ორგანული ნაწილია, რომელიც გალაკტიონის თაოსნობით განხორციელდა და შედეგად მოიტანა ახალი ქართული პოეზიის ენა. გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემის 22-ე ტომში ერთი ჩანაწერია, რომელიც სავარაუდოდ 30-იან წლებს მიეკუთვნება:

დასავლეთის თანამედროვე რევოლუციური პოეზიისთვის, — წერს ამხ. ლუნაჩარსკი, — ამჟამად დამახასიათებელია სრული დაკარგვა გამობრძმედილი, დაკანონებული რიტმებისა, არის ლტოლვა უწესრიგობისადმი, ნახევრადპროზისადმი. ან რა აზრი აქვს, თავი გადააკლა რითმების მიწყობ-მოწყობას...] რა დროს რითმებია, როდესაც ადამიანში ბოზოქრობს მისი მწუხარება, მისი პროტესტი». ასეთი განწყობილება წამოვიდა ომიანობის დროიდან, ექსპრესიონიზმიდან, როდესაც ცდილობდნენ ამ ანთებამოდებული, უწესრიგო ფორმებით მიღწეული ყოფილიყო, რამდენადაც კი შესაძლებელია, მეტი გარეგნული ეფექტი. რევოლუციონურმა პოეზიამ კი ამ უწესრიგობას მისცა შინაგანი აზრი: იდეური დამაბულობა, რომელიც ახასიათებს ბურჟუაზიულსა და წვრილბურჟუაზიულ ნაწილს პოეტებისას, სავსებით უცნობია ევროპის რევოლუციური პოეტებისთვის (გერმანიაში — იოანეს ბეჰერი, მაქს ბარტელი, ერნესტ ტოლერი, ოსკარ მარია გრაფ; საფრანგეთში — მარსელ

მარტინე, ჟორჟ ლუამელი (იგულისხმება ჟ. დიუამელი, კორექტურა ალბათ გამოცემისა: ნ. დ.) ვაიან კუტურე, შანდორ გაბორი, ანტალ გიდაშე; პოლონეთში — ბრუნო იასენსკი, ინგლისში — რობერტ ხოგე, ამერიკაში — მაიკლ ჰოლდი და სხვ.) უმრავლესობა ამ პოეტებისა სწერს თეთრი ლექსით, როგორც წინათ ვერჰარნი, უიტმენი.

სულ სხვა სურათია [თანამედროვე რუსეთში], ბელორუსიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, საქართველოში.

რევოლუციის შემდეგ აქ რითმას [არათუ არ დაუკარგავს თავისი ...], მიეცა უფრო ღრმა მნიშვნელობა, იგი გამდიდრდა ახალი მიღწევებით, მიემატა ახალი აზრი (ტაბიძე 2008: 401-402).

საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგიის ლუნაჩარსკის სიტყვები, რომელსაც გალაკტიონი ასე ჩაუფიქრებია, არ იყო ლიტონი. იმის გათვალისწინებით, თუ მაშინდელი საზოგადოების «ხალხის მასების» ცნობიერებაზე ზემოქმედების რა ძალას ფლობდა მხატვრული სიტყვა, რომელიც დღეს მასმედიაში ჩაანაცვლა, უფრო გასაგები შეიქნება, რა საფრთხეს უქადდა საბჭოთა სახელმწიფოებრივი წესრიგის ანუ კოსმოსის ფორმირებას ეს «ლტოლვა უწესრიგობისადმი», დაკანონებული რიტმების სრული დაკარგვა ლექსში ანუ ქაოსი; როგორ უშლიდა იგი ხელს «ახალი ადამიანის» აღზრდას, რაც იდეოლოგიური ცენტრის მიერ ხელოვნების ძირითად მიზნად გამოცხადდა.

რითმას, რაც ტრადიციულ სალექსო ფორმებში სიმწყობრეს, წესრიგს, სტრიქონთა თავისებურ უნიფიცირებას უზრუნველყოფს, საბჭოთა ხელისუფლება მიესალმებოდა და აკანონებდა კიდევ. გალაკტიონისთვის, ვისი კრეაციული ძიებანიც რითმის სფეროში რაოდენობრივად თუ ხარისხობრივად გაცილებით აღემატებოდა თავის თანამედროვეთა წარმატებულ ცდებს, რითმის ეს კანონიზაცია მაინც გარკვეული შვება იყო, თუმცა

მას მოუხდებოდა უარის თქმა ქართული ლექსის არაერთი ახალი სახეობის შექმნაზე, ყოველ შემთხვევაში, ლეგიტიმურად მაინც და აქაც არსებობდა ერთი გამოსავალი — ახალი ლექსის გადათარიღება, — ფიქციური მიკუთვნება ადრეული შემოქმედებისათვის, რისთვისაც მას სხვადასხვა მიზნით არაერთგზის მიუმართავს.

გალაკტიონისათვის, ისევე, როგორც სხვა, «თანამგზავრი» პოეტებისთვის, ლუნაჩარსკის სიტყვები იმდროინდელ მოვლენათა განვითარების ლოგიკური დასასრულისა და უკვე აშკარად მოსალოდნელ საბედისწერო მოვლენათა დასაწყისის მაცნე იყო. თუ ოციანი წლებში, საბჭოთა იდეოლოგიის მიერ, ლექსის ფორმოზრივ სფეროში მიმდინარე ყოველგვარი ძიებანი და ნოვაციები ფორმალიზმად ინათლებოდა და თანდათანობით მზარდი იდეოლოგიური კრიტიკის ობიექტად იქცეოდა, ოცდაათიანის დასაწყისიდან, «პროლეტარული მწერლობის მომძლავრების» შემდეგ ეს ყოველივე უკვე გადაჭრით იქნა მიჩნეული ბურჟუაზიული -წვრილბურჟუაზიული მტრული სამყაროს ვერაგულ კულტურულ-იდეოლოგიურ დივერსიად და უშეღავათო ბრძოლის ერთ-ერთ სამიზნედ გადაიქცა. ცხადია, ამ რეპრესიაში უპირველესად მოექცა თავისუფალი ლექსიც, რომელიც ევროპული ლიტერატურიდან გაიცნო და შეითვისა ჯერ რუსულმა და მის კვალად ქართულმა პოეზიამ. ეს კი არა მხოლოდ ვერლიბრისა და ქართული ტრადიციული ლექსის განვითარების პროცესთა ხანგრძლივ კონსერვაციას, არამედ ქართული ევროპეიზმის დასასრულსაც მოასწავებდა.

«რაკი უკვე არსებობენ რუსთველი და გალაკტიონი — ერის პოეტური ბიბლია — ქართული სმენისთვის ყოველთვის საჩოთირო იქნება უმეტრო, ურიტმო, ურითმო ლექსის აღქმა, როგორც მუსიკალურად მწირი მხატვრული აქტისა» (ნიშნიანიძე 1978: 112). —წერდა შ. ნიშნიანიძე გასული საუკუნის 70-იან წლებში თავისუფალი ლექსის გამო

გამართულ პოლემიკის დროს რეალობა კი ასეთია: «რიტმი დედაენისა მოცემულია თავისუფალი ლექსით, თავისუფალი ლექსის დაფუძნებისათვის დაწერილია ჩემიერ მთელი რიგი ნაწარმოებები: «ჯონ რიდი», ადგილები «პაციფიზმში», «რევოლუციონურ საქართველოში» და «ეპოქაში» (ტაბიძე 1975:178). — წერდა გალაკტიონი. მისი თავისუფალი ლექსები დაახლოებით თხუთმეტი წლის მანძილზე იქმნებოდა (1915-1931) და ევოლუციის გზით მივიდა იმ სახეობამდე, რასაც ლექსმცოდნეთა ერთი ნაწილი «ნამდვილ ვერლიბრს» უწოდებს.

გალაკტიონის პირველი ნაბიჯები ამ მხრივ, კონვენციური ლექსის გარეგნულ ფორმას, მის გრაფიკას მიემართებოდა და 1914 წლით თარიღდება. თანდათანობით იგი ქმნის ვერლიბრის არაერთ გარდამავალ სახეობას, რომლის რიტმული მდინარეც თავისუფალი და კონვენციური მონაკვეთების ნაირგვარ კომბინაციებს ეყრდნობა. (1916 წლით დათარიღებული «სხვები ჩხავიან, როგორც ყვავები», «შემოდგომა»). ექვსი თავისუფალი ლექსი შეტანილია «არტისტულ ყვავილებში»(1919): «სამრეკლო უდაბნოში», «ღრუბლები ოქროს ამურებით», «ვინ არის ეს ქალი», «ფარდების შრიალი», «ჩვენი საუკუნე» და «შიში»). ოციან წლებში გალაკტიონს, გარდა მის მიერვე დასახელებული ნაწარმოებებისა, შექმნილი აქვს გარდამავალი ვერლიბრის არაერთი სახეობის ნიმუში: «ზღვის ეფემერა» (1922), «ქიმიურ საგნებთან» (1924), «ეს ლექსი» (1924), «დედოფალა», «ნანა, მხოლოდ ნანა»(1927), «შენ ყოველთვის კარგი ხარ» (1927), რომელიც სხვადასხვაგვარი პოლიმეტრიისა და თავისუფალი მონაკვეთების კომბინირებით შექმნილ რიტმს ეყრდნობა.

აღნიშნულ ნაწარმოებთა ჟანრობრივი და თემატური მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ თავისუფალ ლექსს გალაკტიონი მოიაზრებს არა ჟანრად, არამედ ლექსის სახეობად და მისი იმანენტური ნიშანი რიტმიკაშიეგულება.

ეს გარემოება საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მოგვიანებით საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში გაჩნდა წარუმატებლობისთვის განწირული ცდები თავისუფალი ლექსის ჟანრობრივი მახასიათებლების გამოკვეთისა. ამ ცდებს 70-იან წლებში მხარს უჭერდა ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილიც, (ა.ვასაძე და სხვანი), რომელსაც მხედველობიდან გამორჩა ამ მხრივ არა მხოლოდ გალაკტიონის, არამედ ცისფერყანწელთა და სხვა პოეტთა 10-20-იანი წლების გამოცდილება. მაგრამ დრო გადის და პოეტს ახალი ეპოქა ახალ მოთხოვნებს უყენებს.

ვარშავა. პოლონელ პროლეტარიატის ომის წინააღმდეგ მიტინგზე სიტყვას ამბობს სეიმის წევრი. ის მიუთითებს იმ საშიშროებაზე, რომელსაც აწყობენ სახელმწიფონი დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობით. ეს საშიშროებაა ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იგი მიუთითებს პოლონეთის მთავრობის აგრესიაზე ლიტვის მიმართ. ეს არის ფრაგმენტი გალაკტიონის ერთ-ერთი უკანასკნელი უსათაურო ვერლიბრიდან «ეს იყო ცხრაას ოცდა ექვს წელში» (1930), რომელიც მე განგებ, პროზაული ფორმით წარმოვადგინე. აღვუდგინოთ ტექსტს თავისუფალი ლექსის გრაფიკა:

ვარშავა
პოლონელ პროლეტარიატის
ომის წინააღმდეგ
მიტინგზე
სიტყვას ამბობს
სეიმის წევრი,
ის მიუთითებს
იმ საშიშროებაზე
რომელსაც აწყობენ
სახელმწიფონი
დიდი ბრიტანეთის
ხელმძღვანელობით.

ეს საშიშროებაა
ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.
იგი მიუთითებს
პოლონეთის მთავრობის
აგრესიაზე ლიტვის მიმართ.
(ტაბიძე 1966: 259)

საგაზეთო-ინფორმაციული ენის პირდაპირი ტრანსპორტაცია პოეზიის ენაში, მზა ტექსტზე ძალისხმევის მინიმუმი: გრაფიკის მეშვეობით დანაწევრება, აქცენტებითა და პაუზებით გაჯერება, ამის შედეგად მიღწეული რიტმულ-ინტონაციური დინამიკა, აი ზღვარი, რომელამდეც გალაკტიონი თავისუფალი ლექსის ათვისების გზაზე მივიდა.

დღევანდელი მონაცემებით, გალაკტიონის უკანასკნელი ვერლიბრები 1931 წლით თარიღდება. მას შემდეგ პოეტს თავისუფალი ლექსისთვის აღარ მიუმართავს, თუ არ ჩავთვლით დაუმთავრებელ პოემას «პუშკინი», რომელსაც იგი ორმოცდაათიან წლებში ქმნიდა და ძნელი სათქმელია, როგორ ფორმას მისცემდა საბოლოოდ, კონვენციურ ლექსად «გარდათქვამდა» თუ ვერლიბრის ფორმას შეუნარჩუნებდა.

თუ ვინმე ითავებს ქართული ვერლიბრის ანთოლოგიის შედგენას, რაც, ჩემი ფიქრით, ძალზე საჭირო საქმეა, მეტისმეტად გაუჭირდება, ამოავსოს ის დიდი თეთრი ლაქა, 30-იანი წლების დასაწყისიდან 50-იანებამდე პერიოდს რომ მოიცავს, რადგან თავისუფალი ლექსები, რომელიც იმ პერიოდში იქმნებოდა, ბეჭდურად ნაკლებად ფიქსირდებოდა და ამის გამო

კარგა ხნით ლიტერატურის განვითარების პროცესს მიღმა იყო დარჩენილი. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი გაცილებით გვიან იხილა დღის სინათლე.

აქ უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ შოთა ჩანტლადის შემოქმედებას, სადაც ვერლიბრს უპირატესი ადგილი

უჭირავს. დანარჩენი მასალა — ძირითადად, თავისუფალი გრაფიკით წარმოდგენილი პოლიმეტრული ლექსებია.

მხატვრულ-ესთეტიკურთან ერთად, რა სოციოპოლიტიკურ ფაქტორებს უნდა განეპირობებინა ვერლიბრითა და სხვა სალექსო ფორმებით ხელახალი დაინტერესება ორმოცდაათიანი წლებიდან?

II მსოფლიო ომში ერთმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა დაამარცხა მეორე, მაგრამ ეს გამარჯვება არა მარტომ, არამედ უწინ დაუძინებელ მტრად გამოცხადებულ, აწ უკვე მოკავშირედ ქცეულ წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დახმარებით მოიპოვა. მტრადვე მიჩნეული მეზობელი ქვეყნების ფაშიზმისაგან განთავისუფლების შედეგად კი შემოიმტკიცა სოციალისტური ბანაკი. ლოგიკურად გამოდიოდა, რომ ტოტალიტარული რეჟიმის სიმტკიცისათვის მუდმივად აუცილებელი, 20-30-იან წლებში დამკვიდრებული, «საბჭოეთის მტრის» ხატი უკვე ძნელი შესანარჩუნებელი იქნებოდა და მინიმუმ, მოდერნიზაციას მაინც საჭიროებდა. «გამარჯვების ეიფორიის» დაცხრომიდან ახალ, «ცივი ომის» რიტორიკაზე გადასვლის პარალელურად, მანამდე ჰერმეტიული საბჭოთა სივრციდან ამ ქვეყნების კულტურებისკენ ფანჯარა გაიჭრა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ომისა და ერთობლივი გამარჯვების შედეგად გაჭრილი ეს ფანჯარა მჭიდროდ უკვე ვეღარ იხურებოდა. რედუცირებადი ტოტალიტარიზმის პირობებში «თანამედროვე მსოფლიოს რეალისტური ლიტერატურის საუკეთესო მონაპოვარის» ნიშნით დაიწყო შემოდინება იდეოლოგიურად მისაღები, სელექტირებული მასალისა, რომლის ნაწილი თავისუფალი ლექსიც იყო. ეს ყოველივე საგრძნობლად აფართოებდა ადრე იძულებით შეზღუდულ შემოქმედებით თვალსაწიერს და საშუალებას იძლეოდა, დაძლეულიყო იმდროინდელ საბჭოთა პოეზიაში მომწიფებული თემატურ-ჟანრობრივი და ფორმოზრივი კრიზისი: ომში გამარჯვების შემდეგ

პატრიოტული, გმირულ-ჰეროიკული პათოსით აღსავსე პოეტური ნარატივი, უკიდურესად გამღერებულ-გახალხურებული ლექსი, მისი ადაპტირებული, კლიშეობრივი იმაგინაციური სისტემა და მეტ-ნაკლებად უნიფიცირებული ფორმა, რომელიც ადრე საბჭოთა მკითხველ-მსმენელი მასების გულისაკენ მსწრაფლ იკვალავდა გზას, უკვე არააქტუალური ხდება, მკვეთრ ვარდნას იწყებს მისი ტონუსი. ამ კრიზისულ ფონზე, მანამდე იდეურად «ერთიან» საბჭოთა პოეზიაში ჩნდება დისინტეგრაციის პირველი ფრთხილი, მოსინჯვითი სიგნალები, რომელზეც საბჭოთა იდეოლოგია, ცენზურის მეშვეობით მწვავედ, (თუმცა უკვე — არა ფატალურად), რეაგირებს. თანდათანობით იგი უკვე მოთვინიერებული მწერლობისადმი (ა. ბაქრაძე) ლოიალურიც ხდება, მაგრამ 50-იანელთა ახალ თაობას ჯერ მაინც დანადგმული ველი აქვს გასავლელი.

იმდროინდელი ახალი თაობა პოეტებისა ორიენტირებულია მხატვრულ-ესთეტიკური სიახლისაკენ, მაგრამ დეზორიენტირებულია იდეოლოგიურად: საუკუნის დასაწყისის პოეტთა გამოცდილება ოფიციალურად დაგმობილია. მათგან ვინც ცოცხალი გადაურჩა 30-იანი წლების რეპრესიებს, იძულებულია, მუდამ ახსოვდეს, რა დიდსულოვნად ეპატია ხელისუფლებისაგან «წარსულის შეცდომები» და მოუფრთხილდეს ამის სანაცვლოდ მიღებულ კლიშე-ინდულგენციას: «მან ხარკი მოუხადა სიმბოლიზმს, მოდერნიზმს»და ა.შ. თუმცა არაპროგნოზირებად გარემოში ეს უსაფრთხო არსებობის გარანტიას მაინც არ იძლევა.

ამ თვალსაზრისით სიმპტომატურია 1952 წელს შოთა ჩანტლადის მიერ თავისუფალ ლექსად დაწერილი პოეტური «მანიფესტი». ეს არის ტექსტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რარიც ამაოდ ცდილობს სიახლისმამიებელი ახალგაზრდა პოეტი, მოარიგოს თავისუფალ ლექსთან, როგორც

შემოქმედებითი თავისუფლების გამოვლინების ფორმასთან, «ჭეშმარიტი შემოქმედებითი თავისუფლების» საბჭოური გაგება და სოციალისტური რეალიზმის პრინციპები. ლექსი, რომელშიც კვლავ ლუნაჩარსკის, გორკისა და სხვა იდეოლოგთა სიტყვების ექო ისმის, გაჯერებულია «წინაპრების» — გალაკტიონისა და ცისფერყანწელთა პოეზიისა და ბიოგრაფიის ალუზიებით, ოღონდ ეს ალუზიები ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურ პლანშია წარმოდგენილი. რაკი განსხვავებით კონვენციური ლექსისაგან, ვერლიბრის ფრაგმენტული ციტირება ძნელია, თან ამჯერად ამ ვრცელი ტექსტის მხოლოდ შინაარსი გვანტერესებს და არა ფორმა, გადმომაქვს პროზის სახით: «ბატონებო და ქალბატონებო, ეს გახლავთ ჩვენი უკანასკნელი სიტყვა, ჩვენი პირველი და უკანასკნელი სიტყვა გახლავთ ეს: პოეტები დაემზენ ოლიმპოდან. იმათთვის, ვინაც წინ მიგვიძღვოდა ჩვენ, პოეზია გახლდათ ფუფუნება; ჩვენთვის კი იგი — პური და წყალია და წარმოუდგენელია ცხოვრება უმისოდ. პატივისცემით უნდა მოგახსენოთ — წინაპრებისგან განსხვავებით ჩვენ მიგვაჩნია: ალქიმიკოსი როდია პოეტი. იგიც სხვასავით ადამიანია, იგი კალატოზია სახლის მშენებელი, იგია მშენებელი, რომელიც კედელში ფართო კარებს და ფანჯარას ჰკვეთს. ჩვენ ერთმანეთში ვლაპარაკობთ ჩვენი დღეების უბრალო ენაზე, კაბალისტიკის არ გვწამს არაფერი. და კიდევ ერთი: დედამიწაზე იმისათვის არსებობს პოეტი, რათა ხე მრუდედ არ ამოიზარდოს აროდეს. ჩვენ ამით მოგმართავთ თქვენ და ვდგებით გზაზე პოეტ-დემიურგის, იაფი პოეტის, წიგნთსაცავის ვირთხას რომ ჰგავს. პატივისცემით მოგახსენებთ — ყველა ეს ვაჟბატონი უნდა გასამართლდეს, რამეთუ აგებენ ჰაეროვან კომპებს და უმოწყალოდ ფლანგავენ სივრცესა და დროს. უძღვნიან სონეტებს მთვარეს, სიტყვებს აწყობენ ალაღბედზე, იცავენ პარიზის უკანასკნელ მოდას, ხოლო ჩვენებურად კი ასე არ არის: აზრი

იბადება არა ბაგეებზე, არამედ გულისგულში იბადება აზრი. გადაჭრით უარყოფთ — მზის სათვალეების პოეზიას, პლაშჩის და ხანჯლის, ფრთიანი შლიაპის პოეზიას. სამაგიეროდ, გთავაზობთ — ნათელი თვალის პოეზიას, გამიშვლებული სულის, შიშველი თავის პოეზიას. არ გვწამს არაფერი ალის და ფერიების. პოეზია არის ასული, ერთი იღლია მწიფე თავთავებით, ანდა პოეზია საერთოდ არ არის. სად არიან ისინი, ვინც წინ მიდიოდნენ, ჩვენი კეთილი და უახლოესი წინაპრები. მე ვიცი ერთი: მათგან მხოლოდ ცოტანი აღწევდნენ ხალხის გულამდე და ცხოვრობენ ამ გულში. სხვები კი მუდამ, როცა კი შეეძლოთ, გამოდიოდნენ სიტყვით და საქმით პოეზიის არსის წინააღმდეგ. მით უფრო მწარეა აღიარება, რომ მათი პოეზია — კატასტროფაა, ზეიმი მეორეხარისხოვანი სიურეალიზმისა, დეკადენტობა მესამე ხარისხისა, ნაპირზე ზღვისაგან მოგდებული ძველი ფიცრები, ზედსართავი ლექსები, ცხვირისა და ხორხის პოეზია, თვითნებური, წიგნებიდან გადმოწერილი, რომლის საფუძველში ძვეს სიტყვის რევოლუცია. თუმცა, პირობის თანახმად, იგი უნდა დადგეს გრძნობისა და იდეის რევოლუციის საფუძველზე. ნახევარდუჟინი რჩეულების მოჯადოებული წრე: აბსოლუტურად თავისუფალი სიტყვა! და დღეს ჩვენ ვიკითხავთ გაცემით: რისთვის იწერებოდა ყოველივე ეს? იმისთვის, რომ დაეშინებინათ წვრილი ბურჟუაზია? რა ტყუილად დაკარგულა დრო! ბურჟუა რეაგირებს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე ეხება საჭმლის მონელებას. შეეცადეთ, შეაწუხოთ იგი ლექსებით! ასეთია ვითარება: სანამ ისინი აფუძნებდნენ შებინდების პოეზიას, ღამის პოეზიას, ჩვენ ვიცავდით განთიადის ლექსებს. ცისკრის პოეზიას პოეზიისსინათლე უნდა უნათებდეს ყველას დედამიწაზე, ყველგან დედამიწაზე, ყველამდე აღწევდეს... (ჩანტლაძე 1984: 84)

ვფიქრობ, ტექსტის საერთო ლოგიკიდან გამომდინარე, აქ სიტყვები: «და ვდგებით გზაზე პოეტ-დემიურგის» — უნდა

გავიგოთ, როგორც გზაზე გადავუდგებით, ველობებით, გზას ვუკეტავთ პოეტ-დემიურგს. ცხადია, ხანგრძლივი დროითი წყვეტის შემდგომ თავისუფალი ლექსის ათვისების ახალი ცდისას ქართული ვერლიბრის პირველშემომტანი «წინაპრების» ამგვარი რეცეფცია უკვე გამორიცხავს მათი პოეტური გამოცდილების გაზიარებისა და ტრადიციის აღდგენის ალბათობას. გალაკტიონისა და ცისფერყანწელთა გამოცდილებას ნაკლებად იზიარებენ ვერლიბრის შედარებით გვიანდელი ავტორებიც. ყოველ შემთხვევაში, ეს დასტურდება ბესიკ ხარანაულის სიტყვებში: «მე როცა ვიწყებდი, თავისუფალი ლექსები იმ სახით, გულზე რომ მომხვედროდა, არ მინახავს. პირადად ჩემს შემოქმედებაზე გალაკტიონის ვერლიბრებს უშუალო გავლენა არ მოუხდენია. თქვენ კი გეგულებათ ვინმე, ვინც ტრადიციად გალაკტიონის ვერლიბრი აიღო? (ხარანაული, 2002: 133).

***50-იან წლებში გამოქვეყნებული თავისუფალი ლექსებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მუხრან მაჭავარიანის «მიწურული მეცხრამეტე საუკუნისა ანუ იმერული ქელები» (1951-1953):

ასწლოვან მუხებში გაშლილია მდიდარი სუფრა.

გარდაიცვალა ცნობილი თავადი ფრიდონ!

— ჩინებული ალაპია!

ლატაკი აზნაური — კოწია — თავაზიანობს ნამეტანს:

«კარტოფილს არ მიირთმევთ, ქალბატონო აგრაფინა?!

მანდილოსანმა გადმოიღო მცირედი ულუფა —

დიმილით ნაზით.

მამაკაცები ეწაფებიან უშველებელ ყანწებს

კოწია — არწივი ბახტრიონის,

აგრაფინა — ვარდი შირაზის,

ეარშიყებიან ურთიერთს;

მოდგენ ხასიათზე —

რადღაი გაძღენ.

(ო, ეს კი აღარ ვარგა):
კოწიამ ყელი მოიღერა სამღერლად.
დაიჟინა: ქორწილში ვართო!
არწმუნებს აგრაფინას:
მე ვარ იადონი
და დღეს შენზე ვიწერ ჯვარს, ქორფა ვარდო!
(მაჭავარიანი, 1979: 39)

ამ ვერლიბრს, რომელიც სპორადულად არის გართმული და თავისუფალი გრაფიკა აქვს, ქართულ პოეზიაში თავისი ე.წ. იდენტური ტყუპისცალი ჰყავს, (თუმცა იგი გაცილებით გვიან იშვა). არა მხოლოდ მსგავსი სათაური, არამედ, უკიდურესი მსგავსება ყველა დონეზე: თემა, ნარატიული სიტუაცია, ამ სიტუაციის ირონიულ-პაროდული ხედვა, კომპოზიცია, თავისუფალი გრაფიკა, თავისუფალი რიტმი, იმერული დიალაქტიზმებით გაჯერებული სასაუბრო მეტყველება, სპორადული რითმები სტრიქონების ბოლოს და ა.შ. — ოღონდ მუხრან მაჭავარიანის ლექსში თუ თავადი ფრიდონის გარდაცვალების ამბავია, შოთა ნიშნიანიძის «იმერული სატირალი» მინადორა ბიცოლას ამბავს გადმოგვცემს:

ტირიან დეპეშები,
მოთქვამენ დეპეშები,
თმა-წვერს იგლეჯენ და ლოყებს იხოკავენ:
მოდინან ზუზუნით,
მორბიან კივილით სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვა
კილოკავით.

ტირიან ასი წლის მინადორას —
მამიდას,
ბიცოლას,
დეიდას,
«აღმზრდელს და საყვარელს»,
«ძვირფასს და დაუვიწყარს»,

— დევილუპეთ,
დავობლდით დღეიდან,
ბაზარია,
დოლია,
ცირკი თუ სტადიონი?
ერთ ეზოში დატეულა მთელი რაიონი.
გადი-გამოდინან,
გადი-გამოდინან,
გარბი-გამორბიან ბებრუხანა მამვლები:
— ე, ბეჩა, რას შვები?!
ულვაშებზე ხელს ისვამენ იერემია წარბები
და ბუღის თვალებით ფურირემს «არბევენ» (ნიშნინიძე
1989: 448-449).

რატომ გავამახვილეთ ყურადღება ტოტალიტარიზმისა და შემოქმედებითი თავისუფლების შესახებ საუბრისას კერძოდ, ამ ორი ლექსის ურთიერთმიმართების მაგალითზე? საქმე ის გახლავთ, რომ 70-იან წლებში ვერ

ლიბრის გამო გამართულ პოლემიკაში შოთა ნიშნინიძე ვერლიბრის ყველაზე დიდ მოწინააღმდეგედ და კონვენციური ლექსის დამცველად გამოდიოდა, მეორე მხრივ კი, თავადვე ეძებდა გზებს, გამომსახველობით საშუალებებს თავისუფალი ლექსის შესაქმნელად. უთუოდ ამ წინააღმდეგობის ასახსნელად განმარტავდა იგი პოლემიკისას, რომ ებრძოდა არა ზოგადად ამ სალექსო ფორმას, არამედ მოძალეზას უმწეო, «უცეცხლო» პოეტური ტექსტებისა, რომელიც თავისუფალი ლექსის ეგიდით მკვიდრდებოდა ქართულ პოეზიაში, მაგრამ ხელისუფლებისა და მკითხველთა მიერ ერთობლივად აღიარებული ამ პოეტის სოციალური სტატუსი იმდენად მაღალი იყო, რომ ეს ყოველივე თავისუფალი ლექსისა და შემოქმედებითი თავისუფლებისადმი ლიტერატურული ოფიციალის პოზიციად ფიქსირდებოდა.

შოთა ნიშნიანიძე წერილში «პაწაწკინტელა სოფიზმები და დიდი რეალობა» ასე სვამდა საკითხს: ჰქონდა თუ არა უფლება მის საპირისპირო პოზიციაზე მდგარ მოკამათეს, რომელიც სულ ახალი დანიშნული იყო აღმანახ «კრიტიკის» მდივნად, გამოეთქვა საკუთარი აზრი ვერლიბრის დასაცავად: «მაშინ, როცა ნამდვილი მედროშეები ჩუმად არიან. მოულოდნელი იყო რომაული მახვილი, ლექტორის წკეპლა, სჯულმდებლის მანტია — ყოვლისმცოდნის პოზა, საიდან გაუჩნდა ოპონენტს საკუთარ თავზე ასეთი წარმოდგენები? როცა კაცს სხვაზე მეტი არ გაუკეთებია, ხმაც არ ამოეღება, თორემ დაუმსახურებელი პოზა მასვე ხდის სასაცილოს (ნიშნიანიძე 1978: 114). — პასუხობდა შ. ნიშნიანიძე მამუკა წიკლაურს აღმანახ «კრიტიკაში» გამოქვეყნებულ წერილზე «კრიტიკული ლაშქრობა უფაქტებოდ».

ცხადია, დიალოგურობის პრინციპებზე დაყრდნობილ დემოკრატიულ საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში საკითხის ამაგვარად დაყენება — უბრალოდ, ნონსენსი იქნებოდა და ეს კვლავ ტოტალისტური ცნობიერების გამოხატულება იყო, ისევე როგორც იმდროინდელი უკიდურესი მითიზაცია თავისუფალი ლექსისა.

გასული საუკუნის ქართული ვერლიბრის ისტორიის პრობლემატიკაზე მუშაობისას არ არის ადვილი, არა მხოლოდ ამ, არამედ პოლემიკის სხვა მასალებიდან გაიმიჯნოს ლიტერატურათმცოდნეობითი და სოციალური ასპექტები, მხარეთა ურთიერთსაპირისპირო არგუმენტებიდან მოხელთებული იქნეს საკუთრივ ლექსმცოდნეობითი თვალსაზრისით საყურადღებო მომენტები, დაფიქსირდეს მათ შორის ლოგიკური კავშირები. 1978 წლის ჟურნალ «ცისკრის» მეოთხე ნომერში გამოქვეყნებული ანკეტა კი ღირსებებთან ერთად, ლექსმცოდნეობითი თვალსაზრისით, იმ ნაკლით ხასიათდებოდა, რომ შემდგენელთა მიერ სიღრმისეულად არ

იყო გააზრებული პრობლემა, რომლის თაობაზეც აზრის გამოთქმას სთხოვდნენ ქართველ მწერლებსა თუ ლიტერატურათმცოდნეებს. ეს ჩანს შემდეგი კითხვის ფორმულირებაში: «რომელი ლექსის წაკითხვა გირჩევნიათ, რითმიანისა თუ ვერლიბრისა, და რატომ?»

აქ პრინციპული ხასიათის შეცდომა იყო დაშვებული, რადგან ანტონიმურ წყვილად მოიაზრებოდა ვერლიბრი და რითმიანი ლექსი, რომელიც შეიძლება იყოს კონვენციურიც და არაკონვენციურიც ანუ თავისუფალი, როგორც ეს ვნახეთ მუხრან მაჭავარიანისა და შოთა ნიშნიანიძის ლექსების მაგალითზე, ხოლო ვერლიბრი, ანუ თავისუფალი ლექსი, რომელიც რითმასთან დამოკიდებულებაში შეუზღუდავია, გაიგივებული იყო ვერბლანთან ანუ ურითმო, თეთრ ლექსთან. ამ ანკეტის პასუხებში გამოიკვეთა ტენდენცია, დასაბუთებულიყო, რომ ვერლიბრს ჩვენშიც ისეთივე ძველი მრავალსაუკუნოვანი (და შესაძლოა — უფრო ძველი) ტრადიცია აქვს, როგორც კონვენციურ ლექსს (ჯ. აჯიაშვილი, გ. ბაქანიძე). ახალ მოვლენად მიიჩნევენ მას გ. გაჩეჩილაძე, ა. გაწერელია, ნ. კაკაბაძე, გ. კანკავა, ჯ. ღვინჯილია, ვ. ჯავახიძე და გ. ასათიანი. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ა. გაწერელიას აზრი: «ვერლიბრის თავისებურება ისაა, რომ მისი უხმო კითხვის თუ ზეპირი წარმოთქმის დროს საზომი მკაფიოდ არ ვლინდება სისტემის სახით, თავისუფალ ლექსში იგი (მეტრი) მონაწილეობს პოტენციალურად და მეტწილად აუნაზღაურებელი მოლოდინის სახით» (გაწერელია 1978: 118), თუმცა, ეს აზრი ესადაგება გარდამავალი ვერლიბრის ერთი კერძო სახეობას და მისი განზოგადება ვერ-ლიბრის მრავალ სახეობაზე, თუნდაც გალაკტიონის მრავალფეროვან თავისუფალ ლექსებზე — შეუძლებელია. და რაც მთავარია, პოლემიკასა და ანკეტაშიც კვლავ მივიწყებული იყო მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ტრადიცია, რომელიც არა მხოლოდ გალაკტიონის, არამედ ცისფერყანწელების, ფუტურისტების, ზოგადად

ქართული მოდერნიზმის წარმომადგენელთა სახელებს უკავშირდებოდა თუმცა ამას ერთი ახსნა მაინც ეძებნება. მათ ესეისტიკაში დაფიქსირებული მასალები, რომელიც ვერლიბრის რაობას, ისტორიას და ა.შ. შეეხებოდა, ლიტერატურულ აზროვნებაში ძირითადად ოთხმოციანი წლებიდან აქტუალიზდება მანანა ხელაიას მიერ გამოცემული კრებულის «ქართული ლიტერატურული ესეე»(ხელაია 1986) წყალობით. და რაკი იმდროინდელი კულტურული მეხსიერებიდან ხელოვნურად მოხსნილია თავისუფალი ლექსის პრაქტიკული და თეორიული ათვისების სიმბოლისტურ-მოდერნისტული გამოცდილება, იქმნება რუსული გზით შემოსული უცხოური თავისუფალი ლექსების შუალედური თარგმანები, ძირითადად ათმარცვლედით ან თოთხმეტმარცვლედით. ამ პრაქტიკას ისიც უმაგრებს ზურგს, რომ თარგმანის თეორიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ თავისუფალი ლექსი «ქართულად შესაძლებელია, მხოლოდ მტკიცე მეტრის საზღვრებში არსებობდეს.»(გაჩეჩილაძე 1959: 310).

ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან ვერლიბრის დამკვიდრების პროცესი პოლემიკურიდან დიალოგურ ფაზაში გადადის, ქვეყნდება თეიმურაზ დოიაშვილის საუბარი ტარიელ ჭანტურიასთან, სათაურით «ჯერი ახლა პოეტებზეა!» (დოიაშვილი 1989:90) სადაც 70-იანი წლების ლიტერატურული პროცესების ფონზე გამოკვეთილია ძირითადი კანონზომიერებანი და ტენდენციები ქართული ლექსის განვითარებისა. ეს არის იმ დროისათვის პირველი შემთხვევა ვერლიბრის პრობლემის გადატანისა პროფესიონალური დიალოგის სფეროში და მიუხედავად იმისა, რომ მხარეები საკითხთა წყების შესახებ განსხვავებულ პოზიციებზე დგანან და თანაც, როგორც ასეთ შემთხვევებშია მოსალოდნელი, დიალოგი კრიტიკოსის ლოგიკურ-ანალიტიკური დისკურსისა და პოეტის ასოციაციურ-სახეობრივი დისკურსის კოორდინირების

პირობებში ვითარდება, მასში უკვე შემოწერილია ის სააზროვნო არე, რომელშიც თავსდება თავისუფალი ლექსის პრობლემატიკა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში, რაც რედუცირებადი ტოტალიტარიზმის ფაზაში თავსდება, კომუნისტური ხელისუფლება საგარეო-კულტურული პოლიტიკის ახალ კურსს ისახავს — საკუთარი კულტურული მონაპოვრის რეპრეზენტირებას მსოფლიოს წინაშე. ეს ითვალისწინებს ორმხრივი კულტურული ურთიერთობის გაფართოებას არა მხოლოდ «მოდმე სოციალისტურ ქვეყნებთან», არამედ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, რასაც გარე სამყაროდან ლიტერატურის სფეროშიც მრავალი სიახლე შემოაქვს, იდეოლოგიური ცენტრის ლოიალური დამოკიდებულების პირობებში საბჭოურ მენტალობაში შესამჩნევი ცვლილებები ხდება. სიტყვა «თავისუფლება» იფართოებს კონოტაციურ არეს. 60-70 -იან წლების მიჯნაზე მოსულ პოეტთა ახალი ნაკადი სარგებლობს იდეოლოგიური ცენტრიდან სანქცირებული ამ თავისუფლებით და მისი ერთი ნაწილი სწორედ რითმას, როგორც თავისუფლების შემზღუდავ ნიშანს უპირისპირდება. ეს საერთო პათოსი მოგვიანებით ამგვარად გამოიხატა დალილა ბედიანიძის ლექსში:

ვათავისუფლებ ოთხ სტრიქონზე ჯვარცმულ რითმებს
და მარცვალდათვლილ სიტყვებს ლექსში ვათავისუფლებ,
ვათავისუფლებ დარაჯებს და არადარაჯებს
და მერე თვითონ თავისუფლებას ვათავისუფლებ.

გადამწყვეტი შეტევა რითმაზე, როგორც უწინ შემოქმედებითი თავისუფლების ამკრძალავ, აწ კი შემზღუდავ ნიშანზე, 60-70-იანი წლებიდან ერთდროულად ორი განსხვავებული მიმართულებით ხდება: ერთია პაროდირება, ანუ ირონიულ-პაროდულ ლირიკაში მისი

მახვილგონივრული გამოყენება; მეორე — მისი ნეგაცია, ანუ მოძალემა ვერლიბრად სახელდებული ურითმო ლექსისა, რომელსაც თავისუფალი გრაფიკა აქვს და რეალურად პოლიმეტრულ (5/4/5) (5/5) საზომთა კომბინაციას წარმოადგენს. აღნიშნული პერიოდიდანვე შეინიშნება ერთი მოვლენა - «კლასიკური» გრაფიკის მქონე კონვენციური ლექსების არათანაბარ «სტრიქონებად დატეხვა» ხელახალი გამოქვეყნებისას, რაც თავისუფალი ლექსის ილუზიას ქმნის და თითქოს აუქმებს საზღვარს ვერლიბრსა და ვერბლანს შორის. ლექსმცოდნეობითი კუთხით, ეს იქნებ ლექსის რიტმული მონოტონიიდან განთავისუფლების, ინტონაციური აქცენტებითა და პაუზებით გამდიდრების ცდადაც მიგვეჩნია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოქვეყნებული ლექსის საზღაური იმ დროს სტრიქონთა რაოდენობით განისაზღვრებოდა, ვფიქრობ, კვლავ ჩნდება მოტივი სალექსო ფორმის განვითარებაზე სოციალური ფაქტორის გავლენის შესახებ სამსჯელოდ.

პოსტსაბჭოური თაობის მიერ წინამორბედთა კონვენციური და თავისუფალი ლექსიც უკვე საბჭოურ, ტრადიციულ მოცემულობად მოიაზრება და მათდამი დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანია. უშუალო კონტაქტების დამყარება გარე კულტურულ სივრცესთან ხსნის პერსპექტივას ქართული კულტურის ახალი, ვესტერნიზაციის ნიშნით წარმართვისათვის.

საბოლოოდ, თუ ქართული ვერლიბრის ისტორიას ერთდროულად სოციოლოგიური თვალთახედვითაც მივუდგებით, იძულებითი წყვეტადობის ფაქტორის გათვალისწინებით შესაძლოა საუბარი მასში სამი ფაზის არსებობაზე:

1. მეოცე საუკუნის 10-იანიდან 30-იანის დასაწყისამდე ე.წ. ევროპეიზაციის ფაზა, რომლის დროსაც ქართული თავისუფალი ლექსი ფორმოზრივად მრავალფეროვანია.

2. 50-იანიდან 80-იანის ბოლომდე — თანდათანობით რედუცირებადი ტოტალიტარიზმის ფაზა, როდესაც თავისუფალი ლექსი რაოდენობრივად თანდათანობით მატულობს, მაგრამ ფორმოზრივი თვალსაზრისით მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა.

3. 90-იანი წლების დასაწყისიდან, ე.წ. პოსტსაბჭოური პერიოდიდან დღემდე — ვესტერნიზაციის ფაზა, რომელშიც, ისევე როგორც წინა ფაზებში, რამდენიმე ქვეფაზის გამოყოფაა შესაძლებელი. ტრადიციულ და დასავლურ კულტურათა კონტექსტებთან მიმართების გათვალისწინებით თავისუფალი ლექსი მკვეთრად პრევალირებს რაოდენობრივად და სახე-ობათა მრავალფეროვნების მხრივ.

მესამე ფაზის განვითარების შემდგომი ქვეფაზების შესახებ ჯერჯერობით პროგნოზირება თუ შეიძლება. ზოგადად კი უნდა ითქვას, რომ არ გამართლდა აზრი, თითქოს თავისუფალი ლექსის ფორმა შეუთავსებელია ქართული ლექსის ბუნებასთან, რასაც ქართული ვერლიბრის საუკეთესო ნიმუშების არსებობა თვალნათლივ ადასტურებს.

დამოწმებული ლიტერატურა:

გაჩეჩილაძე 1959: გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები თბილისი: გამომცემლობა «საბჭოთა საქართველო». 1959.

გაწერელია 1978: გაწერელია ა. საუბარი პოეზიაზე. «ცისკრის» ანკეტა. ჟ. ცისკარი. 4. 1978.

დოიაშვილი 1989: დოიაშვილი თ. გუმინ, დღეს, ხვალ. თბილისი: გამომცემლობა «საბჭოთა საქართველო». 1989.

მაჭავარიანი 1979: მაჭავარიანი მ. ერთტომეული. თბილისი: გამომცემლობა «საბჭოთა საქართველო». 1979.

ნიშნიანიძე 1978: ნიშნიანიძე შ. პაწაწკინტელა სოფიზმები და დიდი რეალობა. ჟ. ცისკარი 2. 1978.

ნიშნიანიძე 1989: ნიშნიანიძე შ. ლირიკა. თბილისი: გამომცემლობა «მერანი». 1989.

ტაბიძე 1966: ტაბიძე გ. თხზულებანი 12 ტომად. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა «საბჭოთა საქართველო». 1966.

ტაბიძე 1975: ტაბიძე გ. თხზულებანი 12 ტომად. ტ. XII. თბილისი: გამომცემლობა «საბჭოთა საქართველო», 1975.

ტაბიძე 2008: ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ ტომად. ტ XXII. თბილისი: გამომცემლობა «ლიტერატურის მატთანე». 2008.

ჩანტლაძე 1984: ჩანტლაძე შ. თენდება, დამდება. თბილისი: გამომცემლობა «ლიტერატურის მატთანე» 1984.

ხარანაული 2002: ხარანაული ბ. სანამ ცოცხალია ენა. კრ. «გალაკტიონოლოგია 1». თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა. 2002.

ხელაია 1986: ხელაია მ. ქართული ლიტერატურული ესსე. თბილისი: გამომცემლობა «მერანი». 1986.

პროექტი «50 საუბარი ხელოვნებაზე»

სტატია მომზადდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარე პროექტისთვის — «50 საუბარი ხელოვნებაზე» . «გვესაუბრება» საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურის პროგრამების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, მაია სიმონიშვილი.

ილუსტრაცია

ილუსტრაციას უწოდებენ:

1. ახსნა-განმარტებას თვალსაჩინო მაგალითებით;
2. გამოსახულებას, რომელიც ახლავს და ავსებს ლიტერატურულ ტექსტს (ნახატი, გრაფიურა, ფოტოსურათი, რეპროდუქცია, რუკა, სქემა და ა.შ.);
3. ხელოვნების დარგს, რომელიც დაკავშირებულია ლიტერატურულ და სამეცნიერო ნაწარმოების გამოსახვით განმარტებასთან.



ილუსტრაციები წარმოგვიდგენს: ტექსტის პერსონაჟების გამოსახულებას, აკადემიურ ტექსტში აღწერილი საგნის ნიმუშს, ტექნიკურ სახელმძღვანელოში მოცემულ ინსტრუქციებს. იგი თხრობას ხასიათს ანიჭებს, ბრენდს იდეასთან აკავშირებს. გვიჩვენებს ადამიანის თვალით უხილავ საგნებს, აღემატება თხრობის ლინგვისტურ ასპექტებს და აღძრავს ემოციებს მნახველში, შთააგონებს მას.

ილუსტრაციების ყველაზე ადრეული ფორმა გამოქვაბულის ნახატებია; პირველყოფილი ადამიანები გამოქვაბულის კედლებზე ხატავდნენ, იმას რასაც მიმდებარე ტერიტორიებზე ხედავდნენ. მათი საშუალებით ტომის წარმომადგენლები ერთმანეთს სხვადასხვა სახის ინფორმაციას გადასცემდნენ. შემდეგ ილუსტრაციამ უფრო დახვეწილი ფორმა და მნიშვნელობა შეიძინა.

თავდაპირველად ხელნაწერების ილუსტრირება ხდებოდა მინიატურებით, წიგნის ბეჭდვისა და ქსილოგრაფიის გამოგონების შემდეგ ილუსტრაცია გრაფიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი გახდა. ქსილოგრაფიული ილუსტრაცია ჩინეთში VI-VII სს.-ში გაჩნდა; განსაკუთრებით XII საუკუნეში განვითარდა. ამ დროს ჩინური ილუსტრაციები გამოირჩეოდა ლაპიდარული გამომსახველობითი ხერხებით. XVI ს. დასასრულიდან ხეზე ფერადი გრაფიურება დაიწყო.



ევროპაში ქსილოგრაფიული ილუსტრაცია XV საუკუნეში ჩაისახა; თავდაპირველად იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მინიატურასთან. XVI ს-იდან მხატვრები ცდილობდნენ გადმოეცათ სივრცე, მიეღწიათ ფერწერული ეფექტებისთვის. ილუსტრაციებისთვის გამოიყენებოდა გრავიურა და ოფორტი. შუა საუკუნეების და აღორძინების ეპოქის საუკეთესო ოსტატები იყვნენ: ა. დიურერი, ჰ. ოლბეინ უმცროსი, ლ. კრანახ უფროსი, უ. გრაფი.

ოქროს ხანიდან ფოტოგრაფიამდე

XIX საუკუნის ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე ნაყოფიერმა ილუსტრატორმა გუსტავ დორემ თავის ილუსტრაციებში 1880-იანი წლების ლონდონის დარბი უბნების ასახავით ხელი შეუწყო ხელოვნებაში სოციალური ხასიათის კომენტარების განვითარებას (დღეს ეს შეიძლება კონცეპტუალურ ხელოვნებას შევადაროთ). დორეს ნამუშევრები ძირითადად მონოქრომული გრავიურები იყო.

მოგვიანებით, პრე-რაფაელიტების (1878) გავლენით, ფერის შესაძლებლობები და ხელით ბეჭდვის ტექნიკა გამოიყენეს ედმუნდ დულაკმა, არტურ რაკჰემმა, ვალტერ

კრეინმა, კაი ნილსენმა და სხვებმა. მათი თემა შუა საუკუნეების ეთოსი და მითოლოგიურ-ზღაპრული პერსონაჟებია.

ამერიკული ილუსტრაციის ოქროს ხანად ითვლება 1880-იანი წლებიდან I მსოფლიო ომამდე პერიოდი, როდესაც გაზეთებმა, მასობრივმა ჟურნალებმა და ილუსტრირებულმა წიგნებმა ხელი შეუწყვეს მედია - ბაზრის ჩამოყალიბებას. ბექდვითი ტექნოლოგიების გაუმჯობესებამ ილუსტრატორებს მეტი თავისუფლება მისცა ფერისა და ახალი გამომსახველობითი ტექნიკის ექსპერიმენტებისთვის.

ოქროს ხანის ილუსტრატორების ჰარმონიულ სტილს დაუპირისპირდა ობრი ბირდსლეი, რომლის ნამუშევრები ძირითადად, შავ-თეთრ სილუეტებს წარმოადგენდა; იგი ცნობილი გახდა ოსკარ უაილდის «სალომეას» ილუსტრაციებით. ამავე პერიოდში, ამერიკელი ხელოვანები ამკვიდრებენ ახალ ტრადიციას, რომელიც დღესაც პოპულარობით სარგებლობს და განსაკუთრებული პორტრეტული, ბუნებრივი სტილით ხასიათდება (ჰოვარდ პიელი).

ლათინურ ამერიკაში, განსაკუთრებით პოპულარული იყო სანტიაგო მარტინეს დელგადოს ილუსტრაციები, რომელიც ჟურნალ Esquire Magazine-სთვის შეიქმნა. მარტინესი არქიტექტორ ფრანკ ლოიდ ვრაითის მოწაფე იყო და არტ დეკოს სტილში მუშაობდა.

1930-იან წლებში, პროპაგანდის ხელოვნებისა და ექსპრესიონიზმის გავლენით, ბრიტანელმა თვითნასწავლმა ილუსტრატორმა, არტურ ვრაგმა შექმნა ახალი სტილი. ის სოციალისტური და პაციფისტური



იდეების მომხრე იყო და პოლიტიკურ პოსტერებს ქმნიდა კალმითა და მელნიით, თუმცა, მალე ხელით შესრულებული ილუსტრაციები ნაბეჭდმა ფოტოებმა შეცვალა.

1950-60-იანი წლებში სარეკლამო სფეროს განვითარებამ და პოპ-კულტურის ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ილუსტრაციის პოპულარიზაციას. ამ მხრივ, შეუფასებელია ენდი ვორჰოლისა და როი ლიხტენშტაინის ნამუშევრების გავლენა. ამ პერიოდის კიდევ ერთი განსხვავებული სტილის ილუსტრატორია ნორმან როკუელი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ილუსტრატორებმა ლიტერატურული ნაწარმოების თავისუფალი ინტერპრეტაცია დაიწყეს — საფრანგეთში: მ. დენი, ა. მაიოლი, რ. დიუფი, ა. მატისი, პ. პიკასო; ბელგიაში ფ. მაზერელი; შვეიცარიაში — ჰ. ერნი; იტალიაში — რ. გუტუზო; ავსტრიაში — ა. კუბინა.

1920-იან წლები რუსეთში ქსილოგრაფიის აყვავების პერიოდი იყო (ვ. ფავორსკი, ა. კრავჩენკო), ამ პერიოდში ჩნდება ფოტომონტაჟი. ვითარდება საბავშვო წიგნის

ილუსტრაციები. მომდევნო პერიოდში იქმნება უფრო რეალისტური ნამუშევრები (დ. შმარინოვი, ს. გერასიმოვი, კუკრინიქსები, ე. კიბრიკი და სხვ.). ილუსტრაცია უფრო უახლოვდება დაზღურ გრაფიკას. 1950-60-იან წლებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით განვითარდა ილუსტრაცია (ი. ვასნეცოვი, ო.ვერეისკი, ვ.გორიაევი, ა.ვიურცი, ვ.ლიპინსკი და სხვები).

დღემდე, ვიზუალური ხელოვნების სამყაროში, ილუსტრატორებს ფერ მწერთა და გრაფიკულ დიზაინერთა შედარებით, ნაკლები ყურადღება ეთმობოდათ. 1990-იანი წლებიდან, ტრადიციული სტილის ილუსტრატორები გამოცდის წინაშე დააყენა კომპიუტერული გრაფიკის განვითარებამ. თუმცა, ტრადიციული მეთოდები და ფერწერა მცირეოდენი სახეცვლილებით კვლავაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. საინტერესოა ტრადიციული მეთოდებისა და უახლესი ტექნოლოგიების შერწყმით მიღებული ნამუშევრები. დღეს, ელექტრონული მედიის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით იზრდება ილუსტრაციების მნიშვნელობა.

ქართული ილუსტრაცია

საქართველოში ილუსტრაცია ხელნაწერის გაფორმებასთან იყო დაკავშირებული,. ადრინდელი ილუსტრაციები გამოირჩეოდა ფაქიზი კოლორიტით, ხაზგასმული დეკორატიულობით, შესრულების მაღალი დონით. აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ბექა ოპიზარის მიერ შესრულებული «წყაროსთავის სახარების» ყდის მოჭედულობა.



«წყაროსთავის სახარების» ყდის ერთ მხარეს, ვერცხლის მოჭედილობაზე (20 სმ ხ 17 სმ), "ვედრების" კომპოზიციას გამოსახული, მეორეზე - "ჯვარცმისა". გლუვ ფონზე ფიგურები და კუთხეების მცენარეული ორნამენტი მაღალი რელიეფითაა გადმოცემული, ტახტზე მჯდომი ქრისტეს თავთან და ფეხებთან მოჭედილობის საერთო კომპოზიციასთან შერწყმული, ჩარჩოშემოვლებული რელიეფური ასომთავრული წარწერებია, რომელთა მიხედვით წყაროსთავის სახარების დამკვეთია ("... წერით და მოჭედით:") ტბეთის ეპისკოპოსი იოანე მტბევარი. მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულებათა შორის კი ასეთი წარწერაა: "ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი ბექა? ოპიზარი". ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერის თანახმად, ეს სახარება გადაიწერა 1195, ყდის მოჭედვის თარიღიც იგივე ან მომდევნო წელი უნდა იყოს.

ქართული წიგნის გრაფიკის ფუძემდებელმა, გ. ტატიშვილმა დამოუკიდებლად შეისწავლა ქსილოგრაფიის ტექნიკა. აღსანიშნავია მის მიერ ილუსტრირებული იაკობ გოგებაშვილის დედა ენა და ბუნების კარი. ქართული

წიგნის ილუსტრაციის განვითარება დაკავშირებულია ჟურნალების: კვალის, ნობათის, ჯეჯილის, ნაკადულის გამოცემასთან, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მხატვრები: მ. თოიძე, ა. მრევლიშვილი, ა. ბერიძე, შ. ქიქოძე და სხვები.



განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰ. ჰრინეცკის ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ილუსტრაციები. მ.ზიჩის, ლ. გუდიაშვილის, ს. ქობულაძის, თ. აბაკელიას, ირ. თოიძის ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები. 1920-იან წლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქართული წიგნის ილუსტრაცია. დაინერგა ლითოგრაფია და ქსილოგრაფია (დ. ქუთათელაძე, ვ. ქუთათელაძე, ვ. კეშელავა). ილუსტრაციის დარგში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ: ი. გაბაშვილი, ლ. გუდიაშვილი, შ. ცხადაძე, ზ. ნიჟარაძე, ა. ბანძელაძე, ლ. ცუცქირიძე, თ. მირზაშვილი, თ. ყუბანეიშვილი, ვ. ონიანი, გ. ოჩიაური, ბ. ბერძენიშვილი, ზ. კაპანაძე და სხვები.

XXI საუკუნის ქართულ ნამუშევრებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს რუსუდან ფეტვიაშვილის მიერ შესრულებული სახარების ილუსტრაციები, რომელიც მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სქართველოს

კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით შესრულდა და წმინდა სამების საკათედრო ტაძარში ინახება.

ქართული პოლიგრაფიის, წიგნის ბეჭდვისა და ელექტრონული მედიის განვითარებასთან ერთად, ილუსტრაცია დღეს კიდევ უფრო აქტუალურ ადგილს იმკვიდრებს ქართულ ხელოვნებაში.

ლიტ. წყარო:

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V., თბილისი. 1980.- გვ.: 109-110.

<http://www.artdaily.com>

The language of art

იკა ქადაგიძე

თანამედროვე დონ-კიხოტის პროტესტი

რატი (ტატო) ნინუა

რამდენი ადამიანი სვამს სადღეისო კითხვას: მავანს პირადად იცნობ (იცნობდი), თითქოს ცხოვრების საზღაური ესოდენ ამაფორიაქებელ, ინტიმურ ან სულაც საბედისწერო გამოკითხვაზეა დამოკიდებული.

ჩვენს მიღმა გარესამყარო მოძრაობს. იგი ყველას მეტ-ნაკლებად «გვიცნობს». სამაგიეროდ ჩვენ ამის საპირწონედ ცოდნის შესაბამისი მარაგით ვერ დავიკვებებით თუ ვერ დავიტრაბახებთ.

ამასობაში სადღეისო კითხვა, მისტიკურიც, ამავედროულად, კვლავ დღის წესრიგის სახით აღმართულა და ადამიანის ცნობიერების შემოსაზღვრულობას ჩვენთვის უცნობ კანონებზე დაყრდნობით უგულებელყოფს.

ადამიანურ ზრახვებში ჩაჭედილი ლოგიკა საპირისპირო შედეგს იძლევა. ის, ვინც მეტ ადამიანს იცნობს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაოდენობრივად მეტი ადამიანის ცხოვრების რიტმში მონაწილეობს, საზოგადოებაზე თავდაჯერებული პიროვნების შთაბეჭდილებას ახდენს და შესაბამისი ავტორიტეტის მოპოვება გარანტირებული აქვს. აქედან გამომდინარე, მისკენ უამრავი ცნობისმოყვარე ადამიანის კითხვაა მიმართული, რათა გულის სიღრმეში მზორგავი ეჭვი გარკვეულწილად დაკმაყოფილდეს. ვინ არ გადაყრია სერიოზული იერის მქონე ადამიანების ჯგუფს. ხმის ამოდებისთანავე შემმოწმებელი «სიგნალით» რომ გითრევს: ამა და ამას თუ იცნობ? არადადაკმაყოფილებელი პასუხის შემთხვევაში შენს მიმართ აღძრული ინტერესი კატასტროფულად იკლებს. აცნობიერებ, რომ მათი საზღვრებიდან განდევნილს მორიგი შესაძლებლობა აღარ მოგეცემა ამ ყაიდის ხალხის (ეს საზოგადოების უმრავლესობაა) კეთილგანწყობა ხელახლა მოიპოვო, რადგან სისხლხორცეულ შეკითხვას მოუმზადებელი დახვდი.

და მაინც, ჩვენი შინაგანი სივრცე ამ ერთი შეხედვით სადღეისო კითხვას ძირითადად უპასუხოდ ტოვებს. აქ სხვა სახის სპეკულაციაც მწიფდება. კერძოდ, გარეგანის ძალის ზეწოლა რომელიმე კონკრეტული პიროვნების (ან პიროვნებების) ნებას ან სულაც ფატალიზმს მიეწერება. ამავედროულად ჩვენივე თავს ვუგებთ ნიშნს იმის გამო, რომ ვერ შევძელით შესაფერის ვითარებაში სასურველი ან

უბრალოდ საინტერესო ადამიანი უმტკივნეულოდ მხოლოდ ჩვენივე ძალების მეშვეობით (სხვის დაუხმარებლად) გაგვეცნო. სწორედ ამ მომენტის ხელიდან გაშვებისას მძაფრდება სადღეისო კითხვა, რაც საზოგადოების საინტერესო პირებზე დროული ინფორმაციის შეგროვებაზე არ დაიყვანება.

ამასობაში მხედველობიდან გამოგვრჩა ერთი «წვრილმანი» ფაქტორი, ჯერ კიდევ არსებობს ადამიანთა უმცირესობა, ვისაც ამ სადღეისო კითხვით ხელმძღვანელობა უნდობლობას (ზიზღზე რომ არაფერი ვთქვათ) აღუძრავს. მათ ეგებ აზრადაც არ მოსდით ამ კითხვას არაორაზროვნად გაემიჯნონ, უბრალოდ არ სურთ დამაჯერებელი პასუხის მოძებნამდე იმ საყოველთაო ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ, რომელიც ადამიანური ურთიერთობის დროს მცდარ პროექციას აყალიბებს, გაიძულეებს პიროვნული თვალსაზრისი საზოგადოებრივი შეხედულების ჭრილში გადასინჯო და უპირატესად აღიარო ის, ვინც ამ კითხვაზე სტერეოტიპული პასუხების მთელი არსენალითაა შეიარაღებული.

და მეც, ამ სადღეისო კითხვას რატომ ჩავაცივდი? იქნებ იმის გამო, რომ ვისზეც ახლა ვწერ, მას პიროვნულად არ ვიცნობდი და თავის დროზე მეტი ფხა რომ გამომეჩინა, გაცილებით ცხოველმყოფელი დაკვირვებებით აღჭურვილი მის ხასიათს უკეთესად გავხსნიდი, თუმცა თავდებად ვერ დავუდგებოდი, რომ პირადი ნაცნობობის გაბმის (შემთხვევაში) დროს მისდამი აღძრული პატივისცემა ურთიერთობის გახანგრძლივების შემთხვევაში პროპორციულად გაიზრდებოდა.

ადამიანური ურთიერთობის განვითარების მასშტაბი შემოქმედებითი ზრდის პროცესს ოდნავაც არ ჩამოუვარდება.

მე მას შორიდან ვიცნობდი. ლიტერატურულ ასპარეზზე თითქმის ერთდროულად გამოვჩნდით. თითქმის იმიტომ

დავამატე, რომ ჩვენი შემოქმედებითი აქტივობა უნივერსიტეტში დაიწყო და განივრცო. ავბედით ოთხმოცდაათიანი წლების მიუხედავად უნივერსიტეტის მწერალთა წრემ გარს მოაზროვნე ადამიანები შემოიკრიბა. საინტერესო ღონისძიებებში ჩართულმა ბევრმა შემოქმედმა მოსინჯა ძალა. გულის სიღრმეში გვიკვირდა საყოველთაო ნგრევის ჟამს ხელოვნების მსახურების ჟინი რის საფუძველზე ძლიერდებოდა. საიდან გვქონდა ერთი შეხედვით აბსურდული, სასაცილო რომანტიზმი, მყისვე რეალობასთან შეჯახების მიუხედავად ჯიუტად რომ გვაიძულებდა ფესვმოკიდებულ ნიჰილიზმში არ ჩავძირულიყავით და ჩვენი მრწამსი გამრუდებულ პოლიტიკურ ხერხემალზე არ დაგვეშენებინა განუკითხაობის ჟამს, კოსმოპოლიტთა აღვირახსნილ თარეშში ეროვნულ ცნობიერებაზე ხელი არ აგველო? უნივერსიტეტში თავმოყრილი ახალგაზრდები ქვეყანაში არსებულ აურაცხელ სირთულეს თავისებურად უმკლავდებოდნენ. ცოდნის ტაძრის კედლებში ერთგვარმა შემოქმედებითმა ავტონომიამ დაისადგურა. იდეალური ატმოსფერო ნამდვილად არ იყო. უთვალავი ხილული თუ უხილავი ინტრიგის მიუხედავად, საკმაოდ შელანძლულ პირობებშიც შესაძლებელია შენი სათქმელი გამოხატო. კრიზისულ დროსა და ვითარებას არ მიეფარო და მხოლოდ სამომავლო გეგმების შედგენით არ გახვიდე ფონს.

უნივერსიტეტის წიაღში მოხვედრილი ახალგაზრდობა ეკლექტიკური მსოფმხედველობის მიუხედავად უმოქმედობას არ მისცემია. დღეს ლიტერატურული სივრცე გაერთიანებებისა და ორდენების სიმრავლით ფართო არჩევანის შესაძლებლობას აკანონებს. 90-იან წლებში განსხვავებული ვითარება იყო. უნივერსიტეტში მწერალთა წრის გარდა დამოუკიდებელი შემოქმედებითი გაერთიანება ოცნებაში თუ წარმოედგინა ვინმეს. 1994-95 წლებიდან ნავსი გატყდა: და ახალი საუკუნის დადგომამდე თბილისში

რამდენიმე სერიოზული ლიტერატურული ჯგუფი ჩამოყალიბდა.

რატი (ტატო) ნინუა ერთ-ერთი ამ ტიპის გაერთიანების წევრი იყო. «დემონების» (გაერთიანების სახელწოდება) პოპულარობა უნივერსიტეტის ფარგლებს სწრაფად გასცდა. მართალია ჯგუფის სახელწოდება უმრავლესობას ყურს სჭრიდა, (მაშინ «ნოვაციებით» თავმომწონეობა ახალი ხილი იყო) მაგრამ გაერთიანების წევრების ერუდიციისა და ნიჭის მკვეთრმა გამოხატულებამ ახალგაზრდული აუდიტორია ადვილად მიიმხრო. თვითდამკვიდრების მიზნით პოეტებს პროვოკაციისადმი მიდრეკილებებს ვერ დაუკარგავდა კაცი, თუმცა მათი სენსაციური «გამოხტომები» ძირითადად საზოგადოების ინერტულობისა და ნიჰილიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. პოეტების საჯარო პროტესტით პოეტის, როგორც დანიშნულებადაკარგული ინდივიდის ავტორიტეტის აღდგენას ისახავდა მიზნად. მე უფრო აკადემიურ გზას ვადექი, ამიტომ ჩვენი დაახლოება არ მოხერხდა, თუმცა სერიოზულ საჯარო განხეთქილებას, მით უფრო დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. ჩვენი «არშემდგარი» შეჯახების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ «დემონები» პროვოკაციული ქმედებების მიუხედავად ეროვნული ფასეულობების უარყოფით თავს არ იმკვიდრებდნენ. ჯგუფის წევრები ქართულ კლასიკურ მწერლობას ზედმიწევნით იცნობდნენ და იაფფასიანი გამიჯვნის ნაცვლად ახალგაზრდებში მწერლობისადმი სიყვარულს აღვივებდნენ და ამლიერებდნენ.

რატი (ტატო) ნინუა «დემონებისგან» მკვეთრად გამოირჩეოდა. თვალშისაცემ აქტიურობას ნაკლებად ამჟღავნებდა. ფიზიკურად ახოვანს შინაგანი სიძლიერე უფრო მზერაში ეტყობოდა. მისგან ხმამაღალ ლაპარაკს ან რაიმე ექცენტრიულ საქციელს პირადად არ შევსწრებივარ. გულის სიღრმეში მიკვირდა კიდეც დაჯგუფების დანარჩენ

წევრებს ხაზგასმული უბრალოებითა და უხმაურობით როგორ ეწყობოდა.

გადმოცემით ვიცოდი, რომ ლიდერ თანაგუნდელთა შორის უზომო ავტორიტეტით სარგებლობდა და მის როლს ქუჩური შეტაკებებისთვის დამახასიათებელი წვრილმანი გამარჯვებები არ შეადგენდა.

უნივერსიტეტში ხმა დადიოდა, რომ რატიმ (იგი ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსი იყო) თავისი თანატოლები პიროვნული ვაჟკაცობით, სწორი მოქალაქეობრივი მრწამსით, უზომო განათლებითა და ნიჭით «დაიპყრო».

დღევანდელი გადასახედიდან გული მწყდება, რომ ჩვენ «ჩვენ-ჩვენი» არაერთი ბრძოლა კოსმოპოლიტებთან ცალ-ცალკე ერთმანეთის დაუხმარებლად გადავიხადეთ, რომ საერთო ტალღის მოვარდნისას ყველა უპირატესად თავისი გუნდის ინტერესს იცავდა. საბრძოლო გამოცდილებისა და პოპულარობის ზრდასთან ერთად ბუნებრივია უნივერსიტეტული გარემო თანდათან გვევიწროვებოდა. ერთმანეთის წარმატებებისა თუ მარცხის ექო დახშულად, ნაგვიანევად და რაც ყველაზე დასანანია, ტენდენციურად აღწევდა ჩვენამდე.

რატი ნინუას მოკრძალებული სალამი საყოველთაო გაუგებრობის წიაღში განვითარებული მოვლენების ერთგვარ გადახვევად აღიქმებოდა, მაგრამ ჩვენ მაშინ საკმაოდ ახალგაზრდები ვიყავით საიმისოდ, ჯგუფურ გისოსების მიღმა ერთმანეთის პიროვნული თვისებები სხვების დაუხმარებლად აღმოგვეჩინა და შესაბამისად შეგვეფასებინა.

მტკიცედ შეკრული მეზობელი გაერთიანების წევრში ჩვენიანი ამოგვეცნო. უღვთოდ ჩვენიანი, რომელსაც მიაჩნდა რომ, «ბუნებას შეცდომა» მოუვიდა როცა ის მეოცე საუკუნეში გააჩინა.

თვით მეთე საუკუნის ადამიანსაც ვერ ეყვარებოდა თავისი ეპოქის სული ისე ძლიერად, როგორც მას უყვარდა,

მას ათი საუკუნით გვიან დაბადებულს, თავის დროში ზედმეტ ადამიანად ქცეულს. ატომურ ეპოქაში მშვილდისრის მშვენიერების მოტრფილეს რეაქტიული რაკეტების ეპოქაში ცხენის კულტის მოთაყვანეს.

ეს სულისშემძვრელი «მანიფესტი» 1995 წლით თარიღდება. აქ რატი (შინაურულად ტატო) ნინუას პიროვნული მეობა შეუფარავადაა გაცხადებული. ამ სტროფს მისტიფიკაციის ჟინი არ ურევია, ცხენი და საომარი საჭურველი მარტოოდენ რომანტიკულ რეკვიზიტად არ არის მოხმობილი მკითხველის გულის მოსაგებად სიჭაბუკეში არაერთი ცნობილი თუ უცნობი შემოქმედის ტექსტში შემთხვევით რომ გაიელვებს. ეს რატის ტრაგიზმის წინაპირობაა. იგი ხვდება რომ რაინდული საქციელის ჩადენას ეპოქა «ადარ გავალდებულებს». პირიქით, უღმობელი ძალის (ტექნიკის სახით) ჩარევით ეს უაზრო სასაცილო მსხვერპლშეწირვა აღარავის ჭირდება, ნერვს აღარავის აუტოკებს, აღმაფრენის ნაცვლად ზიზლსა და გაღიზიანებას გამოიწვევს, რადგან ატომურმა ცივილიზაციამ კულტურა «კედელთან მიაყენა». უფლება ჩამოართვა ადამიანს სრულფასოვანი გამარჯვება თავისი ნიჭისა და უნარის მიხედვით მოიპოვოს. რატი ნინუა ამ ამაზრზენ სინამდვილეს ზედიზედ ეხლება და ამდენად ბავშვური გულახდილობა დაჭორფლილ სიტყვებში უფსკრულის კონტურებში იკვეთება.

ჯერ 1995 წელია. არავინ იცის (ეგებ თვითონაც არ იცის) რომ სულ რაღაც 5 წელი გაივლის და ის საბედისწერო სამანს მიადგება.

ჯერ კვლავ 1995 წელი დგას, მძიმე, სისხლშემშრალი. უსასრულო ომში დაღუპული თანამემამულეების სულები თითქოს საპასუხო შურისგების მოლოდინში ზეცამდე ვეღარ აღწევენ. ირგვლივ წყვდიადსა და იმედგაცრუებას დაუსადგურებია.

რატი პირველ საშუალო სკოლაში სწავლობს. იქ, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილის გაუხარელ, ბობოქარ ბავშვობას ჩაუვლია. შეუძლებელია უზომოდ წიგნიერ და მგრძობიარე რატის მეხსიერებას დიდი წინაპრის ყმაწვილური თავგადასავალი გამოპარვოდა. ტატოს მიერ შეთხზულ «უწყინარ» წერილზე არ ეფიქრა თავისი მასშტაბური საპროტესტო პათოსით პოლიტიკურ პამფლეტად რომ გადაიქცა და დედაქალაქის ჩინოვნიკები იმდენად ააფორიაქა, რომ «შეთქმულთა» დასაკავებლად ბრძანება დაუყოვნებლივ გაიცა. ე. წ. რიგითი საყმაწვილო ფათერაკი სერიოზულ უსიამოვნებაში როგორ გადაიზარდა. ვინძლო დიდი პოეტის თავზე დატეხილი სასჯელის სიმკაცრეს რამდენჯერ შეუძრავს იგი. ვთქვათ, გიმნაზიის კიბეზე ასულს რამდენჯერ წარმოუდგა ტატოს იერი, მის სევდას რამდენჯერ შეზრდია და გამანძილებია ერთდროულად!

ბარათაშვილის მსგავსად რატი ნინუასაც თავი ეზედმეტება.

და აი, 1990 წელს პატარა ტატო «ნერგის» რედაქციას პირველი საშუალო სკოლის მე-7 კლასელების მიმართვას უგზავნის. ტექსტის ავტორი რა თქმა უნდა რატია, რომლის სულიერ ზრდასა და განვითარებაზე ეროვნულმა მოძრაობამ წარუშლელი კვალი დატოვა. ამ არცთუ ვრცელ წერილში პოეტი თავის გულისნადებს საჯაროდ გამოფენს. თავსმოხვეული პიონერობისა და წითელარმიელი ჯარისკაცის ფარაჯის გასაუქმებლად თანატოლებს მოუწოდებს, მთელი ქვეყნის გასაგონად ხმა აიმაღლონ.

საპროტესტო მიმართვა მის შინაგან ბუნებას ააშკარავებს. ცხადყოფს რატი ნინუას უკომპრომისობას, გამბედაობას, შინაგან პატიოსნებასა და მაღალი იდეალებისთვის თვითშეწირვის მზაობას. ეს «ტიპური» უიღბლო პოეტის გენეტიკური კოდია!

სხვა ეპოქაა და პირველი სკოლის ისტორიულ შენობაში საპროტესტო წერილი კვლავ მომზადდა. მას ტატო აწერს

ხელს, ბარათაშვილის სეხნია. შემთხვევითობის ნავსი გარდუვალია.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ მემორიალის დადგმის იდეაც მისგან მოდის. ამ საქმესაც ჯერ კიდევ მოსწავლე მოთავეობს.

ეროვნული მთავრობის დამხობის შემდეგ რატი ნინუა იმ უმცირესთაგანია, ვინც საქართველოს პირველი პრეზიდენტის მოწამეობრივ სიკვდილზე მიუკერძოებელი აზრის გამოთქმა გაბედა.

«ნატკენ საფეთქელს გიამებს ქრისტე
და გეფერება ფრთით ანგელოზი,
შენ გული აქეთ მოგიწევს ისევ,
კვლავ თავდადებად საქართველოსი».
(ზვიად გამსახურდიას)

ამ ლექსის დაწერისას მან უდაოდ გარისკა, რადგან ჯერ კიდევ არ დაგვეიწყებია ის დრო, როცა უნივერსიტეტში გარკვეული ტიპის ლექტორებისგან დაგეშილი მოენებების წყალობით ზვიად გამსახურდიას ხსენებაზე იმგვარ პრობლემებს გიქმნიდნენ, სტუდენტობა სათუოდ გახდომოდა სიმართლისმოყვარულ კაცს.

ზემოთ ნახსენები გენეტიკური კოდი რატი ნინუას, როგორც ნამდვილი ქართველი პოეტის მსოფლმხედველობაში წვდომას აადვილებს. აქ უამრავი ლოზუნგური ტიპის ფსევდოშემოქმედის ურაპატრიოტიზმი რა მოსატანია, რატი სიცოცხლეს, როგორც სასჯელს აღიქვამს იმიტომ, რომ სისხლდაწრეტილ სამშობლოს ვერ ეშველება, მარტოოდენ სიტყვიერი მხარდაჭერა თუ ნუგეში ეცოტავება. ამჩნევს, რომ ერის სასიცოცხლო ქმედითუნარიანობა ნულამდგა დასული. ქვეყნის ფიზიკური კვდომის საფრთხე პოეტის პიროვნულ უილაჯობას უთანაბრდება. ჭაბუკი

პოეტი ამ ორმაგი სიმძიმით ისრისება, თავს მოტყუებულად და ყოველგვარი ღირსებისგან გაძარცვულად გრძნობს.

ყველაფრის მიუხედავად აცნობიერებს, რომ ღმერთმა თანამედროვე ეპოქის შესატყვისი «ნიჭი დააკლო». იგი დასაღუპად განწირულ სამშობლოს ზურგს ვერ შეაქცევს, სასაკლადო გადაქცეულ მიწა-წყალს უიმედობით გამოწვეული ცინიზმის ნიაღვარს ვერ დაანებებს, უმრავლესობასავით თავის ტყავის გადასარჩენად ვერ გაიყიდება, რადგან სხვა სამშვილველი სულდგმულობს და ადამიანურ უსამართლობაზე აგებულ წეს-ჩვეულებებს ვერაფრის დიდებით შეეგუება.

მან ეს იცის და ქმედითი პროტესტისკენ მიექანება. რატის ლექსებში იკითხება, რომ პიროვნული თავგანწირვისა და უანგარობის გამოვლენის დრო წარსულს უკანმოუხედავად ჩაბარდა. თანამედროვე ადამიანის მსოფლგანცდა უკიდურესად მწირია და შეზღუდული. ომში ზედიზედ განცდილმა მარცხმა ცხადყო, რომ უანგარო სიყვარულით დაჯილდოებული ადამიანები (აქ თაობათა დიფერენციაციის ზღვარი მოიშალა) უთანასწორო ბრძოლაში ვერაგულად დაიღუპნენ. იმავე დრამის უსახელო და უიღბლო გმირებად იქცნენ. დრამის, რომელსაც დასასრული არ უჩანს.

სისხლისღვრამ კვლავ გამოავლინა, რომ საქართველოში სამშობლოზე გულატკივებული ადამიანები მეტად «ცუდად ამთავრებენ». აურაცხელი მსხვერპლის მიუხედავად სასურველი შედეგი არასდროს დგება, რადგან გაუსაძლისი გარე ფაქტორების პარალელურად შინააშლილობასაც დასასრული არ უწერია. უსამართლობის წილი იმდენად განუსაზღვრელია და გადაულახავი, პრაქტიკულად შეუძლებელია ერთეულთა თავგანწირვამ ქვეყნის მდგომარეობა სასიკეთოდ შემოაბრუნოს.

რატის ამ მწარე, ისტორიული გამოცდილების მონელების გზა ვერ უპოვია. პოეტს ნებელობის დაშრეტა პროტესტის

სახით უგროვდება. გული არ ანებებს პოეტის, როგორც ერის წინამძღოლის ჩამორთმეული (თუ დაკარგული) დანიშნულება უმტკივნეულოდ გამოიტიროს, მხოლოდ უზადო მხატვრულ სამოსელში გამოხვეული სიტყვის თრობას მიეცეს, «ადგილობრივი ღმერთის» სტატუსი მისაკუთროს (უკეთეს შემთხვევაში შეიფაროს) და წარმავალი პოპულარობის მოხვეჭილ დიდებას სინდისის ქეჯნის გარეშე დასჯერდეს.

პოეტის მისწრაფება ეპოქალურ მოთხოვნებსაა აცდენილი. ამის დასტურია მომცრო მინიატურა: «რომანტიკის სიკვდილი». ავტორის საყვარელი გმირი ცხენი XX საუკუნეში იღუპება. საკმარისი არ არის, რომ იგი ბარათაშვილისეული მერანვიით თავგანწირვით მთარღვევს სივრცეს (დაბრკოლებას) იგი აქტიურია, შეუჩერებელი, ძლიერი.

«ცხენი ელვისუსწრაფესად შედგა, უცებ დაეცა და მოკვდა.

ცაზე ლაპლაპებდა შავი მზე მეოცე საუკუნისა».

მინიატურა 1995 წელსაა შექმნილი. ჭაბუკი პოეტის ავი წინათგრძნობა ჟრუანტელისმომგვრელია. იგი თავის «მოუშორებელ» ეპოქას დასტრიალებს. იმ საუკუნეს უპირისპირდება, რომელმაც თავის წიაღში ნაგვიანევად დაბადებული რაინდები გეგმაზომიერი სისასტიკით შემუსრა.

ცხენთან მიმართებაში არაერთი ლიტერატურული პარალელი გვახსოვს. ერთ-ერთის გახსენებით მკითხველს მეხსიერების დამაბვას თავიდან ავაცილებ. მიხეილ ჯავახიშვილის ბრწყინვალე რომანი «გივი შადური» ცხენსგადაჩვეული ქართველის სულიერ დეგრადაციას ფაქტების კონსტანტირებით წარმოაჩენს. ნიშანდობლივია, რომ ამ უმნიშვნელოვანეს დანაკარგზე თავად მთავარი გმირი გივი საუბრობს, რომელიც სხვათა შორის პროფესიით

მძლოლია და წესით ცხენის გადაშენება მას ხელს უნდა აძლევდეს.

სიახლის დანერგვის სურვილით ატაცებულ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ სიძველის სრული უარყოფა ვერაფრით კომპენსირდება. მას შთამბეჭდავი სიახლე ვერ ჩაანაცვლებს, რადგან უძველესი მარღვის გაწყვეტით ქართული ცნობიერება დაკნინდა. იდუმალი კავშირის რღვევით ქართველის თვალსაწიერი გადარიბდა, ის საკრალური საიდუმლო გაქრა რასაც ადამიანური შესაძლებლობების მიღმა ბუნების მჭიდრო ჰარმონია განაპირობებს.

მიხეილ ჯავახიშვილი ისტორიული მაგალითების გაცოცხლებით ამ ერთი შეხედვით «გამართლებული ცოდვის» შეჯამებისას ჩვენი დაცემის სახიერ სურათს გვიჩვენებს. ცხენის გამეფებაც ამ დაუსრულებელი ჯაჭვის შემადგენელი რგოლია და ბრალეულობის გაქარწყლების ხერხი უკუსვლას ვერ აფერხებს.

სამწუხაროდ, შადურის ნოსტალგია წიგნის ფურცლებიდან ადამიანებში იბუდებს. ეს კოდი იმ ტიპის ადამიანში იხანგრძლივებს სიცოცხლეს, ვინც ტექნიკის ზეაღსვლის პირობებშიც ვერ უარყოფს «დასავიწყებლად» გამეტებულ სიძველეს. რატი ნინუა ამის მაგალითია, ამიტომ მისთვის ცხენი — მერანი — რაში — ტაიჭი უზენაესი თავისუფლების გაუხუნარი სიმბოლოა. ამგვარი ხედვა იმ «უადგილო» გასხივოსნების გამოძახილია, რომლის ძალითაც რატი ნინუა წინააღმდეგობრივი ეპოქალური მოთხოვნების მიღმა დარჩა, რადგან მისი, როგორც პიროვნების ზნეობა ძირეულად განსხვავდებოდა იმ საზოგადოებისა და გნებავთ მოდემის მორალისგანაც, რომელსაც იგი ერთი შეხედვით მიეკუთვნებოდა. შინაგანი უნდობლობის უკიდურესი გამწვავების გზით მასში გაუნელებელი პროტესტით გაღვივდა.

მისი სული მონუმენტურ სივრცესაა მიჯაჭვული და ეს განხეთქილება პიროვნულ სამყაროსა და ეპოქალურ

ფრაგმენტებს შორის იმდენად თვალშისაცემია, რომ კარს მომდევნო ტრაგედია გარდუვალია.

ჭაბუკის მიერ აღვლენილი თხოვნა (ლოცვა) იესოსადმი მსგავს სტრიქონებს შეიცავს:

«უმალ დამფალი, დამასამარე,
ჰა, ჩემი სიტყვა, როგორც დასტური,
ან დამაბრმავე, ან მასაჰყარე,
არ მიმატოვო სული ქართული.
ზვიადს და მერაბს ნუ წაშლი ჩემში,
გულისთქმა მყრალი და შესაზარი,
დაე, გაწვიმდეს კვლავ თავში თქეში,
წამლად ვსვა ტანჯვა უზარმაზარი...»

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჭაბუკი პოეტი ამ უსაშველო სატანჯველიდან გათავისუფლებას არ ესწრაფვის. ქართული სულის ცხოველმყოფელი ძალა უფლებას არ აძლევს ბევრი ნიჭიერი თანამემამულის მსგავსად თავი უმძიმესი ტვირთისგან იხსნას, საკუთარი ქვეყნის დაუთრგუნავ სიყვარულში რომ მჟღავნდება. პირიქით, მას ქმედება სწყურია, აღმაფრენა მოსდევს საზოგადოების გულგრილობაში შეაღწიოს და იქიდან უიმედობა განდევნოს, რომელიც უმრავლესობის აზრს დაპატრონებია. ამიტომ თარგმნის ბაირონს. ამ რწმენით ელოლიავება დიდი ინგლისელი პოეტისა და მემამბოხის მრწამსს, ჩაგრულთა ქომაგის მოწოდება ამხნეებს.

«იმ წმინდა სისხლმა, რაც შენ დაღვარე,
ფუჭად მიწაში ჩასვლას დასცინა,
ის ჩვენს ძარღვებში იჩქეფს მღელვარედ
და შენი სული იფრენს არწივად». («შენი დღეები, აჰა,
დასრულდა».)

ნიშანდობლივია, რომ რატი ნინუა მთარგმნელობით საქმიანობას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. ამაზე მეტყველებს მის მიერ შერჩეული არაერთი, პროფესიული თარგმანი და სადიპლომო ნაშრომი: «პაოლო იაშვილისეული თარგმანის სტილისა და თავისებურებათათვის.»

თარგმანთან დამოკიდებულებაში ვლინდება რატი ნინუას ნიჭის კიდევ ერთი მხარე. ის ზუსტი იმპულსი, შესაშური ინტუიცია და დახვეწილი გემოვნება, რომელიც სრულყოფილი თარგმნის ხარისხს განსაზღვრავს.

ზემოთ ნახსენები ნაშრომი ცხადყოფს, რომ ჭაბუკმა პოეტმა შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ საქმეს და გამოწვლილვითი ანალიზის მეშვეობით საზოგადოებას სერიოზული შრომა წარუდგინა.

მშობლიური ენის სრულყოფილი ცოდნა რატი ნინუას საშუალებას აძლევს თავისი შეხედულებები მრავალმხრივ განავრცოს და მიუკერძოებელი მსჯელობის ფონზე მთავარი სათქმელი ჩამოაყალიბოს. იგი საკუთარ თავს აქაც არ ღალატობს და საყვარელი პოეტების ნაღვაწის შეფასებისას ამა თუ იმ ხარვეზზეც არ ხუჭავს თვალს, რაც მის პიროვნულ პატიოსნებასა და დახვეწილ გემოვნებაზე მიუთითებს.

რატი ნინუას, როგორც ჩანს, გამუდმებით აწვალებდა კითხვა ადამიანური სიმართლის არსს რა განაპირობებდა, მასთან შეხებისას პიროვნული ნება რატომ დამბლავდება, სინდისის უგულებელყოფის ხარჯზე ყოველთვის რატომ წინაურდება იმ ტიპის ადამიანების ჯგუფი, ვისაც ცხოვრების უპირველეს მიზნად ეროვნული კულტურის მემკვიდრეობის აღმოფხვრა გაუხდია.

პოეტის ცნობიერებაში მოუშუშებელი იარების შეუხორცებლობის ხელოვნება უმაღლეს რანგშია აყვანილი, რაც სუსტსაც და ძლიერსაც გარდაუვალი დილემის წინ აყენებს: შეგუება (ტრანსფორმაცია უარესისკენ) ან არდანებება (შეკვდომა, კვლა): «პოეტი კანონგარეშეა და ვერ თავსდება ყალბი ლიტერატურული ეპოქის ნაჭუჭში,

რომელიც ძველი დროის კომუნების მსგავსად კომპეტიტაა სავსე. პოეტი თითქოს ანგრევს თავისსავე ფორმებს, სინამდვილეში კი აგრძელებს მათ. ლირიკიდან ეპიკაზე გადადის, რათა გვიამბოს სამყაროზე, ილაღადოს იმის შესახებ, რაც ამ სამყაროს ტანჯავს. და მაშინ პოეტი საშიში ხდება.» — წერს იტალიელი პოეტი სალვატორე კუაზიმოდო.

ამგვარი სახიფათო მუხტი რატი ნინუას თავიდანვე ძალუმად დაენაცვლა და ამდენად, მისი მოქმედება თუ სიტყვა აუხსნელი სიმბოლითა და ტრაგიზმითაა დაღდასმული. მას უნარი არ შესწევს დამარცხებული სამშობლოს ჯალათად იქცეს, მისი სისხლითა და უიღბლობით ხელები მოითბოს, მარტოოდენ პირადი ტრიუმფით გავიდეს ფონს, ამიტომ მისი სათქმელი ექსპერიმენტული ჭრილობებით არ დასერილა, მთლიანად ბუნებრივი იარებიდან გადმოღვრილი სისხლით საზრდოობს.

რატი ნინუა პოლიტიზირებული საზოგადოების ხისტ შეხედულებას არ ეთანხმება, კონფორმიზმისადმი უნდობლობას ბავშვობიდანვე ამჟღავნებს.

«მშობლიურ» ეპოქის არსის გააზრებისას რწმუნდება, რომ თანამედროვე სამყარო მას ღირებულს ვერაფერს შემატებს. პირიქით, ფხიზლად თუ არ იქნება, იმასაც უყოყმანოდ წაართმევს, რაც საკუთარ თავთან უშეღავათო ჭიდილისას მოიპოვავს.

თვითმკვლელობამდე ერთი წლით ადრე იქმნება «იესო». განსაცვიფრებელი შინაგანი ექსპრესიითა და თანადგომით გაჟღენთილი ლექსი — აღსარება, ამ ურთულეს გზაზე უფლისადმი ვედრებას «იატაკქვემა» მგოსნის უკიდურესი ტკივილი გასდევს.

«ამ დილეგიდან თუ გამომიშვებ.

ჰა, ჩემი სიტყვა, როგორც დასტური,

ნუ გამხდის ბოროტს, ღმერთო, და შიშველს,

შენ დამითრგუნე ესე მაცდური».

მას ყველაზე მეტად ამ საწუთროში გაბოროტების ეშინია. იმის წარმოდგენაზე ძრწის, რომ გაუცხოებული ეპოქის წიაღში გათქვეფით ბოროტების მსახურად იქცევა. ღმერთს დახმარებას შესთხოვს არა ტკივილის დასაამებლად არამედ იმისთვის, ამ დაუთრგუნავი ტკივილის მეოხებით მარადისობას შეერწყას, სადაც მისი ეპოქა მხოლოდ ერთ-ერთი შენაკადია და არა ამ სამყაროს ერთადერთი და შეუცვლელი შუაგული. «იესო» ეპოქიდან «ამოვარდნილობის» სიტყვიერი პროტესტია. იგი ღმერთს შინაგანად ამზადებს როგორმე უძლები შვილივით მიიღოს, არ გასწიროს, არ გააძევოს თავისი წიაღიდან, რადგან ახალი საუკუნის დადგომას რატი ნინუა გაუგონარი პროტესტით ეგებება. უნივერსიტეტში გასროლილი ტყვიით ყველას გასაგონად ამსხვრევს ადამიანურ საზომს. თავს იკლავს იმ იარაღით, რომელიც ჭირივით სძულს. იგი უსულო ეპოქაში უსულო, «არავაჟკაცური» იარაღით ტოვებს სიცოცხლეს, დოგმატურ ჩარჩოებზე განუზომლად მალღდება, თავისი თავგანწირვით, შინაგანი პატიოსნებითა და სიძლიერით გვადრწუნებს და საბრძოლველად მოგვიწოდებს რათა გარშემოწერილ სინამდვილეს არ დავნებდეთ, ადამიანური ღირსება ფეხქვეშ არ გავთელოთ, რწმენა სიყალბესა და ანგარებას არ ვანაცვალოთ.

რატი ნინუას გასროლა პროტესტის ყველაზე ტრაგიკული და ამავედროულად კრისტალურად სუფთა და შეუცნობელი გამოწვევაა საზოგადოებისა, რომელსაც ჰეროიკის აღარაფერი გაეგება და მზად არის ყოველივე ღირსეული და უნივერსალური ცინიზმის უარყოფას დაუმორჩილოს. ეს გაფრთხილება ჩვენი გაუკეთესების სურვილით ნაკარნახევი უკიდურესი აქტია. ასე მხოლოდ დიდი სულის მქონე ადამიანები წყვეტენ ცხოვრებას, რათა მომავალ თაობებს თავგანწირვის ახალი მაგალითი უჩვენონ. რათა

მოსალოდნელი სისხლის წვიმებს თუნდაც საკუთარი სიცოცხლის გაღების ფასად წინ აღუდგნენ.

პროტესტის გაუგონარი ჟესტი იმ სიყვარულითაა ნაკარნახევი, რომელმაც სისხლდაწრეტილი, უიმედო მასა პიროვნებად უნდა გარდაქმნას.

რატი ნინუას პროტესტის ფორმა შეუცნობელი გმირობის ღერძზე გადის. ვაი, რომ ჩვენი ქართული უიღბლობაა, რატის დარი ვაჟკაცები ჩვენს გაუკუღმართებულ ყოფასა და ეპოქალურ კრიზისს მარტოდმარტო შევატოვოთ. ვაი, რომ უსამართლობასთან ბრძოლაში მეწინავემ თუ არ გაიღო შეუმღვრეველი სისხლი, დროის დინებაში ჩათრეულებს საღათას ძილი გვემუქრება. მისი სახეა წყვდიადში ამოტვიფრულ შუქურას წააგავს, და შეუცნობელი სამყაროსკენ მიგვიძღვის.

რატის XX საუკუნე ეუცხოვებოდა.

უნივერსიტეტში გასროლილი ტყვიის ცოდვას XXI საუკუნეც ვერსად წაუვა!

10 / I. 2009

LIVE პოეზია

დადიხართ ლიტერატურულ საღამოებზე? თუ ასეა, უკვე მოგიწევთ მობილურებში თუ დღიურებში განრიგის ხშირად ჩანიშვნა. სასურველია, ეს დღესვე გააკეთოთ, რადგან თუნდაც დღეს სამი საღამო გაიმართება. მათ შორის შუალედი ისეთია, ერთიდან მეორეზე გადაინაცვლებთ და რაკი ასეთ საღამოებზე ძირითადად ერთი და იგივე ხალხი დადის, გადაადგილების პროცესიც, სავარაუდოდ, კოლექტიური იქნება.

პროცესზე — ნახევრად ხუმრობით, თუმცა ცხადია: ბოლო წლებში საქართველოში მხატვრულ ლიტერატურას გაცილებით მეტს ბეჭდავენ და უკანასკნელი 20 წლის მანძილზე გამოჩენილი ავტორების უმეტესობაც იმდენად პოპულარულია, რომ საღამოებზე დასწრების მსურველები ჰყავთ. ეს, რა თქმა უნდა, კარგია.

2-3 წლის წინ ერთადერთი ადგილი, სადაც ლიტერატურული საღამოები რეგულარულად ტარდებოდა, ეროვნული ბიბლიოთეკა იყო. არ ვიცი, შერჩეული ავტორების, ფორმატის, თუ კიდევ სხვა ხიბლის გამო, მომდევნო ოთხშაბათის მოლოდინი მოსაბეზრებელი არ ყოფილა (საღამოები ოთხშაბათობით იმართებოდა). ბიბლიოთეკაში ახლაც ტარდება ლიტერატურული საღამოები, მაგრამ რეგულარულად — ტრადიციულ დღეს — ვეღარ. იმ პერიოდში კი, ბიბლიოთეკის გარდა, ამ

შეხვედრებს იშვიათად, მაგრამ მასპინძლობდა კავკასიური სახლი, რამდენიმე თეატრის სცენა (კერძო მოლაპარაკების შედეგად) და ლიტერატურული კაფეები. დროთა განმავლობაში ყველა ზემოთ ჩამოთვლილს დაემატა წიგნის მაღაზიებიც (სხვათა შორის, იგივე ტრადიციის დამკვიდრების მცდელობით — კვირაში ერთი განსაზღვრული დღე ავტორებთან შესახვედრად); ასევე: უნივერსიტეტების სააქტო, სამების ეკლესიის ახალგაზრდული ცენტრისა და ქალაქის ბიბლიოთეკის დარბაზები, როკ-ლუბი; თუ არ ვცდები, რამდენიმე საღამო მუზეუმებშიც გაიმართა.

აღბათ უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურული საღამოები ძირითადად პოეტებს მასპინძლობს. პროზაიკოსებს მხოლოდ ეროვნული ბიბლიოთეკა იწვევდა ("ერთი მწერლის თეატრი"). მე არ დავსწრებივარ წიგნების მაღაზიებში გამართულ შეხვედრებს და არ ვიცი, პროზაიკოსებთან შეხვედრები თუ გაიმართა, ან რა სახით. რა თქმა უნდა, წიგნების პრეზენტაციები მსგავს დიფერენცირებას არ გულისხმობს.

ჯერ კიდევ შარშან, ერთ-ერთი თეატრის დარბაზში გამართულ რამდენიმე საღამოზე მოსახვედრად თანხის გადახდა იყო საჭირო, ამას მგონი დარბაზის ქირა ერქვა. ამჯერად, ფასიან საღამოებს კლუბი გვთავაზობს (თანხის რაოდენობას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს. უბრალოდ, როგორც ფაქტს, ვაფიქსირებ) და ეს ერთგვარი სიახლეც არის: პოეზიის საღამო — ავტორისა და დარბაზისთვის შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს. ვფიქრობ, ამ სიახლეს ორი რამ შეიძლება მოჰყვეს:

მალე ამოიწუროს იმ ავტორთა რაოდენობა, რომლებზეც კომერციული გათვლები კეთდება (ანუ შედარებით ცნობადი სახეები) და საჭირო გახდეს მათი ხელახლა მოწვევა (ისევე, როგორც ლიტერატურული ჟურნალების შემთხვევაში ხდება — მათ სარჩევებში რეგულარულად ამოიკითხავთ ერთსა და

იმავე გვარებს). თუმცა, არაერთი ავტორია, რომელიც თავს არიდებს საზოგადო გამოსვლებს და მათი დათანხმება, მიუხედავად მათი მეტ-ნაკლები პოპულარობისა, ალბათ ძნელი იქნება;

კონტინგენტს, რომელიც ლიტერატურულ სადამოებზე დადის, არჩევანის გაკეთება მოუწევს — გადაიხადოს თუ არა ფული იმავეში, რასაც უფასოდაც ნახავს, /მოისმენს კვირის ან თვის სხვა დღეს — სხვა ადგილას. სხვა საქმეა, რამდენჯერ გაჩნდება ერთი და იგივეს მოსმენის სურვილი.

ბოლო წლების მანძილზე პოეტის, /მწერლის დესაკრალიზაცია ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, რაც დროულიც არის და კარგიც. თუმცა, რამდენად კარგია მათივე თითქმის ყოველდღიურ სცენაზე გადანაცვლება, ამას დრო გვიჩვენებს. ერთი ჩვენებური გამონათქვამი გამახსენდა — თვალის დანაყრებაზე. მაგრამ, არ განვაგრცობ და მხოლოდ ლიტერატურული სადამოების სასიამოვნოდ გატარებას გისურვებთ...

მარსიანი

გალაკტიონი და გრანელი

გალაკტიონ ტაბიძესა და ტერენტი გრანელს ხშირად ადარებენ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, ამ შედარებას თვით ტ. გრანელმაც დაუდო სათავე თავისი ზოგიერთი ლექსით, განსაკუთრებით კი «მე და გალაკტიონით». რაკი კრიტიკოსები იმთავითვე აღნიშნავდნენ გალაკტიონის გავლენას მის შემოქმედებაზე, გრანელმა სცადა ხაზგასმით აღენიშნა ის თავისებურებანი, რაც მას, როგორც პოეტს,

გალაკტიონისგან განასხვავებდა. ვნახოთ ზემოხსენებულ ლექსში რა თავისებურებებს გამოჰყოფს ავტორი:

1. «გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია».
2. «გალაკტიონში მიწა ანათებს და ჩემში უფრო ზეცის სხივია».
3. «გალაკტიონში ლურჯი ფერია და ჩემ ლექსიდან მოჩანს უფსკრული».

უდავოდ საინტერესო შედარებებია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამით სრულად და ამომწურავად იყოს ნაჩვენები განსხვავება ორ პოეტს შორის და შეიძლება ამ დახასიათებაში წინააღმდეგობრივი მომენტებიც დავინახოთ: დავუშვათ, გალაკტიონში არის დემონი და გრანელში უფრო ანგელოზია: ეს «უფრო» ალბათ იმას მიაჩნებდა, რომ გრანელშიც რამდენადმე შეიძლება იყოს დემონი; ისმის კითხვა: გალაკტიონში კი არ არის ანგელოზი? დავუშვათ, გალაკტიონში მიწა ანათებს და გრანელში უფრო ზეცის სხივია: აქაც «უფრო» იმას გულისხმობს ალბათ, რომ რამდენადმე გრანელშიც ანათებს მიწა. კვლავ ისმის კითხვა: გალაკტიონში კი არ არის ზეცის სხივი? (ხომ აშკარაა, რომ ამ მეორე შედარებით გრანელმა უკვე თავის უპირატესობაზე მინიშნება შემოგვაპარა!) დავუშვათ, რომ გალაკტიონში ლურჯი ფერია და გრანელის ლექსიდან მოჩანს უფსკრული; ახლა ვიკითხოთ: განა «ლურჯი ფერი» დემონს უფრო შეეფერება, «უფსკრული» კი — ანგელოზს? თუ პირიქით უფროა? და კიდევ: «ზეცის სხივი» და «უფსკრული» როგორ ეთავსება ერთმანეთს გრანელთან, ან «მიწის ნათება» და «ლურჯი ფერი» — გალაკტიონთან?

თან თითქოს სწორი და მართებულია ეს დაპირისპირება—დახასიათებანი, თან წინააღმდეგობრიობაც აშკარად ჩანს: ეს იმიტომ, რომ ავტორი მხოლოდ რამდენიმე გარეგნულ ნიშანს გამოჰყოფს და საკითხს აცალმხრივებს, რათა განსხვავება უფრო თვალსაჩინოდ დაგვანახოს; მსგავსებაზე კი არაფერს ამბობს, რადგან მსგავსება უკვე გავლენაზე მიმანიშნებელია.

ჩვენში, საერთოდ, ობიექტურ განსჯასა და ანალიზს სუბიექტურობა და ემოციონალიზმი ჭარბობს; არიან ე. წ. «გრანელისტები», რომელნიც მიიჩნევენ, რომ ტერენტი გრანელს არაფერი სჭირდა საიმისო, გალაკტიონისთვის მიებაძა ან გასჯიბრებოდა. რეალური სურათი კი სულ სხვაგვარია; ტერენტი გრანელი არა მარტო ზოგადად არის დავალებული გალაკტიონის პოეტიკით, არამედ ცალკეულ შემთხვევებში სწორადაც რომ ბაძავს და ეჯიბრება გალაკტიონს: ამას ადასტურებს არა მარტო მისი კონკრეტული ნაწარმოებები, არამედ ბიოგრაფიული ფაქტებიც. მწერალი გენო ქელბაქიანი იგონებს ასეთ ეპიზოდს: ტერენტი გრანელის წიგნი გამოსულა, რომელშიც შეტანილი იყო ლექსი «Memento mori». ეს ლექსი თოთხმეტმარცვლიანი მაღალი შაირით (4:3: 4: 3) არის დაწერილი, ისევე, როგორც გალაკტიონის «ლურჯა ცხენები» და «ეფემერა», თემატურადაც «Memento mori». საკმაოდ ახლოს დგას «ეფემერასთან» — საკუთარი პიროვნების გამორჩეულობასა და უნიკალურობაზე ხაზგასმით, თვითაღიარებით; გალაკტიონს, როგორც კი ხელთ ჩავარდნია ეს კრებული, წაუკითხავს და მეორე დღეს ტერენტის რომ შეხვედრია, «Memento mori» ზეპირად წარმოუთქვამს ავტორის წინაშე, ოღონდ რაიმე სიტყვიერი კომენტარი (ქება ან კრიტიკული შენიშვნა) არ დაურთავს; ტერენტი საგონებელში ჩავარდნილა და როცა გენო ქელბაქიანისთვის უამბუნია ეს შემთხვევა, გულდაწყვეტილი

კილოთი დაურთავს: «მე კი მეგონა ეს ლექსი გალაკტიონის ლექსებს არაფრით ჩამოუვარდებოდაო».

გენო ქელბაქიანი სხვა ეპიზოდსაც იგონებს: რომელიღაც კრიტიკოსს ტ. გრანელი გალაკტიონის მიმბაძველად გამოუცხადებია პრესაში. ტერენტი გაბრაზებულა, ოღონდ არა იმდენად იმ კრიტიკოსზე, არამედ თვითონ გალაკტიონზე; გენო ქელბაქიანს და გალაკტიონს გაუგიათ, რომ ტერენტი შეუძლოდ იყო და სანახავად მისულან. ტერენტის კი ასეთი რამ უთქვამს გალაკტიონისთვის:

«თუ შენ ჩემთან მოხვედი, როგორც დიდი პოეტი პატარა პოეტთან, იცოდე სასტიკად ცდები».

გალაკტიონს, რა თქმა უნდა, გაუპროტესტებია:

«რას ამბობ, ძამიკო, რის დიდი პოეტი, მე მოვედი შენთან, როგორც მეგობარ პოეტთან».

ტერენტის კი ამგვარად გაუგრძელებია:

«ეგეც იცოდე, მე შენზე დიდი პოეტი ვარ».

გალაკტიონს უცნაურად გაღიმებია და უპასუხნია:

«კი, ძამიკო, ჩემზე დიდი ხარ».

სხვათა შორის, ტერენტი გრანელმა თავის ერთ წიგნს რომ «Memento mori» უწოდა (მსგავსად ზემოთხსენებული ლექსისა), ამ ფაქტშიც შეიძლება დავინახოთ გალაკტიონის მიბაძვა: გალაკტიონის ცნობილი «არტისტული ყვავილები» ხომ ფრანგული სათაურით დაისტამბა «Le crâne aux fleurs artistiques» (სიტყვასიტყვით: «თავის ქალა არტისტული ყვავილებით»). თავის ქალა ხომ თავისთავად სიკვდილთან არის ასოცირებული; და ტერენტი გრანელმაც ცნობილი ლათინური გამოთქმა «Memento mori» («გახსოვდეთ სიკვდილი») აირჩია; ვითომ ყოველივე ეს შემთხვევითია?

ახლა იმ ლექსებს გადავხედოთ, რომლებშიც ტ. გრანელი გალაკტიონს იხსენებს:

«გალაკტიონი ყოველთვის დიდი,
გალაკტიონი ზეცისკენ მიდის».

«გალაკტიონი ხომ პოეტია,
ზარი სიონის გულზე მეტია.
გალაკტიონი რომ მდიდარია,
ზარი სიონის კივის, დარია.
გალაკტიონი ხომ ძვირფასია.
გალაკტიონი მუდამ ასეა».

«ერთად ვხეტილობდით თბილისის ბულვარებში,
რესტორნებში, ბაღებში, მე არსად არ ვტოვებდი,
შენ პოეტად შეგიცნეს, როს ჩაგხედეს თვალებში,
მე კი დავრჩი მტკვრის პირას, უსახელო პოეტი».

«ექვი არ არის, რომ გალაკტიონს
მე ჩამოვართვი მეფის სახელი».

როგორც ვხედავთ, აქ გალაკტიონის აღიარებაც არის, მისდამი სიყვარულიც, გაჯიბრებაც და მასზე აღმატებულობის თვითრწმენაც.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ლექსი «Memento mori» გალაკტიონის «ეფემერას» («ლურჯა ცხენებსაც») ჰგავს როგორც გარეგნული ფორმით, ასევე, რამდენადმე, შინაარსობლივადაც. ტერენტის აქვს სხვა ლექსებიც, სადაც კიდევ უფრო აშკარად იგრძნობა გალაკტიონის გავლენა: 1921 წელს დაწერილი «მწუხარება ნაკეცი» და 1922 წელს დაწერილი «მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე» ფორმით ზუსტად იმეორებს გალაკტიონის «ლურჯა ცხენებს» და «voiles»-ს: მეტრი და რიტმი აქაც თოთხმეტმარცვლიანი მაღალი შაირია (4: 3: 4: 3), სტროფში რითმების განლაგებაც გალაკტიონის აქ დასახელებულ ლექსთა ანალოგიურია (aaabcccb). გალაკტიონამდე ამგვარ ვერსიფიკაციულ სქემას ქართული პოეზია არ იცნობდა. და თუმცა ტერენტი გრანელის ორივე ეს ლექსი შედევრია, მაინც «ლურჯა ცხენებთან» მიმართებაში ერთგვარი «მეორადობის»

შთაბეჭდილებას ტოვებენ; ერთი დაზუსტებაც: «ლურჯა ცხენების» რამდენიმე სტროფში ის სამმაგი შიგა რითმაც გაორმაგებულია და aaabcccb-ს ნაცვლად გვაქვს aaabaaab, ანუ თვით ამ ფორმალური მაჩვენებლითაც — შიგა რითმების რაოდენობითაც — «ლურჯა ცხენები» მიუწვდომელ ნორმად რჩება, რომ აღარაფერი ვთქვათ, საერთოდ, შესრულების აბსოლუტურ, სხვათათვის მიუწვდომელ ხარისხზე, შინაგან მონუმენტურობასა და კოსმიურ მასშტაბზე, ღრმა და ენიგმურ შინაარსზე (მკვლევარი როლანდ ბურჟულაძე, მაგალითად, თავის მონოგრაფიაში «მხოლოდ ინტეგრალი» ამტკიცებს, რომ «ლურჯა ცხენებში» დაშიფრულად არის გადმოცემული პლატონის ერთ-ერთი დიალოგის შინაარსი — კამათი სულის უკვდავების შესახებ. გამოკვლევაში ისიც კი არის მითითებული, «ლურჯა ცხენების» რომელი სტრიქონი პლატონისეული დიალოგის რომელი პერსონაჟის სიტყვებს შეესაბამება — სოკრატეს თუ მისი თანამოსაუბრეებისა; რ. ბურჟულაძე გალაკტიონის არაერთ სხვა ლექსშიც კითხულობს დაშიფრულ კონკრეტულ შინაარსებს: გავიზიარებთ თუ არა მკვლევარის დასკვნებს, სხვა საკითხია, მაგრამ გალაკტიონის მრავალი ლექსი რომ ენიგმაა და გაშიფვრის სურვილს ბადებს, ეს უდავოა; გალაკტიონის თაობის სხვა პოეტთა შემოქმედებაზე კი მსგავსი რამ ალბათ ნაკლებად ითქმის).

ტერენტი გრანელის «მწუხარება ნაკეცი» და «მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე» გალაკტიონის სხვა ლექსებისგანაც არის დავალებული ცალკეული მხატვრული სახეებით. ვნახოთ კონკრეტულად:

გალაკტიონი:

«დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ,
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი».
(«სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში»)

გრანელი:

«სურნელება ვილასი დაეცემა სილაზე,
როგორც ლურჯი სინაზე, დაიკვივლებს ვარდებში»
(«მწუხარება ნაკეცი»...)

გალაკტიონი:

«მიჰქონდათ კიდევ კუბო,
ყორნების საუბარი:
დარეკე! დაუბარე!
ათოვდა ზამთრის ბაღებს.»
(«ათოვდა ზამთრის ბაღებს»)

გრანელი:

«როგორც ლურჯი პარიკებს,
ღამე ფიქრებს არიგებს
და ყორნებმა დარეკეს ბაბილონის ნაპირთან».
(«მონოლოგი უდაბნოს ყვავილებში»).

გალაკტიონის კვალი ტერენტის სხვა ლექსებშიც
შეიმჩნევა:

გალაკტიონი:

«ბედი ქროლვის გარეშე ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები».
(«ეფემერა»)

გრანელი:

«და ვიცი უსათუოდ ვარ მსოფლიო პოეტი
და პოეტის სახელი ჩემთვის ყველაფერია».
(«ალბათ იქ სიცილია...»)

გალაკტიონი:

«ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს წაქცეულს
ვიღაც ფრთებს მიკეცავს,.. ეჰა, ვიტანჯები!»
(«ძვირფასო, ძვირფასო...»)

გრანელი:

«ქუჩაში მცხოვრებს და სახლიდან გაქცეულს
შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ...»
«პოეტს გარინდებულს, როგორც პირამიდას,
ზარების ტირილში გრიგალი გამაფრენს»
(«ფარული ვედრება»)

გალაკტიონი:

«ირგვლივ დამჭკნარია ფერი და ფერვალი»
(«საუბარი ედგარზე»)

გრანელი:

«მთვარესთან ჩამოწვა უვნებო ფერვალი»
(«ფარული ვედრება»)

აქ მოტანილი მაგალითებიდან გალაკტიონის ლექსები უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე გრანელისა და ამდენად, უდავოა, რომ გავლენა გალაკტიონიდან მოდის. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ამ ორი პოეტის ერთსა და იმავე წელს დაწერილ ლექსებშიცაა გარკვეული სახის მსგავსება და გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ აქაც უთუოდ გალაკტიონის გავლენას განიცდის გრანელი. შეიძლება პირიქითაც იყოს, ზოგ შემთხვევაში მაინც.

როგორც უკვე ვთქვით, «მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე», რომელშიც «ლურჯა ცხენების» ვერსიფიკაციული სქემაა იმიტირებული, ტ. გრანელმა 1922 წელს დაწერა. იმავე 1922 წელს შეიქმნა გალაკტიონის «ეფემერა», რომელშიც მთავარი თემა კვლავ ლურჯა ცხენების მხატვრული სახეა, მეტრი და რიტმიც იგივეა, რაც «ლურჯა ცხენებში» (ანუ თოთხმეტმარცვლიანი მაღალი შაირი), მაგრამ შიგა რითმები აღარ არის, მხოლოდ ჩვეულებრივი ჯვარედინი გარითმვაა (abab); 1922 წლითვე თარიღდება გრანელის «ცისფერი სიშორეც»; მეტრი, რიტმი

და გართმვა ამ ლექსში «ეფემერას» ანალოგიურია; მე ავტოგრაფებზე ხელი არ მიმიწვდება და ვერ ვიტყვი, გალაკტიონისა და გრანელის ამ 1922 წლით დათარიღებული ლექსებიდან რომელი რომელზე ადრე დაიწერა; ასევე არ ვიცი ტიცთან ტაბიძის ლექსის «ცხენი ანგელოსით» შექმნის თარიღი (ავტორის აღიარებით ეს ნაწარმოები იყო თავისებური დისერტაცია პოეზიის მეფის ტიტულის მოსაპოვებლად); არც პაოლო იაშვილის «წითელი ხარის» და ალიო მირცხულავას «ელვის რაშების» დაწერის თარიღებია ჩემთვის ცნობილი; მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ — აქ ჩამოთვლილი ლექსების შექმნის იმპულსი უთუოდ «ლურჯა ცხენებიდან» მოდის: საკმარისია გადაიკითხოთ ეს ნაწარმოებები და, ვფიქრობ, ნათქვამის სიმართლეში დარწმუნდებით; პოეტებმა დაინახეს, რომ «ლურჯა ცხენების» სახით გალაკტიონმა თავისი «მერანი» შექმნა, ქართული (და მსოფლიო!) ლირიკის ევერესტი დაიპყრო და ბარათაშვილს გაუტოლდა; ბუნებრივია, რომ ამ დიდად ამბიციურ და ნიჭიერ პოეტებსაც მოესურვათ იგივე გაემეორებინათ. დააკვირდით: ა. მირცხულავას ლექსის სათაური «ელვის რაშები» თითქოს ერთგვარად «გაუმჯობესებული» მოდიფიკაციაა «მერანისა» და «ლურჯა ცხენებისა». ამ ლექსში ა. მირცხულავა ახალგაზრდული კადნიერებით აცხადებს:

«ისმის მთების გუგუნნი და კლდეების ღრეობა,
ცაზე ელვის რაშები ცეცხლს აჩენენ ჭენებით,
ამ უდაბურ მიდამოს, ამ უკუნეთ ხეობას
ვერ გაივლის მერანი და ვერც ლურჯა ცხენები!»

მირცხულავას ეს ლექსიც, მსგავსად გრანელის «ცისფერი სიშორისა», ფორმით უფრო «ეფემერას» ჰგავს, ვიდრე «ლურჯა ცხენებს»: ის ჯვარედინრითმიანი, თოთხმეტმარცვლიანი მაღალი შაირია. შინაარსობლივადაც

«ეფემერას» უფრო უახლოვდება ეს ლექსი (რასაკვირველია, ზედაპირულ, გარეგნულ ასპექტში): მართალია, «ეფემერა» «ლურჯა ცხენების» ერთგვარი «დუბლია», თან თავისი გლობალური მასშტაბით ლამის მასზე აღმატებულიც კი, მაგრამ მასში არის უფრო ლოკალურ-პირადული ხაზიც — საკუთარი პოეტური რენომეს დადგენისა და აგრეთვე მეტოქე-კოლეგებთან თავისებური ანგარიშწორების მომენტიც (სწორედ ამ მხრივ ენათესავება «ეფემერას» მირცხულავას «ელვის რაშებიცა» და გრანელის «ცისფერი სიშორეც»): აქ გალაკტიონი თავის «ერთადერთობაზე პირდაპირ განაცხადს აკეთებს («ვწუხვარ, ერთადერთი ვარ...») და სხვა პოეტებზე თავის აღმატებულებას უსვამს ხაზს:

«ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები,
რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი მშვენებით
ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები,
ცხენთა შეჯიბრებაზე ისევ ლურჯა ცხენები».

ტერენტი გრანელის «ცისფერი სიშორეც» ასევე კადნიერად ამხელს ავტორის ამბიციას:

«ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე».
«მხოლოდ მე ვარ დამწვარი, მხოლოდ მე
ვიფერფლები
და დროა, საქართველომ იგრძნოს ჩემი გენია».

მე გალაკტიონზე წლების წინათ დაწერილ სტატიაშიც ვამბობდი, რომ «ეფემერა» პოეტთა მეფის პასუხია მეტოქეებისადმი, რომლებიც მასთან გაჯიბრებას ბედავენ; მაგრამ თარიღების დაუზუსტებლობის გამო არ ვიცი, «ეფემერას» შემდეგ დაიწერა გრანელის «ცისფერი სიშორე» და მირცხულავას «ელვის რაშები» თუ უფრო ადრე, და ამ ლექსთა მსგავსება გალაკტიონის ამ კონკრეტულ ლექსთან კვლავ გალაკტიონის გავლენითაა გამოწვეული თუ პირიქით,

გალაკტიონი განიცდის ამჯერადგრანელისა და მირცხულავას გავლენას და «ეფემერა»-თი ამტკიცებს თავის აღმატებულობას სწორედ იმავე ვერსიფიკაციული მოდელის გამოყენებით, რომელიც ამ პოეტებმა მისგან ისესხეს...

ბარემ აქვე დავძენთ: უფრო მოგვიანებით, ალიო მირცხულავას რომელიღაც ლექსში ასეთი სტრიქონი გაკრთა: «მე მაპატიებს გალაკტიონი». დაბეჯითებით მტკიცებას არ ვაპირებ, მაგრამ შეიძლება სწორედ იმ კადნიერი გაჯიბრებისათვის ებოდიშება ავტორი პოეტთა მეფეს...

ახლა კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი ვნახოთ მსგავსებისა გალაკტიონისა და გრანელის ლექსებს შორის: ეს ნაწარმოებებიც 1922 წლით არის დათარიღებული — გალაკტიონის «ალაზნათან» და გრანელის «მოგონება ქარში»: აქ ვხედავთ ერთმანეთის მსგავს პოეტურ სახეებს, თანაც რამდენჯერმე, მოდიფიცირებულად განმეორებულს. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ პოეტური სახეების წარმომავლობა არც საკუთრივ გალაკტიონისეულია და არც გრანელისეული, არამედ იეთიმ გურჯის ერთი ლექსიდან იღებს სათავეს; ვნახოთ შესაბამისი სტრიქონები სამივე პოეტთან:

იეთიმ გურჯი:

«სიზმრად ვნახე საიათნოვა,
«მითხრა: გეყო ტანჯვა, გლოვა,
«რაც დაკარგე, მას ნუ ეძებ,
«ის არ მოვა, აღარ მოვა».

გალაკტიონი:

«დამშვიდდი. ტალღებს მიახლოე ნავი.
«რაც დაიკარგა, ის აღარ მოვა.
აქვითინების დრო მერე მოვა,
«დამშვიდდი. ტალღებს მიახლოე ნავი.

«განწირულებას არ მისცე თავი.
«არ მოიზიდო ცრემლების თოვა.
«დამშვიდდი. ტალღებს მიანდე ნავი.
«ის — დაილუპა. ის — აღარ მოვა».

გრანელი:

«იმას არ ველი, ის აღარ მოვა,
იმაზე წუხელ არ მიფიქრია».

«ის არ მოსულა, ის აღარ მოვა,
ის დადიოდა ბაღში ოდესღაც».

«ის დაიკარგა ქარში ოდესღაც,
იმას არ ველი, ის აღარ მოვა».

ისმის კითხვა: გალაკტიონმა და ტერენტიმ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ისარგებლეს იეთიმ გურჯის სტრიქონებით, თუ ჯერ ერთმა მათგანმა მოიმოქმედა ეს, მეორემ კი მისი წაბამვით იგივე გაიმეორა? და თუ ეს უკანასკნელი ვარაუდია სწორი, ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ვის ეკუთვნის — გალაკტიონს თუ გრანელს? ალბათ უფრო გალაკტიონს და აი რატომ: ტერენტი გრანელს ნაკლებად ახასიათებს ტრადიციისადმი ინტერესი, ტრადიციასთან შემოქმედებითი დამოკიდებულება — მეორადი გადამუშავებანი, ციტირებანი, ალუზიები, პერიფრაზები ქართული თუ უცხოური ლიტერატურიდან: გალაკტიონის პოეზია კი სწორედ ამ ნიშნით არის აღბეჭდილი. პაუნდისა და ელიოტის მსგავსად გალაკტიონიც წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ინტენსიურ შემოქმედებით გადამუშავებას ახდენს: მისთვის არა მხოლოდ კლასიკის მწვერვალებია ყურადღების საგანი, არამედ შედარებით მოკრძალებული მასშტაბის ლიტერატურული ნიმუშებიც: მაგალითად მის ლექსებში

არაერთგან გვხვდება ივანე კერესელიძის სტრიქონი «დაჰკარ გრძნობით დაირასა», გვხვდება აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძის «ვაჰ, დრონი, დრონი», გრიგოლ ორბელიანის «ჩემო იარალი» და ა. შ. ტერენტი გრანელს რაც შეეხება, არა მგონია, ის თავისთავად დაინტერესებულიყო იეთიმ გურჯის ლექსით, მაგრამ გალაკტიონის მიერ უმაღლეს ესთეტიკურ რეალობად გარდაქმნილმა იეთიმ გურჯისეულმა მოტივმა, ჩანს, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და დააწერინა გალაკტიონის ლექსზე არანაკლებ შთამბეჭდავი ნაწარმოები: მისი «მოგონება ქარში» ისევეა შედეგრი, როგორც გალაკტიონის «ალაზნთან».

ახლა ისევ ჩვენი სახელოვანი მგოსნების პოეტურ ამბიციებს მივუბრუნდეთ. ხელოვნებაში ინდივიდის, «მე»-ს კულტი მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ დროს დიდი თუ პატარა საკუთარ გამორჩეულობასა და უნიკალურობაზე ცდილობდა სხვათა ყურადღების მიპყრობას. გამონაკლისები ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც გალაკტიონი და ტერენტი იყვნენ, ოღონდ ერთი კი უნდა შევნიშნოთ — გალაკტიონი უფრო არტისტულად «შეფუთული» სახით წარმოგვიდგენს თავის ამბიციებს, მხატვრული აუცილებლობის დალით აღბეჭდავს შესაბამის კონტექსტში, ტერენტი კი უმეტეს შემთხვევაში ზედმეტად პუბლიცისტური პირდაპირობით აკეთებს ამას, თითქოს «კლასი არ ჰყოფნის» საიმისოდ, რომ ლექსებში გამჟღავნებული ეს თვითშეფასებანი მკაცრი გემოვნების მქონე მკითხველისათვის უშენიშვნოდ მისაღები გახადოს.

შევადართ ერთმანეთს სათანადო მაგალითები ორივე პოეტის შემოქმედებიდან:

გალაკტიონი:

«რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით
ვკვდები»

«როგორც ერთია ქვეყანა მთელი,

ისე ერთია გალაკტიონი»

«ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები
არსაიდან»
ყოველმხრივ სივრცე იყოს, შველა კი

«ვწუხვარ, ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები»

«მე უშიშარი ლომი,
მოპოვებული მსხვერპლით.»

ტერენტი:

«მე, ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება»
« უკვე იწამეს ჩემი გენია
და ჩემი ცეცხლი დაუშრეტელი.»

«ნიჭმა ვეღარ მიშველა, როგორც ზეცამ
მაღალმა»

«ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა
ახლა ჩემი გაკილვა ყველას ეპატიება.»

«და, ძვირფასო, ჩემს ბრწყინვალე სახელს
ვგრძნობ, მსოფლიო აღიარებს მალე.»

«მთელ მსოფლიოს რომ დავიპყრობ, ვიცი. »

ტალანტი, ნიჭი, გენიოსობა — ამ ტერმინებით კრიტიკოსი
თუ აფასებს პოეტს (და, საერთოდ, შეფასება პროზაულ
ტექსტში თუ ხდება), ეს სხვა საკითხია, მაგრამ ლექსში ასე
პირდაპირი ლაპარაკი საკუთარ შემოქმედებით უნარებზე
თუ მონაცემებზე პროზაიზმად აღიქმება და, ცოტა არ იყოს,
«ყურს ჭრის»; იქნებ ვინმე შეგვედავოს, გალაკტიონი რომ

«მეფედ» და «ლომად» მოიხსენიებს თავს, ეს საკუთარ გენიოსობაზე მინიშნება არ არისო? საქმეც სწორედ ის გახლავთ, რომ ეს მინიშნებაა და არა შიშვლად თქმა: «მეფე», «ლომი», «ერთადერთობა» და ა. შ. მხატვრული ფიგურებია, მხატვრული პირობითობანი და თუმცა აშკარად ამხელენ პოეტის ამბიციას, ნაწარმოების კონტექსტში მოხდენილად ჟღერენ და რაიმე უხერხულობას არ ქმნიან. როცა გალაკტიონი ერთ ლექსში ამბობს — «წყნარად, მსოფლიო! წინ, მსოფლიო! მსოფლიო, ჩუმი!» — ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მართლა მსოფლიოს მბრძანებელი მეტყველებდეს, ან სულაც გაცხადებული უფალი მრისხანებდეს განკითხვის დღეს: და ეს იმიტომ, რომ აქ მხატვრულ მეტყველებასთან გვაქვს საქმე, პოეტურ ტექსტში დაცულია მხატვრულობის კანონი და ემპირიული რეალობა არ არღვევს მას, როგორც ეს გრანელთან ხდება. მართალია არც იმის თქმა შეიძლება, რომ გრანელის ლექსებს დიდად ვნებდეს ეს გადაჭარბებული პირდაპირობა, მაგრამ ეს მაინც ხარვეზია; არადა, როცა მოინდომებდა, გრანელს გალაკტიონზე არანაკლებ ლამაზად და მაღალმხატვრულად შეეძლო ლექსში თავისი შემოქმედებითი ამბიციის გამოხატვა:

«ჩემი სუსტი სხეული გაწყვეტილი ძაფია,
ჩემი შემოქმედება დედამიწის სიზმარი. »

მაგრამ ცოტა უფრო ზემოთ მოყვანილ მაგალითებში რომ ტერენტი თავის მომავალ «მსოფლიო აღიარებაზე» და თავის მიერ «მსოფლიოს დაპყრობაზე» ქადილით ლაპარაკობს, ეს, ცოტა არ იყოს ინფანტილურობისა და არაადეკვატურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ან კიდევ, როცა ტერენტი ერთ ლექსს ასე იწყებს :

«ეს არის ბაღში ახლა მოვედი,
მომაქვს ტალანტი დიდი პოეტის» —

ეს, პირდაპირ რომ ვთქვათ, კომიკურად ჟღერს : გეგონება, «ტალანტი» რაღაც მძიმე ნივთი, ტვირთი იყოს და ხელში დაჭერილი ან ზურგზე მოკიდებული მოჰქონდეს!

რაც შეეხება ტერენტის განაცხადს:

«ექვი არ არის, რომ გალაკტიონს
მე ჩამოვართვი მეფის სახელი» —

განა ესეც რეალობის გრძნობის არქონაზე არ მეტყველებს? «ექვი არ არისო», ისე ამბობს, თითქოს უკვე მთელი ქართული ლიტერატურული სამყარო (მწერლები, კრიტიკოსები, მკითხველები) დაღადაბდეს — ტერენტი გრანელმა გალაკტიონს აჯობა თავისი შემოქმედებით და «პოეტა მეფის» სახელი გალაკტიონს უნდა ჩამოერთვას და ტერენტის მიენიჭოს! კი მაგრამ, სად და როდის მოხდა ამგვარი რამ? ასე ხომ მხოლოდ თვითონ ტერენტი გრანელი ფიქრობს (და, შესაძლოა, ერთი-ორი «გრანელისტიც»), დანარჩენ საზოგადოებას კი სწორედ იმაში არ ეპარება ეჭვი, რომ გალაკტიონისთვის «პოეტა მეფის» სახელი არავის ჩამოურთმევია...

ასევე რეალობის გრძნობას მოკლებულია ტერენტის სხვა განაცხადიც:

«და პოეზია ტრიალებს ახლა

«მხოლოდ ტერენტი გრანელის ირგვლივ.»

სხვათა შორის, მე ნებისმიერ «გრანელისტზე» არანაკლებ ღრმად მაქვს შესწავლილ-შეთვისებული ტერენტი გრანელის შემოქმედება, არც მათზე ნაკლებად მიყვარს იგი და სულაც არ ვაყენებ ეჭვქვეშ მის დიდ პოეტობას (გნებავთ, გენიალობას), როგორც შეიძლება მოეჩვენოთ ამ წერილის წამკითხველებს. ოღონდ, არისტოტელეს თქმის არ იყოს, «პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი

მეგობარია»; მე რეალურად არსებულ ვითარებაზე ვლაპარაკობ და არა ჩემს სუბიექტურ წარმოსახვებზე, არგუმენტების მოშველიებით ვცდილობ ცხადვყო, რომ ტერენტი გრანელის შემოქმედება შესამჩნევად არის დავალებული გალაკტიონისაგან; თუ ვინმე უფრო ძლიერი არგუმენტებით გააბათილებს ჩემს დასკვნებს, დაე სცადოს, ჰა ბურთი, ჰა მოედანი!

სხვათა შორის, ტერენტი გრანელს მაინცდამაინც გალაკტიონთან რომ აჯიბრებენ და ზოგჯერ უპირატესობასაც კი ანიჭებენ, ეს შემთხვევითი როდია: როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, ამ შედარებას გარკვეულწილად თვით ტერენტი გრანელმა დაუდო სათავე გალაკტიონთან თავისი დაუფარავი მეტოქეობით და, როგორც ჩანს, «გრანელისტები» თავიანთ კერძს უფრო უჯერებენ, ვიდრე ობიექტურ სინამდვილეს; მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ ეს ხალხი ალბათ არც თუ ისე საფუძვლიანად იცნობს გალაკტიონის მეტად ვრცელ შემოქმედებას, სათანადოდ არა აქვთ გაცნობიერებული მისი პოეზიის უჩვეულო მრავალწახნაგოვნება და უნივერსალიზმი, ძნელად შესაცნობი სიღრმე და ზეადამიანური მასშტაბები, ოსტატობის სრულიად განსაკუთრებული, აბსოლუტური ხარისხი: «გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც საერთოდ ჩვენს პლანეტას არ მოეპოვებაო», განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელიც ორიგინალში კითხულობდა რუსულ, გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე შექმნილ პოეზიას, საერთოდაც ხელი მიუწვდებოდა მსოფლიო ლიტერატურაზე და მგონი მის გემოვნებას დაეჯერება, თუნდაც რამდენადმე ჰიპერბოლიზებულიად გვეჩვენოს მისი ეს განაცხადი. რაგინდ არ უნდა გვიყვარდეს ტერენტი გრანელის შემოქმედება, იგი გალაკტიონის მასშტაბებთან შედარებით მაინც რამდენადმე კამერულად უნდა მივიჩნიოთ; ქართული ანდაზა ამბობს — «კამეჩთან

მოჭიდავე ხარს რქა არ შერჩებაო»: იქნებ ამ უფაქიზეს ლირიკოსებზე საუბრისას ცოტა ტლანქად ჟღერდეს ეს ხალხური გამონათქვამი, მაგრამ საქმის ვითარებას ზუსტად კი შეესაბამება...

ოღონდ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგ-ზოგები, საპირისპიროდ «გრანელისტებისა», მეორე უკიდურებასობაში ვარდებიან — ტერენტი გრანელი არასაკმარისად თვითმყოფად შემოქმედად ეჩვენებათ, რაკი მის პოეზიაში გალაკტიონის გავლენას ხედავენ; სხვაგვარად რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ წლების წინათ რაღაც კონკურსის მსგავსი ჩატარებულა, მეოცე საუკუნის ხუთი საუკეთესო ქართველი პოეტი უნდა დასახელებულიყო თურმე და ამ ხუთეულში ტერენტი გრანელი ვერ მოხვედრილა! ზუსტად არ ვიცი, გალაკტიონის გარდა ვინ და ვინ გააერთიანეს იმ ხუთეულში, მაგრამ, თუ არ ვცდები, ერთი ცოცხალი პოეტიც შეუყვანიათ «ორიგინალური ხელწერით» გამორჩეულობის გამო; ორიგინალობა, რა თქმა უნდა, კარგი და სასურველია, მაგრამ, პოეზიის შეფასების მთავარი კრიტერიუმი მაინც მხატვრული ხარისხი და თემატიკის მასშტაბურობაა ერთდროულად მოცემული, და ამ მხრივ, არა მგონია, ტერენტი გრანელმა ვინმეს ეგრე ადვილად დაუთმოს გალაკტიონის გვერდით დგომის პატივი... რაკი ის ტლანქი ანდაზა მაინც დავისაჭიროვით ზემოთ, ბარემ ესეც ითქვას: ხარი იქნებ კამეჩს ვერ უსწორდებოდეს, მაგრამ ვერძებთან თუ ვაცებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს...

ან განა ორიგინალობისა და თვითმყოფადობის მხრივ მართლა რაიმე აკლია ტერენტი გრანელს? უდიდესი ფრანგი პოეტი პოლ ვალერი თავისთავს სტეფან მალარმეს მიმდევრად, მალარმეს სკოლის პოეტად აცხადებდა. არც ტერენტი გრანელს აყენებს ჩრდილს გალაკტიონის პოეტიკით დავალებულობა, გნებავთ, გალაკტიონის სკოლის პოეტად შერაცხვა. მისი ხელწერა გალაკტიონის

ხელწერისაგან მკვეთრად განსხვავებულია მაშინაც კი, როცა საგანგებოდ ახდენს გალაკტიონის ლექსის ვერსიფიკაციული სქემის იმიტირებას და ამით, როგორც უკვე ვთქვით, ერთგვარი «მეორადობის» დაღს ასვამს თავის ლექსს: შევადაროთ ერთმანეთს ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენები «მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე» და «ლურჯა ცხენები» და აშკარად დავინახავთ, რომ ვერც ვერსიფიკაციული იდენტურობა და ვერც ზოგადად მსგავსი პოეტიკა ვერ ფარავს იმ შინაგან, არსობრივ განსხვავებულობას, რაც ამ ორ დიდ პოეტურ ინდივიდუალობას შორის არსებობს: სხვადასხვაგვარია მათი ბიორიტმები თუ ენერგეტიკა, შინაგანი ჰაბიტუსი თუ აურა, და, რა თქმა უნდა, მსოფლალქმა, სამყაროსთან მიმართების მოდუსი...

ვფიქრობ, «გრანელისტებისა» და «ანტიგრანელისტების» ზემოთ მითითებული უკიდურესობანი ერთი მედლის ორი მხარეა: რატომღაც არცერთ მხარეს ხელს არ აძლევს ობიექტური რეალობა, ანუ ის, რომ ტერენტი გრანელი გალაკტიონის გავლენის მიუხედავად არის დიდი პოეტი: პირველთ ამ გავლენაზე სიტყვის გაგონება არ სურთ, მეორენი კი პირიქით — მეტისმეტად აზვიადებენ ამ გავლენის როლს: ჩანს, ორივე მხარეს «გავლენა» რაღაც მომაკვდინებელი ცოდვა ჰგონია; არადა, გავლენებისაგან თავისუფალი მწერალი, ხელოვანი ალბათ საერთოდ არ არსებობს ბუნებაში: ეს თითქოს ყველამ იცის ზოგადად, თეორიულად, მაგრამ ძალიან ხშირ შემთხვევაში, კონკრეტულ ხელოვანთა შემოქმედებაზე საუბრისას ეს ცოდნა რატომღაც დავიწყებული გახლავთ.

14. 03. 2010.

ნაცნობი ქუჩების უცნობი ისტორიები

ქალაქი სადაც დაიბადე. სახლი, სადაც გაიზარდე და ცხოვრობ, ქუჩა რომელსაც დღის განმავლობაში ვინ იცის რამდენჯერ აივლი და ჩაივლი, მაგრამ იცნობ კი მას? დავიქრებულხარ ოდესმე რა ისტორია აქვს ამ შენს ქუჩას, რა ერქვა მას ადრე, ან რატომ ჰქვია დღეს ასე. სწორედ ჩვენი კარგად ნაცნობი ქუჩების უცნობი ისტორიების გაგებაში დაგვეხმარება ქართული რადიოს «რადიო-2»-ისა და ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ერთობლივი პროექტი — «ნაცნობი ქუჩების უცნობი ისტორიები» ამ სიტყვებით გავიდა ეთერში 2005 წლის ოქტომბერში პირველი გადაცემა და სულ მალე შეიძინა საკუთარი მსმენელი, რომელიც მოუთმენლად ელოდა ორშაბათობითა და ხუთშაბათობით ბევრი დავიწყებული და ხშირად სრულიად ახალი ინფორმაციის გაგებას თბილისური ცხოვრებიდან. მიცკევიჩის ქუჩაზე გასეირნებაც ერთ-ერთ ორშაბათს შესთავაზეს მსმენელს ავტორებმა, უფრო ზუსტად 2006 წლის 11 თებერვალს. ჩვენ კი ეს გადაცემა კრებულისათვის — «საუბრები ლიტერატურაზე» მოვამზადეთ და მისი მიზნებიდან გამომდინარე მთავარი მოთხოვნა იყო მკითხველთათვის მწერლის სახელობის ქუჩაზე მოგვეთხრო; თავადაც ნახავთ ერთის მაგივრად ორი მწერლის სახელობის ქუჩაზე გასეირნება გამოგვივიდა. 2010 წელი შოპენის წლად არის გამოცხადებული, ესე იგი პოლონური კულტურის წლად და ამავდროულად ასეთი ტრადიკული 2010 წელი პოლონეთისათვის. მგონი საკმარისზე მეტიცაა, რომ პირველი რეპორტაჟი სწორედ მიცკევიჩის ქუჩიდან შემდგარიყო.

მუსიკა ფილმიდან «რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე» და ხავერდოვანი ბანი გვამცნობს — «ნაცნობი ქუჩების უცნობი ისტორიების» დაწყებას.

წამყვანი: 400 წლის წინ მოგზაურობისას საქართველოში მოხვედრილი პოლონელი მოგზაური რადმივინი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა რომ ეს ორი ქვეყანა ასე

დაუახლოვდებოდა ერთმანეთს და რომ საქართველო ბევრი მისი თანამემამულისათვის მეორე სამშობლოდ და შთაგონების წყაროდ იქცეოდა. მით უმეტეს ვერ წარმოიდგენდა, რომ პოლონელებისათვის ძვირფას სახელებს თბილისის ქუჩები შემოინახავდნენ. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ მიცკევიჩის ქუჩა, საიდანაც ნინო გედენიძე პირდაპირ ეთერში გვერთვება.

ნინო გედენიძე: დილა მშვიდობის, მე ეხლა ზუსტად იმ ადგილზე ვარ, რომლის გავლაც საშინლად არ უყვართ მძლოლებს განსაკუთრებით დილაობით, თუმცა არც სხვა დროს ხიბლავთ. — აქ უამრავი შუქნიშანია. ეს პატარა მოედანი კი, რომელსაც ჯერ სახელი არა აქვს საკმაოდ ლამაზია და ერთგვარი გზაჯვარედინია.

საბურთალოს ადრე საბურთაოს ეძახდნენ, და ხშირად მიფიქრია ნეტავ ამ ტერასებად შეფენილ უბანში საბურთაო რომელი უნდა ყოფილიყო. ალბათ მაინც უფრო ეს ტერიტორია, რომელიც გაშლილ ტაფობს წარმოადგენს.

დღეს 14 თებერვალია და ქართველები ამ დღეს აღიარებენ თუ არ აღიარებენ ის მაინც აღინიშნება.

მთავარი მაინც ის არის, რომ 14 თებერვალია თუ აპრილი, დედის დღე თუ 8 მარტი, ყველაფერს საფუძვლად სიყვარული უდევს და სიყვარულისა კი წელიწადში 365 დღე უნდა იყოს. ამიტომაც მიცკევიჩის ქუჩიდან, იონა ვაკელის სიტყვებით გილოცავთ საზოგადოდ სიყვარულს:

«ვხედავ შენს წალკოტში ლურჯად რომ აშუქებს
ო რა მიმზიდველი ნაზი იებია,
მაგრამ შენ იმათგან ერთიც არ მაჩუქე — მიპატიებია»

წამყვანი: ეს ქუჩა მეოცე საუკუნის 50-იან წლებში წარმოიქმნა და იმთავითვე მიცკევიჩის, პოლონელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლისა და პოეტის სახელს ატარებს. მდებარეობს

პეკინის ქუჩასა და ტანძის ქუჩას შორის, უფრო ზუსტად კი პეკინის გამზირთან აკავშირებს ტანძის ქუჩის გაგრძელებას, იონა ვაკელის ქუჩას. ტანძის ქუჩას 1960 წლამდე ბაშვირეთისა ერქვა, შემდეგ კი ტანძის და იონა ვაკელის ქუჩებად გაიყო. იონა მეგრელიძე-ვაკელი ლიტერატურულ ასპარეზზე მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გამოჩნდა და მისი პირველივე პიესა «აპრაკუნე ჭიმჭიმელი» 1934 წელს დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში. ბუნებაში ხომ შემთხვევით არაფერი ხდება და კიდევ ერთხელ გადაიკვეთა «რადიო-2-სა» და ეროვნული ბიბლიოთეკის გზები და ეს გადაკვეთა მიცკევიჩის ქუჩაზე მოხდა, რადგან სწორედ აქ ცხოვრობს ჩვენი დღევანდელი რესპოდენტი, «რადიო-2»-ის ქართული რადიოს» ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი ქალბატონი მანანა ხვედელიძე.

მანანა ხვედელიძე: ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ, უკვე ათიათასობით ადამიანმა გაიგო სად ვცხოვრობ.

ყოველი ადამიანი ცდილობს გაიუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები და მეც ასე მოვხვდი ამ ქუჩაზე, რომელიც მართლაც შევიყვარე და ასევე შევიყვარე ქუჩის დასაწყისშივე მდგომი ჩემი სალათისფერი სახლიც. ყოველი დღე იწყება მიცკევიჩის მემორიალური დაფით, რომელიც გვამცნობს: «ადამ მიცკევიჩი — დიდი პოლონელი პოეტი, რომანტიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე და წინასწარმეტყველი». მინდა ვთხოვო ნინო გედენიძეს, რომ რაღაც წყაროები მოიძიოს იმის გასაგებად, თუ რა იწინასწარმეტყველა ასეთი ადამ მიცკევიჩმა, რომ მისი ეს თვისება და ბუნება აღმოჩნდა მემორიალურ დაფაზე⁴. ჩემი

⁴ «ნატოლი სმუშკევიჩი თავის ერთ-ერთ მონიგრაფიაში, რომელიც სამეცნიერო-ფანტასტიურ ლიტერატურას ეხებოდა, ამ ჟანრის ლიტერატურაზე მიცკევიჩის გამოუქვეყნებელი ნაშრომის — მომავლის ისტორიის» გავლენაზე საუბრობს.

ქუჩა ნამდვილად შევიყვარე და ის სამკუთხედიც, რომელიც პეკინის ქუჩასთან აერთებს მიცკევიჩის ქუჩას და რომელსაც ყოველ გაზაფხულზე ალამაზებენ ყვითელი ყვავილებით. წელს საახალწლოდ მერიამ მშვენიერი სიურპრიზი მოგვიმზადა: ულამაზესი ლურჯი ნაძვის ხე. რაც შეეხება ქუჩას, ვერ დავიტრაბახებთ ღრმა შინაარსის შენობებით, ერთს გავიხსენებ მხოლოდ, თუ ზუსტად წარმოვთქვი — «ყატრანსგაზი» ეს სწორედ ის ყატრანსგაზია, სადაც უამრავ დაცვის თანამშრომელთან ერთად მუდმივად დგანან მომჩივანი თბილისელები, რომლებსაც ვერ გაურკვევიათ რამდენი უნდა გადაიხადონ. კიდევ რამდენიმე ახალი მზიანი და ფერადი კორპუსი დგას მიცკევიჩის ქუჩაზე, თუმცა არც ჩემს სახლს ვუჩივი, რომელშიც 1960 წელს შესახლდნენ პირველი მოსახლეები, როგორც მივხვდი ეს სახლი ამ ქუჩის აღორძინებასთან არის დაკავშირებული. ყველას იღბლიან ორშაბათს გისურვებთ.

წამყვანი: როგორც გადაცემის დასაწყისშივე აღვნიშნეთ ქართულ-პოლონურ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან ეს ურთიერთობები კიდევ უფრო განმტკიცდა. ამას ხელი შეუწყო ორი პატარა ქვეყნის რუსეთის ჩექმის ქვეშ ყოფნამ, სწორედ ამიტომაც გახდა ქართველებისათვის მიცკევიჩის «ფარისი» ასეთი გასაგები და მისაღები. მისი აქტუალურობის გამო ქართულად «ფარისი» მე-19 საუკუნის 40-იან წლებშივე ითარგმნა გიორგი ერისთავის მიერ. არსებობდავერსია, რომ

ნაშრომის ხელნაწერიც დაიკარგა და მასზე ინფორმაცია შემოინახეს პოეტის მეგობრების წერილებმა. ანტონი ადვარდ ოდინეცი იუმანა კოზაკისადმი მიწერილ წერილში «მომავლის ისტორიას» უწოდებს თანამედროვეობის «დონ კიხოდს».

მიცკევიჩის წინასწარმეტყველური თვისებების შესახებ ინფორმაცია მოიპოვა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ქალბატონმა ალა კისილიოვამ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის «მერანი» სწორედ «ფარისისაგან» არის დავალებული, თუმცა გრიგოლ აბაშიძე ამ მოსაზრებას არ იზიარებს და უარყოფს ამ ორი ლიტერატურული შედეგის ურთიერთკავშირს. ამ საკითხით დაინტერესებულთ შეგიძლიათ ესტუმროთ ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებას, სადაც ქართულ-პოლონური ურთიერთობების შესახებ ბევრ სხვა საინტერესოსაც აღმოაჩენთ. ერთ ისტორიას დღესვე გიამბობთ: ქართველებმა არა მხოლოდ თბილისში უკვდავყვეს მიცკევიჩის სახელი, არამედ პოლონეთშიც, კერძოდ კი ვარშავაში. დიახ, ვარშავაში მიცკევიჩის ძეგლის დადგმა პირდაპირ უკავშირდება ვარშავის იმდროინდელ გუბერნატორს იმერეტინსკ-ბაგრატიონს. 1978 წელს პოლონეთის დღეების დასკვნით სადამოუკუნო პოლონელმა მწერალმა ზდისლავ მორავსკიმ თავისი გამოსვლა ასე დაიწყო: პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობებს დიდი ისტორია აქვს, ამის მაგალითად შეიძლება ბევრი ფაქტის მოყვანა, მაგრამ მე მხოლოდ ერთზე შევჩერდები. პოლონელი საზოგადოება არა ერთხელ მიმართავდა ვარშავის გენერალ-გუბერნატორებს ნება დაერთოთ პოეტ ადამ მიცკევიჩის ძეგლი დაედგათ, მაგრამ ისინი უარს ამბობდნენ. და აი ვარშავაში ახალი გენერალ-გუბერნატორი დაინიშნა. საზოგადოების კომიტეტმა კვლავაც მიმართა გუბერნატორს და მან მაშინვე დართო ნება ძეგლის დადგმისა. ქართველი კაცის დანიშვნას ამ თანამდებობაზე მაშინვე გამოეხმაურნენ ქართული ჟურნალ-გაზეთები. ჟურნალი «კვალი» აღნიშნავდა — ის არის ჩინებული მიმღები, სათნო მოსაუბრე და მიუდგომელი მოსამართლე. ილიასეულმა «ივერიამ» კი გამოაქვეყნა ინფორმაცია იმერეტინსკის ვარშავის სამოქალაქო და სამხედრო პირებთან შეხვედრის შესახებ: «მე აქ მოვედი რა, სრულიად უცხო ვარ სამოქალაქო მართვა გამგეობისადმი. დარწმუნებული ვარ ბატონებო, რომ გულმოდგინე და განათლებულ თანამშრომლობას

გამიწევთ». თანამშრომლობა მართლაც შედგა. «ვარშავა, 12 დეკემბერს შედგა მიცკევიჩის ძეგლის გახსნა. ფუნდამენტი დამზადებულია ნაცრისფერი გრანიტისაგან, პოეტის ფიგურა მთელი სიმაღლით არის, გახსნილი სერთუკით, მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს, მარცხენით უკავია საწვიმარი» — წერდა 1898 წლის თბილისში გამომავალი «კავკაზი». ასეთია ორი ქვეყნის სასიქადულო შვილების ურთიერთობის ერთი ისტორია. იმ დროს როდესაც პოლონელი არქიტექტორები თბილისს ალამაზებდნენ, ქართველი გუბერნატორი ვარშავაში თავისუფლების სიყვარულს ძეგლს უდგამდა.

სამ დღეში მსოფლიო სიყვარულის დღესასწაულს იზეიმებს. სიყვარულის მრავალი გამოვლინება არსებობს და მათ შორის აუხსნელი სწორედ სამშობლოს სიყვარულია. ალექსანდრე იმერეტინსკის ქმედება კი სიყვარულის ახსნად შეიძლება მივიღოთ. ადამ მიცკევიჩის ძეგლის დადგმით მან უპირველესად პოლონელების საქართველოსადმი სიყვარული უკვდავყო.

ლიტერატურული საუბრები ლევან რამიშვილთან

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, არალიტერატურული კითხვით, უფრო სწორად, თემით დავიწყეთ: «ინდოეთი და ლევან რამიშვილი».

ლევან რამიშვილი: ეს ქვეყანა ყოველთვის განსაკუთრებულად მიზიდავდა თავისი ზღაპრულობით, იდუმალებით, ჯადოსნურობით... წარმოიდგინეთ, ესაა სამყარო, სადაც ათასობით ენაა, ღმერთი კი იმდენია, რომ დღემდე ვერ დათვალეს... სადაც ლამის ყოველ სოფელს თავისი საიდუმლო და რიტუალი აქვს... სადაც შეიძლება

ქუჩაში ზღაპრულად მოხატულ სპილოზე ამხედრებულმა პრინცმა გამოიაროს და დაგავიწყოს, რომელი საუკუნეა, პირდაღებულს კი იღლიაში ამოჩრილი ბანანები მაიმუნმა მოგპაროს... სადაც დღემდე ცხოვრობენ ქვის ხანის დროინდელი ტომები, რომლებიც ვერ იგებენ, რას ნიშნავს სიტყვები «ჩემი» და «შენი»... ან ისეთები, რომლებიც ყველაფერში გეთანხმებიან, რადგან არდათანხმება უპატივცემლობად მიაჩნიათ... ისეთებიც კი, რომლებსაც ძალიან ბევრნაირი ღიმილი აქვთ, რადგან არ გააჩნიათ არავითარი ენა და მხოლოდ სახის გამომეტყველებებით საუბრობენ... სადაც არის კუნძულები, რომლებზე ფეხის დადგმაც ცივილიზებულ ადამიანს აკრძალული აქვს, რომ იქაური აბორიგენების ცხოვრების წესი არ დაარღვიოს... სადაც ნამდვილი გურუ უფრო მეტია, ვიდრე სანტექნიკი, ხოლო შარლატანი და აფერისტი ბევრად მეტი, ვიდრე ნამდვილი გურუ... სადაც ტაძრებზე ორგებია გამოსახული და ეს ტაძრები წმინდანდანთა... შემდეგ ინდურ ფილოსოფიას გავეცანი. თავიდანვე ადვილად მესმოდა და ახლობელი იყო ჩემთვის სწორედ ინდური აზროვნება, ინდური აღქმა. ძალიან მიკვირს, როცა ამბობენ, რომ «გიტას» და საერთოდ ინდური ფილოსოფიის გაგება ძალიან ძნელია, რომ ეს ყველაფერი ძალიან უცნაურია... ჩემთვის აზრის სწორედ ეს ფორმებია ყველაზე გასაგები. ჩემთვის ისაა უცნაური, თუ როგორ უდგებიან ყველაფერს დასავლური ფილოსოფოსები — როგორ სვამენ საკითხს და როგორ დასკვნებამდე მიდიან, თუმცა ეს ყველაფერი ძალიან დიდი თემაა... მოკლედ მე მიყვარს ინდოეთი და ამ შემთხვევაში ეს ბრმა სიყვარული არ არის — მე მიხარია, რომ ეს სამყარო ჯერ კიდევ არსებობს და რომ ის იმდენად ღრმა და ვრცელია, რომ დასავლეთი მას ალბათ ვერასოდეს გადაყლაპავს. შეიძლება ბევრს აფრთხობს სიღარიბე, სიბინძურე და მრავალმერტიანობა, ჩემთვის თავისუფლება ყველაფერია. ალბათ სწორედ ესაა მთავარი, რის გამოც ეს ქვეყანა მიყვარს

— ადამიანური არსის უსასრულო მრავალფეროვნების გამოხატვის თავისუფლება. რაც უფრო დავარცხნილი და მოდელირებულია სოციუმი, მით უფრო ღარიბი და ერთფეროვანია მასში მცხოვრები ადამიანიც. მე მირჩევნია, სულ არიყოს ცხოვრების ისეთი მაღალი დონე, როგორიც, ვთქვათ, ამერიკაშია, თუ ეს აუცილებლად გულისხმობს სამას მილიონ ერთნაირ ადამიანს — ისეთებს, როგორებიც ამერიკელები არიან. დასავლეთს ერთი ღმერთი ჰყავს, რომლისაც დიდი ხანია აღარ სწამს, და რომელშიც უკვე ყველაფერს ხედავს, გარდა ღმერთისა, მაშინ როცა სამასი მილიონი ინდური ღვთაება სხვა არაფერია, თუ არა ერთი და ერთადერთი ღმერთის სიმბოლო... ალბერტ შვეიცერმა თქვა გენიალურად: შეიძლება კარგად გაკრეჭილი და მოვლილი ბალი უფრო ლამაზად გამოიყურებოდეს, ვიდრე ტყე, მაგრამ მასში ვერაფრით ვერ იქნება ფლორისა და ფაუნის ისეთი სიუბზე და მრავალფეროვნება, როგორიც ტყეშია... მე მიყვარს ინდოეთი, იმიტომ, რომ მიყვარს თავისუფლება, სიცოცხლე... ჩემთვის «ინდური ფილოსოფია» სიცოცხლის ფილოსოფიაა... მიყვარს რამა, კრიშნა, ბუდა, ქაბირი, რამანუჯა, რამაკრიშნა, ვივეკანანდა, თაგორი, ოშო და რა ვიცი, ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ვინმე. ინდოეთის გარეშე სამყარო ძალიან ღარიბი და უბადრუკი იქნებოდა... ინდოეთიდან მოდის ყოველნაირი რელიგიური აზრი და ტრადიცია. როგორც ჩანს, მართალია ვივეკანანდა, როცა ამბობს, რომ ეს ქვეყანა სწორედ ამისთვის გაჩნდა — რომ რელიგიურობა მთელი თავისი სიღრმით და მრავალფეროვნებით გამოვლენილიყო დედამიწაზე. ინდოეთში რელიგიური ცნობიერების იმდენნაირი ფორმა არსებობს, რომ მთელ კაცობრიობას კიდევ დიდხანს ეყოფა ასათვისებლად. მათ შორისაა ის ფორმებიც, რომლებიც ჩვენ «ჩვენი» გვგონია. ქრისტიანობა სხვა არაფერია, თუ არა ინდური «ბჰაკტის», ანუ სიყვარულისა და ერთგულების გზის ერთ-ერთი ვარიაცია... და რაც მთავარია, ინდოეთის სული არასექტანტურობის

სულია! სექტუმ დაყოფას ნიშნავს, ამიტომ აბსოლუტური გაგებით სექტანტია ყველა, ვინც სამყაროს ყოფს... ვინც ადამიანებს «თავისიანებად» და «სხვებად» ახარისხებს, ვისაც შეუძლია იმის გამო რომ ვიღაცას სხვანაირად წარმოუდგენია რაღაც და სხვა ღმერთს ეთაყვანება, ის უცხოვდ, არათავისიანად მიიჩნის. ინდოეთში ავტობუსის მძღოლებსაც კი ესმით, რომ ნებისმიერი ხატება, ნებისმიერი სახელი მხოლოდ პირობითი სიმბოლოა გამოუხატავის, რომ ყველა ღმერთი, ერთი უსახელო ღმერთის ასახვის მცდელობაა. მათ ავტობუსებს ერთდროულად შივას, ვიშნუს, კრიშნას, ქრისტესა და ბუდას გამოსახულებები ამშვენებს, და თუ კითხავთ, რატომ დააწება მანქანას სხვადასხვა რელიგიის სიმბოლოები, მძღოლი გიპასუხებთ, რომ ღმერთი ერთია... სხვათა შორის ქრისტეს სიყვარული ყველაზე მეტად ინდოელი არაქრისტიანი ავტორების ნაწერებში იგრძნობა... საერთოდ, როგორც წესი ისინი არავის უპირისპირდებიან და ამიტომ ქრისტესაც უპრობლემოდ იღებენ — ის მათთვის არც ქრისტიანების საკუთრებაა და არც «სხვა»... აღმოსავლეთისთვის ქრისტეც, ისევე როგორც სხვა ყველაფერი, პირველ რიგში, ერთადერთი და მთლიანი სამყაროს ნაწილია... ესაა ყველაზე ძვირფასი, რაც ინდოეთმა მომცა, ეს ერთიანობის განცდა. შევეცდები ძალიან მარტივად გამოვხატო: სამყაროს მხოლოდ ერთი წყარო შეიძლება ჰქონდეს. შესაბამისად ყველაფერი ამ ერთი წყაროდან მომდინარეობს. ეს კი გულისხმობს, რომ ყველაფერს, რაც არსებობს — სულიერს და უსულოს, რაღაც საერთო აქვს და ცალკე კი არ არსებობს, არამედ როგორც ერთი დიდი და ორგანული მთლიანობის ნაწილი. შეუძლებელია სხვანაირად იყოს, რადგან სამყარო ორგანულია და არა მექანიკური. უზარმაზარი ხე ნემსისწვერისოდენა თესლისგან ჩნდება. და მისი ყველა მონაცემი წინასწარაა კოდირებული თესლში. სამყარო ვინმემ კი არ შექმნა, ის ყოველწამიერად იქმნება — გამოედინება წყაროდან — ღმერთიდან. ამიტომაც, რომ

სიცოცხლე ყოველწამს ახალი ძალებით ივსება... ინდოელები სამყაროსა და ღმერთის, ხილულისა და უხილავის ურთიერთობას ოკეანესა და ტალღას ადარებენ. ტალღა ვერ იარსებებს ოკეანის გარეშე. ეს გასაგებია, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ვერც ოკეანე იარსებებს ტალღის გარეშე, რადგან ისევ და ისევ — სამყარო მექანიკური არაა, ის ორგანულია და ყველაფერი ორგანულ ურთიერთქმედებაში არსებობს. ეს უკანასკნელი განასხვავებს ინდურ აზროვნებას იუდეო-ქრისტიანულისგან — ღმერთი ისევე ვერ იარსებებს ადამიანის და თუნდაც ჭიანჭველის გარეშე, როგორც ეს უკანასკნელნი ღმერთის გარეშე. და გაიხსენეთ რუსთაველი: «მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი!» (მზე რუსთაველთან სამყაროს ცენტრის, ღმერთის სიმბოლოა). ქრისტიანებისთვის იმაზე ფიქრიც კი მკრეხელობაა, რომ ადამიანი ღმერთს მიუახლოვდეს, ინდოელები და რუსთაველი კი თვლიან, რომ ღმერთსა და ადამიანს შორის არავითარი სხვაობა არ არსებობს — ისინი ერთი მთლიანობის «წილნი», ანუ ნაწილნი არიან...

ეს ხედვა ყველაზე ძნელი მისაღწევია რეალურ ცხოვრებაში — ძნელია სულ გახსოვდეს, რომ ყველა ადამიანური სიმდაბლე, რასაც ხედავ, ერთი მთლიანობის ორგანული ნაწილია, რომ «ცუდი» და «ბოროტი» ადამიანებიც ისევე არიან ღმერთის ნაწილი, როგორც «წმინდანები» — და არა მათზე ნაკლებად. არადა, ინდური მონისტური ფილოსოფიის მიხედვით სწორედ ასეა: რაც არსებობს, მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ღმერთმა სწორედ ასე ინება თავისი თავის გამოხატვა... და ვინმეს გაკიცხვა, ვინმეს სიძულვილი არც მეტი, არც ნაკლები — ღმერთის, ერთადერთი მთლიანობის გაკიცხვას და სიძულვილს ნიშნავს... დუალისტური რელიგიების (მაგალითად ქრისტიანობის) მიმდევართათვის უფრო ადვილია. მათთვის არსებობს «ბოროტება», და როცა ის არსებობს, მისი დანახვა ყოველთვის სხვაში უფრო

ადვილია... სხვაში დანახვა და მერე დიდსულოვნად «პატიება». პატიება ყოველთვის გულისამრევია, რადგან თავისთავად გულისხმობს ქედმაღლობას — «გპატიობ, ესე იგი მე შენზე მაღლა ვარ». მე არ მესმის, ვის რა უნდა ვაპატიო, თუკი არავინაა არავიზე მეტი ან ნაკლები, თუ ყველა ერთი ცნობიერების სხვადასხვა საფეხურს გადის და თუ ადრე თუ გვიან ყველას მოუწევს ყველა სტადიის გავლა... თუმცა მე თუ ახლა წერტილს არ დავსვამ, ეს თემა თავისით არასოდეს ამოიწურება... თან იმასაც ვგრძნობ, რომ კითხვას პასუხი ვერ გავეცი, რადგან ჩემთვის ინდოეთი ამ ყველაფერზე ბევრად უფრო მეტია... ფრანგ მწერალს, კლოდ დელარუს ერთ-ერთ რომანში ასეთი სცენა აქვს აღწერილი: ევროპელი მეცნიერი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქალაქის მოედანზე ხედავს, რომ ვიღაც ნახევრად შიმშველი მათხოვარი უცნაურად მისჩერებია. მათხოვარს რაღაც ამოუცნობი, ბედნიერი სხივით აქვს თვალები გაბრწყინებული. მეცნიერი მიუახლოვდება და გამოწვდილ ხელში ფულს ჩაუდებს. მათხოვარს წამსვე გუნება უფუჭდება და ზიზღნარევი იმედგაცრუების გამომხატველი ჟესტით მოისვრის ფულს... ევროპელი მეცნიერი, «აღმოსავლეთმცოდნე», რომელიც მთელი ცხოვრება ძველ აღმოსავლურ წმინდა ტექსტებს სწავლობდა და ეგონა, რომ ყველაფერი იცოდა ამ სამყაროზე, ისე კვდება, რომ ვერ იგებს, რატომ უყურებდა მას ასე უცნაურად ის მათხოვარი, ან ფული რატომ მოისროლა...

გიორგი კილაძე: « ბჰაგავად-გიტათი » გავაგრძელოთ... და ძველინდურიდან კიდევ რას თარგმნით...

ლევან რამიშვილი: «ბჰაგავად-გიტაც» ამოუწურავი თემაა... ამ წიგნმა ჩემი ცხოვრება თავდაყირა დააყენა, ანუ ის ურემი გადააბრუნა, რომლის გადაბრუნებაც გზას გამოაჩენს ხოლმე... თუმცა დღეს «გიტა» ჩემთვის არავითარ ავტორიტეტს არ წარმოადგენს, ისევე როგორც მთელი

ჰინდუიზმი ან ბუდიზმი, ისევე როგორც «დაო დე ძინი» ან ბიბლია, თავისი ახალი და ძველი აღთქმებით, ისევე როგორც «ვეფხისტყაოსანი»... თუმცა განსხვავება მაინც არის — «გიტა», «დაო დე ძინი» და «ვეფხისტყაოსანი» მიყვარს... ბიბლია მიყვარს, რომ ვთქვა, ტყუილი იქნება. საერთოდ არ მინახავს ადამიანი, რომელსაც ბიბლია უყვარს. შეიძლება ვინმეს ქრისტე უყვარდეს, მაგრამ ძველი აღქმაზე შეყვარებული ადამიანი არა მგონია საერთოდ არსებობდეს... ერთადერთი ადგილი, რომელსაც ორივე ხელით ვიღებ ამ წიგნიდან, ეს არის: «ღმერთმა შექმნა სამყარო და ნახა, რომ კარგია»... ოღონდ გაუგებარია, თუ სამყარო კარგია, მაშინ რატომ გველადადებიან ქრისტიანები, რომ ის «საცდურია» და უნდა უარვყოთ, მოვერიდოთ? ხომ აღიარებენ ბიბლიას?... ლაო-ძი, რუსთაველი და გიტას უცნობი ავტორი როგორც მეგობარს, ისე გესაუბრებიან. «გიტას» ბოლო თავში კრიშნა არჯუნას ეუბნება, მე ყველაფერი გითხარი, ახლა კი როგორც გინდა, ისე იცხოვრეო... ამ სამ წიგნში მხოლოდ კანონზომიერებების ახსნის მცდელობებია, ბიბლია კი ჭკუას გასწავლის, ჩაგჩინებს, გიბრძანებს, და რაც უარესია, გემუქრება, გაშინებს. საშინელებაა ცნობიერებაში, შემეცნებაში ავტორიტეტების არსებობა. აზროვნება მახინჯია, როცა ადამიანისთვის ავტორიტეტი არსებობს. ასეთ დროს აზრები თავის წონას კარგავენ და დისპროპორციულები ხდებიან — ერთი აზრი უსასრულოდ მცირდება და პატარავდება, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ზურგს «ავტორიტეტები» არ უმაგრებენ, მეორე აზრი კი უსაშველოდ, კარიკატურადად იბერება, იწელება, იმიტომ, რომ «ეს არისტოტელემ თქვა», ან სოლომონ ბრძენმა.... და ასეთი აზრები ზოგჯერ მთელ ცხოვრებაზე, მეტიც — თაობებზე, ათასწლეულებზეა გაწელები და უზარმაზარი ზიანი მოაქვს... ალბათ შეამჩნევდით — ჩვენს გარშემო ადამიანები ერთმანეთს აზროვნებას უკრძალავენ, წიგნების წაკითხვას უშლიან და ეს უკვე ნორმალურად ითვლება.

ჩემთვის წარმოდგენელი და დაუჯერებელია, რომ ადამიანები რელიგიებს ჯერ კიდევ რაოდენობის მიხედვით ვაფასებთ და არა ხარისხის მიხედვით — ანუ მიმდევართა რაოდენობით და არა ცნობიერების სიღრმით, სიმაღლით... არც იმპერატორ კონსტანტინეს და სხვათა მიერ შეკოწიწებული ქრისტეს ისტორიის მჯერა... დაუჯერებლად სასაცილოა ის ფაქტი, რომ ქრისტეს ღმერთობა მისი სიკვდილიდან მხოლოდ 300 წლის შემდეგ კენჭისყრით დაადგინეს... კენჭისყრით!.. შეიძლება კენჭისყრით დაადგინო, ვინ არის ღმერთი?... სხვათა შორის, არსებობს იესოს დროინდელი დოკუმენტური ცნობები (სავაჭრო გემის ჩანაწერები, იესოს მოხსენიება სხვადასხვა აღმოსავლურ წმიდა წიგნებში...) იმის შესახებ, რომ ქრისტემ იმოგზაურა ინდოეთში, ტიბეტში, იაპონიაში, ეგვიპტეში. ქრისტიანები ამას უარყოფენ, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა არა აქვთ, რას აკეთებდა ეს კაცი მთელი ჩვიდმეტი წელიწადი... ამას თავისი მიზეზი აქვს — რომ აღიარონ, რომ ეს კაცი დადიოდა, რაღაცას დაეძებდა, სწავლობდა, მაშინ გამოვა, რომ ის ადამიანი იყო, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი... და მაშინ ეკლესიის ფუნქციაც იკარგება — თუ ქრისტე ადამიანი იყო და მიაღწია ჭეშმარიტებას, მაშინ ეს მეც შემიძლია, ყოველგვარი მღვდლების და შუამავლების გარეშე...

გიორგი, ამ თემაზე აქ აღარ ვისაუბრებ. რაც შეეხებ თარგმანს აღარ ვთარგმნი. თარგმნა ძვირი სიამოვნებაა, რადგან სინამდვილეში სიამოვნება მასში ცოტაა, დრო და ენერგია კი უზომოდ ბევრი მიაქვს. ჩემი აზრით ან ძალზე შეძლებული უნდა იყო, რამე რომ თარგმნო, ან გიჟი. ან ძალზე შეძლებული გიჟი... თარგმანისგან უკვე ძალიან შორს ვარ — სარეკლამო სააგენტოში ვმუშაობ. ეს შეიძლება არაა კარგი, მაგრამ ეს არ მაწუხებს — მაინც ვერასოდეს ვხედავდი ჩემს თავს მთარგმნელად. საერთოდ ჩემთვის წარმოდგენელია რაიმე პროფესიასთან გაიგივება. ძალიან

ბევრი რამ მიკეთებია და მიხარია, რომ არაფერზე არ «დავიციკლე»... ამიტომ ჩემი ამბავი ტრაგიკული ნამდვილად არ არის, მაგრამ ჩემი აზრით ნამდვილი ტრაგედიაა, რომ ისეთ მწერალს არა აქვს წერის დრო და საშუალება, როგორც ბაჩო კვიციანი (ისიც სარეკლამო სააგენტოში მუშაობს). მის მაგალითზე შეიძლება მივხვდეთ, რატომ გვყავს ქართველებს ნამდვილი პროზაიკოსი ასე ცოტა... ერთადერთი, რაზეც მწყდება გული, ის არის, რომ ვერ ვახერხებ იმ ნაშრომზე მუშაობის გაგრძელებას, რომელიც რამდენიმე წლის წინ დავიწყე და რომელიც «ვეფხისტყაოსანს» შეეხება, უფრო ზუსტად კი რუსთაველის ფილოსოფიურ მრწამსსა და კოსმოლოგიას მსოფლიოს რელიგიების კონტექსტში. და კიდევ იმაზე, რომ ვერ ვახორციელებ პროექტს, რომელიც მე და ინდოლოგმა, ნიკო კენჭოშვილმა ჩავიფიქრეთ — ვეფხისტყაოსნის ჰინდიზე თარგმნა. თქვენ წარმოიდგინეთ, არაა ნათარგმნი, მაგრამ რომც იყოს, რუსთაველი მაინც ყველა ენაზე თავიდან არის სათარგმნი, რადგან არც ერთ ენაზე არ არსებობს ვეფხისტყაოსნის **მეცნიერული** თარგმანი. მხოლოდ პოეტური თარგმანებია, სადაც რუსთაველის ფილოსოფიური ხედვა **მთლიანად** დაკარგულია. ეს ისეთივე აბსურდია, როგორც, ვთქვათ ის იქნებოდა, ბიბლიის, ან დაო დე მინის მხოლოდ ე.წ. თავისუფალი პოეტური თარგმანები რომ არსებობდეს! და ამ აბსურდის ავტორები ჩვენ ვართ, ქართველები. ჩვენ ვერ გავიგეთ ვეფხისტყაოსანი და ჩვენდაუნებურად ამით ის მთელს მსოფლიოს დავუმალეთ!

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, როგორ უნდა გავიგოთ «ვეფხისტყაოსანი»? ვინ უნდა გაგვაგებინოს და როდის? თქვენ გკითხავთ — რატომ არ არსებობს «თავისუფალი პოეტური თარგმანები»? რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?

ლევან რამიშვილი: როგორც ჩანს, კარგად ვერ გამოვხატე, რისი თქმაც მინდოდა... მე თავისუფალი ან რითმიანი

ლექსით თარგმნის ნაკლებობაზე კი არ ვლაპარაკობ, არამედ მეცნიერული თარგმანების არარსებობაზე. მეცნიერული თარგმანი არაპოეტური, შინაარსობრივი თარგმანია. ასეთ თარგმანში ყოველი სიტყვის ყველა შესაძლო აზრობრივ-ასოციაციური ნიუანსი და შეფერილობა ნარჩუნდება და სადაც ეს ვერ ხერხდება, იქ აუცილებლად ხდება განმარტებებში იმის ახსნა, რისი გადმოტანის საშუალებასაც უბრალოდ ენები არ იძლევა. ეს აუცილებელია ისეთი ღრმად ფილოსოფიური ტექსტების შემთხვევაში, როგორებიცაა «დაო დე ძინი», «გიტა», «დჰამაპადა», პლატონის «დიალოგები», «ალმასის სუტრა» ან «ვეფხისტყაოსანი». ამას მოითხოვს ასეთი ტექსტების ბუნების თავისებურება. როგორც წესი, ასეთ ნაწარმოებებში ძალზე ფაქიზი აზრობრივი ნიუანსები გვხვდება და საკმარისია თუნდაც ერთი სიტყვა არასწორად გავიგოთ, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგეს. მაგალითად «გიტაში» ერთი სიტყვის, ვთქვათ «იოგას» სხვადასხვანაირად გაგებამ მთელი რელიგიური მიმდინარეობები წარმოქმნა... ვეფხისტყაოსნის შემთხვევაში შორს წასვლა არ დაგვჭირდება, პირველი სტროფიც საკმარისია:

«რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა, ჰყვნა ზეცით მონაბერითა»

ჩვენ ამ ყველაფერს დღემდე აღვიქვამთ, როგორც მხოლოდ ლამაზ შესავალს, არადა აქ ყოველ სიტყვაში ფილოსოფიურ-თეოლოგიური მრწამსი, ავტორის პოზიციაა გამჟღავნებული. მაგალითად «არსნი სულითა» ავიღოთ. აქ «არსნი» მრავლობითშია, «სული» კი მხოლოდობითში. ათასწლეულების მანძილზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის უამრავი ფილოსოფიურ-რელიგიური სკოლა დაობდა ამ საკითხზე — ყოველ ადამიანს თავისი ინდივიდუალური სული აქვს თუ ყოველი ცოცხალი არსი

ერთი უნივერსალური სულით არის განმსჭვალული. როგორც ხედავთ, რუსთაველს ამ საკითხში სრულიად გარკვეული პოზიცია აქვს... ამით შოთა ქრისტიანულ გაგებას უპირისპირდება ნებისით თუ უნებლიედ.... ასეთივე ღრმა შინაარსი აქვს რუსთაველის ნებისმიერ სიტყვას. რუსთაველოლოგიას და სრულიად საქართველოს მხედველობიდან გამორჩა ერთი უზარმაზარი მნიშვნელობის ფაქტი — რომ «ვეფხისტყაოსანი» ფილოსოფიურ-რელიგიური ტექსტია (სხვა ყველაფერთან ერთად)! და რომ მსოფლიო პოემა ის სწორედ ამის გამოა და არა მხოლოდ მეგობრობისთვის და სიყვარულისთვის ხოტბის შესხმის გამო. ამას ვგულისხმობდი, როცა ვთქვი, რომ ქართველებმა შოთა ვერ გავიგეთ და ძალაუნებურად ამით ის მსოფლიოს დავუმაღეთ. ვიცი, რომ ძალიან ხმამაღალ განცხადებად მოგეჩვენებათ, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა — «ვეფხისტყაოსნის» კვალიფიციური, მეცნიერული თარგმანი არც ერთ ენაზე არ არსებობს და თუ ჩვენ პრეტენზია გვაქვს იმაზე, რომ ქვეყანა ვართ, რომ საერთოდ ვარსებობთ, ეს პოემა თავიდან უნდა ვთარგმნოთ ყველა ენაზე და ეს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ უნდა ვაქციოთ! უნდა არსებობდეს რაღაც დაწესებულება, ძლიერი დაფინანსებით, რომელიც მხოლოდ ამაზე იმუშავებს — «ვეფხისტყაოსნის» მსოფლიოს ენებზე თარგმნაზე. შეიძლება იკითხოთ, ვაჟამ ან გალაკტიონმა რა დააშავესო. რა თქმა უნდა, მათი და კიდევ სხვების თარგმნაც აუცილებელია, მაგრამ რუსთაველი ძალიან დიდია — ის დღესაც კი მსოფლიოზე წინ არის, მას დღესაც კი შეუძლია ისეთი რამ უთხრას მსოფლიოს, რაც მას სულიერად გაამდიდრებს და წინ წასწევს. ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს ეს განცხადება, ვიტყვი, რომ რუსთაველს ერთ მთლიანობად აქვს მოცემული ორი თითქოსდა მოურიგებელი მსოფლმხედველობა — საკრალური და ჰუმანისტური, ანუ ადმოსავლური და დასავლური. ამას გარდა, «ვეფხისტყაოსანში» საიდუმლო

ცოდნაა კოდირებული, რომელიც ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობის, მიღმიერი რეალობის მიღწევის გზას აღწერს. ვეფხისტყაოსანში არ არსებობს არცერთი სტროფი, მასში ფარული, ეზოთერული ცოდნა რომ არ იყოს კოდირებული. უძველეს მსოფლიო ლიტერატურას თავისი სიმბოლური, ალეგორიული ენა აქვს, რომელიც მსოფლიოს უამრავი დიდი პოემისთვის საერთოა. ასეთი სიმბოლური მეტყველება აერთიანებს გილგამეშს, რამაიანას, მაჰაბჰარატას, დანტეს «ღვთაებრივ კომედიას» და სხვა მსოფლიო ნაწარმოებებს... შოთაც, იმისათვის, რომ მისი პოემა ბოლომდე ამოუცნობი არ დარჩეს, ამ საყოველთაო სიმბოლიზმის კანონებს იყენებს. ასე გვაძლევს ის თავის პოემაში უმაღლესი ჭეშმარიტების ცოდნას და აღგვიწერს მისი მიღწევის პრაქტიკულ გზას.

ისევე, როგორც აღმოსავლეთის წმინდა წიგნებში, რამაიანაში, მაჰაბჰარატაში და სხვა, ვეფხისტყაოსანშიც სიუჟეტი ადამიანის მიერ მიღმიერ სამყაროსთან დაკავშირების პრაქტიკული გზის სიმბოლური გამოხატვაა. აქ ყველა დეტალს, ყველა პერსონაჟსა თუ მოვლენას სიმბოლური დატვირთვა აქვს. მაგალითად 12 მონა, რომელსაც როსტევანი ტარიელს მიუგზავნის, თორმეტი თვის, ანუ მატერიალური დროის სიმბოლოა. ტარიელის მიერ მათი დახოცვა მის შინაგან გზაზე გადადგმულ ნაბიჯს — მედიტაციაში მატერიალური სამყაროს მიღმა გასვლას განასახიერებს. «ქვაბი», რომელშიც ტარიელი ცხოვრობს, მედიტაციის, საკუთარ თავში დანთქმის სიმბოლოა, მხეცები, რომლებსაც ტარიელი ხოცავს, ხორციელ ვნებებს, ინსტიქტებს აღნიშნავენ და ა.შ. მთლიანად სიუჟეტი — გმირების მიერ ნესტანის გამოხსნა ადამიანის მიერ დაკარგული ღვთაებრიობის დაბრუნებას, მიღმიერებასთან შეერთებას ნიშნავს, რადგან დადგენილია, რომ ნესტან-დარეჯანი იმიფრება, როგორც «ის, რაც აქ არ არის» (სპარს.), ანუ ის, რაც მატერიალურ სამყაროში არ მოიპოვება.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა აგვიხსნას ეს ყველაფერი, არაფრის თქმა არ შემიძლია, გარდა იმისა, რომ ეს ერთი ან ორი ადამიანის საქმე არაა. ვინ უნდა იყვნენ ეს ადამიანები? — ერთი რამ ვიცი ზუსტად — ვეფხისტყაოსანზე ვერაფერ ფასეულს ვერ იტყვის ის, ვინც ძალიან კარგად არ იცნობს ძველ აღმოსავლურ პოეზიას, ფილოსოფიას და რელიგიებს. რუსთაველი ორგანული ნაწილია ამ სამყაროსი — აღმოსავლეთის. მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიშველიებ — «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტი მეტად რთულ ნიუანსებში იმეორებს ძველინდური ეპოსის, «რამაიანას» სიუჟეტს... ეს ამ პოემას, რა თქმა უნდა, არ ამცირებს. თვით ესეც — ცნობილი სიუჟეტის აღებაც, აღმოსავლური პოეზიის ტრადიციაა... ამავე დროს რუსთაველი წარმოუდგენლად თვითმყოფადია — შოთამ ცალკე არსებული, თვითკმარი სამყარო შექმნა, თავისი ესთეტიკითა და ეთიკით, თავისი მსოფლმხედველობითა და კოსმოლოგიით; და რომ მისი სამყარო აბსოლუტურად სხვაა, განსხვავებულია ქრისტიანობისგან. მეტიც — თავისი არსით ნებისთ თუ უნებლიედ ძირშივე უპირისპირდება მას. შემიძლია ვთქვა, რომ არსებობს «ვეფხისტყაოსნის» კულტურა, «ვეფხისტყაოსნის» ადამიანი და ეს ადამიანი ქრისტიანი არ არის. ქრისტიანისთვის არსებობს გარედან მიღებული კანონები: «არა კაც კლა», «არ იმრუშო»... «ვეფხისტყაოსნის» ადამიანისთვის ასეთი რამეები არ არსებობს. ტარიელი და ავთანდილი წინასწარ დაწერილი წესების მიხედვით არ მოქმედებენ, გარედან თავსმოხვეულ შტამპებს არ ემორჩილებიან. ისინი ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მოცემული გარემოებიდან გამომდინარე მოქმედებენ და ყოველთვის თავის შინაგან ხმას უსმენენ, საკუთარ ინტუიციას ეყრდნობიან და არა რაიმე დირექტივას გარედან. თუ დაკვირვებხართ, რომ ავთანდილიც და ტარიელიც კლავენ ისეთ ადამიანებს, რომელთაც არც კი იცნობენ და რომელთაც პირადად მათთვის არაფერი დაუშავებიათ? რომ

ამ გადაწყვეტილებას ისინი ისე იღებენ, რომ «არა კაც კლა» არც კი ახსენდებათ და ამას შემდეგ არცერთხელ არ ნანობენ?

გიორგი კილაძე: ტარიელის კარავში შეჭრა გამახსენდა...

ლევან რამიშვილი: «ვეფხისტყაოსანში» ძალიან ბევრი რამეა ისეთი, რასაც არავინ უფიქრდება და გვერდს უვლის, მაგრამ ეს ყველაზე მეტად მაინც ამ ეპიზოდზე ითქმის, რადგან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ეს ეპიზოდი ყველაზე დიდი ნაღმია, პოეტის მიერ «შეფარვით» და შეგნებულად ჩადებული. ამაზე ის მეტყველებს, რომ შოთა აქ სიუჟეტური გამეორების ხერხს მიმართავს. ეს მისი მეთოდია — განსაკუთრებით მნიშვნელოვან სათქმელს ის ნიღბავს, მაგრამ იმეორებს, რომ ჩვენ ის შემთხვევითობად არ ჩავთვალოთ. ამიტომ აქვს პოემას ორმაგი სიუჟეტი და ამიტომ იმეორებს ავთანდილი ტარიელის საქციელს — რომ ჩვენ დაგვიფიქრდეთ, იქნებ სწორედ ამ საქციელს თვლის პოეტი სწორად, რახან ორ მთავარ გმირს ჩაადენინა? ტარიელი, რომელსაც რუსთაველი ლამის ღმერთკაცად, სრულყოფილების განსახიერებად გვიხატავს, კლავს ადამიანს, რომელსაც არც კი იცნობს. კლავს ქალის დავალებით და შეგონებით. მსხვერპლი კარავში ისვენებს. ტარიელი მას მიპარვით კლავს და არა პირისპირ შებმით. შეიძლება ათასნაირი ახსნა მოვუძებნოთ ამ მკვლელობას, მაგრამ ქრისტიანულ საქციელს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. მეტიც — გაგვიჭირდება ეს ადამიანურ საქციელად მოვნათლოთ... მაგრამ რუსთაველი დაჟინებით გვაწვდის აზრს, რომ ამგვარი საქციელი მისაღებია პირადად მისთვის. და ეს არ არის უბრალოდ მკვლელობის გამართლება და გულცივობის ქადაგება. ასე მხოლოდ მაშინ მოგვეჩვენება, თუ აღმოსავლეთს არ ვიცნობთ. ასეთ შემთხვევაში ვერც შოთას ამ სტროფს გავიგებთ:

«არის ერთი ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი

არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი...»

ეს სტროფი მთლიანად ინდურია თავისი აზრის წყობით და ტერმინოლოგიითაც კი... მასში ნათქვამია, რომ სიბრძნე უბრალო სიტყვა არაა, იგი ის სულიერ-ფიზიკურ-ფსიქიკური მდგომარეობაა, როცა ადამიანზე არაფერი მატერიალური აღარ მოქმედებს, მათ შორის არც ადამიანური «ბედნიერება» და «უბედურება», რადგან მისი ცნობიერებისთვის ესენი, უბრალოდ აღარ არსებობს... აი, ამ ცნობიერებას დაეძებენ ტარიელი და ავთანდილი და ესაა ამ პოემის მთავარი აზრი. ისინი კლავენ ამას. თავს ორი მიზეზის გამო არ არიდებენ — ჯერ ერთი, ისინი საკუთარ შინაგან ხმას, ინტუიციას უსმენენ და რაც მთავარია, მათთვის მკვლევლობა არ არის ბოროტება. ისინი კლავენ ნაკლებად ცნობიერ ადამიანებს, რომლებსაც თავიანთი გაუცნობიერებლობით, ვიწრო-ეგოისტური ზრახვებით ძალაუნებურად ზიანი მოაქვთ. მათი გაუცნობიერებლობის სიმბოლოა მათი ძილი. ორივე მოკლულს ეძინა — ანუ არაცნობიერ მდგომარეობაში იმყოფებოდა — ეს სიმბოლოა უგუნურების, უცნობლობის, სიბრიყვის... და მართლაც რატომ დაიღუპა ტარიელის მსხვერპლი? — იმიტომ რომ ვერ თუ არ გააცნობიერა სად და რატომ მიდიოდა, ვის რას უშავებდა თავისი საქციელით. არ გააცნობიერა, რომ თავისი ქორწინებით სხვისას ისაკუთრებდა — სამეფოს ართმევდა იმას, ვისაც ეკუთვნოდა იგი. ამავე მიზეზის — უცნობლობის, გაუცნობიერებლობის გამო დაიღუპა ავთანდილის მოკლულიც — აყოლილი ამპარტავნების წამიერ შეტევას. ის «შვილების დაჭმევით» დაემუქრა ქალს, რომელზეც არავითარი უფლება არ ჰქონდა. მან, თვითონაც ქურდულად შეპარულმა საყვარელმა, ქალს სხვა საყვარელთან შეუსწრო და ისეთი სასტიკი სასჯელით მოინდომა მისი დასჯა, როგორი სასჯელისთვისაც მხოლოდ რქებდადგმულ ქმარს თუ შეეძლო მიემართა და ესეც კი მეტისმეტი სისასტიკე იქნებოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ,

მასაც «ემინა» — ვერ აცნობიერებდა ვინ იყო, სად იყო და რისი უფლება ჰქონდა და ამას შეეწირა კიდეც. საგულისხმოა, რომ შოთა აქაც მხატვრული ხერხის გამეორებას მიმართავს, რაც ადასტურებს, რომ მსხვერპლთა ძილი ისევე არ არის შემთხვევითი რამ, როგორც ქალის გამეფების სიტუაციის, ან პოემის მთავარ, კეთილშობილ გმირთა მიერ მკვლელობის ჩადენის გამეორება.

ისინი იქცევიან ისე, როგორც ეს უკეთესი იქნება მათთვის და არა მხოლოდ მათთვის, არამედ მთელი სამყაროსთვისაც. ასეთია რუსთაველის კრედიო და მას ანალოგი მოეპოვება აღმოსავლეთში, კერძოდ ინდოეთში. «გიტაში» ნათქვამია:

ვინც დაცლილია თავკერძობისგან და აქვს გონება შეუმწიკველი,
არ ემონება იგი საქმეებს და გინდაც კლავდეს, არაა მკვლეელი.

«გიტაში», რომელიც აი, როგორ განსაზღვრავს «ბრძენის» ცნებას:

«ბრძენის ნათქვამს ჰგავს სიტყვები შენი,
იმათ კი დარდობ, ვინც დარდად არ ღირს —
არცა ცოცხლებზე და არცა მკვდრებზე არა სწუხს ბრძენი და
ცრემლსაც არ ღვრის...»

«ბრძენს სწორად უჩანს ძროხა და მღვდელი, ცოდნით,
ზრდილობით ნაქები, ქველი,
სულერთი არის იმისთვის სპილო, ძაღლი ან თუნდაც ძაღლისმჭამელი.
აქვე დასძლია წუთისოფელი, ვინც ერთობას ჭვრეტს, აღუშფოთველი,
უფალში სუფევს, რადგან უფალიც არგანმრჩევია და უცოდველი.
სოფლის სიამე მას არ ახარებს, არც სატანჯველით სჭირს
დაღონება...»

...»ვისაც ვერ ითრევს, ვედარ ატყვევებს, ავი და კარგი ამქვეყნიური,
ვისაც არა სურს და არც სძულს რამე...»

«...ვისთვის ერთია ოქრო და მიწა...»

...ვისთვის ერთია ნაცნობ-უცნობი, მოძმე, მოძულე, მტერი, მოყვარე,
ვინც არ განარჩევს წმინდანს და ცოდვილს...»

ეს ორი წიგნი — «გიტა» და «ვეფხისტყაოსანი» ერთი და იგივე თემაზეა — ადამიანის მიერ უმაღლესი ცნობიერების მოპოვების თემაზე, და ეს მხოლოდ ამ ერთი პატარა მაგალითით კი არ მტკიცდება, არამედ უსასრულო რაოდენობის ნიუანსებით, რომელთაც აქ, რა თქმა უნდა, ვერ მოვიყვან... რუსთაველს ერთი მთლიანი მსოფლმხედველობა აქვს, დალაგებული კონცეფცია, რომლის მთავარი პოსტულატებია: 1. ღმერთი შეუცნობელია; 2. იგი არსებობის ერთადერთი წყაროა; 3. მიღმიერი და მატერიალური სამყაროები, ანუ მთლიანად სამყარო ორგანული მთლიანობაა, იგი დაუნაწევრებელია; 4. უმაღლესი ცნობიერება თვით ადამიანში არსებობს; 5. ადამიანმა ამ ცნობიერებას ამქვეყნადვე მიაღწიოს; 6. მატერიალური და «სულიერი» ერთმანეთს კი არ უპირისპირდება, არამედ ერთი მთლიანობის სხვადასხვა ფაზათა სახით არსებობს, ამიტომ სრულიად შესაძლებელია, რომ ადამიანი ორივეთი დატკბეს, «ორთავეს გახდეს მხლებელი...»

ახლა თვითონ განსაჯეთ, რასთან უფრო მეტი აქვს საერთო რუსთაველს, აღმოსავლეთთან თუ ქრისტიანობასთან...

ქრისტიანობისთვის ადამიანი იმთავითვე «დაცემულია», «ცოდვილია» — ანუ მასში რაღაც დაბადებიდანვე არასწორია, რაც მან უნდა გამოასწოროს. რუსთაველისთვის ადამიანი «სოფლის ნათელია», «მზის სწორია», «მზეა», ანუ სამყაროს ცენტრი, «სული» — ღმერთი თვით მასშია.. «ვეფხისტყაოსნის» ადამიანი შინაგანად თავისუფალია. თავისუფალი კოლექტიური ცნობიერებისგან, რელიგიისგან, ცრურწმენებისგან, ის ლაღია, სიცოცხლით სავსე და სიცოცხლესთან ჰარმონიულ მთლიანობაში მყოფი, ძლიერი, ბრძენი...

ქრისტიანობა მორალისტურია, რუსთაველი კი ყველაზე არამორალისტი პოეტია მსოფლიოში...

ჩვენი კულტურა, აღზრდა გვაყალიბებს ორიენტირების ჩვენი არსების გარეთ მაძიებელ, არასრულფასოვან სუბიექტებად — ჩვენ ყველაფერს სხვის დასანახად ვაკეთებთ, ყველაზე დიდ ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებსაც კი (და ყველაზე მეტად მათ!) მხოლოდ სხვის დასანახად ვიღებთ — «პრესტიჟულ» პროფესიებს ვირჩევთ, ცოლის მოყვანის (ან მასთან გაშორების) დროს გადამწყვეტი ის ხდება ჩვენთვის, თუ რას იფიქრებენ მშობლები, ნათესავები, მეზობლები... ყველაზე გადამწყვეტ მომენტებში არ გაგვაჩნია ჩვენი აზრი და სხვებს შევყურებთ. ამ მხრივ ადამიანებს კი არა, დასაქოქ თოჯინებს უფრო ვგავართ... «ვეფხისტყაოსნის» გმირებს მსგავსი არაფერი ჭირთ. ისინი სრულფასოვანი ადამიანები არიან, იმ გაგებით, რომ ყოველთვის თავისი ტვინით ფიქრობენ და ყველაფრის ძალას თავის თავში პოულობენ. შესაბამისად პასუხისმგებლობის გრძნობაც სხვანაირი აქვთ... «ვეფხისტყაოსნის» ადამიანი თვისობრივად სხვა ტიპის ადამიანია. ჩემი აზრით, საქართველოსთვის ვეფხისტყაოსანი იყო ერთადერთი სწორი ათვლის წერტილი, შანსი, ჰქონოდა თვისობრივად განსხვავებული კულტურა...

გიორგი კილაძე: ბატონო ლევან, თქვენი ნებართვით «ვეფხისტყაოსანს» კიდევ მრავალჯერ დავუბრუნდებით. ახლა უფრო ზოგადლიტერატურული კითხვა მინდა დაგისვათ. თქვენი აზრით როგორია ლიტერატურისა და შემოქმედის ადგილი თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში, შეიცვალა თუ არა პარადიგმა —პოეტი არის მეფე, ერის სულიერი წინამძღოლი და მოძღვარი. რატომ?

ლევან რამიშვილი: არ ვიცი, შეიცვალა თუ არა ეს პარადიგმა, მაგრამ თუ შეიცვალა, ძალიან კარგი რამ მომხდარა. ჩემი აზრით, ამქვეყნად ყველაფერი ბუნებრივად უნდა ხდებოდეს — თუ რომელიმე პოეტი

თავისდაუნებურად ერის სულიერ წინამძღოლად ან მეფედ იქცა (მოდღვრად ქცევას არავის ვუსურვებ...), ესე იგი ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამისკენ სწრაფვა ან ასეთი პარადიგმების ქონა (ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ ცნობიერებაში) უბრალოდ სასაცილოა; და არ მხოლოდ სასაცილო, ზოგჯერ გულისამრევი და საშიშიც კი — როცა საზოგადოებას ასეთი წარმოდგენა აქვს — უნდა, რომ პოეტის სახით წინამძღოლი ან მოძღვარი ჰყავდეს, ხშირად ის ასეთებს თვითონ იგონებს და როგორც წესი, ასეთი წინამძღოლები ძალიან კარიკატურულად გამოიყურებიან ხოლმე. თავის მხრივ, ასეთი დროებითი ფსევდო-ერისმამები თვითონაც ახვევენ ხოლმე საკუთარ პერსონას ერს ასეთი წინამძღოლის თუ მეფის როლში, მაგრამ როგორც წესი თაობების ცვლასთან ერთად ისინიც პედისტალებიდან ჩამოდიან და ადგილს ახალ ფსევდო-ერისმამებს უთმობენ. შემოქმედებას ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და მაღალი შინაარსი აქვს, ვიდრე ერის წინამძღოლობა და მითუმეტეს მოძღვრობა. სწორედ ხუთი წუთის წინ მოვისმინე ერთ-ერთ რუსულ გადაცემაში, «კულტურული რევოლუცია», ასეთი ფრაზა: «ხელოვანი არავის წინაშე არ არის ვალდებული — არც ისტორიკოსების და არც სახელმწიფოს წინაშე», რასაც აბსოლუტურად ვეთანხმები. იმისთვის, რომ თვითონ შემოქმედებითი პროცესი შედგეს, ყველაზე აუცილებელი პირობაა შინაგანი თავისუფლება და პირველ რიგში ეს კოლექტიური ცნობიერების შაბლონებისგან განთავისუფლებას გულისხმობს. წარმოიდგინეთ პოეტი, რომელიც დილით იღვიძებს და ფიქრობს: «დღეს ერთი ლექსი მაინც უნდა დავწერო ჩემი სამშობლოს ჭირ-ვარამზე. ეს ლექსი უნდა იყოს მწვავე და გვერდს არ უნდა უვლიდეს თანამედროვეობის პრობლემებს!..» რა მარაზმია! არადა ასეთი პარადიგმების არსებობა სწორედ ასეთ მარაზმებს ბადებს. ყველაფერი ბუნებრივად უნდა ხდებოდეს და რაც უფრო ნაკლები გვექნება წარმოდგენები იმის შესახებ, თუ

«როგორი უნდა იყოს პოეტი», მით უფრო მეტი ორიგინალური და საინტერესო პოეტი გვეყოლება.

გიორგი კილაძე: მაშინ ასე გკითხავთ: ვინ არის პოეტი დღეს?

ლევან რამიშვილი: ის ვინც ყოველთვის იყო პოეტი — ადამიანი, რომელიც პოეტურ სათქმელს (რომელიც მარადიულია) მისი დროის შესაფერის, თანამედროვე ფორმებით გამოხატავს.

გიორგი კილაძე: იქნებ დააკონკრეტოთ: დროის შესაფერისი პოეტური სათქმელი და მისი შესაფერისი თანამედროვე ფორმები...

ლევან რამიშვილი: არ ვიცი, რა არის «დროის შესაფერისი პოეტური სათქმელი». ჩემი აზრით პოეზია იმისთვის არსებობს, რომ ადამიანმა გამოხატოს ის, რისი გამოხტვაც სიტყვებით რთულია, რაც პროზაში იკარგება, უფერულდება... ანუ ყველაზე ფაქიზი, მოუხელთებელი განცდები, შეგრძნებები, ეს ყველაფერი კი ადამიანის შინაგან სამყაროს უკავშირდება, რომელიც, არასოდეს არ არის «დროის შესაფერისი», მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ყოველთვის ეწინააღმდეგება «დროს», ანუ კოლექტივს, ბრბოს, მაგრამ სწორედ იმისთვის, რომ ამ ბრბოსთვის, ანუ სხვა, «თანამედროვე» ადამიანებისთვის პოეტის სათქმელი გასაგები იყოს, ის იძულებულია მის გამოსახატად თანამედროვე ფორმები გამოიხატოს. ფორმაა ყოველთვის თანამედროვე და არა შინაარსი.

ბაღში თინეიჯერი წყვილი სეირნობს.

— რა ბანძები იყვნენ ბებიაჩემი და ბაბუაჩემი, — ეუბნება ბიჭი გოგოს, — ბაბუაჩემი მიყვებოდა, როგორ უხსნიდა ბებიაჩემს სიყვარულს. ჯერ თურმე მთვარეზე ებაზრებოდა მთელი ერთი საათი: «რა მშვენიერია სავსე მთვარის მოვანება გაზაფხულის ასეთი საღამოებისას, როცა ჰაერი

აბრეშუმით მსუბუქია და კამკამა...» ასეთ რაღაცეებს ეუბნებოდა, აზრზე ხარ? მერე კიდევ: «მე შენ მიყვარხარ, ძვირფასო, უშენოდ სიცოცხლე არ შემოდის ჩემო თვალის ჩინო» და ეგეთ რაღაცეებს... გოგო და ბიჭი იცინიან «წინაპრების» მაღალფარდოვნებაზე. ცოტა ხანს ჩუმიად სხედან, მერე კი ბიჭი ეუბნება გოგოს:

- ისე, ეს მთვარე მაგრად ასწორებს, არა?
- ჰო, ასწორებს, — ეთანხმება გოგო.
- და ჰაერიც მაგრა ეგრე ისეთია, არა?
- ჰო, რავი, საკაიფოა.
- შენც მაგრა მევასები!
- მეც მევასები!...

გიორგი კილაძე: მოდით, კრიტიკაზე ვისაუბროთ: კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? პროფესიული თარგმანი და კრიტიკა... კიდევ ერთხელ: რას ნიშნავს პროფესიული თარგმანი და პროფესიონალი მთარგმნელი....

ლევან რამიშვილი: დღეს საქართველოში არც პროფესიული თარგმანი არსებობს და არც კრიტიკა. პროფესიულმა თარგმანმა რომ იარსებოს, თარგმანებს იმ ენის მცოდნეები უნდა არედაქტირებდნენ, რა ენიდანაც ითარგმნება ნაწარმოები. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ეწოდოს თარგმანს «პროფესიული», ეს ჩემი მოგონილი არ არის, ეს თარგმნის პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ამის კეთება ძალიან ძვირი ჯდება. თუ არ შემოწმდა თარგმანი დედანთან შეპირისპირებით, ესე იგი ის საერთოდ არ შემოწმებულა, რადგან არ შემოწმებულა, რამდენად ზუსტია იგი, რამდენად შეესაბამება ორიგინალს. ჩემი «გიტას» თარგმანიც არ არის პროფესიული, რადგან მისი სიზუსტე ჩემს გარდა არავის შეუმოწმებია... აქედან

გამომდინარე გასაგებია, რომ კრიტიკაც ვერ იარსებებს, რადგან რა უნდა წეროს კრიტიკოსმა, თუ არ იცის, რამდენად ზუსტია თარგმანი, ან რა აზრი აქვს უამისოდ მის ნაწერს... როგორც ჩანს, თარგმანი და კრიტიკა საქართველოსთვის მეტისმეტად ძვირი სიამოვნებაა. ამიტომ ჩვენთან ტოტალური დილეთანტიზმია გამეფებული. გიორგი ლობჯანიძემ თარგმნა «ყურანი», რაც საკმაოდ გახმაურდა, მაგრამ ვინ იცის, სინამდვილეში კარგად თარგმნა თუ ცუდად? მე ვიცი, რომ კარგად თარგმნიდა, რადგან ვიცნობ მის სხვა თარგმანებს და ვიცი, რამხელა სიყვარულით და თავდადებით უდგება ეს ადამიანი საქმეს, მაგრამ მისი თარგმანების კომპეტენტურ შეფასებას არსად შევხვედრივარ. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ ჩვენში შიგადაშიგ გენიალური თარგმანები ჩნდება ხოლმე, ეს მხოლოდ ვიღაცის პიროვნული თვისებების გამო ხდება და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თარგმანის კულტურა ან კრიტიკა არსებობს. ჩვენთან კრიტიკა იმდენად უცხო ხილია, რომ თვით ეს სიტყვაც არასწორად გვესმის — კრიტიკა შეფასებაა და არა «გაბანძევა».

ჩემი «გიტას» თარგმანიც არავის შეუფასებია. «საბას» პრემია მე მხოლოდ იმიტომ მომცეს, რომ «ბჰაგავად-გიტა» ავტორიტეტულ წიგნად ჩათვალეს და არა იმიტომ, რომ თარგმანი მოეწონათ. ეს ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, ნოდარ ლადარიამ თქვა და რომც არ ეთქვა, ისედაც გასაგები იყო, რადგან არავის აღუნიშნავს ამ თარგმანის ღირსებები. არადა, ეს მართლაც უნიკალური თარგმანია (და არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით), რადგან მასში ერთდროულადაა განხორციელებული მეცნიერული და პოეტური თარგმანი. ის ერთდროულად ყველაზე ზუსტიცაა და ყველაზე მაღალმხატვრულიც, ამის მიღწევა კი, როგორც წესი, შეუძლებელია, მითუმეტეს ისეთი ზერთული ტექსტის შემთხვევაში, როგორც «გიტაა». და არსად, არც ერთ ფრონტზე არაფერი მნიშვნელოვანი არ არის დაკარგული... ამ

ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ არავინ იცის, და არა იმიტომ, რომ ამბიცია მაწუხებს. მაგრამ მე რომ ახლა ვთქვა, რომ ესუვარგისი თარგმანია და კაპიკად არ ვარგა, ვერავინ შემეკამათება, რადგან არავინ იცის, რა ხდება სინამდვილეში. არავის შეუმოწმებია მისი ხარისხი. პრემია მომცეს, მაგრამ თარგმანის პროფესიული შემოწმება და შეფასება არ მომხდარა, რაც სამწუხაროა, რადგან თვით პრემიის მნიშვნელობას აკნინებს; საერთოდ, ასეთ კონკურსებს უნდა ახლდეს რაღაც ატმოსფერო, მოლოდინი, კრიტიკული წერილები, გარჩევები ტელევიზიით... თუ, რა თქმა უნდა ეს ყველაფერი მართლაც ისე მნიშვნელოვანია, როგორც გვგონია, მაგრამ სამწუხაროდ ყველაფერი სხვანაირად ხდება — ნაჩქარევად, მიფუჩქებულად... ნუთუ არ იმსახურებს ასეთი კონკურსები იმას, რომ მათ ერთი ორი კვირის მანძილზე რამოდენიმე გადაცემა მაინც ეთმობოდეს? მაგრამ ჩვენი იტერესების სფერო კატასტროფულად შეზღუდულია — ყველაფერი იმ იდიოტიზმმა შთანთქა, რასაც პოლიტიკას უწოდებენ...

წელს საერთოდ გაუგონარი, თავისი აბსურდულობით კომიკურობამდე მისული ამბავი მოხდა — დაახლოებით იმ მასშტაბის, მაქსიმ გორკი რომ მიიღეს კონსერვატორიაში და შალიაპინი დაიწუნეს. არის ასეთი პიროვნება, ირაკლი კობიძე, რომელმაც დაწერა პიესა «ბედნიერება ფლეიტისათვის». ესაა საკმაოდ სქელტანიანი წიგნი, რომელიც ფანტასტიკის ჟანრს განეკუთვნება. მასში მოქმედება მესამე მსოფლიო ომის, ანუ გლობალური კატასტროფის შემდეგ ხდება რომელიღაც ხელოვნურ პლანეტაზე, სადაც არა მხოლოდ ადამიანები და მათი ქცევები, არამედ მათი განწყობა და შეგრძნებებიც კი პროგრამდება და იმართება, სადაც ამინდი და ცის ფერიც კი ხელოვნურია... ასეთ პლანეტაზე ხვდება ერთი «დედამიწური» ოჯახი — რამოდენიმე ინტელიგენტური, ინტელექტუალური პიროვნება — ნამდვილი

არისტოკრატები. ამ საკმაოდ რთული პიროვნებების ოჯახური დრამა და კონფლიქტი რუხ, მოდელირებულ გარესამყაროსთან არის აღწერილი ამ წიგნში, რომელიც საინტერესოა არა მხოლოდ დრამატული თვალსაზრისით ან ჟანრობრივად, არა მხოლოდ მასში დასმული დღევანდელი და მომავალი კაცობრიობის უამრავი სასიცოცხლო საკითხის გამო, არამედ თავისი განუმეორებელი, რთული და დახვეწილი ლიტერატურული სტილითაც, სამეცნიერო ვარაუდებითაც, უამრავი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მიგნებით, ხასიათობრივი კვლევებით და საოცარი პოეტური პასაჟებით... მოკლედ რომ ვთქვა, ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური და საინტერესო წიგნია, რაც კი ოდესმე წამიკითხავს, და რაც მთავარია, ეს წიგნი თანამედროვეა და აქტუალური, მსოფლიოს მასშტაბით. იმდენად ვიყავი მოჟადოებული ამ ნაწარმოებით, რომ ყველაფერი გავაკეთე, რომ მას დღის სინათლე ეხილა და «საბას» პრემიაზე გასულიყო, მაგრამ შემდეგ მოხდა ის, რასაც ქართული სინამდვილისგანაც კი არ მოველოდი — წიგნმა არათუ ვერ გაიმარჯვა (ნომინაციაში «დებიუტი»...), არათუ სამ საუკეთესო წიგნში ვერ შევიდა, ის საერთოდ ვერ მოხვდა ნომინაციაში, ანუ რამოდენიმე ათეულ ნაწარმოებს შორის... დარწმუნებული ვარ, ეს წიგნი ადრე თუ გვიან ითარგმნება და თავის გზას მონახავს არაქართველ, თანამედროვე მკითხველამდე და ისიც ვიცი, რომ როცა მასზე რეცენზიები უცხოურ კრიტიკულ გამოცემებში ან გაზეთებში დაიბეჭდება, მაშინ მთელი საქართველო გულზე ხელის ბრაგუნს მოყვება — ჩვენი კაცია ეს, ჩვენ გავზარდეთო!.. სასაცილოა ეს ყველაფერი... საერთოდ სასაცილო ქვეყანაა ეს ჩვენი საქართველო, თუნდაც მხოლოდ ლიტერატურული თვალსაზრისით. კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვანთ — არის ასეთი მეცნიერი, ნიკო კენჭოშვილი — ერთადერთი საერთაშორისო მასშტაბის ქართველი ინდოლოგი, ჰინდი ენის სპეციალისტი, უამრავი

თარგმანის და ნაშრომის ავტორი, ამავედროულად რუსთველოლოგი. უკვე დიდი ხანია, ჩაფიქრებული აქვს «ვეფხისტყაოსნის» ჰინდი ენაზე თარგმნა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ინდოელებს, რომლებმაც უკვე მილიარდს გადააჭარბეს და ვისაც ეკუთვნის ეროვნებით ჩვენი უდიდესი პოემის მთავარი გმირი, არა აქვთ «ვეფხისტყაოსნის» თარგმანი... ნიკო კენჭოშვილი, თუ არ ვცდები, სამოცდაათი წლისაა. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ მასთან ერთად საქართველო დაკარგავს რუსთაველის ჰინდიზე თარგმნის შანსს, და დაკარგავს სამუდამოდ, რადგან საეჭვოა ოდესმე კიდევ გამოჩნდეს ისეთი «გიჟი» ჩვენს სინამდვილეში, რომელიც ისეთ უნიკალურ და სპეციფიურ ცოდნას შესწირავს ცხოვრებას, როგორებიც ჰინდი ენა და რუსთველოლოგიაა... მაგრამ ასეთი რამეები არავის ადარდებს. მთავარია, რა თქვა «კურიერში» მინისტრმა სიკინჭილაშვილმა პარლამენტარ ჯამჭურჭელმტვრევიაშვილზე... დღევანდელი საქართველო — ესაა ქვეყანა არაფრის შესახებ... ჩვენი კულტურა მხოლოდ «გიჟების» ხარჯზე არსებობს — იმ ადამიანების ხარჯზე, რომლებსაც არავინ არაფერს უხდის, მაგრამ ისინი მხოლოდ სიყვარულის თუ ამბიციის გამო შიმშილობენ და მაინც აკეთებენ თავის საქმეს, მაგრამ არის საქმეები, რომლებიც იმდენად შრომატევადია, რომ ენთუზიაზმი ვერაფრით ვერ ეყოფა. ერთ-ერთი ასეთი საქმეა «ვეფხისტყაოსნის» თარგმნა. აი, ასეთია პროფესიული თარგმანისა და პროფესიონალი მთარგმნელების, ანუ «გიჟების» ბედი ჩვენს ქვეყანაში. აქ არ არის არავითარი სკოლა, არავითარი ინსტიტუციონალიზმი, არავითარი გეგმა ან განვითარება. არ არსებობს თაობიდან თაობისთვის ცოდნის გადაცემის არავითარი შესაძლებლობა. აქ ცოდნას არა აქვს რაიმე დანიშნულება ან ადგილი — ის უბრალოდ არავის სჭირდება. ვერავინ გრძნობს ვერც რუსთაველის რომელიმე ენაზე თარგმნისა და ვერც მსოფლიო შედეგების ქართულად გადმოთარგმნის

აუცილებლობას. თუ რამე კეთდება, ისევ მხოლოდ «გიჟების» ხარჯზე, ან უცხოური ფულით, ოღონდ თავს ნუ დაიმშვიდებთ — ერთიც და მეორეც ძალზე იშვიათია. მთარგმნელობითი სკოლის და რაიმე სახის კომპეტენტური ინსტანციის არარსებობის გამო ყველაფერი დილექტანტების ხელშია ჩავარდნილი. ბოლო წლების თითქმის ყველა თარგმანი, არც მეტი, არც ნაკლები, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხის მიერაა შესრულებული. მათი წაკითხვა უბრალოდ შეუძლებელია, არადა მათი დამკვეთები «სერიოზული» გამომცემლობები არიან, წიგნებს ფერადი ყდები ამშვენებს, ტარდება «ტენდერები,» სადაც უვიცები უვიცებს არჩევენ... სანამ არ შეიქმნება რაღაც კომპეტენტური ინსტანცია, რომელიც თარგმანის ხარისხს შეამოწმებს, სულ ასე იქნება.

გაგრძელება იქნება...

«უკანასკნელ ფრაზას ვიტყვი...»

ქალბატონი იზა ორჯონიკიძე ეროვნული ბიბლიოთეკის დიდი მეგობარი ბრძანდებოდა. მისი «პოეზიის საღამოც» გავმართეთ და ლიტერატურულ კრებულში «რამდენიმე კითხვა...» ვრცელი ინტერვიუც გამოვაქვეყნეთ.

ქალბატონი იზა ეროვნული ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი გახლდათ და ჩვენს კითხვებს სიამოვნებით პასუხობდა. მკითხველი რასაც ქვემოთ წაიკითხავს ერთ-ერთი შეხვედრისას მისგან მობილური ტელეფონით უნებართვოდ ჩავიწერეთ. გვეგონა არაფერი შეუმჩნევია. სიურპროზის მოწყობას ვაპირებდით, გვინდოდა მისთვის გაციფრებული ვერსია მიგვერთმია, უფლება მიგველო და «ლიტერატურული საუბრები — 2009» დაგვებეჭდა. ვერ მოვასწართ — როგორც აღმოჩნდა ქალბატონი იზა უკვე მძიმედ იყო ავად.

კითხვები, რომელიც საუბრის დროს ქალბატონ იზას დავუსვით, ბეჭდური ვერსიიდან შეგნებულად ამოვიღეთ და კრებულში «მონოლოგის» სახით ვაქვეყნებთ.

ქალბატონი იზა ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ისევე როგორც პოეზიის ბევრ მოყვარულს, მუდამ გვემახსოვრება. «მონოლოგის» გამოქვეყნებით კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს მის ხსოვნას.

მარიამ ჭყონია, გიორგი კილაძე

გავიზარდე კარგ და გემოვნებიან ატმოსფეროში, ისეთ ოჯახში, სადაც ტყუილი ისჯებოდა, ჩემს დიდედა და პაპას საერთოდ არ უყვარდა სენტენციები. 70 წელი მისრულდება, არ შეიცხადოთ მაგრამ ასეა. ჩემი ასაკი არც არასდროს დამიმალავს.

როდესაც ჩემი წიგნი შევადგინე ისეთი უკმაყოფილო განცდა მქონდა, რომ გადავწყვიტე არ გამეკეთებინა. რასაც

ვაკეთებ ყოველთვის ეჭვი მეპარება, ყოველთვის ვუშვებ სხვა აზრს, მაგრამ ვთვლი — მე პროფესიონალი ვარ. ტრაზახში არ ჩამომართვით, მაგრამ ჩემი მკითხველისთვის «ხალტურა» არასოდეს არ შემითავაზებია. არანაირი ხელისუფლების მორჩილი არ ვყოფილვარ. ეს ქვეყანა თავისუფალი რომ არის ჩემი წვლილიცაა. ყოველთვის დინების საწინააღმდეგოდ ვცხოვრობდი. ვიცხოვრე ისეთი ცხოვრებით რომ სხვისთვის, მოყვასისთვის, არაფერი დამიშავებია, მაგრამ თუ რამე ისე ვერ გავაკეთე — მეც ადამიანი ვარ. ქრისტე შეიძლება ყველას გვიყვარდეს, მაგრამ იმასაც ჰქონდა ნაკლი, რომ ადამიანების და გაადამიანურობის სჯეროდა, ამიტომაც ეცვა ჯვარს. ეს მისტერია ყოველდღიურად მეორდება. მე ჩემს თავს უფრო მეტი ვაწვნი ვიდრე სხვას. მე პასუხს ვაგებ უზენაესის წინაშე და არ მიმაჩნია საჭიროდ ვინმეს წინაშე თავის მართლება. მთლიანი ჩემი ცხოვრება ვიცხოვრე. დამიჯერეთ, მე ვარ პროფესიონალი ლიტერატურის, მეტი არაფერი არ ვიცი და ისიც არ ვიცი კარგად. მე ჰკუყას მასწავლის ხალხი რომელმაც ქართულად წერა-კითხვა არ იცის და როგორ დავუჯერო მათ. ივანე გიგინეიშვილის რვა ტომეული ლექსიკონიდან მეთხუტმეტედი მაინც ხომ უნდა იცოდეს მწერალმა. დღევანდელი ჟურნალისტი, პოეტი, მწერალი 150 სიტყვით შემოიფარგლება.

დიდი განხვავებაა ქალისა და კაცის პოეზიას შორის. ანა ახმატოვას არ უყვარდა როცა მას პოეტესას ეძახდნენ და არ ჰქონდა პრეტენზია რომ ის პოეტი იყო. ვიღაც-ვიღაცებს ჰგონიათ, რომ მე ვარ მკაცრი, მაგრამ მკაცრი ვარ საქმეში, ადამიანურ ურთიერთობებში კი ურბილესი და ადამიანების მოყვარული. ვერ ვიტან ღალატს, ტყუილს, მზაკვრობას — არასოდეს ჩამიდენია და არც ჩავიდენ. ერთმა დიდმა ბიზნესმენმა თქვა — «ძმამ მომატყუა, დამ მომატყუა, ვისაც ვენდე ყველამ მომატყუა, ეს რა ქვეყანაა, ვისაც ვენდე ყველამ მომატყუა და ჩვენ რისი გამკეთებლები ვართ».

სახლიდან გამოსვლა არ მინდა, მთელი დღეები ვზივარ და ვწერ. ადამიანის და მოყვასის მიმართ ნდობას ვკარგავ, ამაზე დიდი სიკვდილი ჩემთვის არ არსებობს.

1937 წელი, სწორედ ამ დროზე დავწერე ერთი ესეე «ჩემი თბილისი». ამ პერიოდში საზოგადოება სულ სხვანაირი იყო. იმ საზოგადოების სიტბომ, სიყვარულმა და ქრისტიანულმა მორალმა გადაატანინა ერს უბედურება, რომელიც ამ პერიოდში იყო. როდესაც ბერიამ გაიგო, რომ პაულო იაშვილის დასაფლავებას დაესწრო მხოლოდ კოლაუ ნადირაძე, მაშინ კი თქვა — მხოლოდ ერთი მეგობარი ყოლია პაულოსო.

იზა ორჯონიკიძე არ არის ამბიციური ადამიანი და ხანდახან იმაშიც კი მეპარება ეჭვი ვარ თუ არა საერთოდ, რადგან რაც თვითოეულ ადამიანს მოაქვს ამ წუთისოფელში... ადამიანები არ ვიცნობთ ერთმანეთს ისე მივდივართ ამ ქვეყნიური ცხოვრებიდან. როდესმე მოვინდომეთ ერთმანეთის გაცნობა?! აბა დაფიქრდით?! მარტოობა, ნაკლულობა სიტბოსი, სიყვარულისა, გაგებისა და როცა ასაკში შედიხარ წინ აღარაფერი აღარ ჩანს. მე არ მიცხოვრია იმისთვის, რომ ყველას ვუყვარდე. მე ვუყვარვარ იმ ადამიანებს ვინც ახლოს მიცნობს, იმიტომ რომ ვარ უღალატო, მიყვარს ადამიანები და ზღვას გადავცურავ მათ გულისთვის, რომც არ ვიცოდე ცურვა. მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ არ მინახავს ისეთი ადამიანი ჩემთვის რომ «გამოდოს თავი», მაგრამ არასდროს არ უნდა დაგწყდეს გული, რადგან შენ შეგიძლია და იმას არ შეუძლია.

ახლა ვწერ მოგონებებს უნიჭიერეს კაცზე, მაგრამ როცა მას ვურჩიე, რომ ტექსტში ამდენი უცხო სიტყვა პროვინციონალიზმია, დაფიქრდა და მითხრა, რომ გამოსცა ახალი წიგნი და არც ერთი უცხო სიტყვა აღარ შეუტანია. ეს ქართველების დამახასიათებელი თვისებაა. თავის დროზე გიორგი ჯიბლაძემ და ერთ-ერთმა ლიტერატორმა დაწერეს წიგნი, მიუტანეს სერგი ჭილაიას და სთხოვეს, რომ უცხო

სიტყვებით გაეწყობთ ტექსტი. ამას წინათ ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა თქვა «ჟურნალისტს არ ჰქონია «ბარხატოვანი» და ხავერდოვანი გზაო. ასეთი უვიცები სხედან ტელეეკრანზე,

ამას წინათ დათო წერედიანმა მითხრა — «დიდი უნამუსო ქალი ხარო სულ შედევრები უნდა წეროო... რატომ არა გაქვს ცუდი ლექსიო?!» მაგრამ როგორ არ დამიწერია ცუდი ლექსი, მაგრამ არ დამიბეჭდავს.

გამოდის ნარკომანი ტელევიზორში და ანტინარკომანიას ქადაგებს. მოქმედი ნარკომანები ქართველ ერს ჰკუას გვასწავლიან, ნარკომანი როდესაც ამბობს საჯაროდ «ახალგაზრდობა არის საშინელება, და მე ეს გამოცდილი მაქვს და ხელი ავიღე ამაზე» — თურმე ეს არის ვაჟკაცობა.

უკანასკნელ ფრაზას ვიტყვი — მწერალი უნდა შევაფასოთ სიახლით, თუ რა სიახლე მოაქვს ჩვენთვის.

დათო წერედიანმა მტრები შეიძინა ჩემს გამო. რადგან თქვა, რომ მე-20 საუკუნეში სულ ცოტა სახელი არისო და ერთ-ერთი ეს არის იზა ორჯონიკიძეო. მან ეს დაწერა როცა 65 წლის გავხდი. გამიკვირდა დათოსგან, რადგან ძუნწია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მეგობრები ვართ, აქედანაც გამომდინარეობს, რომ მე არ ვარ ბრიყვულად თავდაჯერებული. როგორ შეიძლება ადამიანმა თქვას — რასაც მე ვამბობ ეს არის ჭეშმარიტება. ასეთი ადამიანი გიჟი, ბრიყვი და რამდენი წიგნიც არ უნდა ჰქონდეს წაკითხული გაუნათლებელია.

მე ჩემს წარმოდგენებს ვამბობ, შენ შენი წარმოდგენები დამიპირისპირე. ყველა დიდი მწერალი ამ ქვეყანაზე საკუთარი სამყაროთია მოსული და იმიტომაცაა საინტერესო. ჩვენ ახალი არაფერი არ გავიკეთებია.

ლიტერატურული პროექტი: ინტერვიუები თითქმის მსგავსი შეკითხვებით

გიორგი კილაძე — გიორგი საჯაია

გიორგი კილაძე: გიო, შენი პოეზიის სალამო "მსახიობის სახლში" 2007 წლის 30 ოქტომბერს ჩატარდა. გადაუჭარბებლად ვამბობ, ულამაზესი სალამო იყო. მოდი, კიდევ ერთხელ გაიხსენე.

გიორგი საჯაია: ვერ ვიტყვი, რომ მე გავალამაზე ეს სალამო. ეს ალბათ, უფრო შენი და შენთან ერთად სალამოს სხვა ორგანიზატორების და რაღა თქმა უნდა, დამსწრე საზოგადოების დამსახურება იყო, რისთვისაც, კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ ყველას.

გიორგი კილაძე: იმ სალამოდან ზუსტად 3 წელი გავიდა. დიდი ხნით დაიკარგე და ვირტუალურ სივრცეში სულ რამდენიმე თვეა, გამოჩნდი. რომ იტყვიან — არც ლექსი, არც კაცი. მიზეზი? შემოქმედებითი კრიზისი, უდროობა, თუ ორივე ერთად? თუ არ ვცდები — პირველი ლექსი, რომელიც "პოეზიის სალამოს" შემდეგ დაწერე — «"მარტოობა ორისათვის»" იყო.

გიორგი საჯაია: არა, დროდადრო ვაქვეყნებ ლექსებს ლიტერატურულ საიტებზე, მაგრამ მალევე ვშლი. თუ ვინმე ჩათვლის ჩემს ლექსს წაკითხვის ღირსად, ვფიქრობ, 2-3 კვირა ამისთვის სავსებით საკმარისია. პერიოდიკაში უფრო რთულად არის საქმე. თუ ვინმეს გავახსენდი, ხომ კარგი, თუ არადა, ჩემით არასდროს მივსულვარ რედაქციაში და არავისთვის მითქვამს, ლექსები გამომიქვეყნეთო. იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, რომ პერიოდულად ჟურნალ-გაზეთებში

იბეჭდება ჩემი ნაწარმოებები: ზოგი მითანხმებს, თუ რამის დაბეჭდვა სურს, ზოგიც არა, და ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, სრულიად შემთხვევით გამიგია, რომ თურმე, სადღაც "დავბეჭდილვარ". თუმცა, არც ერთია პრობლემა და არც მეორე. მთავარი პრობლემა მაინც ჩემშია. რა ვქნა, ერთი ახირებული კაცი ვარ. მოგეხსენება, წიგნიც კი არ მაქვს საკუთარი და არა იმიტომ, რომ ერთ კრებულს ვერ მოვუყრიდი აქამდე თავს, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ არ მაქვს ამის სურვილი, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. დაკარგვა კი მართლაც მჩვევია, მაგრამ ასეთ დროს საკუთარ თავს უფრო ვეკარგები, ვიდრე სხვებს და მით უფრო — ლიტერატურას. შენ კი ახლა ეს ყველაფერი გინდა შემოქმედებით კრიზისს მიაწერე და გინდა უდროობას.

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია შენთვის წერის პროცესი: რას ნიშნავს და რაში გამოიხატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლი თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს? — კითხვა, რომელიც ახლა დაგისვი, «"ებლიტფოური» მრგვალი მაგიდიდანაა" — კითხვის ავტორი ჰექსეა (ნინო ქევიციანი), შენს უმცროს მეგობარ ხვიარას (სანდრო ლორთქიფანიძეს) დაუსვა. მე შენი პასუხი მაინტერესებს... ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაზე რას მეტყვი. მე არ ჩამოვთვლი — მათი «კუმირი» ხარ.

გიორგი საჯაია: ამ საკითხზე იმდენი და იმდენჯერ მაქვს ნათქვამი, რომ აღარც კი ვიცი, რა დავამატო. მოკლედ გეტყვი: ვწერ "ელენე დარიანივით, უბრალოდ და აბნეულად". თუმცა, რაც დრო გადის, ვატყობ, რომ უფრო და უფრო ვრთულდები. ასეა ყოველთვის, როცა ავტორი გაცილებით მომთხოვნი ხდება საკუთარი თავის მიმართ, ვიდრე ოდესმე ვინმე ყოფილა მის მიმართ. დგება დრო, როცა აღარ გაკმაყოფილებს ის პოეტური ენა (ასე ვთქვათ), რომელზეც ლექსებს ამეტყველებ — ფორმა, ზომა და ა. შ. და მისთ. იწყებ წიაღსვლებს ვერსიფიკაციაში, გრამატიკაში,

იქეები ზოგადად ლიტერატურის "წარსულში", ეძებ ძველს, ახალს პოულობ, ადარებ, აერთებ, აცალკევებ, ერთი სიტყვით — მუშაობ. მე სწორედ ამას ვუწოდებ მუშაობის პროცესს და თუ ვინმესთვის ეს ყველაფერი მიუღებელია, ეს მათი პრობლემაა და არა ჩემი. ნინო და სანდრო ახსენე, ორი შესანიშნავი ავტორი, მაგრამ აქ ერთი ნიუანსია გასათვალისწინებელი — ორივე ძირითადად თავისუფალ ლექსს წერს, ის ყველაფერი კი, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, ე. წ. კონვენციურ ლექსს უფრო სჭირდება, ვიდრე ვერლიბრს. წარმოიდგინე ახლა, როგორი იქნებოდა თანამედროვე კონვენციური ლექსი, თავის დროზე მის მოდიფიკაციაზე (თუ მოდერნიზაციაზე) რომ არ ემუშავა იგივე წერეთელს, გრიშაშვილს ან გალაკტიონს. რაც შეეხება უშუალოდ ლექსზე მუშაობის პროცესს, იქნება ეს ვერლიბრი, ვერბლანი თუ კონვენციური ლექსი, ბოლოს ყველაფერი მაინც სიტყვების დონეზე დადის — მთავარია, მონახო არა "საჭირო", არამედ "სწორი, მართალი" სიტყვა იმისათვის, რომ მკითხველამდე ზედმიწევნით ზუსტად მიიტანო ის ემოცია (გნება — ხასიათი), რომელსაც ლექსში გზავნილის სახით სდებ და ამ ერთი სიტყვის ძიებაში მე შეიძლება იმდენი დრო დავხარჯო, რა დროსაც სხვა 50 ლექსის დაწერას მოანდომებს და ამაში, პირადად მე, ცუდს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, ვთვლი, რომ ლექსზე "არმუშაობა", ჩემი მხრიდან, უპასუხისმგებლობა და მეტიც, უპატივცემულობა იქნებოდა მკითხველის მიმართ. ახალგაზრდა პოეტებს რაც შეეხება, არც მე ჩამოვთვლი, შენის ნებართვით. ძალიან ბევრი ნიჭიერი ავტორია მათ შორის და არ მინდა, შემთხვევით ვინმე გამომრჩეს. ერთს ვიტყვი მხოლოდ, რომ ძალიან კარგი თაობა მოდის.

გიორგი კილაძე: "ათასჯერ მითქვამს და ვიმეორებ, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს: შემოქმედებმა «კუმირების» (თუნდაც დასავლურის) ძიებას თავი დაანებონ და საკუთარ თავზე იმუშაონ; მთარგმნელებმა თარგმნონ და

კულტურულ ინტეგრაციაზე იზრუნონ; კრიტიკოსებმა დაქირავებულ "ფიარისტობაზე" ხელი აიღონ და კრიტიკას მიხედონ; გამომცემლები "თრემის" ხარჯზე ჯიბეების გასქელებას პერიოდულად მაინც მოეშვან და ა. შ. და ა. შ. — ეს ყველაფერი სინქრონულ რეჟიმში. და თუ აქეთ არ გავხდებით "მოსამიებლები", "აგერ თქვენ და აგერ გერმანია". — ეს შენი სიტყვებია, ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ «"ებლიტფოზე"» რომ დაწერე. მოდი, ჯერ "«ებლიტფო»" გაიხსენე, მერე კი, აი იმაზე მითხარი, მწერლები ისევ ეძებენ თუ არა შემოქმედებით «კუმირებს», მუშაობენ თუ არა საკუთარ თავზე, გაუმჯობესდა თუ არა თარგმნის ხარისხი... რა ხდება საგამომცემლო სფეროში? ვრცელი კითხვა გამოვიდა. იმედი მაქვს, ასევე ვრცლად მიპასუხებ.

გიორგი საჯაია: "«ებლიტფო»" — ეს არ იყო მარტო ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული ფორუმი. ქართულ ვირტუალურ სივრცეში ეს იყო ერთგვარი სახლი, სადაც ნებისმიერი ასაკისა თუ მსოფლმხედველობის ავტორს მიესვლებოდა და სადაც ყველას ყოველთვის გულღიად და გულთბილად ელოდნენ. გნებავს, კლუბი დაარქვი, რომელშიც ლიტერატურაზე უზომოდ შეყვარებული ხალხი იკრიბებოდა, ერთმანეთს საკუთარ თუ სხვათა შემოქმედებას აცნობდა და შთაბეჭდილებებს უზიარებდა. "მრგვალი მაგიდა" ახსენე ზემოთ. მახსოვს, როგორ "ჩავდგამდით სამოვარს მაგიდის შუაგულში" და ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, ვკამათობდით, ვარჩევდით, ვისვენებდით ბოლოს და ბოლოს ყოფითი პრობლემებისგან. ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო და კარგი დრო იყო, კარგი ხალხი, კარგი გარემო. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მოგახსენოთ მადლობა პირადად შენ, ბატონ ეშხარ ჯგერენაიას და ყველას, ვინც ამ სტუმართმოყვარე «სახლში» მასპინძლობას გვიწევდა. შეკითხვის მეორე ნაწილზე ბევრს არ ვისაუბრებ. კარგად

მახსოვს ეს პოლემიკა და ვთვლი, რომ მაშინ თემა ბოლომდე ამოვწურეთ. ახლა ვფიქრობ, რომ ყველაფერი იმის თქმა, რაც უკვე ითქვა, რამდენიმე სიტყვით შეიძლება. მოდი, ასე ვთქვათ: ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, მათ შორის მეც, შენც, "ტრიფონმაც" და ყველაფერი წესრიგში იქნება. ამას ნახევრად ხუმრობით ვამბობ, მიმიხვდებით ალბათ შენც და ჩემი მაშინდელი ოპონენტებიც. ადამიანურ ურთიერთობებზე დიდი ხელოვნება არ არსებობს, ჩემო გიო. ასე რომ, გაუღიმეთ ერთმანეთს, ხალხნო — სინამდვილეში ყველაფერი არც ისე ცუდად არის.

გიორგი კილაძე: გიო, ნახევარგვერდიანი პატარა ესე დამიწერე: "ქართული პოეზია და ქართველი პოეტები დღეს".

გიორგი საჯაია: ესეების წერას რომ დავიწყებ, პირველი შენ იქნები, ვისაც გავაგებინებ. თუ გახსოვს. სტანისლავ ეჟილეცი წერდა:

"— მე ხვალინდელი დღის პოეტი ვარ, — თქვა მან.

— ამაზე ზეგ ვისაუბროთ, — ვუპასუხე მე."

შესაბამისად, დღევანდელ ქართულ პოეზიასა და პოეტებზე საუბარი და ესეების წერა "ხვალინდელი დღის" საქმე უფროა, ვიდრე დღევანდელისა.

გიორგი კილაძე: გიო, "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა», მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურის მოყვარული კაცი ვასიკო კეჟერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? კარცერ ლუქსის, უფრო ზუსტად, წიგნის "იძულებით" შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

გიორგი საჯაია: დოჩანაშვილი უზარმაზარი კაცია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რაც შეეხება კეჟერაძეებს, მიუხედავად ყველაფრისა, დარწმუნებული ვარ, დღესაც არიან ასეთები. ბოლოს და ბოლოს, აუცილებელი

ხომ არ არის, "გქონდეს ცენტრალური გათბობა?" მთავარი ალბათ მაინც ის არის, რომ გქონდეს "წიგნების ორი უზარმაზარი კარადა, თაროები, მოხერხებული სავარძელი და ტორშერი — მხარს ზემოთ, ნათურა." ანუ მთავარია, ლიტერატურა გიყვარდეს და ასეთ ხალხს, საბედნიეროდ, საქართველოში რა გამოლევს? ჰგავს თანამედროვე ლიტერატურის მოყვარული კაცი ვასიკოსო, მეკითხები და გპასუხობ: კი, ჰგავს. მე პირადად ვიცნობ რამდენიმე ასეთ კაცს თუ ქალს, რა მნიშვნელობა აქვს — ადამიანს, ზოგადად. გახსოვს ეს მომენტი? ინტერვიუერი ეკითხება: "სქესი?" — და კეჟერაძე პასუხობს: "ვასილი მქვია" — არ აკონკრეტებს, ერთი სიტყვით. წიგნის იძულებით შეყვარებაზე კი ვერაფერს გეტყვი. მე მაინც მგონია, რომ ლიტერატურა უნდა გაინტერესებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი არ აქვს, წაიკითხავ თუ არა წიგნს. ვისთვის ის მხოლოდ ლამაზი გარეკანია, ვისთვის შიგთავსი და ვისთვის უბრალოდ მაკულატურა. ეს სულაც არ არის ტრაგედია: ბოლოს და ბოლოს, ზოგს ლიტერატურა და წიგნი ეყვარება, ზოგს სპორტი, ზოგს კიდევ სხვა რამ და ასე.

გიორგი კილაძე: გიო, როგორ ფიქრობ, "«იხსნის თუ არა ლიტერატურული კრიტიკა პოეზიას უნიჭობის სენისგან?»» კითხვა ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს. 2007 წელს «"ებლიტფოზე"» მომზადებული სტატიის სათაურია. სტატია კი შენი ინიციატივით წამოწყებული დისკუსიის შედეგად დაიწერა. მაშ ასე, კიდევ ერთხელ კრიტიკასა და მის მნიშვნელობაზე.

გიორგი საჯაია: "უნიჭობის სენისგან" დამცავი ვაქცინა ჯერ არ მოუგონიათ. ამ თემაზე ბევრი ვისაუბრეთ. ბევრი რამ ითქვა, ზოგიც ვერ ითქვა, მაგრამ საბოლოო ჯამში, მე და ბატონი გივი ალხაზიშვილი პირად საუბრებში ერთ რამეზე შევთანხმდით და ვფიქრობ, ამაში სხვებიც დაგვეთანხმებიან — რომ თუ ავტორს თავად არ აქვს სურვილი მივიდეს კრი-

ტიკამდე, ეს უკანასკნელი თვითონ არასდროს მივა ავტორამდე. მუჰამედისა და მთის ამბავია, დაახლოებით — რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს მუჰამედი, მთა მასთან მაინც არასდროს მივა. რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ჩვენ არა კრიტიკის, არამედ ავტორებსა და ლიტერატურათმცოდნეებს შორის ურთიერთობის კულტურის დეფიციტს განვიცდით და პირველ რიგში, სწორედ ამ მიმართულებით არის სერიოზული სამუშაო ჩასატარებელი.

გიორგი კილაძე: გიო, შენი თარგმნილი "«რომელი საათია?»» გამახსენდა. კიდევ თუ თარგმნე რამე? რუსული ენაც ბრწყინვალედ იცი და რუსული პოეზიაც... გისმენ.

გიორგი საჯაია: ბავშვობაში ვთარგმნიდი ქართველ პოეტებს რუსულად და პირიქით. სამწუხაროდ, ყველაფერი დაგვარგე. მაშინ კომპიუტერი არ იყო, რომ ამ თარგმანებისთვის სადმე მომეყარა თავი და შემენახა. მერე კი ისე მოხდა, რომ დრომ ყველაფერი გააცამტვერა. თუმცა გული არ მწყდება დიდად, ეს უბრალოდ გართობა იყო ჩემი მხრიდან და არა საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა.

გიორგი კილაძე: რას ეკითხები ყველაზე ხშირად საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობ და კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცი?

გიორგი საჯაია: საქმე ის არის, პასუხები რომ კითხვებს ბადებენ და თავის მხრივ პასუხებს საჭიროებენ. ამ პასუხებზე პასუხის გაცემა გაცილებით უფრო რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. ასე მგონია მე, თორემ ზოგადად, ყველა კითხვას თავისი პასუხი აქვს და ადრე თუ გვიან ამ კითხვა-პასუხის მოზაიკა თავისით ლაგდება და იწყობა და ეს კანონზომიერება ლიტერატურაზეც ისევე ვრცელდება, როგორც სხვა დანარჩენზე.

გიორგი კილაძე — ქარდა ქარდუხი

გიორგი კილაძე: თქვენი ნებართვით, საუბარი თქვენი ფსევდონიმით დავიწყოთ...

ქარდა ქარდუხი: დავიწყოთ, მაგრამ საქმე ისაა რომ «ქარდა» უკვე ფსევდონიმი კი არა სახელია მგონი. ფრიდონს როცა მეძახის ვინმე მგონია სხვას უხმობენ. ყველაფერი ბათუმში დაიწყო. ოცი წლის ასაკში, როცა წერაატანილ კაცს თავი დიდი მწერალი ჰგონია და თავის ნაწარმოებებს ცნობილ მწერლებს აკითხებს. ჰოდა, მეც მქონდა ერთი ასეთი რომანი «ვარსკვლავმორბედი», ხუთასიოდე გვერდი იყო, მთავარ გმირს ერქვა — ქარდა; ქალბატონ ჟუჟუნა ხაჯიშვილს, ცნობილ პოეტსა და მთარგმნელს, მოუწია პირველს მისი წაკითხვა ბათუმში, და მან შემარქვა, მეგობრებმა კი აიტაცეს და მას შემდეგ «ქარდა» ვარ. რაც შეეხება «ქარდუხს», — ისტორიული მაქვს დამთავრებული და გვარად ქარდავა ქარდუხს რომ გავიხდიდი ფსევდონიმად რაღა გასაკვირია, ეტყობა ყველას დაგვყვება «ქალდეას მონატრება».

გიორგი კილაძე: ქარდა, მწერლობა, მათ შორის თარგმნა, თქვენი პროფესიული არჩევანია, ჰობი თუ? როგორ ფიქრობთ, საერთოდ, როგორ ირჩევენ მწერლის პროფესიას?

ქარდა ქარდუხი: მთარგმნელობა ჰობია, უფრო სწორედ საერთოდ რა თქმა უნდა პროფესიაა, ჩემთვისაა ჰობი. თავიდან ინგლისურს რომ ვსწავლობდი, მაშინ ვიფიქრე ინგლისური სიტყვების «ტყუილა» სწავლას ბარემ ლექსებს ვთარგმნი და ისე დავიზუთხავ-მეთქი, რადგან ლექსებს ვთარგმნიდი ბარემ არაკონვენციულს-მეთქი და, ამასობაში,

შემიყვარდა თარგმნა. ვილაცასთან მახსოვს «ლექსი სანამ არ ვთარგმნე ვერ გავიგეო», მე პირადად ისტორიკოსივით ვუყურებ სათარგმნ ტექსტს — მთავარია ამოვიკითხო, მერე ადვილია... მოკლედ სანამ ინგლისურს წყალივით არ ვისწავლი ალბათ არ შევწყვეტ თარგმნას, მერე კი უბრალოდ, დედნით დავტკბები. რაც შეეხება მწერლობას (მთარგმნელი ჩემი აზრით მწერალი არ არის, არ ვგულისხმობ იმას რომ მწერალი არ შეიძლება იყოს მთარგმნელი-მეთქი, უფრო სწორედ, იმათ აზრს ვეთანხმები ვინც ასე ფიქრობს), მწერლობა არაა ჩვეულებრივი პროფესია რომელიც შეიძლება ოჯახში მოწყობილ «კონსილიუმზე» აირჩიო. მას ვერ აირჩევ. ალბათ ეს ის შემთხვევაა როცა მწერლობა თვითონ ირჩევს ადამიანს. უბრალოდ ადამიანი მთელი ცხოვრება არკვევს მართლა მწერლობამ აირჩია, თუ ეს მას ეჩვენება რომ აირჩიეს. და ვაი თუ ეჩვენება, — ამაზე დიდი საცოდაობა არაფერია.

გიორგი კილაძე: პროზაში შენი «სავიზიტო ბარათი» «ვიქირავებ ბეზიასაა»? ზოგადად, ვინ არიან შენი ნაწარმოების გამირები?

ქარდა ქარდუხი: არა, «ვიქირავებ ბეზიას» ჩემი სავიზიტო ბარათია ბავშვობაში. უფრო პორტალზე — «literatura.lit.ge» — შეიძლება ვთქვა რომ რაღაცნაირად მოეწონათ, თუმცა იქაც რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება იყო: არის გრძნობა რომელსაც თითქოსდა სიტყვებით შემოსავ და გამომამზეურებ, შემდეგ სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად უყურებს, ზოგიც ლოგიკით ცდილობს გაანალიზოს; შეგრძნებები კი არ ემორჩილებიან არც ლოგიკასა და არც გონებას. რა თქმა უნდა იდეალურია როცა «გული ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიათ», თუმცა ეს 800 წლის წინ მოხერხდა მგონი და ისიც მხოლოდ ერთხელ. პირველი ჩემი ნაწერი, რომელიც დაიბეჭდა იყო პატარა ნოველა-ჩანახატი, «აღელდი პონტო», ბათუმში,

გაზეთ «აჭარაში», ქალბატონი ჟუჟუნას წარდგინებით — აფხაზეთდაკარგული ბიჭის ემოციური აღსარება. რაც შეეხება «დიდ ავიაციას» აქ ალბათ მაინც «მაფზე მოფარფატე სული» უნდა აღვნიშნო — პირველი სერიოზული ნაწარმოები რომელზე მუშაობაც ერთდროულად, დიდი სიამოვნება და ტანჯვა იყო ჩემთვის. მისი შემოკლებული ვარიანტი, უფრო სწორედ ნაწყვეტი, ბატონმა თამაზ ჭილაძემ დაბეჭდა 2001 წელს ჟურნალ «მნათობში», მოკლედ თუ რამ მნიშვნელოვანი დამიწერია ალბათ ესაა ჩემი ნაწერებიდან, სხვათა შორის ნაწყვეტები ლიტერატურულ პორტალზე დავდე, მგონი მოეწონათ; შემდეგ ერთი კარგი ადამიანი დამპირდა რედაქტორობასაც და გამოცემასაც და ვნახოთ, თორემ ვრჩები, ისე ვატყობ, საიტებში დამკვიდრებულ მწერლად. ჩემი გმირები კი, ბუნებრივია არ ვიქნები ორიგინალური და ვიტყვი რომ ჩემი გარშემომყოფნი არიან ჩემი გმირების მშობლები... არ მახსოვს მგონი კოკტო ამბობს, ჩემი მეგობრების თავგადასავლები (თუ ბიოგრაფიები) ჩემი საკუთრებააო; ჰო გარემოცვა, ნაცნობები, მეგობრები და რაც მთავარია საკუთარ სულში მიმართული მზერა... სადღაც სულისკნელში დაბორილებენ ჩემი გმირები, სიბნელეში, უცებ გაუნათდება სახე რომელიმეს, ჩავავლებ ხელს და, მეტწილად ვინმე ნაცნობის სხეულში გამოკეტილს გადავუძახებ ხოლმე ნაწარმოებში.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა ««ჟარგონიც»... «ჟარგონი» ენისთვის ერთგვარი შემოლაწუნებასავითაა...» — ბრძანა ბატონმა ბესო ხვედელიძემ. თქვენთვის რა არის იგი? ხშირად იყენებთ?

ქარდა ქარდუხი: სალიტერატურო ენის პრობლემებზე საუბარი მწერლის საქმე ალბათ არაა, და თუ მწერალი ენის პრობლემებზე საუბრობს, როდის და რას წერს მაშინ? ახლა არ მითხრად, აბა ილია ჭავჭავაძემ როგორ მოახდინა

რეფორმაო! ყველაფერი შეეძლო იმ დალოცვილს და იმიტომაცაა წმინდანად შერაცხული! არ ექმნება ქართულ ენას პრობლემა. პრობლემა ამ ენაზე მოსაუბრეებისა და ამ ენით ღირებულის შექმნის მსურველთა მხოლოდ უგუნურ ნაწილს შეიძლება ჰქონდეს. არ შეიძლება ქართულ ენას ჰქონდეს პრობლემა, მით უმეტეს ლიტერატურულ ენას. გარდა ჩვენს თვალწინ არსებული სინამდვილისა ცოტა რწმენაც გვინდა ზოსიმესეული და ვიგრძნობთ რომ ყველაზე კარგად ენამ, სალიტერატურო ენამ თვითონ იცის როგორც უნდა განვითარდეს. რაც შეეხება «ჟარგონს» — ბევრჯერ გამომიყენებია, უცხოსუნელივითაა მგონი, ყველა კერძს არ უხდება, თუმცა ნაწერს გააჩნია და ნიჟს; კაი ხნის წინ წავიკითხე, მაგრამ მგონი სწორად მახსოვს «მექანიკური ფორთოხალის» ქართული თარგმანია იმის მაგალითი თუ როგორ შეიძლება ნიჟიერად გამოყენებულ იქნას «ჟარგონი». უფრო მეტად უცხო სიტყვებს ვეკიდები უარყოფითად (საერთაშორისო სიტყვებს არ ვგულისხმობ) და არასერიოზული ამბავი მგონია კარგ ნაწარმოებებში «ხარაშო», «კაროჩე», «ბაი ზე ვეი», «ვაუ» და ასე შემდეგ, ბლომად რომაა გაბნეული. საინტერესოა ვულგარიზმების თემა (ბილწისიტყვაობა). ერთ ჩემს მოთხრობაში კარგა ბლომა მივუშვი ნიაღვარი, არ შევიკავე თავი და ახლა მართალი გითხრათ არ მომწონს (უკვე დაბეჭდილია და დიდად ვერ ვუშველი), მაინც მანევრულობა, მაგარი რომ ხარ იმის დამტკიცება და რა ვიცი, სისუსტე მგონია... თუმცა აქაც ნიჟის ამბავია, თორემ როცა მოთხრობაში დიალოგია და გმირს ათქმევინებ — «წადი შე სასირცხვო ასოო», ალბათ მკითხველი იქვე შეწყვეტს ნაწარმოების კითხვას. ჩემი სისუსტე კი მივიწყებული სიტყვებია (არქაულს არ ვწერ, შეგნებულად), უკვე რამდენჯერ მომცეს შენიშვნა, მირჩიეს, მეხვეწნენ (მეგობრები), ვერ ველევი, თარგმანებშიც კი... როგორ შეიძლება ენამ დაკარგოს «ცანი ცათანი»?! რითია ცუდი «ხაზარული სიტყვის კონასა» და «ესე იტყოდა

ზარატუსტრას» ქართული თარგმანები, სადაც ასე ბლომადაა გამომწვეურებული უკვე დიდი ხნის წინ თითქოსდა «მზეგადასვენებული» სიტყვები?

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ქართულ ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

ქარდა ქარდუხი: როგორ არ ჰყავს? უბრალოდ ზოგიერთ მწერალს ხანდახან ეჩვენება რომ მან იმ მასშტაბის ნაწარმოები შექმნა მთელი ქართული კრიტიკა მას უნდა დააცხრეს. ცოტათი «მოყვარეს პირში უძრახე» გვიჭირს და ისიც ქართული სინამდვილის წყალობით ეტყობა, — როგორ გინდა ადამიანს, რომელსაც ხვალ თუ არა ზეგ მაინც შეხვდები, გამოფენაზე თუ არა სუფრაზე მაინც, დაუწერო — შენი ნაწარმოები მთხლეა, ქაღალდს ან კლავიატურას, აფუჭებო? რაც შეეხება ნაწარმოების კრიტიკულ განხილვა-აღმოჩენას, ამ მხრივ არასოდეს უჭირდა საქართველოს და ალბათ არც ახლა გაუჭირდება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ერს ჰყავს ბატონი ზურაბ კიკნაძე, თავისი ერუდიციითა და ნიჭით ყოვლისმომცველი პიროვნება.

არ შეიძლება არ ვახსენო ბატონი როსტომ ჩხეიძე, რომლის კალამს ნაკ-ლე-ბად გამორჩება ესა თუ ის მოვლენა თუ მწერალი საქართველოში, და რომლის შეფასებები ყველა ფენისა და «სამმოსთვისაც» ავტორიტეტულია.

ამ ბოლო დროს წავიკითხე ბატონი ზაზა შათირიშვილის წერილები რომლებშიც განსაკუთრებით სწორედ ის «მოურიდელობა» მომეწონა, «მწარე სიმართლეს» რომ ეძახიან ჩვენში.

მახსოვს რამდენიმე ახალგაზრდა კრიტიკოსი, მათ შორის უკვე რედაქტორები, მშვენიერი ალლოთი რომ გამოირჩევიან. რაც შეეხება ჩემს კრიტიკას, ჯერ საკრიტიკებელიც ბევრი

არაფერი იყო. როგორც ზემოთ ვახსენე საიტების ბინადარი მწერალი ვარ-მეთქი და ციფრულ სამყაროში ნაღდად არ მაკლია შემოხმინებები, მწარეც და ტკბილიც. ვერ ვიტყვი რომ როგორც კი რამე შენიშვნას მომცემენ სიხარულით ცას ვეწევი-მეთქი, მაგრამ მერე, როცა ემოცია გადაივლის მაინც ვუფიქრდები ხოლმე.

გიორგი კილაძე: სულ ახლახან ლიტერატურული კონკურსის შედეგები გამოცხადდა, მონაწილეობა თუ მიიღეთ, რას ფიქრობთ ზოგადად, ლიტ. კონკურსებზე.

ქარდა ქარდუხი: ზოგადად ლიტ. კონკურსებზე, ზოგადად ვიტყვი რომ კარგია და ჩემგან ორი-სამი მაღლობაც კი ეკუთვნით, რადგან მართალია სახელი და ქონება ვერ მომახვეჭინეს მაგრამ ორი-სამი მოთხრობა კი დამაწერინეს (სხვათა შორის უკვე ტექსტი «სმაილიკების» გარეშე ვერ წარმომიდგენია და ვთვლი რომ სასვენ ნიშნებად უნდა დავამატოთ).

გიორგი კილაძე: ქარდა, «სმაილიკების» წერა მეც ჩვეულებად მექცა, თუმცა შენი ნებართვით, ეს ინტერვიუ მათ გარეშე დავტოვოთ. ახლა კი, კითხვა: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე. რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ საქართველოში. კრებულის გამოცემას თუ აპირებთ.

ქარდა ქარდუხი: აბა არ ვაპირებ? მთელი ათი წელია ვაპირებ, მაგრამ არ ჯერათ გამომცემლებს, ჰგონიათ რომ არ ვაპირებ.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? მშვენივრად თარგმნით... ეზრა პაუნდი, ემილი დიკენსონი, მაია ანჯელოუ... კიდევ ვის თარგმნით? თარგმნის ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? თქვენი ნაწარმოებების თარგმნა და სხვა ენებზე გამოცემა თუ გიფიქრიათ?

ქარდა ქარდუხი: ჩემს ნაწარმოებებზე აბა რა გითხრათ, ჯერ აქ ვერ გამომიცია, ჟურნალ-გაზეთებში, საერთო კრებულებსა და ინტერნეტ საიტებშია მიმოფანტული და უცხოეთში გამოცემაზე რა უნდა მეფიქრა? არათუ ჩემი, საერთოდ ქართული ნაწარმოებების უცხო ენაზე თარგმნისა და გამოცემის საკითხი, საქართველოს ევროკავშირში შესვლაზე უფრო რთულია მგონი და ჩემს საუბარს ამ საკითხზე «ნამეტნავად» არა აქვს აზრი.

ჩემი თარგმანებიდან რა თქმა უნდა ედგარ ლი მასტერსის «სფუნ რივერის ანთოლოგიას» გამოვყოფ, ჯერ ერთი თუნდაც იმიტომ რომ სრული სახით ვთარგმნე და 2005 წელს წიგნადაც გამოიცა, მართალია სულ 300 ცალად და ძირითადად ნაცნობ მეგობრებში დავარიგე, მაგრამ მაინც წიგნად გამოცემა ჰქვია. წიგნად გამოსვლამდე ნაწილ-ნაწილ ვაქვეყნებდი «ჩვენს მწერლობაში» და როგორც მთარგმნელი მაინც ამით ვახსოვართ. რაც შეეხება სხვა პოეტებს, — ამერიკელ პოეტებს ვთარგმნი, ოდესმე მცირე ანთოლოგიის გამოცემაზე ვიზრუნებ ალბათ, სიყვარულით კი, ემილი დიკინსონი მიყვარს ძალიან. ზოგადად რაც შეეხება თარგმნას საქართველოში, ისეთი დიდებული ტრადიციები აქვს რომ ამ მხრივ არასოდეს არ იქნება პრობლემა, მთავარია გამოვცეთ, მკითხველსაც თვითონ მოძებნის მერე წიგნი. ის რომ ქართულად არ გვაქვს მარსელ პრუსტი, მირჩა ელიადე და რა ვიცი კიდევ ათასი ვინმე, მთარგმნელებზე მეტად გამომცემლებისა და სახელმწიფოს პრობლემაა. არ შეიძლება მხოლოდ უცხო ქვეყნების საელჩოები ზრუნავდნენ ჩვენს თარგმანებზე.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე, კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ქარდა ქარდუხი: რა არის მწერლობა? შენ რომ წერ ეს მწერლობაა? შენი ოდინდელი წინაპარი ნახევრად შიშველი,

ლეღვისფოთოლით თუ უკვე ნადირის ტყავით რომ იფარავდა სხეულს და სადღაც გამოქვაბულში იჯდა, უკვე ცეცხლის დანთება დასწავლილი, კოცონთან და ინტერესით გარსშემოხვეულებს რომ უყვებოდა გადმოცემულ, რეალურ და მოგონილ ამბებს, იქნებ მხოლოდ ის იყო მწერლობა, ახლა რომ ძალდატანებითაც ვერ «მიგვირეკია» მკითხველი წიგნთან? რამე შეიცვლება იმით რომ შენ არ წერდე? შენთვის კი არა, საერთოდ შეიცვლება რამე შენ რომ არ წერდე? ის კი არა და შეიცვლებოდა რამე ოთარ ჭილაძეს რომ არ ეწერა? ოთარ ჭილაძისთვის კი არა, საერთოდ? და რადგან წერ, ციფრული სამყაროს უსასრულობაში გაბნეულ, ათასობით წიგნის მაღაზიებისა და ბიბლიოთეკების ურიცხვ თაროებზე გამწკრივებულ ურიცხვ წიგნებიდან, ვინ უნდა წაიკითხოს შენი? სადღაც 5-10 ათას წიგნიდან, რის წაკითხვასაც საშუალოდ ადამიანი ასწრებს ცხოვრებაში, ვინ უნდა წაიკითხოს შენი?

ზუსტად კი, ზუსტად ის ვიცი რომ ცას დასასრული არა აქვს...

გიორგი კილაძე — ნოდარ შანიძე

გიორგი კილაძე: ბატონო ნოდარ, პირდაპირ გკითხავთ — ამჟამად რას წერთ?

ნოდარ შანიძე: გავასრულე ესეე ვახტანგ კუხიანიძეზე. მინდა დავწერო მოთხრობა ან რომანი აბეშურაზე. იგი იყო მეფე მირიანის პირველი ცოლი და მამიდა. 16 წლის იყო აბეშურა და 7 წლის მირიანი, როცა შეუღლდნენ. 21 წლის აბეშურა გარდაიცვალა და დაუტოვა 3 შვილი. მირიანს

ცოლი ადარ შეურთავს მთელი ცხოვრების მანძილზე, სიბერეში დააოჯახეს იგი ნანაზე (ოლილოტოსის ასულზე) და სამი წლის თავზე ქორწინებიდან მირიანი გარდაიცვალა. ერთ წელიწადში მიჰყვა ნანაც. ასე, რომ, მას მთელი ცხოვრება აბეშურა უყვარდა...

ვაპირებ დავწერო კახური მოთხრობა «ნათლობა» და მკითხველი ალავერდის ტაძარშიც ვამოგზაურო. ვფიქრობ ბარისპირი ნოყიერ ნიადაგზე დავკარი...

გიორგი კილაძე: რას ფიქრობთ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე: პოეზია, პროზა თარგმანი, ესსე. რომელი მწერლების ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო და რატომ? როგორ ფიქრობთ არსებობს ლიტერატურაში ქალური და მამაკაცური თემები და თუ არსებობს ვინ უნდა წეროს?

ნოდარ შანიძე: ბატონო გიორგი, იქნებ გაზვიადებულიც გეჩვენოთ ჩემი დამოკიდებულება მთარგმნელის მიმართ, მაგრამ, თუკი ამა თუ იმ ერის ვინაობას იკითხვენ და პირველ ყოვლისა იმის გაგებას მოიწადინებენ, რამდენი მთხზველი და მწერალი ჰყავსო, ისიც უნდა იკითხონ: რამდენი მთარგმნელი ჰყავსო?!

ლიტერატურისა და «ქმის» ბედს ხშირად სახელმწიფო ფორმაციები წყვეტს. გადავავლოთ თვალი თარიღებს, როდის, რომელ პოლიტიკურ წყობილებს დროს იქმნებოდა ფასეული თხზულებები?!

ესეისტიკას პირველ ადგილზე ვაყენებ. მართალია, აღმატებულია პოეტური აზროვნება თუმცა მე ესეისტიკა მირჩევნია.

ველოდები ყველა მწერლის ხელიდან გამოსულ თხზულებას, თუკი ნაწარმოები თავს თავად წაგაკითხებს და რაც მთავარია, მასში გადახსნილი იქნება სიღრმე...

რა თქმა უნდა არსებობს ქალური და მამაკაცური თემა და მათ შორის სხვაობაა ისეთივე, როგორი სხვაობაცაა ცასა და მიწას შორის...

გიორგი კილაძე: თქვენს «ბლოგს» გავეცანი: მრავალმხრივი შემოქმედებაა. აქ გარდაცვლილ მეგობრებსა და ბატონ ნიაზ დიასამიძეზე გვესაუბრე — მასალები შეკრიბეთ და გამოეცით.

ნოდარ შანიძე: ნიაზ დიასამიძეზე წიგნის შექმნის, მის შესახებ მასალის მოკრების იდეა ოთარ მამფორიასთან დაიბადა. იქვე იყო მარლენ ავალიანი. დამეხმარნენ სხვა მეგობრები: გიგი კეშელავა, ნანა კანდელაკი, გია ლეჟავა და გამოვიყენე აგრეთვე ჯემალ თოფურიძის არქივი.

გიორგი კილაძე: კურიოზების შეკრება, როდის დაიწყეთ და წიგნად თუ გამოეცით?

ნოდარ შანიძე: კურიოზები სწორედ მაშინ გროვდებოდა და ცალკე ლავდებოდა, როცა ნიაზ დიასამიძეზე ვაგროვებდი მასალას. დავბეჭდე ნაწილი «მწერლის გაზეთში,» წიგნად არ გამოიბეჭდა.

გიორგი კილაძე: «მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს» — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით? რატომ?

ნოდარ შანიძე: ვეთანხმები ბატონ ბაჩო კვიციანს და კიდევ ერთ მწერალს რომლის გვარი ახლა არ მახსენდება: «მნიშვნელოვანი ის კი არ არის, თუ საიდან მოდის ესა თუ ის მწერალი, არამედ ისაა, თუ სად მივიდა იგი.» ირგვლივ ადამიანები ჩაფლულნი არიან ამქვეყნიურ, მიწიერ თუ ბიწიერ ამბებში. ყველა ცდილობს რაღაც მოინაგროს, რაიმე ჰქონდეს. მახსენდება, ერთხელ კარლო არსენაშვილმა

ჩაილაპარაკა: მწერალს ვინ მისცა ცხოვრება? მწერალმა უნდა წეროს!ო. მართალი თქვა...

გიორგი კილაძე: ლიტ. კონკურსების თემას შევხვით. რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? მიგიღიათ მონაწილეობა?

ნოდარ შანიძე: არასოდეს. არ ვარ მომხრე ასეთ კონკურსებისა. ბესტსელერი (ვლასარაკობდით ერთხელ მე და ცხონებული კარლო არსენაშვილი), დროებითი მოვლენაა. ვერასოდეს ვუწოდებ ასეთ კონკურსებს ობიექტურს...

გიორგი კილაძე: ბატონო ნოდარ, როგორ ფიქრობ «იხსნის თუ არა ლიტერატურული კრიტიკა პოეზიას უნიჭობის სენისაგან»? კითხვა ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს. 2007 წელს «ებლიტფოზე» მომზადებული სტატიის სათაურია. სტატია კი პოეტ გიორგი საჯაიას ინიციატივით წამოწყებული დისკუსიის შედეგად დაიწერა. ზოგადად, კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

ნოდარ შანიძე: კრიტიკოსები კი გვყავს, მაგრამ არ კრიტიკოსობენ, ისევე როგორც მომღერლებს არა სცალიათ სიმღერისათვის. ისინი ალბათ, ახლა სხვა საქმით დაკავდნენ. აგერაა (სიტყვაზე) თამაზ წივწივაძე, გიორგი გაჩეჩილაძე, ემზარ კვიციანიშვილი... სიმძაფრისა რა მოგახსენოთ? მახსენდება, ერთხელ, ელდარ კერძევაძემ გაიხედა ფანჯარაში და ჩაილაპარაკა: «დაიღალა სიცოცხლე დედამიწაზე?»

კრიტიკოსებისა რა მოგახსენოთ ,მაგრამ, ვფიქრობ რედაქტორები შეგვითხელდნენ. თამაზ ჩხენკელის გასვენებაში რეზო კვერენჩილაძემ მითხრა: ხდება ხოლმე რომ ერთი მწერლის ნააზრევი მეორე მწერალს თავისი ჰგონია, აღარ ახსოვს და თავისი ჰგონიაო. ასე, ამ რამდენიმე

ხნის წინ დაიბეჭდა ჩემი მეგობრის ლექსები, სადაც სტრიქონები ერთი ქართული სიმღერიდანაა მოტანილი. ბრჭყალებში არ ჩასვა. გამოდის — თავისი ჰგონია და რედაქტორმა უნდა მიაქციოს ამას ყურადღება.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა ««ჟარგონიც»... «ჟარგონი» ენისთვის ერთგვარი შემოლაწუნებასავითაა» — ბრძანა ბატონმა ბესო ხვედელიძემ. თქვენთვის რა არის იგი? ხშირად იყენებთ?

ნოდარ შანიძე: არასოდეს გამომიყენებია «ჟარგონი» და სიმართლე გითხრათ, ვწუხვარ. ჭოლა ლომთათიძეს რომ არ დაეწერა «მარქსისტების ფარანზე ჩამოკიდების» ამბავი არ მეცოდინებოდა, რომ იმ ხანად ეს «ჟარგონი» თურმე ჩამოხრჩობას ნიშნავდა...

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე. რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ, საქართველოში? საკმაო რაოდენობის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთი გამოდის? უჭირთ ავტორებს წიგნების გამოცემა.

ნოდარ შანიძე: რა თქმა უნდა უჭირთ. ცხონებულმა თამაზ ჩხენკელმა ასლან აბაშიძის დახმარებით გამოსცა პორტრეტების ბრწყინვალე კრებული «მწვანე ბივრიტი». მე გამოსაცემად ვამზადებ ლოსევის «პლატონს და არისტოტელეს» ; სვენიციცკაიას და ტროფიმოვას «უძველეს ქრისტიანულ აპოკრიფებს» და «გნოსტიციზმს». ხოდა, მკითხა კიდევაც ბატონმა ბაჩანა ბრეგვაძემ: როგორ უნდა გამოსცე?-ო. როგორ და საკუთარი ჯიბით მეთქი-ვუპასუხე.

აგერ, პორტრეტებიც დაგროვდა. საგამომცემლობა «ლამპარი» ოდესღაც მე დავაარსე, მით გამოვეცი «ნიაზ დიასამიძე» და მერე კვაჭანტირაძემ წაიღო. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, მაგრამ, როცა მწერალთა კავშირის

ერთ-ერთ თავმჯდომარეს გრიფი ვთხოვე, ოცდაათი ლარი დამიფასა. მწერალს გრიფი მაინც არ ეკუთვნის უფასოდ?

გიორგი კილაძე: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? თარგმნის ხარისხი მოგწონს? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? თქვენც თარგმნით?

ნოდარ შანიძე: არ ვიცნობ ახალ თარგმანებსა და მთარგმნელებს. მთარგმნელი უთუოდ დაიმსხვრევა, თუკი იგი უერთგულებს მშობლიურ ენას და უგულვებელყოფს იმ ენას, საიდანაც თარგმნის ან პირუკუ. პირადად მე დიდი სიფრთხილით ვეკიდები თარგმანს, მწამს შაჰნაზარი გივის გემოვნებისა, მაგრამ, როცა სცენაზე ადის ბატონი გივი და აქებს მთარგმნელს, რომელმაც თავი ვერ გაართვა თარგმნას, ეს ველარ გამიგია...

გიორგი კილაძე: «აპოკრიფებზე» ვისაუბროთ. სიმართლე გითხრათ, აპოკრიფები "ავგაროზის ეპისტოლის" შესახებ მსმენია. მგონი არაკანონიკურ ტექსტებსაც უწოდებენ. «ყველა აპოკრიფი მწვალებლურია» (მართლმადიდებლურ ფორუმზე წავიკითხე). თქვენ რატომ დაინტერესდით და თარგმნით? ქართულ აპოკრიფებზეც გვითხარით.

ნოდარ შანიძე: ვთარგმნი იმას, რაც არ არის თარგმნილი, განა ყველაფერს შეეჭიდება ერთი კაცი? აპოკრიფები ორგვარია: ძველი და ახალი აღთქმისანი. ძველი აღთქმის წიგნებში თვლიან ასთხუთმეტ აპოკრიფს. ახალში ოთხმოცდაცხრამეტს. არაა ქართულად თარგმნილი მაკაბელთა წიგნები. მივწერე წერილი მოსკოვში მარმანა ტროფიმოვას, ვთხოვე გამოეგზავნა ჩემთვის სხვა ნარკვევებიც და თარგმანები სხვა აპოკრიფებისა, რაც რომ მას და სვენიციცკაიას უთარგმნიათ კოპტურ ენიდან და მომივიდა იქიდან რუსულ შოვინიზმით გაჯერებული პასუხი. რა თქმა უნდა, სხვა (დამატებითი) მასალა არ გამომიგზავნეს. ღმერთმანი, თუკი ვთარგმნე, კულტუროლოგიისთვის ვთარგმნე.

გიორგი კილაძე: «კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა» მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურის –მოყვარული კაცი ვასიკო კეჭერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? კარცერ ლუქსის, უფრო ზუსტად წიგნის «იძულებით» შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

ნოდარ შანიძე. მე არ მახსენდება ვინმესგან ოდესმე დამჭირვებოდა მსგავსი მუხტი. ძალით ვერავის ვერაფერს შეაყვარებ. თავად უნდა მიხვდეს. თუმცა საჭიროა, ადამიანს ბავშვობიდან რაღაც ჰქონდეს. ეს რაღაც ალბათ უნარია მედიტაციისა, ალბათ!...

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობთ? აქვე, კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ნოდარ შანიძე: ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს: შეიძლება თუ არა ესა თუ ის თხზულება დასრულებულად ჩაითვალოს? ვფიქრობ, თითოეული ნაწარმოების ბოლოს როგორ ტყვიასავითაც არ უნდა დააჭედოს კალმოსანმა წერტილი, იგი მაინც მრავალწერტილს გულისხმობს. იქნებ მართლაც მრავალწერტილით მთავრდება ყველა თხზულება და შესაძლებელია გაგრძელდეს თხრობა დაუსრულებლივ?

ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს, არის თუ არა რომელიმე მწერლური მიგნება და ჩაღრმავება ზუსტი? იქნებ შესაძლებელია რა გინდა რა მიხვედრილობის კენჭივით შურდულში ჩადება და შორს გატყორცნა?

ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს: არის თუ არა მწერალი ღმერთი?!

ყველა მწერალი მარტოა! მარტობის მახრა ხრავს თითოეულ მათგანს. ბრწყინვალე პროზაიკოსმა გია ლომაძემ ამგვარ საყუდარს — «ქართა ბოსელი» უწოდა. «ქართა ბოსელში» იქმნება, თუკი რამ იქმნება და ითხზება.

მაგონდება ბუდასთან დაკავშირებული ერთი ამბავი, ერთი ფსიქოლოგიური სილუეტის წარმოჩენას შევეცდები. არის ამბავი, რომელიც ამ ცნობას სანდოობას შესძენს. ალბათ, სიყვარულისთვის უკვდავება მთავარი პოსტულატი სულაც არაა. მერე რაა, რომ გაგაჩნია ძალა, რომელიც ადამიანთა გულებში რწმენასა და სიხარულს დაამკვიდრებს?! რის დარდი, გულში რომ იმარხავ! სადღაც შენს მიღმა სუნთქავს სიცოცხლე. გარიყული ხარ ცხოვრებისაგან და მორჩა. შენს ბედს იზიარებენ შენი მოწაფეებიც.

თურმე ბუდა თავის შეგირდებს შორის ყოფილა ხელში ლოტოსის ყვავილით. მჭმუნვარედ ელიმებოდა მოძღვარს. ვის უსახსოვროს, როცა «შურისძიებას აყოლილი სიყვარულიც არ გააჩნია.» რომელი გამოიცნობდა მასწავლებლის ხვაშიადს? გამოხედვაში სამყაროსადმი მისი დამოკიდებულება ირეკლებოდა. ირგვლივ სევდიან განწყობილებას დაესადგურებინა. პირქუშ მოწყენას მოეცვა თითოეული მათგანი. ცნობისმოყვარე მზერით შემცბარებმა სწრაფად დახარეს ქუთუთოები სხვებმა და შეგირდთაგან მხოლოდ ერთმა გაუყარა თვალი თვალში განმანათლებელს.

ეს ორი ხანდაზმული ადამიანი ახლა მოწაფეებივით ისხდნენ და სივრცეს გასცქეროდნენ, ხან ერთმანეთს თვალს აპარებდნენ, ხოლო როდესაც თვალი თვალში გაუყარეს ერთერთს, «თანამოაზრის წამონთებულ თვალთა შუქში განიბანა» ბუდა. გულიანად გაედიმათ ორივეს. სწორედ იმ შეგირდმა დაუქნია თავი სინანულით. ყველაზე ხანდაზმულ მოსწავლეთა შორის სამზერში აკიაფებულა კაეშანი, ზუსტად ისეთი, როგორიც ოსტატის თვალთაგან ასხივებდა. იმ ღიმილში მოქცეულა მწარე პასუხის დიდი მარაგი და ბუდამაც სწორედ მას გაუწოდა ლოტოსის ყვავილი.

ნუთუ სულიერი კვდომის წუთები ამ გზით გვეწვევა?! ლაგამამოდებულ სურვილთა სურნელი ტრიალებს უსასოობის მწვერვალზე. ოდითგან იქ მკვიდრობენ უმწეონი და არასრულფასოვანნი კი არა, სწორედ ძლიერნი, გონიერნი

და ნიჭიერი. იმ ავადსახსენებელ სენს რომ დაუთრგუნავს. იმა მწვერვალის ბინადართა აზრებს მარტოსულობის ბეჭედი აზის.

იქ ყოველივე გამსჭვალულია ტანჯვით. ადამიანური ყოფის უმძიმესი კირთებით, უაზრობად ქცეული ცხოვრების ხელახალი გააზრების კაემნით. ეს დანამდვილებით ვიცი...

გიორგი კილაძე — თამარ შაიშმელაშვილი

მზიან ღამეში მოიდუმალე მეუდაბნოე...

გიორგი კილაძე: ქალბატონო თამარ, მწერალი თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, თქვენ როგორ წერთ ლექსს - ერთი ამოსუნთქვით თუ თანდათან იხვეწება?

თამარ შაიშმელაშვილი: შემოქმედებითი პროცესი ძალზე ინდივიდუალურია და ამისთვის რაღაც დაწერილი კანონები არ არსებობს. კონსტანტინე გამსახურდია წერდა: «ძნელია იმის აღწერა, თუ როგორ ვწერ. შემოქმედების ამბავი ჯერაც უადრესი იდუმალეებითაა მოცული. მეცნიერება დიდ მუშაობას ეწევა შემოქმედებითი პროცესის შესაცნობად. თეორიები მრავალია, მაგრამ რა?...»

თუ ქალბატონი თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ვიცი მწერლები, მოთხრობის წარმატებად მოულოდნელ დასასრულს რომ მიიჩნევენ.

ვფიქრობ, ლექსის შექმნის პროცესიც თითქმის ანალოგიურია, მომწონს, როცა ეფექტური და ზემოქმედების

მომხდენი დასასრულია. Lლექსი ზოგჯერ ერთი ამოსუნთქვით დამიწერია, ზოგჯერ კი - არა, ვთქვათ, ორი სტრიქონი თავისით მოსულა და რაღაც დროის გასვლის შემდეგ დამისრულებია. დრო უნდა გავიდეს, რათა სხვა თვალთა ალვიქვა. ამ დროს ხანდახან ზოგიერთ სტრიქონს ცვვლი ან თუ აღარ მომეწონა, არ ვაქვეყნებ.

წერის დროს ჩემთვის მარტო ფანქარი და ქალაღდი კმარა. ბატონი კონსტანტინე ამ დროს უპირატესობას ანიჭებდა კარგ სავარძელში ჯდომას, ფანქრით წერას ვერ იტანდა (ფანქრით მოკითხვის ბარათსაც ვერ დავწერო) და რამდენიმე ავტოკალამი ჰქონდა მომარჯვებული. ფოლკნერს მუშაობისთვის მხოლოდ ქალაღდი, თამბაქო, საჭმელი და ცოტაოდენი ვისკი სჭირდებოდა.

პოეტმა არ იცის, როდის მოვა შთაგონება, ხშირად ღამე გამომღვიძებია და ერთი ამოსუნთქვით მთლიანი ლექსი ჩამიწერია, მგზავრობის დროს ჩემი განცდის მესაიდუმლე ფურცლის ნაგლეჯიც ყოფილა. მნიშვნელობა არ აქვს, ფანქრით ვწერ თუ კალმით. ფოლკნერის სიტყვებით რომ ვთქვა, ჩემთვის «ცოტაოდენი სიმშვიდე, ცოტაოდენი მარტობა» სრულიად საკმარისია.

გიორგი კილაძე: თქვენ ოთხი კრებული ავტორი ხართ. თავისუფალი თემა: «პირველი კრებულიდან — მეოთხის ჩათვლით.»

თამარ შაიშმელაშვილი: ანუ როგორ «ვიმოგზაურე» «სიზმარში ცხადიდან» «ჩამოთოვლილ ზარებამდე»?

პირველი კრებული «სიზმარში ცხადი» 1997 წელს გამოიცა. რა არის სიზმარი და რა არის ცხადი? პოეტს ამაზე ფიქრი გამუდმებით აწვალეზს.

«ცხოვრება როგორც სიზმარში ცხადი...» ასეთი იყო ჩემი განწყობა და ასეთია დღესაც. პოეზიის გზა უსასრულო და შეუცნობელია. ამ გზასავალზე აგვდევნებია ფიქრიანი საათი — დრო. «წუთი ქარია...»- ვამბობ ერთგან. ვულფი წერდა: «რა

არის სიზმარი დროის შესახებ, ის უცნაური და მწარე სასწაული ცხოვრებისა. იქნებ ქარია, ფოთლებს რომ მიხვეტავს გამიშვლებულ ბილიკებზე? იქნებ ქარიშხალივით სწრაფი გაელვებაა მილიონობით სახის, დაკარგული, მივიწყებული, სიზმარივით გამქრალი სახის? იქნებ ქარია, დედამიწაზე რომ ღმუის, იქნებ ქარია, ყველაფერს რომ მათრახით მიერეკება? იქნებ ქარია, ადამიანებს მკვდარი აჩრდილებივით რომ მიაქროლებს? ან ის ერთადერთი ხმელი ფოთოლი, ტოტზე რომ იძაბება, ვიდრე მასაც მუდმივი ქროლვა წარიტაცებს...»

სიზმარ-ცხადისეული ქროლვაა პოეზია — «უცნაური და მწარე სასწაული ცხოვრებისა»... რომელიც - შეხვედრის წამებს და განშორებებს სევდიან გობელენად ირეკლავს.

ეს გობელენი მეორე კრებულში უფრო მრავალფეროვანი და მღელვარე განცდებით განათებულია. «ობოლი ვარსკვლავები» ციალებენ სულში. ობლები არიან იმიტომ, რომ ჩვენსავით მარტოსულები არიან, კიდევ იმიტომ, რომ ჩემი სამშობლოს ნაღვლიან ცაზე ბინადრობენ. ზეციდან სამშობლოს ტკივილს პირდაპირ უყურებენ და ობლობენ სვედასერილნი... ასე მგონია «ობოლ ვარსკვლავებს მლოცველივით სულში ვიგროვებ...» უსასოობის გაქვავებული ცრემლების გასათბობად!

მერე მოდის «სიჩუმე მზეში» (მესამე კრებული) - მზის ნათლობაში გადასული სიკვდილი. მზიან ღამეში მოიდუმალე მეუდაზნოე ვარ. პოეტი არ კვდება, ის ორჯერ იბადება: «მზის სიჩუმეში გამოჩნდა ჯვარი — იმ სამყაროში გადასასვლელი...» ასეთ ჯვარს მიეზიდება... დაბადებიდან დაბადებამდე!

გადის დრო და სიჩუმე მზეში ჩამოთოვლილ ზარებს უხმობს... «ჩამოთოვლილი ზარები» მეოთხე წიგნის სათაურია. «ჩამოთოვლილ ზარებს» სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, გვეუბნება, რომ ყველა ადამიანმა თოვლის სისპეტაკით უნდა იცხოვროს, რაც შეიძლება

ნაკლები ცოდვით; მეორე — პოეტის სული ჩამოთოვლილ ზართა მდუმარებაში ქმნის ლექსებს და სხვებსაც ამ იდუმალებას აზიარებს...სამშობლოში, სადაც უმზეო ქარები ქრიან, «გაბზარულია ღვთისმშობლის ხატი» და ამ თოვლიან ზართა მდუმარება გამეფებულა... ისტორია მეორდება, აფხაზეთი და ქართლი ყაყაჩოებით გოდებს და ზარები ავი ბედისწერის მაუწყებლად რეკავენ: «გულმა ნისლი ჩაიხვია და მიმინოს გაჰყვა კვნესით, ბედი ჩემი კრწანისია, ცრემლი მეფე ერეკლესი...»

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს პოეტი, ზოგადად, თანამედროვე ქართულ პოეზიაზე. რომელ ლექსებს, ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო მეტად და რატომ?

თამარ შაიშმელაშვილი: თანამედროვე ქართული პოეზია უაღრესად საინტერესოა, 21-ე საუკუნემ ახალი სუნთქვა მოიტანა, რაც პოეზიაშიც იგრძნობა. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ თანამედროვე პოეტი ისაა, ვინც ჟარგონით წერს ან უცხო სიტყვებს იყენებს. ასეთი ტექსტების ავტორები, სამწუხაროდ, მრავლად არიან და გვარ-სახელის მოშორებისთანავე, მათი ტექსტები ერთმანეთს ტყუპისცალივით ჰგვანან. ვერ გაიგებ, რისი თქმა უნდათ, და ეს ვერგაგება ჰგონიათ თანამედროვეობა.

აქაც, როგორც ყველაფერში, უცხოელებს ვბაძავთ. სამშობლოს ხსენება ლექსში ძველმოდურობად მიიჩნევა. ქალბატონმა მედეა კახიძემ, რომელიც ბოლო ხანს გერმანიაში ცხოვრობს, მითხრა, რაც აქ ვარ, სამშობლოზე არც ერთი ლექსი არ წამიკითხავსო. გერმანელი პოეტები სოციალურ და პირად პრობლემებზე წერენო. ჰაგიოგრაფიის პატრონი ერი ქართული მწერლობის მაგისტრალურ ხაზს სოციალური პრობლემით რომ გააგრძელებს, ეს უკვე დაკნინებაა.

ქართულ პოეზიაში, ზოგადად, მწერლობაშიც დროთა კავშირი დაირღვა. და ამ კავშირის აღდგენა აუცილებელია.

ჩვენ არც ამერიკა ვართ და არც ევროპის რომელიმე ქვეყანა, ჩვენ უძველესი ქრისტიანული კულტურის ერი ვართ, სადაც ოდითგანვე მწერლობა, ბატონი თამაზ ჭილაძის სიტყვებს მოვიხმობ, ჩვენი არსობის ვენახი იყო, მეობისა და გადარჩენის ვენახი. გგონიათ მართლა დრო შეიცვალა? არა, ისევ მეორდება ისტორია, ისევ გვართმევს მომხდური მიწა-წყალს, ენას და სარწმუნოებას საფრთხეს უქადის. ისევ და ისევ მძლავრმა ქართულმა სიტყვამ უნდა აპოვნინოს ერს სულიერი მისია.

ამ განცდით ველოდები მანანა ჩიტიშვილის, ტარიელ ხარხელაურის, გურამ ოდიშარას, ერლომ ახვლედიანის, ზაირა არსენიშვილის, ვანო ჩხიკვაძის, კოტე ჯანდიერის, თეონა დოლენჯაშვილის, ირმა შიოლაშვილის, ლაშა გვასალიას, ბექა ქურხულის, არჩილ ქიქოძის ნაწარმოებებს. და — ყველა კარგი მოთხრობისა და ლექსის დაბადებას, ვისიც უნდა იყოს, ნებისმიერი ავტორისას მივესალმები.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართველ ქალ მწერალთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ქართველ მწერალ ქალებს მამაკაცი მწერლებისაგან გამოარჩევს?

თამარ შაიშმელაშვილი: გავკადნიერდები და კითხვას შემოგიბრუნებთ: სადმე, რომელიმე ქვეყანაში ასე დასმულა საკითხი — ქალური და მამაკაცური პროზის წარმომადგენლები, ან ქალური და მამაკაცური მხატვრობა? ვფიქრობ, ასეთი დაყოფა უმართებულოა.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

თამარ შაიშმელაშვილი: სამწუხაროდ, დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები არ ჰყავს. ამიტომ მწერლები მე

ვარ და ჩემი ნაბადის პრინციპით მოქმედებენ — რასაც უნდათ, იმას წერენ და ამბობენ. ამ მხრივ ქაოსია. მკითხველიც დაბნეულია, ვერ გაუგია, ვისი წიგნი შეიძინოს, ვის მიანიჭოს უპირატესობა. ხომ არის განსხვავება, ბავშვი ვის შემოქმედებაზე გაიზრდება — «ჰარი პოტერზე» თუ «შვლის ნუკრის ნაამბობზე?» მდარე და სუროგატულმა ლიტერატურამ წალეკა საქართველო. სამწუხაროდ, მარტო მკითხველი და მწერალი კი არ დაშორდნენ ერთმანეთს, არამედ მწერალი მწერალს გაუუცხოვდა.

ამ ფონზე კრიტიკა დუმს. რომელ სიმძაფრეზეა საუბარი, როდესაც კრიტიკა საერთოდ არ არსებობს. ე. წ. კასტებად დაყოფილ ლიტერატურულ საზოგადოებაში მხოლოდ ერთმანეთს აქებენ, ხოტბას ასხამენ, ცოცხალი კლასიკოსის იმიჯით დაიარებიან. «და ეცინებათ ჯავახიშვილს და ჭავჭავაძეს...»

კრიტიკა, დამეთანხმებით, უწინარესად, შეფასებას ნიშნავს, ვფიქრობ, დღევანდელ საქართველოში ავტორიტეტი აღარ დარჩა, ვის სიტყვასაც ყურად იღებ და ენდობი, როგორც თავის დროზე გურამ ასათიანისკენ ჰქონდათ თვალი და გულისყური მიჰყრობილი.

და ახლა მწერალი თავად განსაზღვრავს თავის ადგილს ლიტერატურაში.

ვფიქრობ, ასეთ ვითარებაში მწერლები ბუნებრივად ხალხმა უნდა შეარჩიოს. ამისათვის კი წიგნმა მკითხველამდე უნდა მიაღწიოს და რეგიონებში ბიბლიოთეკების ქსელი აღდგეს.

გიორგი კილაძე: თქვენ ლიტერატურულ ჟურნალ «ხელეურს» გამოსცემთ. სასიამოვნოა, რომ ჟურნალი ლიტერატურულ კონკურსს ატარებს. ზოგადად, რას ფიქრობთ ლიტ. კონკურსებზე. რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტ. კონკურსის ჟიურის წევრიც ხართ? ძნელია?

თამარ შაიშმელაშვილი: შარშან ჩავატარეთ ლიტერატურული კონკურსი რევაზ ინანიშვილის პრემიის მოსაპოვებლად. როგორც ჟურნალის რედაქტორი, მეც ვიყავი ჟიურის წევრი. არ დაგიძლავთ და ნამდვილად ძნელი იყო, რადგან ამ დროს უფროსი დედაები, უწინარესად, დიდი რევაზ ინანიშვილის სახელს, ჟურნალის პრესტიჟს და თავად ქართული მწერლობის ღირსებას.

დიახ, ნებისმიერი კონკურსი სწორედ ქართული მწერლობის ღირსების საქმეა! ობიექტური კონკურსი სტიმულისთვის საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ჯგუფობრივ-კლანური პრინციპით შეჯამებული, როცა ერთი და იგივე ადამიანებს ერთი და იგივე პრემიას რამდენჯერმე მიანიჭებენ, სტიმულს გისპობს.

გაჭირვებულ მწერალს პრემია კი არ უნდა მისცე ნიჭიერის ხარჯზე, არამედ სხვა ფორმით შეიძლება დაეხმარო და ხელი გაუმართო. ეს ძნელი სულაც არაა.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება, ვინ არიან თქვენი მკითხველები? მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით.

თამარ შაიშმელაშვილი: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება, გეთანხმებით. მწერალს მკითხველი ზრდის. მკითხველთან პირისპირ შეხვედრა ჰაერივით აუცილებელია, მით უფრო მაშინ, როდესაც ტელესივრცე მწერლისთვის დახურულია და საშუალება არ აქვს მკითხველს ახალი წიგნი წარუდგინოს. ერთადერთია საპატრიარქოს რადიო და ტელევიზია, სადაც მწერლის სიტყვას მოისმენთ, მაგრამ ეს არ კმარა.

ჩემი მკითხველები არიან მეგობრები, თანამშრომლები, ახლობლები... ვინც იცნობს ჩემს პოეზიას. რამდენჯერმე სკოლებმაც მიმიწვიეს. როდესაც საქართველოს რადიოში არსებობდა გადაცემა «ენაი შემკული და კურთხეული,» ბატონმა თამაზ ხმალამემ ეთერში რამდენჯერმე მიმიწვია.

რადიომსმენელების საყვარელი გადაცემა იყო «ლიტერატურული რადიოკაფეც,» სადაც მხოლოდ თანამედროვე პოეტების მიერ წაკითხულ საკუთარ ლექსებს მოისმენდი. ახლა არც ეს გადაცემა აღარ არსებობს. ვფიქრობ, რაღაც ფორმით მსგავსი გადაცემის აღდგენა უნდა მოხერხდეს, რომ პოეზიის მოყვარულმა ადამიანმა, ვისაც ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების შექმნის საშუალება არ აქვს, რადიოთი მაინც მოუსმინოს პოეტებს.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე აქტუალური თემაა. რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ, საქართველოში?

თამარ შაიშმელაშვილი: მრავალი გამოცემლობა დაარსდა, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ შემოსავლის წყაროს მოსაპოვებლად ზრუნავს. მწერალი კი, სამწუხაროდ, დაკაბალებულია. საკუთარი შემოქმედების მკითხველთან მისატანად (რადგან თავად სახსრები არ აქვს) იძულებულია დათანხმდეს წიგნის გამოცემაზე, სამაგიეროდ კი არაფერი მოითხოვოს. მას ჰონორარის სანაცვლოდ წიგნების რაღაც მიზერულ რაოდენობასაც კი არ აძლევენ.

საგამომცემლო ბიზნესის განვითარება მომწონს, მაგრამ წიგნებით გამდიდრების სურვილი და თვითმიზანი მწერლისთვის აუცილებელ სასიცოცხლო სივრცეს ვერ შექმნის. რუსთაველის ქვეყანაში წიგნი მოხვეჭის წყაროდ არ უნდა იქცეს!

ვფიქრობ, აუცილებელია სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება მწერლების დასახმარებლად, რადგან დღეს მწერლობით არამცთუ იარსებებ, წამალსაც ვერ იყიდი. ვგულისხმობ მწერლებისთვის გრანტების მიცემას წიგნების გამოსაცემად. თუ იარსებებს სახელმწიფო საგამომცემლობა და წიგნის გამოცემის საქმე მოგვარდება, ვფიქრობ, მწერალიც ამოისუნთქავს.

გიორგი კილაძე: როგორ ფიქრობთ, დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? მათი ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ?

თამარ შაიშმელაშვილი: არა მგონია, რომ ბევრი ნაწარმოები ითარგმნებოდეს ქართულად, რადგან ესეც გარკვეულ სახსრებს უკავშირდება. უწინ თარგმანის კოლეგია არსებობდა, რომელიც წყვეტდა, რომელი ავტორი უნდა თარგმნილიყო და გამოცემულიყო. ახლა შემფასებელი აღარავინაა. თუმცა ნაწარმოებები ითარგმნება, მაგრამ მაინც მგონია, რომ სპონტანური პროცესის მომსწრენი ვართ. ყველაფრის თარგმნა კი, ბუნებრივია, არ შეიძლება.

ამ მხრივ გამომცემლობებს მართებთ აქტიურობა, მათ შეუძლიათ საინტერესო პროექტები წამოიწყონ, დაასაქმონ მთარგმნელებიც და ჩვენი ლიტერატურული პროცესიც გაამდიდრონ. მომწონს გამომცემლობა «ინტელექტის» სერია — «ნობელიანტები.» ამ სერიამ გაამართლა და მისი ეგიდით გამოცემული წიგნები თაროებზე არ ჩერდება, მაშინვე იყიდება.

ჩემი ლექსების სხვა ენაზე გამოცემა, ბუნებრივია, მიფიქრია, მაგრამ ეს, სხვადასხვა მიზეზის გამო, ჯერჯერობით განუხორციელებელი ოცნებაა.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე, კითხვა — რომლის პასუხი ზუსტად იცით?

თამარ შაიშმელაშვილი: მართლაც, საიდან მოდის პოეზია, ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება? — გოგლას ცნობილი სტრიქონების პერიფრაზს ხშირად ვიმეორებ და პასუხი არ მაქვს. არც მინდა, მქონდეს,

რადგან პოეზია თავადაა უსაზღვრო და იდუმალებით მოცული. ამ საფარველში მინდა რომ დარჩეს...

ხოლო, რაც ზუსტად ვიცი, ისაა, რომ პოეზია გადაარჩენს სამყაროს, სილამაზეს და ამსოფლიური ამაოების ბურუსში მორიალე ჩვენს სულებს...

გიორგი კილაძე — მაია ჯალიაშვილი

გიორგი კილაძე: ქალბატონო მაია, თქვენი ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV.

მაია ჯალიაშვილი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების მთავარი მეცნიერთანამშრომელი. გამოცემული აქვს მონოგრაფიები: სანდრო ცირეკიძე და ქართული სიმბოლიზმი (1994), ქართული მოდერნისტული რომანი (2006), წიგნები: "სიცოცხლის საიდუმლო" (ლიტერატურული წერილები) (2006), შეხვედრა წიგნში (ლიტერატურული წერილები) (2009). სერიიდან: "ქართველი მწერლები სკოლაში — მიხეილ ჯავახიშვილი (ორ ნაწილად) (2000, 2008), გიორგი ლეონიძე (2001), ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი (2002), ალექსანდრე ყაზბეგი (ორ ნაწილად) (2004), ილია ჭავჭავაძე (ორ ნაწილად) (2007), გრიგოლ რობაქიძე (2009).

ავტორია ორი პოეტური კრებულისა: «დუმის მიღმა» (1996); «გულის ბარძიმი» (ამ კრებულში პოეზიასთან ერთად

დაბეჭდილია მოთხრობები, რადიოპიესები, იგავ-არაკები, დღიურები (2009).

რეჟისორმა ზურაბ კანდელაკმა მათა ჯალიაშვილის სამი რადიოპიესა დადგა საქართველოს რადიოში: 1. «ფლამინგოები ჯოჯოხეთში», 2. «საუზმე ბელურებისთვის», 3. «პარალელური ხაზები».

გიორგი კილაძე: რას ფიქრობთ ზოგადად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე: პოეზია, პროზა, თარგმანი, ესსე... რომელი მწერლების ნაწარმოებები დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად და რატომ?

მაია ჯალიაშვილი: ვფიქრობ, თანამედროვე ქართული ლიტერატურა ძალიან საინტერესოა. ის ისეთივე ეკლექტური და მრავალსახოვანია, როგორც ცხოვრება. «იცხოვრო, რათა მოჰყვე» — ასე უწოდა მარკესმა თავის ბოლო წლებში შექმნილ რომანს. ჩვენშიც ბევრია ისეთი, «მოყოლა» რომ უყვარს, თუმცა ზოგს გამოსდის, ზოგს — არა. ამ საქმეში გამოცდილი და დაოსტატებული, რასაკვირველია, ძველი თაობაა. თუმცა მწერლობაზე საუბრისას ძველი და ახალი თაობა რა სახსენებელია. მხოლოდ ძლიერსა და სუსტზე შეიძლება ილაპარაკო. «თანამედროვეობის» ცნებაც პირობითია: ჩემი აზრით, მინიმუმ ათი წლის ხანა მაინც უნდა იგულისხმო, რომ რაღაც ტენდენციები გამოკვეთო. ბოლო ათწლეულში, ან ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებული ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშებს შორის დავასახელებ ოთარ ჩხეიძის რომანებს: «2001 წელი», «მორჩილი», «ლაზერმოუ», ოთარ ჭილაძის «გოდორს», გურამდოჩანაშვილის «ლოდი ნასაყდრალს», ნაირა გელაშვილის «პირველი ორი წრე», ზაზა თვარაძის «სიტყვებს», ლაშა იმედაშვილის «ბიოგრაფიებს», ზურაბ კანდელაკის «უძრავ ქარს», ზურაბ ლავრელაშვილის «მღვიმარებას», ნინო სადღობელაშვილის «ორსულს», დავით ქართველიშვილის «იყო საღამო, იყო დღია»... ვხედავ,

ჩამოთვლა შორს წამიყვანს, ამიტომ მაპატიონ იმ მწერლებმა, რომლებიც ვერ დავასახელე. საგანგებოდ გამოვიყოფ 2010 წელს გამოცემულ ბესიკ ხარანაულის «ეთნოფილურ» რომანს «სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი, ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა» (იწერებოდა სამი წლის განმავლობაში). ეს არის 500-ზე მეტგვერდიანი საგაკავასიაზე, ეს არის დიდი პოეტური წიგნი, რომელშიც ყველაფერია — სიცოცხლიდან სიკვდილამდე, წუთისოფლიდან ზესთასოფლამდე. ის ზუსტად ასახავს დროის მაჯისცემას თავისი ეკლექტიურობით, ფრაგმენტულობით. მთავარი გმირი ნაგავსაყრელზეა (რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის სიმბოლოა) დაკარგული და მას მამა აღარ დაეძებს, ის «უძებნელია». ბიბლიური «უძლები შვილი» მწერალმა გადააქცია «უძებნელად» და ამგვარად ადამიანის ღვთისგანმიტოვებულობის ტრაგედია შთამბეჭდავად დახატა. ეს წიგნი არის საქართველოს მთის გენიალური ფოლკლორის თავისებური საგალობელი.

ოთარ ჭილაძე წერდა: «მწერლობის დონე შეიძლება ერთმა მწერალმა ასწიოს, მაგრამ უწიგნურსა და უკულტურო მასას საუკუნეები სჭირდება, ხელახლა რომ შეისწავლოს ანბანი». ასეთი კარგი «ერთი» მწერალი კი ჩვენ დღეს რამდენიმე გვყავს.

ყურადღება მიიქცია როსტომ ჩხეიძის ამ ბოლო წლებში შექმნილმა ბიოგრაფიულმა რომანებმა ქაქუცა ჩოლოყაშვილზე «შავი ჩოხა», ოთარ ჩხეიძეზე «აგვისტოს შვილები», არჩილ ჯორჯაძეზე «წერილები იტრიის წისქვილიდან», ელიზბარ ერისთავზე «მდინარესა ზედა ქსნისასა»... გივი ალხაზიშვილის მხატვრულ-დოკუმენტურმა პროზამ «მომავალი წარსული».

ლექსის მწერლები ყოველთვის მრავლად იყვნენ საქართველოში. არც ჩვენი დროა გამონაკლისი, თუმცა, აქ უფრო ძნელია საუკეთესოს გამორჩევა, თანამედროვე

ახალგაზრდა პოეტები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. საკუთარი ხმით კვლავაც გვალეღვებენ ღია სტურუა, გივი ალხაზიშვილი, ბესიკ ხარანაული, ვაჟა ხორნაული, ტარიელ ხარხელაური. ახალთაგან: გიორგი ლობჯანიძე, ზვიად რატიანი, დალილა ბედიანიძე, მარიამ წიკლაური, კატო ჯავახიშვილი, გიორგი კეკელიძე... აქაც გრძელი სია გამოძივა სახელებისა, ამიტომ მაპატიონ მრავალწერტილში ნაგულისხმევმა პოეტებმა, რომელთა შემოქმედება აძლიერებს თანამედროვე ქართული პოეზიის სასიცოცხლო მაჯისცემას.

ესსეს ჟანრში გამოვყოფ მაკა ჯოხაძის წიგნს «სამოთხე უსიყვარულოდ». მისი ესეისტიკა საოცრად დახვეწილი და ნატიფია. მისი სტილი ხაზგასმულად პოეტურია. ის არის სიტყვის პატივისმცემელი. ის პოეტით არჩევს გამოხატვის ფორმას ნებისმიერ თემაზე წერისას. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი ფიქრები ლიტერატურაზე, მისი ინტერპრეტაციები. თუ შეიძლება ვისაუბროთ რაიმე მეთოდზე, რომელიც მას მომარჯვებული აქვს ამა თუ იმ ნაწარმოების ანალიზისას, ეს არის სიყვარულის მეთოდი და ესთეტიზმი. ის ოსკარ უალდივით კითხვას განიცდის, როგორც ერთგვარ «ინიციაციას», როდესაც ეზიარები ამაღლებულსა და ღვთაებრივს. ამ წიგნს აღვიქვამ, როგორც დილის სუფთა, ჟასმინისა თუ იასამნის სურნელით გაჟღენთილ მათრობელა ჰაერს, რომელიც გიბიძგებს ღრმად ისუნთქო, ფილტვები დაბერო ნაძვის ტოტებიდან მოქროლილი ჟანგბადით და იცოცხო, იცოცხო და მტკიცედ, იმედით შეხვდე ცხოვრების ზღვის დამაქცევარ ტალღებს, იმიტომ რომ თუ ფიქრობ სილამაზეზე, მშვენიერებაზე, სიყვარულზე — აუცილებლად გადარჩები.

მაკა ჯოხაძე მაგონებს სახარების პერსონაჟს მარიამს, ლაზარეს დას, ტკბილ იესოს ყურმიგდებულს, თავმდაბალსა და სიკეთით სავსეს. ლაზარე ხომ ქართულ საღვთისმეტყველო ტრადიციით საქართველო, ან ქართული

ენაა, იოანე ზოსიმე რომ ბრძანებდა — «დამარხული», მაგრამ მოელის აღდგომას, ამისთვის კი მას გვერდით უნდა ჰყავდეს ისეთი და, შემწე და მშველელი, როგორც მარიამია. ასე უფრთხილდება თავისი ცხოვრებითა და წიგნებით მაკა ჯოხაძე საქართველოს.

ქართველები ყოველთვის გატაცებითა და ჟინით თარგმნიდნენ. თანამედროვე ქართველ მთარგმნელთაგან გამოვარჩევ გიორგი ლობჯანიძეს, რომლის ყოველი თარგმანი დიდი შენაძენია ქართული ლიტერატურისთვის. შარშან გამოვიდა ირმა რატიანის მიერ შესანიშნავად თარგმნილი იაპონური პოეზია. ამჯერად მინდა გამოვყო გია ჯოხაძე, რომელმაც თარგმნა იოსიფ ბროცკის ლექსები და ესეები და ერთ წიგნად გამოსცა «მშვენიერი ეპოქის დასასრული». მან თავიდანვე სკეპტიკურად განწყობილმა თხზულების ერთი ენიდან მეორეზე გარდასახვის შესაძლებლობაში გადაწყვიტა ქართული ენით ბროდსკის პოეზიის «ანექსია» და ნებისმიერ ფასად გამარჯვება, რადგან «გამარჯვებულებს არ ასამართლებენ». ამ მიზანს ამაგრებდა რწმენა, რომ ყოველი ახალი წაკითხვა დაწერილს ამრავალფეროვნებს, ამიტომაც არ დაემონა ზუსტ თარგმანს, «ახალს რომ არ ჰბადებს» და გადაწყვიტა ერთგვარი თანაავტორობა და ეს გამოხატა ამგვარი მახვილგონივრული მსჯელობით: «ჩვენ არ ვიცით, როგორ დაწერდა «რომაულ ელეგიებს» ბროდსკი ქართულად, მაგრამ ქართულმა ენამ იცის, როგორ უნდა ითქვას მისი რომელიმე სტროფი ქართულად. მთარგმნელიუნდა მიჰყვეს ენას, დანარჩენს თვით ენა იზამს». ამგვარი მინდობა ენაზე ბროცკისეულია, რომელიც ენას «აღმერთებდა». წერილში «აჩრდილის თაყვანისცემა» ის საოცარი გატაცებით საუბრობს ენის მეტაფიზიკურ ფენომენზე. მან გაიზიარა ოდენის ფრთიანი გამოთქმა: «დრო ენას აღმერთებს» და თვითონ უფრო გააღრმავა: «თუ დრო, რომელიც ღმერთის სინონიმია, უფრო მეტიც — ღმერთს გულისხმობს, ენას აღმერთებს, მაშინ საიდან მომდინარეობს

ენა? ძღვენი ხომ უფრო მცირეა, ვიდრე მომძღვენი? თუ ასეა, ენა ხომ არ არის დროის საცავი? სწორედ ამიტომ ხომ არ აღმერთებს დრო ენას?» ამ ღრმააზროვან კითხვებზე პასუხი ამავე ესეშია.

გია ჯოხაძის «შერკინებამ» ბროცკისთან ნაყოფი გამოიღო. ეს თარგმანები ძალდაუტანებლად იკითხება, ქართული ენა ლაღად და თავისუფლად მიედინება და მას არ ბორკავს სათარგმნი ტექსტის სიზუსტით გამოწვეული ხელოვნურ ფორმათა ჯებირები. ასე რომ, მკითხველი დატკბება ბროცკის ლექსების აზრის სიღრმითა და მრავალმნიშვნელოვნებით, გამოთქმის უჩვეულობითა და სილამაზით. თვითონ ბროდსკის სჯეროდა: «ლექსს იმიტომ წერენ, რომ ენა კარნახობს», მთავარია, ამ მარადიულ და უშურველ მოკარნახეს კარგი გამგონი შეხვდეს. ენა კარნახობდა გია ჯოხაძესაც, როცა ამ თარგმანებს წერდა. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი რამ. ამ წიგნში არის ბროცკის საუბარი ჩესლავ მილოშთან სხვადასხვა თემაზე. უცხოელ პოეტებზე საუბრისას მილოში თავის დარცხვენას ამგვარად გამოხატავს: «როცა უცხო ენაზე ვკითხულობ ლექსებს, თითქოს მათგან მინის კედლით ვიყო გამიჯნული, ამიტომ ზოგ მათგანს პოლონურად ვკითხულობ, რათა მათ ემოციურად მივუახლოვდე». ამგვარმა გულწრფელობამ მომხიბლა, რადგან მეც მსგავსი განცდა მეუფლება ხოლმე. გია ჯოხაძემ კი თავისი თარგმანებით ეს «მინის კედელი» კი არ დაამსხვრია, ფაქიზად ჩამოხსნა და ხედვასა და სმენას დაწმენდის შესაძლებლობა მისცა.

რუსულ ენაზე წაკითხული ბროდსკი სხვაა, მთავარია, რომ ქართულ ენაზეც გვაჯერებს სიდიადესა და გამორჩეულობაში. და ჩვენ აღარ გვიჭირს გავიზიაროთ მისი პოეზიით აღტაცება არა მხოლოდ მთარგმნელისა, არამედ მსოფლიოში აღიარებული პოეტებისა: დერეჟ უოლქოთისა, შეიმას ჰინისა, ჩესლავ მილოშისა, ოქტავიო პასისა, ბელა ახმადულინასი და სხვათა.

ყურადღება მიიქცია, აგრეთვე, მაია მირიანაშვილის (ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს და თარგმნის) თარგმანებმა: მარტინ ვალზერის «შეყვარებული კაცი» (გოეთეს უკანასკნელ სიყვარულზე) და ფრიდრიხ და დოროთეა შლეგელის მისტიკური ზღაპარი «ამბავი სასწაულთმოქმედი მერლინისა».

გიორგი კილაძე: «მწერლისთვის (და ზოგადად ხელოვანისთვის წარსული ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს» — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით თუ არა? რატომ?

მაია ჯალიაშვილი: მე სხვაგვარად ვფიქრობ. მწერალი მანქურთი ხომ არ არის (ჩინგიზ აიტმატოვის ცნობილი რომანის — «და დღე იყო წუთისოფელზე გრძელი» — გმირია), რომ მისთვის წარსული არაფერს ნიშნავდეს. ასეთ მწერალს, ალბათ, ილუზია უნდა, რომ შეიქმნას, თითქოს თვითონ «იწყებს» ყველაფერს. წარსულის ხსოვნა ტვირთია, პასუხისმგებლობაა, მოვალეობაა. როცა იცი, ვინ რას წერდა შენამდე, შეიძლება საერთოდ გაგიქრეს წერის სურვილი. მწერალმა უნდა იცოდეს, «ვინ არის, სიღამ მოსულა», თორემ ისე ვერ გაარკვევს «სად არის, წავა სადაო». შეიძლება ამ ახალგაზრდა ავტორის ეს ნათქვამი ერთგვარი პოზაა, თუმცა მომავლად ცისფერყანწელი პაოლო იაშვილის თავის დროზე ეპატაჟური სტრიქონები:

«პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე,
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი,
რა ვქნა, თუ ჩემთვის ბეთჰოვენი მხოლოდ ყრუ არი
და რომ წარსულმა ვერ გადმომცა მე ანდამატი».

ამგვარი «უარყოფით» ცდილობდნენ «წმინდა პოეზიის» რაინდები თავიანთ მიერ ნაქადაგევი ახალი ესთეტიკური იდეალების დამკვიდრებას, დრომ გაამართლა მათი ასეთი

სითამამე. პაოლო იაშვილიც მისმა სხვა ლექსებმა გააუკვდავეს და არა ამ მყვირალა «მანიფესტმა», რომელსაც, რა თქმა უნდა, თავისი ფუნქცია ჰქონდა — უნდა გამოეფხიზლებინა მიძინებული საზოგადოება, რომელსაც აღარაფერი ესმოდა მაღალი პოეზიისა, რომელიც ბატონი ცხოვრების საწყალ მსახურად ექციათ მეცხრამეტე საუკუნის მაღლიანი პოეტების უნიჭო ეპიგონებს. ეს იყო სილის გაწვნა «შაბლონისთვის», რომელიც «მაღაყს გადადიოდა» ქართულ პოეზიაში.

სხვა რომ არაფერი, ენა ინახავს წარსულს, მწერალიც სწორედ ენიდან, ე.ი. წარსულიდან ამოიზრდება და რამდენადაც დიდი აქვს სიტყვის ძირა ფენებში წვდომის უნარი, როგორც რობაქიძე იტყოდა, იმდენად ძლიერად აესხმება ფრთები ასაფრენად, იმდენად თავის-უფალი იქნება.

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართველ ქალ მწერალთა რაოდენობა. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ქართველ ქალ პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი პროზაიკოსებისგან?

მაია ჯალიაშვილი: ვფიქრობ, ეს ყოველთვის ძნელი გასარჩევი იყო. რაოდენობრივად დღეს მართლაც უფრო მეტად ჩანს ქალი-მწერალი, ალბათ, თანამედროვეობამ მისცა შესაძლებლობა, მეტი დრო დაუთმოს შემოქმედებით შრომას. ადრეც და დღესაც, ხანდახან ქალი მწერალი მამაკაცის ფსევდონიმით წერს, ან პირიქით. ვთქვათ, ნაირა გელაშვილმა კაცის სახელით გამოაქვეყნა რომანი. პაოლო იაშვილმა ქალი «შემოიყვანა «ცისფერი ყანწების» ორდენში — ელენე დარიანის ფსევდონიმით. ეს იყო პოეტური მისტიფიკაცია, რომელიც მკითხველმა დაიჯერა. ვფიქრობ, ქალები ჟარგონს, სკაბრებს ნაკლებად მიმართავენ. ამ თვალსაზრისით უფრო მოკრძალებულნი არიან, თუმცა სითამამე ინტიმური განცდების აღსაწერად არ აკლიათ.

გიორგი კილაძე: ქალბატონო მარია, როგორ ფიქრობთ, «იხსნის თუ არა ლიტერატურული კრიტიკა პოეზიას უნიჭობის სენისაგან»? კითხვა ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს. 2007 წელს «ებლიტფოზე» მომზადებული სტატიის სათაურია. სტატია კი პოეტ გიორგი საჯიას ინიციატივით წამოწყებული დისკუსიის შედეგად დაიწერა. ზოგადად, კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები?

მარია ჯალიაშვილი: ვფიქრობ, უნიჭობის სენისგან კრიტიკა ვერ იხსნის ლიტერატურას. მე ასეთი «მკურნალი» არ მეგულება, რადგან ყველაზე მეტად უნიჭოს სჯერა, რომ «ჯანმრთელია». უნიჭობა იოლად ხარობს, ვრცელდება, მაგრამ უფესვებოც არის და ასევე იოლად ქრება. უნიჭოები მიდიან და მოდიან, ნიჭიერები კი რჩებიან. ზოგ შემოქმედს არა თუ კრიტიკის შეფასება, არამედ თავისი შექმნილი დაბეჭდილიც არ უნახავს, მაგ. ბარათაშვილს, მაგრამ დრო გავიდა და გამოუჩნდა პატრონი ილიას სახით. ჭოლა ლომთათიძე ნატრობდა, ნეტავ ვინმემ რამე დაწეროს ჩემზე, თუნდაც მამაგოსო. ვერ ეღირსა, მაგრამ დრომ შეაფასა, ოღონდ ადამიანები სულსწრაფები არიან, ყველაფერი ახლავე სურთ. თანაც, ყველანი ვერ შეთანხმდებიან, რომ რაიმე «უნიჭობაა», რადგან ყველაზე კარგად დღეს სწორედ ეს «უნიჭობა» იყიდება, ე.ი. უფრო მეტი წამკითხველ-შემფასებელი ჰყავს, მართალია ეს შეფასებები ზედაპირული, ფრაგმენტულია, მაგრამ მაინც. თანამედროვე საზოგადოებას (ალბათ ასე იყო ყოველთვის) ხელოვნება მაინც თავშესაქცევი ჰგონია და ასეთი ლიტერატურა უნდა, რომ იოლად ხელმისაწვდომი იყოს. თანამედროვე ლიტერატურაც მუხლს იყრის მისი უდიდებულესობა «მასობრივი მკითხველის»

წინაშე და ყველანაირი გზით (მაგალითად, ორმაგი კოდირებით) ცდილობს მისთვის თავმოწონებას.

კრიტიკოსი უნდა იყოს შუამავალი მწერალსა და მკითხველს შორის — თავისი დაკვირვებით, ინტერპრეტაციებით გზა გაუხსნას მკითხველს ნაწარმოების სიღრმეთა შესამეცნებლად. კარგი კრიტიკა ხელოვნებაა. კრიტიკა მესმის, როგორც «გამოთარგმანება», ე.ი. განმარტება. ხანდახან თვითონ მწერლები აკეთებენ ხოლმე ამას შესანიშნავად. ასე რომ, მე ცალმხრივად ვიაზრებ კრიტიკას. მაქებარი ყველას გამოუჩნდება — კარგსაც და მდარესაც — რისი მაგალითიც ჩვენს სინამდვილეში არაერთია. ამიტომ გულგრილი ვარ იმ, ჩემი აზრით, არასწორი შეფასების მიმართ, რომელიც ამა თუ იმ ნაწარმოებს მოჰყვება ხოლმე. ვფიქრობ, დრო ყველაზე სამართლიანი მსაჯულია, რადგან შეფასება მაინც სუბიექტურია და განსაზღვრულია შემფასებლის გემოვნებით, ინტელექტით, ინტუიციით, გამოცდილებით... ვერავინ იქნება დარწმუნებული, რომ რაიმე სწორად შეაფასა, აღარაფერს ვამბობ «დახარისხების» მცდელობაზე, რომელიც მარცხისთვის არის განწირული. თავდაჯერებული კრიტიკოსი მაგონებს პილატეს, რომელმაც თქვა: «რაც დავწერე, დავწერე». ამით მან გაიზიარა იესო ქრისტეს ის შეფასება, რომელიც მასას ჰქონდა და გახდა ჯვარცმის მონაწილე.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა «ყარგონიც»... — «ყარგონი» ენისთვის ერთგვარი შემოლაწუნებასავითაა...» — ბრძანა ბატონმა ბესო ხვედელიძემ. თქვენთვის რა არის იგი?

მაია ჯალიაშვილი: «ენა საღვთო რამ არის». სამწუხაროდ, არ არის ამ ფრაზის ცოცხალი შეგრძნება. ეს მხოლოდ მშვენიერ ციტატად შეიძლება დაიმოწმო. არადა, ენა,

მართლაც, ჩვენი კურთხევის გარეშე არის ჩვენი «უფალი», რომლის ნებით ვიშვით. მწერალს ვერ ვუწოდებ იმას, რომელსაც ენა არ უვარგა — დღეს ბევრია ასეთი. ისინი ვერ დამკვიდრდებიან ენის «სამოთხეში» ე.ი. იქ, სადაც ნამდვილი მწერლები განისვენებენ. ჟარგონი არსებობს სასაუბრო ენაში და რადგან ლიტერატურა ცხოვრებას «ბამავს», ირეკლავს ამ ჟარგონსაც. ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა ლევან ბრეგაძის «ჟარგონის ლექსიკონი», რომელიც ჟარგონმა თავის ნებისმიერ «სასამართლოზე» შეიძლება ადვოკატად დაიყენოს. არავინ, მათ შორის, არც ქუჩის ბიჭი, ყოველთვის არ საუბრობს ჟარგონით. ასე რომ, მწერალმაც მხოლოდ გარკვეული მიზანდასახულობით უნდა გამოიყენოს ის (ჟარგონის კარგი გამოყენების მაგალითად დავასახელებ ენტონი ბერჯესის «მექანიკურ ფორთოხალს», ან ჯერომ სელინჯერის «თამაში ჭვავის ყანაში»). ჩემი სათაყვანო მწერლები მისი დახმარების გარეშე ეზიარნენ უკვდავებას. მოკლედ, «ჟარგონი» გინდ ყოფილა და გინდ — არა. ჯერ არ მსმენია, მის გამო რაიმე ღირსება შემატებოდეს ნაწარმოებს. აი, დაკლებული კი ბევრი მინახავს.

«ჟარგონი» ისეთი თავხედია, შეიძლება, მართლაც შემოულაწუნოს ენას, მაგრამ ენა მას თვინიერად მიუშვერს მარჯვენა ლოყას, რათა აგრძნობინოს ამ აგრესიის უბადრუკობა. ენას ჰყავს შვილები, მათ შორის, «ჟარგონი», რომელიც ავადმყოფი შვილივით უყვარს და მისი გამოჯანმრთელების მოლოდინშია.

ჯემალ ქარჩხაძე წერდა: «ენას ურიცხვი სახე აქვს. ეს ურიცხვი სახე ურიცხი ნიუანსებით იქსოვება — ურიცხვი ფერებით, ურიცხვი ხაზებით, ურიცხვი ინტონაციებით, ურიცხვი შეხამებებით... მეორე მხრივ, ჩვენც, ყოველ ჩვენგანს, ჩვენი ხასიათი გვაქვს, ჩვენი სტილი, ჩვენი ფერი, ჩვენი მიდრეკილებანი, და თუ ზუსტად არ შეირჩა შესაბამისობა, თუ ჰარმონია არ დამყარდა ენასთან, თუ ზომა ზომას ვერ დავამთხვიეთ, ფერი ფერს და მნიშვნელობა

მნიშვნელობას... ჩვენ ყალბი ვიქნებით». მთავარი ეს არის, და თუ ვინმეს ნაწარმოების «გაფერადებისთვის» «ქარგონი» დასჭირდება, ვინ რას იტყვის.

გიორგი კილაძე: «კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა» მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა — თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურისმოყვარე კაცი ვასიკო კეჭერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? კარცერ ლუქსის, უფრო ზუსტად, წიგნის «იძულებით» შეყვარების იდეაზე რას მეტყვით?

მაია ჯალიაშვილი: იყო მკითხველი, ეს სასწაულია... ვასიკო კეჭერაძე მკითხველის იდეალია. ასეთ მკითხველზე იოცნებებდა ნებისმიერი მწერალი. ყველა ლიტერატურისმოყვარე ჰგავს მას იმით, რომ ლიტერატურა ახარებს, ზრდის. იდეალი იმისაა, რომ იშვიათი იყოს. დღესაც ასეა. ვასიკო კეჭერაძეები არც წერილებს წერენ და არც აკომენტარებენ, მათ მხოლოდ ცოცხალი საუბარი შეუძლიათ. აბა, დღეს სადღა შეხვდებით ლიტერატურაზე მოსაუბრეებს. ინტერნეტის ფორუმებზე გამართული დისკუსიები მაინც კეკლუცობაა. ე.ი. ამას ის თავისუფლება და სილაღე არ ახლავს, რაც კეჭერაძის საუბარს, რომელიც მესმის, როცა ვკითხულობ. ოთარ ჩხეიძეს აქვს წერილი «მკითხველი», რომელშიც წერს: «მწერალი მკითხველი გახლავთ, ანუ მკითხველი განსაზღვრავს მწერლობის დონესა, მკითხველის მოთხოვნილება, მკითხველის გემოვნება, მკითხველის ერუდიცია განსაზღვრავს, ან თუ ასეც რო შეიძლება ითქვას, რის ღირსიცაა ხალხი, მწერლობაც ისეთი გააჩნია». მისივე აზრით, მკითხველს, ძალიან ბევრი დროის გარდა, უნდა გააჩნდეს «ღვთაებრივი მადლი, პირველ ყოვლისა, ღვთაებრივი მირონი, ნიჭი უნდა, ერთი სიტყვითა, ნიჭი განსაკუთრებული, გამორჩეული, როგორც თუ გნებავთ, მწერლისა საერთოდ თუ ფერმწერისა, როგორც

მუსიკოსისა თუ მსახიობისა, როგორც მომღერლისა თუ მოქანდაკისა, გამორჩეული და თავისებური ნიჭი, მწერლობის დონეს რო განსაზღვრავს, თავისი ხალხის მწერლობისას». მოკლედ, «ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მკითხველთ ზნეობა».

ასე რომ, ვერანაირი იძულება ადამიანს მკითხველად ვერ აქცევს, თუმცა იძულებით წერა-კითხვას რომ შეასწავლი, ესეც დიდი საქმეა. არადა, ოთარ ჩხეიძისავე აზრით, ნიჭიერი მკითხველის გარეშე «მწერალი ცოდოა, დაეკარგება თვალსაწიერი და მოგვიანებით თუ გაიმეორებს სიახლეებსა ლიტერატურაში, სადღაც უკვე რო გაცვეთილა». აი, ჩვენი ლიტერატურის ნაკლის მიზეზი — ნიჭიერი მკითხველის გარეშე დარჩენილი, «სადღაც უკვე გაცვეთილ სიახლეებს» ბეჯითად რომ იმეორებს და თავი «კარგთა სწორი» ჰგონია. და მაინც ოთარ ჩხეიძეს ენუგეშებოდა, რომ «მცირედი ნაწილი, თან რომ მიჰყვება ფეხდაფეხა ჩვენს მწერლობასა, მიუძღვის და თანაც მიჰყვება, ბრძანებს და მოითხოვს, ინებებს და განიცდის და კიდევ უფრო ამაღლებული ქმნილებანი სჭირდება, მართალი და ამაღლებული».

გიორგი კილაძე: რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობთ...

მაია ჯალიაშვილი: პირველად იყო სიტყვა... მერე ბიბლია, ჰომეროსი, რუსთაველი, შექსპირი, სერვანტესი... გალაკტიონი... და ადამიანი ისევ სცოდავს, ისევ მოთქვამს უსიყვარულობასა და გაუცხოებაზე, უთვისტომობასა და განწირულობაზე... ბრმასავით დაეხეტება საკუთარი სულის უფსკრულებში და ისევ წერს, იმეორებს, იმეორებს, იმეორებს... არადა, ყველა გზა გადარჩენისა ახსნილია და განათებულია... რატომ?

გიორგი კილაძე: კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით...

მაია ჯალიაშვილი: კითხვა: ხანდახან შემაშფოთებს ხოლმე ათასჯერ ნაწინასწარმეტყველები მოახლოებული აღსასრულის შიში. რა გვიხსნის საწყალ ადამიანებს სამყაროს უძირო წყვდიადში შთანთქმისაგან?

პასუხი: „დედამიწის აღსასრული რომ დამდგარიყო და სადღაც ზემოთ ადამიანებისთვის ეკითხათ: „აბა, რას იტყვით, შეიცანით თუ არა თქვენი ცხოვრება მიწაზე, ან რა დასკვნა გამოიტანეთ აქედანო», — ადამიანს შეეძლო უსიტყვოდ გაეწოდებინა „დონ კიხოტი»: „აი, ჩემი დასკვნა ცხოვრების თაობაზე, შეგიძლიათ ამის გამო განმსაჯოთ»(დოსტოევსკი).

ორშაბათი, ნოემბერი, 29, 2010

გიორგი კილაძე — ბაჩო კვირტია

გიორგი კილაძე: ბატონო ბაჩო, საუბარი 2007-2008 წლებიდან დავიწყეთ. ეს წლები ყველაზე წარმატებული გამოდგა თქვენს შემოქმედებაში...

ბაჩო კვირტია: საერთოდ, რა არის მწერლისთვის წარმატება? პრემიები? არა მგონია. მწერლისთვის წარმატება წერაა, კარგად წერის უნარი და კარგი მკითხველის არსებობა. ეს წლები ჩემთვის უფრო აქტიური იყო, ვიდრე წარმატებული. მიღებულ ლიტერატურულ პრემიებს კი ჩემი აქტიურობის ლოგიკურ გაგრძელებას ვუწოდებდი.

გიორგი კილაძე: ბატონო ბაჩო, თავისუფალი თემა: «მატარებლის მოსვლამდე» და «მატარებლის მოსვლის» შემდეგ...

ბაჩო კვიციანი: ეს თავისუფალი კი არა, ძალიან რთული თემაა... თუმცა, თავისუფლება თავისთავად სირთულეს გულისხმობს და შეიცავს. სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში ერთი მატარებლის მოსვლა არ არის საკმარისი, თორემ ჩავსხდებოდით, გავემგზავრებოდით და ყველაფერი არაჩვეულებრივად იქნებოდა. ალბათ, ბევრისთვის ნაცნობია სიზმრისეული კომმარი, როცა ძილში ძალიან გვწყურია, ვსვამთ წყალს, მაგრამ უცებ ვხვდებით, რომ წყალი არ დაგვიღვია და ისევ გვწყურია. მერე ისევ ვსვამთ და ყველაფერი თავიდან იწყება... მატარებლის ლოდინი ჩვენი ცხოვრების მეტაფორაა: ველით. მოდის. ვსხდებით, ან ვერ ვასწრებთ და ახალს ველოდებით. თუ ჩავჯექით, აღმოჩნდება, რომ არ ჩავმჯდარვართ და ისევ ბაქანზე ვართ. ისევ ველოდებით. როგორც ჩანს, ერთი მატარებლის მოსვლა არ გვყოფნის. თან ისიც არ ვიცით, რისთვისაა საერთოდ მატარებლის მოსვლა საჭირო. მაგრამ ველოდებით. მეც ასე ვარ. მოვიდა. ჩავჯექი. წავედი. მაგრამ ისევ ბაქანზე ვარ. ისევ ველოდები. კიდევ უნდა მოვიდეს, რომ ჩავჯდე, მაგრამ ვერ ჩავჯექი. სრული უაზრობაა ერთი შეხედვით, თუმცა ძალიან ლოგიკური, ცხოვრებისეული.

გიორგი კილაძე: თქვენი თქმით და ეს მართლაც ასეა, «მატარებლის მოსვლამდე» ურბანისტული პროზაა... ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ გიჭირთ საკუთარ ნაწარმოებებზე საუბარი. ამიტომ, ზოგადად, ურბანისტულ პროზაზე ვისაუბროთ.

ბაჩო კვიციანი: ნამდვილად არ მიაღვილდება საკუთარ ტექსტებზე საუბარი. საამისოდ მკითხველი და კრიტიკოსი უნდა არსებობდეს. ურბანისტული პროზა გმირების და მოქმედების, საგნების და მოვლენების ერთგვარი გეოგრაფიაა ლიტერატურაში. მე ვწერ თანამედროვე ადამიანებზე, ემოციებზე, განწყობაზე, პრობლემებზე, სიცოცხლეზე და სიკვდილზე. ვწერ იმაზე, რაც ნამდვილად

მაწუხებს ან მიხარია, და ვცდილობ მკითხველამდე წრფელი გრძნობა მოვიტანო. ურბანისტული პროზა თანამედროვე ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, მოდური ტენდენციაა. ამ სტილით დღეს იქმნება კარგი მხატვრული ღირებულების მქონე ტექსტებიც და დილექტანტური ბელეტრისტიკაც, რომელსაც სამწუხაროდ მკითხველის გაცილებით დიდი აუდიტორია ჰყავს, ვიდრე პროფესიონალი პროზაიკოსების ხელით დაწერილ მოთხრობებს ან რომანებს. ჩემი აზრით, თანამედროვე ქართულ მწერლობაში ურბანისტული პროზა ურბანისტულ პოზად იქცა და მოდური ტენდენციის სახე მიიღო, რომელიც ცალსახად ქიმერულია და უახლოეს ხანში წარსულს ჩაბარდება, დავიწყებას მიეცემა.

გიორგი კილაძე: «მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს» — ბრძანეთ იმავე ინტერვიუში. მე ხელოვანი არ ვარ, ამიტომ მიჭირს დაგეთანხმოთ, და ამიტომ აწმყოსა და მომავალზე განვავგრძოთ საუბარი: რას წერს ამჟამად ბაჩო კვირტია და რა თემებზე დაწერას აპირებს მომავალში?

ბაჩო კვირტია: სულაც არ მიკვირს, რომ გიჭირთ დამეთანხმოთ, რადგან იმ ინტერვიუში ჩემს მიერ გამოთქმული აზრი დამახინჯებულად აღიქვეს და დაბეჭდეს. წარსულში მე შემოქმედებით წარსულს — წარმატებას, აღიარებას, ჯილდოებს ვგულისხმობდი (თუკი ასეთი რამ არსებობს, ნამდვილმა შემოქმედმა ამას იოტისოდენა ყურადღებაც კი არ უნდა დაუთმოს, არ უნდა იფიქროს ამაზე) და არა ცხოვრებისეულ წარსულს, რის გარეშე არა მარტო მწერლის, ხელოვანის, არამედ ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებაც წარმოუდგენელია. როგორ შეიძლება წარსული არაფერს ნიშნავდეს

მწერლისთვის, როცა ნამდვილი მწერალი პირველ რიგში წარსულია, მახსოვრობაა, გახსენება...

ამჟამად ვცოცხლობ, ვცხოვრობ და ვწერ ისევ იმაზე, რაზეც აქამდე ვწერდი — რასაც ვხედავ, რაც მესმის, რასაც ვგრძნობ და რაც მაწუხებს. ოღონდ ვწერ ისე, როგორც ვხედავ, როგორც მესმის და როგორც ვგრძნობ. დანარჩენი უკვე მკითხველმა უნდა შეაფასოს.

გიორგი კილაძე: ბაჩო კვიციანი, ირაკლი ლომოური, დავით ქართველიშვილი, ბესო ხვედელიძე, ზურაბ ლავრელაშვილი, მიხო მოსულიშვილი, ბესო სოლომონაშვილი... რა განსხვავება და რა საერთოა მათ, როგორც მწერლებს შორის? აქვე ჩაგეკითხები: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მწერალი ბაჩო კვიციანი?

ბაჩო კვიციანი: განსხვავება ხელწერაშია, თითოეული მათგანის ორიგინალურ მწერლობასა და მკითხველამდე მათ მიერ მოტანილ სამყაროებს, ყველანი ერთი თაობის ადამიანები ვართ. კარგად გვახსოვს მძიმე 90-იანი წლები და მისი კვალი ყველას გვეტყობა — ამ შემთხვევაში, შემოქმედებაზე. საერთო ალბათ კიდევ ისაა ჩვენ შორის, რომ ყველას (და არა მარტო ჩვენ — ჩამონათვალი ხომ არასრულია?) ძალიან ბევრი დაგვრჩა სათქმელი და დასაწერი, რომელსაც ვიტყვით კიდევ და დავწერთ — უფლის შემწეობით და ჩვენი მონდომებით.

თანამედროვე ქართული პროზა ცოცხლობს, ვითარდება — ნელა, მაგრამ ვითარდება. იწერება საინტერესო და უინტერესო მოთხრობები, რომანები. მთავარი ეს არის — მოთხრობა, ნოველა, რომანი უნდა იწერებოდეს. გაჩერება არ შეიძლება და არც უნდა შეგვეძლოს. რაკი არ ვჩერდებით, ესე იგი, სხვანაირად არ შეგვიძლია. რომ არ შეგვიძლია, ეს უკვე კარგია.

გიორგი კილაძე: «მკითხველთან ინტენსიური ურთიერთობის ფუფუნებას მოკლებული ვარო,» — ბრძანეთ. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა. მიზეზი?

ბაჩო კვიციანი: თითოეულ ადამიანს — მეც, თქვენც, სხვასაც უამრავი რამ აქვს გასაკვირი: ქცევა, სიტყვა, ამბავი, რაიმესადმი დამოკიდებულება. თუმცა აქ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ჩვენ თუ სხვისი რაიმე გვიკვირს, მას ჩვენი გაკვირვება აკვირვებს — რატომ გაგიკვირდაო?.. ეს ისე... ჩემს შემთხვევაში ასეა: საკუთარ მკითხველთან ხშირ ურთიერთობას ფუფუნებას ვუწოდებ, რადგანაც ასეთი ურთიერთობა ჩემთვის ფაქტობრივად არ არსებობს. მე ისიც არ ვიცი, საერთოდ თუ მყავს მკითხველის ის რაოდენობა, რომელიც ჩემთან შეხვედრისას საშუალო ფართობის დარბაზს შეავსებდა. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ფაქტი ერთია: არ (თუ ვერ) ვურთიერთობ ჩემს მკითხველთან ისე ხშირად, როგორც ჩემი კოლეგები. არ ვიცი, ალბათ ეს ჩემი ბრალიცაა. რა გითხრათ? ათასი რამეა ათასი რამის ბრალი...

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა ««ჟარგონიც»... — «ჟარგონი» ენისთვის ერთგვარი შემოლაწუნებასავითაა...» — ბრძანა ბატონმა ბესომ. თქვენთვის რა არის იგი?

ბაჩო კვიციანი: მე ბესოს სიტყვების ჩემეულ პერიფრაზს შემოგთავაზებთ: «ჟარგონი» ენისთვის კი არა, მკითხველისთვისაა ერთგვარი შემოლაწუნება. ყოველგვარი პათოსის გარეშე ვიტყვი, რომ ენას (და მით უმეტეს — ჩვენს ენას) შემოსალაწუნებელი არაფერი ჭირს, რასაც მკითხველის, ხალხის გარკვეულ ნაწილზე ვერ ვიტყვოდი. «ჟარგონი» თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ჩვეულებრივი მოვლენაა, აუცილებელი — რომ ვერ აიცილებ. ტექსტში «ჟარგონი», როგორც თვითმიზანი, ხელოვნურია ცუდი გაგებით და ნაწარმოების ხარისხს ანადგურებს.

ჟარგონი, სლენგი, თუ ის ორგანულია და ყურს არ გჭრის, ნერვებს არ გიშლის, დასაშვებად მიმაჩნია. «ჟარგონი», თუ ის სწორადაა მოტანილი, დეფინიციის გარდა, უამრავი რამის გამომხატველია: აგრესიის, განწყობის, ავტორის დამოკიდებულების საგნისა და მოვლენის მიმართ. «ჟარგონი» ლიტერატურაში კარგია, თუ ის ბუნებრივი და დოზირებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოღალწუნება მკითხველს კი არა, შეიძლება ავტორს დასჭირდეს.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე: თუ ჰყავს დღეს ქართულ ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

ბაჩო კვიციანი: კრიტიკოსი ლიტერატურას ისევე სჭირდება, როგორც გემს წყალი ან ეტლს ბორბალი. კრიტიკა ლიტერატურისა და ხელოვნების დანარჩენი დარგების განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. ჩვენთან პროფესიონალი შემფასებლები დღეს თითზე ჩამოსათვლელია და სწორედ ეს არის, ჩემი აზრით, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში პროცესების სიმდოვრისა და მისი დაბალხარისხიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

რატომ გამაკრიტიკეს, ვერ გეტყვით, რადგან, სამწუხაროდ, არავის გავუკრიტიკებია...

გიორგი კილაძე: სულ ახლახან ლიტერატურული კონკურსის შედეგები გამოცხადდა, რომლის ჟიურის წევრი ბრძანდებოდით. ძნელია? რას ფიქრობთ ზოგადად ლიტ. კონკურსებზე?

ბაჩო კვიციანი: ლიტერატურულ კონკურს «წერო 2010»-ის ჟიურის წევრი ვიყავი. ძალიან ძნელი იყო, იმიტომ რომ გულახდილად გითხრათ, ამდენი უხარისხო,

დილექტანტური, არაფრისმთქმელი და უინტერესო ტექსტი ერთად თავმოყრილი არასდროს მინახავს და წამიკითხავს. მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხეთ და შევარჩიეთ ხარისხიანი ნაწარმოებები. პრიზიორი ავტორებიც (რომლებიც კონკურსის მეორე ეტაპზე მკითხველმა გამოავლინა) სწორედ ისინი აღმოჩნდნენ, ვინც ყველაზე მეტად მომწონდა. საკონკურსო ტექსტების უხარისხობა არ გამკვირვებია. როცა ლიტერატურა, წერა მოდის, სახეს ღებულობს და ცხოვრების სტილიხდება, შედეგი სწორედ ის არის, რაც მე ვნახე და წავიკითხე. ლიტერატურა გართობა და ტინჯიცობა არ არის. ლიტერატურას ვერც მუხლებთან გამორღვეულ ჯინსებს და ვერც რეზინის კედებს მოარგებ, ვერც იატაკზე დასვამ ფეხმორთხმით და ვერც სიგარეტს დააჭერინებ ხელში. არავის ვმოდღვრავ. ეს ჩემი აზრია.

ლიტერატურული კონკურსები კარგია, აუცილებელია და რაც მეტი იქნება, მით უკეთესი. ჯერჯერობით კონკურსების სიმრავლით ვერ დავიკვებხნით, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ინტერესი ლიტერატურის მიმართ არა მარტო მკითხველის, არამედ შეძლებული მკითხველის მხრიდანაც გაიზრდება, რომელიც კონკურსს დააწესებს და დააფინანსებს. თუმცა მანამდე ეს შეძლებული — მკითხველი უნდა გახდეს.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე. რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ, საქართველოში?

ბაჩო კვიციანი: საგამომცემლო საქმე საქართველოში განვითარების ეტაპზეა. აქაც არის პრიორიტეტები, რომლებიც სუფთა კომერციაზე გათვლით ბეჭდავს წიგნს ე.წ. ობივატელისთვის, იმიტომ რომ ობივატელი გემოვნებიან მკითხველზე ბევრად მეტია და ის გაცილებით მსყიდველუნარიანია. გამომცემლების ასეთი სტრატეგია აბსოლუტურად ლოგიკურია — სხვანაირად ის ვერ იარსებებს და გაკოტრდება. მაგრამ მათი გონივრული მიზნობრიობის ერთ-ერთი ობიექტი ხარისხიანი

ლიტერატურის ბეჭდვაც უნდა იყოს. ჩვენთან ასეთი გამომცემლობები, სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა. გარდა ამისა, მიზერულია გამომცემლობების მხრიდან შემოთავაზებული პროცენტული წილი, რომელიც ავტორმა საკუთარი გაყიდული წიგნების შემოსავლიდან უნდა მიიღოს. ასე რომ, დღეს თუ საქართველოში სკანდალურად ცნობილი «მწერალი» არ ხარ ან საშუალოზე დაბალი ინტელექტის მქონე მასების გემოვნებაზე მორგებულ სერიულ ბელეტრისტიკას არ წერ, ვერც ფულს იშოვი და ვერც «ცნობადი» სახე გახდები (როგორც დღეს უყვართ თქმა).

გიორგი კილაძე: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად?

ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ?

ბაჩო კვიციანი: ქართულ ენაზე დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება. ხარისხი მეტ-ნაკლებად მისაღებია, საერთო სურათი კი, ჩემი აზრით, ერთ რამეზე მეტყველებს: ჩვენ არ გავაჩნია სათანადო მთარგმნელობითი სკოლა. აქაც იგივე სიტუაციაა — არ არსებობს არანაირი სერიოზული დაინტერესება და წახალისება არც სახელმწიფოს და არც მეცენატების მხრიდან, რომ ლიტერატურის თარგმნის ხარისხი გაუმჯობესდეს, დაწესდეს სერიოზული დაფინანსება პროფესიონალური თარგმანისთვის, დამყარდეს კავშირები ევროპულ გამომცემლობებთან და ევროპელ მთარგმნელებთან. მე მგონია, რომ საქართველოში მთარგმნელობითი საქმე ასე უფრო გამოცოცხლდებოდა და განვითარდებოდა, რის შედეგად არა მარტო უცხოური ნაწარმოებების ხარისხიან თარგმანს მივიღებდით, არამედ ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ გატანის უფრო დიდი შესაძლებლობა მოგვეცემოდა, რაც უკვე

აბსოლუტურად სხვა მასშტაბი და სხვა დიაპაზონი იქნებოდა ქართველი ავტორებისთვის.

საკუთარი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემა ჩემი ოცნებაა, მიზანია და იმედი მაქვს, განვახორციელებ.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე, კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ბაჩო კვიციანი: კითხვა, რომელზეც პასუხი ჯერჯერობით არ ვიცი: რატომ არის წერა ჩემთვის ყველაზე დიდი სულიერი თავშესაფარი, რომელზეც გაფიქრება — ყველაზე მძიმე წუთებში შვებას მგვრის?

კითხვა, რომელზეც პასუხი ზუსტად ვიცი: არსებობს ასეთი სენტენცია: «თუ შეგიძლია იცხოვრო ისე, რომ არ წერო, მაშინ უმჯობესია, არ წერო...»

ვწერ იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი — არ შემიძლია ისე ვიცხოვრო...

გიორგი კილაძე — ზაზა ბიბილაშვილი

გიორგი კილაძე: ზაზა, პირდაპირ გკითხავ — რამდენად შეიცვალა შენი პოეზია 21-ე საუკუნეში?

ზაზა ბიბილაშვილი: ვერ გეტყვი, რომ 2001 წლის 1 იანვარს დავჯექი და სულ სხვანაირი ლექსი დავწერე. უბრალოდ, თანდათან გავიზარდე (თუ დავბერდი) და ძველი პათოსი, თემატიკა, ესთეტიკა წლებმა დაიტოვა. შეიძლებოდა დამემატებინა, ყველაფერ ამას ზედ ლამის

პოეზიაც მიჰყვა-მეთქი, მაგრამ რაკი მთლად ასე მაინც არ მოხდა, თავს შევიკავებ.

გიორგი კილაძე: «ჩემი მდოგვის მარცვალი» გავიხსენოთ. რით არის მნიშვნელოვანი ეს კრებული შენთვის? როგორ ფიქრობ, შენთვის უფრო მნიშვნელოვანია იგი თუ შენი მკითხველისთვის?

ზაზა ბიბილაშვილი: ჩემთვის მნიშვნელოვანი იმით არის, რომ ჩემი ორად ორი კრებილიდან ერთ-ერთია, თან — მეორე, უფრო დიდი და უკეთესი. კაცმა რომ თქვას, მასშობა ყველაფერი, რაც კი (მის გამოცემამდე და პოეზიაში) მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დამიწერია.

ისიც სათქმელია, რომ პირველი, უთხელესი კრებული ათი წლის წინათ და ნახევრად კუსტარულად გამოიცა და პოტენციურ მკითხველამდე ან მივიდა, ან არა. ამასთან, გაჩნდა ახალი მკითხველიც, რომლისთვისაც ჩემი გაბნეული პუბლიკაციები მეტ-ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდა. მოკლედ, საჭიროდ მივიჩნიე ეს ყველაფერი ჯერ გამეერთიანებინა, მერე კარგად გამეცხრილა და გამომეცა.

ისედაც, თუ წერ და ამას მხოლოდ "შენი თავისთვის" ან "ერთი კონკრეტული ადამიანისთვის" არ აკეთებ, წიგნი ათ წელიწადში ერთხელ მაინც საჭიროა, არა?

არ ვიცი, შეიძლება, ისეთი პასუხი გამომივიდა, რომ უფრო მკითხველისთვის გავისარჯე. ამიტომ დავაზუსტებ, რომ უკიდევანო ალტრუსტიც არ ვარ და წიგნიც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მაინც ჩემთვის გამოვუშვი.

გიორგი კილაძე: ზაზა, საუბარი მკითხველის თემით განვაგრძოთ. რას ნიშნავს შენთვის გემოვნებიანი მკითხველი? რა კავშირი აქვს მკითხველის გემოვნებას მის განათლებასთან და რას უსურვებდი მკითხველებს, რომლებიც კარგ პოეტობაზეც ოცნებობენ ხშირად? როგორ ფიქრობ, თავად თუ არის შემოქმედი მკითხველი?

ზაზა ბიბილაშვილი: გემოვნებიანი მკითხველი ჩემთვის მკითხველს ნიშნავს. გემოვნების ჩამოყალიბებისთვის, პრაქტიკულად, აუცილებელია განათლება, თუმცა განათლება ყოველთვის ვერ აყალიბებს გემოვნებას (კარგ გემოვნებას).

მეორე მხრივ, აბსოლუტურად გაუგებარია მწერლის მხრიდან მკითხველის მიმართ გაჯგვიმვა ან ცხვირის აბზუება და მისგან, არც მეტი, არც ნაკლები, პროფესიონალიზმის, უფრო ზუსტად — "პროფესიონალ მკითხველობის" მოთხოვნა. ამას თითქოს რა უნდა სჯობდეს, მაგრამ აბა, ისიც ვთქვათ, რას ნიშნავს პროფესიონალი მკითხველი? მას, ვისთვისაც კითხვა პროფესიაა, სხვანაირად კრიტიკოსი ჰქვია. აბა, "ჩვეულებრივ" ადამიანს მეტი საქმე არა აქვს, კითხვა პროფესიად გაიხადოს. ან რა პროფესიაა საქმიანობა, რომელიც არა თუ არ გარჩენს, იქით ითხოვს შენგან "რჩენას".

მკითხველი ისეთია, როგორც არის და თუ ის "ცუდია", ეს მწერლის პრობლემაა და არა მკითხველისა. მწერალმა უნდა იზრუნოს მკითხველზე, მკითხველამდე მისვლაზე (თუნდაც, მის "გაზრდაზე") და არა — პირიქით.

მკითხველს ყოველივე კარგს ვუსურვებ, მათ შორის — კეთილი ოცნებების ახდენასაც. ჩემთვის და მწერლებისთვის კი ვისურვებ ისეთი მკითხველის არსებობასაც, რომელიც მწერლობაზე (გამწერლებაზე) არ ფიქრობს.

ჩემი აზრით, ყველა მწერალი მკითხველიც არის.

ჯერ ერთი, თუ არაფერი წაგიკითხავს, შეუძლებელია წერა მოგიხდეს, ხოლო თუ მაინც მოგიხდა — მიხვდე, რა გინდა.

ამას გარდა, მწერალი წერის დროსაც მკითხველია. მწერალში მცხოვრები მკითხველი კი ანარეკლია მწერლის გარეთ მცხოვრები მკითხველისა ან მისი იმ ნაწილისა, რომელსაც, ავტორისთვის ცნობიერად თუ მისგან გაუცნობიერებლად, მიემართება ნაწერი.

უფრო მეტ სიტყვამრავლობას რომ ავცდე, ამასლა ვიტყვი: ის, ვინც თავის დაწერილს ერთხელ მაინც არ წაიკითხავს მკითხველის თვალთ, ჩემთვის ან ჩვეულებრივი მჯღაბნელია, ან... ჩვეულებრივი გენიოსი.

გიორგი კილაძე: შენთვის გამორჩეული საკუთარი ლექსი, «სავიზიტო ბარათი» თუ გაქვს? იქნებ მიზეზებზეც გვითხრა — რატომ ეს და არა სხვა?

ზაზა ბიბილაშვილი: ამა თუ იმ ლექსს, მგონი, მკითხველი ირჩევს და ადგენს ხოლმე ავტორის სავიზიტო ლექსად. ჩემს შემთხვევაში, ასეთი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ლექსი ყოფილა. თუ არ ვცდები, დღეისთვის ასეთებად ჯერ კიდევ "«სიყვარულის ახსნა»" და ის უსათაურო ლექსი რჩება, რომელსაც ეპიგრაფად რიუნოსკე აკუტაგავას მოთხრობიდან ფრაგმენტი აქვს წამძღვარებული.

გიორგი კილაძე: განიცდი (ან განიცდიდი) თუ არა რომელიმე პოეტის გავლენას? რას ნიშნავს შენთვის კარგი ლექსი, არსებობს თუ არა ლექსის შეფასების კრიტერიუმები?

ზაზა ბიბილაშვილი: უმადურობად ნუ ჩამომართმევ, მაგრამ არ მინდა ახლა ტვინი ვიჭყლიტო იმაზე ფიქრით, ვისი გავლენა "განვიცადე" და ვისი არა, ან ვისგან მეტი და ვისგან ნაკლები. ამის სახალხოდ გამორკვევას ჩემს საქმედ არც მივიჩნევ. იქნებ როდესმე ისეთი ყოვლისმომცველი გახდეს ქართული ლიტერატურული კრიტიკა, რომ ვინმე ამითაც კი დაინტერესდეს. დაე, იმან თქვას.

მე მხოლოდ ასე — ზოგადად მოვახსენებ მადლობას, თუ ვინმემ ჩემზე კეთილი გავლენა იქონია; ხოლო თუ ვინმემ პირიქით ქნა, არაფერს ვერჩი — დარწმუნებული ვარ, არ უნდოდა.

გიორგი კილაძე: «მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული ძალიან ცოტას (თითქმის

არაფერს) ნიშნავს» — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმებით?

ზაზა ბიბილაშვილი: არ ვიცი, რა კონტექსტში თქვა ბაჩომ ეს. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ამას, მერე კარგადაც ახსნიდა.

აბა, ასე ცალკე მოტანილი და ახსნის გარეშე ძალიან მეუცნაურება ეს მოსაზრება. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის წარსული ბევრს ნიშნავს; ზოგი კი, ვიცი, თითქმის სულ ავტობიოგრაფიას, ანუ საკუთარ წარსულს წერს.

პ.ს. თუ ჩემს ციტატასაც მოიყვან სადმე, გთხოვ, არ მიაწერო, ზაზამ ბრძანაო. თქვა-თქო.

გიორგი კილაძე: პოპულარული რომ ხარ ფაქტია. «პოპულარობა ადრე რაღაც სახადი მეგონა. თუკი უკვალოდ და უშრამოდ მოიხდიდი, ხომ კარგი, თუ არადა, მთელი ცხოვრება ივლიდი მისი "ყვავილით". ახლა ამაზე ცოტა მეცინება, რადგან პოპულარობაც ჩვენთან სნობიზმის დიდი "ასპარეზია» — მითხრა ინტერვიუში ნინო სადღობელაშვილმა. თქვენ რას მეტყვოდით?

ზაზა ბიბილაშვილი: საიდან მოიტანე, გიორგი, ჩემი პოპულარულობა?! ქუჩაში ვერ მცნობენ და საკმაოდ მცირე ტირაჟით გამოსული (თან, ვფიქრობ, იაფი) "ჩემი მდოგვის მარცვალის" ჯერ კიდევ არ დაუტაცებიათ მაღაზიებიდან.

დანარჩენს უფრო სერიოზულად ვიტყვი: ისეთი ფასეულობები, როგორც უბრალოება, თავმდაბლობა და მისთანებია და რომელთა დათმობა კეთილშობილ ადამიანს უჭირს, პოპულარობასთან მინცდამინც ვერ მეგობრობს. არადა, წერისას გაწეული შრომა რომ გამართლდეს, ნაწერის აუდიტორიამდე მიტანაა საჭირო.

აქედან ყველაზე კარგი გამოსავალია, ისეთი მაგარი რამეები დაწერო, რომ მათ გავრცელებას შენ აღარ დასჭირდე და თვითონ გაიკვალოს გზა. რამდენად იოლია ეს კარგი გამოსავალი, თავად განსაჯე.

გიორგი კილაძე: სულ ახლახან ლიტერატურული კონკურსის შედეგები გამოცხადდა. ოდესმე ჟიურის წევრი თუ ყოფილხარ? ზოგადად, ლიტ. კონკურსებზე მესაუბრე, რამდენად ობიექტური და რამდენად პროგნოზირებადია მისი შედეგები?

ზაზა ბიბილაშვილი: არასდროს ვყოფილვარ ჟიურის წევრი. მხოლოდ წარმომიდგენია, რომ საკმაოდ ძნელი საქმეა. მით უფრო, გემოვნებიანობის და კეთილსინდისიერების პრეტენზია თუ გაქვს (აქ ვინმე დაამატებდა — და მით უმეტეს, საქართველოშიო, მაგრამ მე არ ვიცი, სხვაგან რა ხდება ამ სფეროში).

ლიტერატურულ კონკურსებს ყოველთვის ახლავს ზოგადი, თანდაყოლილი და კონკრეტული უხერხულობები. მაგრამ, ეტყობა, დღეს მაინც, კონკურსი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ლიტერატურის პოპულარიზაციისა. რომ არა გაპიარებული კონკურსები, საზოგადოების დიდ ნაწილს ახლა არა მხოლოდ თანამედროვე მწერლების სახელები არ ეცოდინებოდა, არამედ არც ის, რომ დღეს, საერთოდ, რამე იწერება. რას იზამ — სპორტი გაცილებით უფრო საინტერესოა და მასობრივი, ვიდრე ლიტერატურა.

რაც შეეხება ობიექტურობას: ერთი კონკურსი უფრო მეტად ობიექტურია, მეორე — ნაკლებად, აბსოლუტური ობიექტურობა კი, უბრალოდ, არ არსებობს.

"პროგნოზირებადობა" ახსენე. კონკურსების შემთხვევაში ეს სულაც არ არის ობიექტურობის თანმხვედრი ცნება. ზოგჯერ პირიქითაც შეიძლება იყოს. ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურული კონკურსების ფუნქცია უკვე საყოველთაოდ აღიარებული ავტორის ფორმალურად დადაფვნა კი არა, კონკრეტულ პერიოდსა თუ ვითარებაში წარმატებული ავტორის გამოვლინება და მისი აღიარებისთვის ხელშეწყობაა. სწორედ ეს არის ჟიურის არსებობის გამართლებაც.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრი ნაწარმოები, მათ შორის პოეზია, ითარგმნება ქართულად? ხარისხი მოგწონთ? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ?

ზაზა ბიბილაშვილი: მგონია, რომ პოეზიის თარგმნა უძნელესი საქმეა, ზოგჯერ — შეუძლებელიც. ყოველ შემთხვევაში, ისეთი ადვილი ნამდვილად არ არის, როგორც დღეს ბევრს წარმოუდგენია.

ლექსი ხომ უნდა გაიგო კარგად, მანამდე ორიგინალის და თარგმანის ენა უნდა იცოდე ერთმანეთზე უკეთესად, ისევე, როგორც სათარგმნი პოეტის სამყარო, მისთვის ტრადიციული სიმბოლიკა, კლიშეები და ა. შ.

ამას გარდა, არსებობს ობიექტური სირთულეები — არანაკლები ხარისხის და ზოგჯერ, პრაქტიკულად, დაუძლეველიც. ყველაფერი ხომ, რაც ერთ ენობრივ სამყაროში პოეზიაა, (ჩემი აზრით) მეორეშიც აუცილებლად პოეზია არ არის.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ჩინური და იაპონური პოეზიების მაგალითი. თურმე, ჩინური ან იაპონური პოეზიის წერილობით ნიმუშში გამოყენებული იეროგლიფების ვიზუალს თავისი ცალკე დატვირთვა აქვს და ის ჰარმონიულად შეესაბამება (განმარტავს, ამძაფრებს, სრულყოფს...) ლექსის შინაარსს. ამის შემდეგ ჩინურ-იაპონური პოეზიის თარგმნაზე ლაპარაკი, ალბათ, პირობითია — თარგმნისას აღნიშნული ფაქტორი, რა თქმა უნდა, სრულიად იკარგება და შეიძლება მთელი პოეზიაც თან წაიყოლოს.

ასეთი ფაქტორების გაუთვალისწინებლობა კი, არა მხოლოდ არასრულფასოვანი თარგმანის ნიმუშების სიმრავლეს, არამედ ორიგინალურ პოეზიაზე მეტისმეტად არასასურველ გავლენასაც განაპირობებს ხოლმე.

ზემონათქვამი იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენში არ იყვნენ მთარგმნელები, რომლებმაც ეს ყველაფერი ჩემზე გაცილებით კარგად იციან და პროფესიული კეთილსინდისიერებაც მთლიანად დახარჯვას აიძულებთ. მაგრამ როცა პოეზიის თარგმნის სირთულე ლიტერატურული სივრცის ზოგად არასრულყოფილებას ემთხვევა, ხშირად გვიწევს, მხოლოდ ენთუზიაზმის ნიმუშებითა და მისი შედეგებითაც დავკმაყოფილდეთ ხოლმე.

ასეთივე "შემგუებლური" იქნება ჩემი განწყობა შეკითხვის ბოლო თემისადმიც: მიფიქრია, რომ კარგი იქნებოდა, ჩემი ლექსები სხვა ენებზეც თუ გამოიცემოდა. და თუ მეტი გზა არ არის, პირველ ჯერზე სამუალო დონის თარგმანსაც შევიწყნარებდი.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს მისი სიმძაფრე ქართულ ლიტერატურულ სივრცეში, თუ ჰყავს დღეს ქართულ ლიტერატურას, განსაკუთრებით პოეზიას, კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

ზაზა ბიბილაშვილი: დაახლოებით, წინა პასუხის პათოსის გაგრძელება მომიწევს.

ლიტერატურა დღეს ჩვენში, ასე ვთქვათ, დაუფასებელი საქმეა. არადა, ისეთივე რთულია, როგორც დაფასებულობის შემთხვევაში არის ხოლმე.

აქვე დავაზუსტებ: მაინცდამაინც ჰონორარების მოცულობაზე და, მით უმეტეს, მწერლების ტახტრევანით ტარებაზე არ არის ლაპარაკი. უბრალოდ, ამ საქმის მნიშვნელოვნება არ იგრძნობა, გარეთ, შიგნით, ჰაერში.

ეს, რა თქმა უნდა, ეხება კრიტიკასაც. მეტიც — ხელის ამ საქმისთვის მოკიდება კიდევ უფრო ჰგავს აუტკივარი თავის ატკივებას.

ბეჭდვითი ბაზისი ვეღარ და ჯერ კიდევ ვერ არის ისეთი ძლიერი საყრდენი, რომ ზედ ლიტერატურული ცხოვრება აყვავდეს. ნეტპორტალებსა და ფორუმებზე უფრო იგრძნობა სიცოცხლის სურვილი, მაგრამ ამათი ფორმატი იმის საშუალებასაც დაუნანებლად იძლევა, ჭკვიანური კრიტიკული აზრის გვერდით ნებისმიერი ოდენობისა და ხარისხის სისულელე, უხამსობა და, გნებავს, უზნეობა დაიწეროს. შედეგი კი უფრო ხშირად ანარქიულია ხოლმე, ვიდრე დემოკრატიული.

...ჩემი საუკეთესო გამკრიტიკებელი (იგულისხმება ყველაზე მძაფრი, "ნეგატიური" და "დაუნდობელი" კრიტიკაც) ჩემივე მასწავლებელი, პოეტი და დრამატურგი ვაჟა დადიანიძე იყო.

გიორგი კილაძე: «ლიტერატურული პალიტრის» ნოემბრის ნომერში თქვენი მოთხრობა გამოქვეყნდა. აქამდე რატომ არ აქვეყნებდით მოთხრობებს? კრებულის გამოცემას ხომ არ აპირებ? საერთოდ ნაწარმოების გამოცემის, გამოქვეყნების საქმე როგორაა საქართველოში?

ზაზა ბიბილაშვილი: მოთხრობებს აქამდე არ ვწერდი და იმიტომ (თუმცა ეგ მოთხრობა კაი ათიოდე წლის წინათ არის დაწერილი).

კრებულს, ალბათ, გამოვცემ როდისმე. წელს, რომც მოვინდომო, ვეღარ მოვასწრებ.

გამოქვეყნება-გამოცემის საქმის სრულ სურათს, ალბათ, ვერ დავხატავ. ერთი სიმპტომატური შტრიხი კი შემოდგომაში შემოგთავაზო:

ჩემი ათი-ოცი წლის წინათ დაწერილი ლექსების უმეტესობა ლიტერატურულ პრესაში, ანუ მკითხველის დიდი ნაწილის თვალსაწიერში ბოლო სამ-ოთხ წელიწადში მოხვდა. არადა, ლიტერატურა ცოცხალი პროცესია. ესა თუ ის ეტაპი რაც უფრო მალე მივა ბუნებრივ ფინალამდე ანუ მკითხველამდე, ახალი ეტაპი მით უფრო მალე დაიწყება.

რედაქტორის ფუნქციაც ამ პროცესებისთვის ხელშეწყობაა და არა შინაურების უზრუნველყოფა პატივმოყვარეობის საკენკითა თუ (თუნდაც ლამის სასაცილო) ჰონორარებით...

დღეს, ერთი შეხედვით, არ უნდა ჭირდეს პერიოდიკის ფურცლებზე მოხვედრა. ამის შთაბეჭდილებას შეიძლება ისიც ქმნიდეს, რომ რაც იბეჭდება, ვერ იტყვი, ყველაფერი კარგი ხარისხის ლიტერატურააო. მაგრამ ეს სულ არ გამორიცხავს, რომ კიდევ არსებობდნენ უჩინარი ავტორები, მიზეზთა გამო, თავიანთი ათი-ოცი წლის გასვლას რომ ელოდებიან...

წიგნს რაც შეეხება: პირველი კრებული საკუთარი ხარჯით გამოვეცი, მეორე "«ინტელექტმა»" გამოსცა, აი, მესამეში, იმედი მაქვს, ჰონორარსაც ავიღებ.

გიორგი კილაძე: ზაზა, დარწმუნებული ვარ, უმაგრესი ლიტერატურული ჟურნალის, გაზეთის, კრებულის რედაქტორი იქნებოდი. ამიტომ, თავისუფალი თემა: «მე რომ რედაქტორი ვიყო».

ზაზა ბიბილაშვილი: მე შენსავით დარწმუნებული არ ვარ, გიორგი.

ერთადერთი ჟანრის ჟურნალის რედაქტორი ვიქნებოდი. ეს ჟანრი ლიტერატურასაც უკავშირდება. აღარ დავაკონკრეტებ, რომელია. ჯერ კიდევ მინდა ამ ჟურნალის გაკეთება. თუ გამომივიდა, ხომ ნახავ, თუ არა და, ახლა თქმას რა აზრი აქვს.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე, კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

ზაზა ბიბილაშვილი: რა არის ლიტერატურა (იგულისხმება — მხატვრული) — არსითა და დანიშნულებით? რატომ ან რისთვის ვწერ(თ)? ვერთობით, ვკაიფობთ, ვქველმოქმედობთ, ვიბრძვით, «სამუშაო ადგილს»

ვქმნით და იქვე ვკავდებით, სახელის განთქმას ვლამობთ მოკლე ან გრძელი ვადით?

საფუძვლიანად შეგიძლია მიმითითო, რომ ეს ერთი კითხვა არ არის. მეტიც: ზემოთ მოტანილი თითოეული კითხვის დანაწევრებაც შეიძლება.

მაგრამ ალბათ, ისიც მართალია, რომ რომელი ნაწევარიც არ უნდა ავირჩიოთ «მთავარ კითხვად», ის კრიალოსნის მხოლოდ ერთი მძივი აღმოჩნდება და მისი მოზიდვის შემთხვევაში ხელში შეგვრჩება მთელი კრიალოსანი, ერთ დიდ კითხვის ნიშნად მორკალული (ვაა, ეს რა სახე შემომექმნა!).

ალბათ, ამიტომაც არის, სწორედ ამას რომ «ვეკითხები ყველაზე ხშირად საკუთარ თავს — და ისიც, «ჯერჯერობით რომ ვერ ვპასუხობ».

თუმცა აქვე ისიც უნდა ვაღიარო (თუ დავიტრაბახო), რომ ეს ყველაფერი ჩემთვის ერთი დიდი, მარადიული და გაყინული გაუგებრობა სულაც არ არის. ამას კი ის უამრავი პატარ-პატარა პასუხი დამიმოწმებს, სხვადასხვა დროს რომ ვპოულობ ან მპოულობს (ეს, ალბათ, იმაზეა დამოკიდებული, ამ დიდი კითხვის რომელი ნაწევარია ამ დროს აქტიური თუ აქტუალური).

მაგალითად, სულ ახლახან აღმოვაჩინე, რომ გრაფომანია სულაც არ არის ანტისამწერლობო მოვლენა. თითქმის (ბოლომდე თავს მაინც ვერ დავდებ) ყველა მწერალი გრაფომანიც არის. თუმცა, ალბათ, ცოტა გრაფომანია მწერალი.

ბოლო დროს კატეგორიულობა სასაცილო პოზიცია-განწყობად მეჩვენება. ამიტომ, შენი ნებართვით, «ზუსტად ვიცის» «მგონიათი» შევცვლი.

მოკლედ, ჯერჯერობით, მგონია, რომ ზემოთ ნახსენები კრიალოსნის ფიქრიანად მარცვლა ბოლომდე, სულ ბოლომდე მომიწევს.

თუმცა ვინ იცის, იქნებ, ერთხელაც, ისე მომბეზრდეს, რომ ავიღო და მართლა დასაკარგავში მოვისროლო; უბრალოდ, მივხვდე, რომ გენიოსი ვარ და ყოველგვარი მსგავსი კითხვა-პასუხის გარეშე, უბრალოდვე, უნდა ვწერო.

გიორგი კილაძე — გიორგი კეკელიძე

გიორგი კილაძე: გიორგი კეკელიძის ლიტერატურული და არა მარტო ლიტერატურული CV...

გიორგი კეკელიძე: გიორგი კეკელიძე — პოეტი.ესეისტი. მენეჯერი. ლექტორი.

გიორგი კილაძე: ქალბატონი თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისს — პირველ წინადადებას, პირველ აბზაცს — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, შენ? ლექსის წერისას რა ხდება? მოვარდება თუ მოდის და ნელ-ნელა იხვეწება?

გიორგი კეკელიძე: პროზა განსხვავებული ფენომენია. პოეზიაში ანუ ჩემს შემთხვევაში ფინალია უმთავრესი, მთელი ლექსი მის ირგვლივ იგება. ლექსი მოვარდება. მაგრამ ასე ადვილად კარი არ უნდა გაუღო, სანამ სტუმრობისთვის მზად არ იქნება, ანუ როგორც შენ ამბობ — დაიხვეწება.

გიორგი კილაძე: მაინტერესებს, როგორია შენთვის წერის პროცესი, რას ნიშნავს და რაში გამოიხატება ლექსზე მუშაობა და საერთოდ, თვლი თუ არა საჭიროდ ამ უკანასკნელს?

გიორგი კეკელიძე: ბუნებრივია, საჭიროა. ლექსს, უფრო სწორედ მის ფრაზებს, მობილური ტელეფონის აპარატში ვიწერ და მერე, მოცლილ დროს ვამთლიანებ.

გიორგი კილაძე: შენტვის გამორჩეული საკუთარი ლექსი, «სავიზიტო ბარათი» თუ გაქვს? იქნებ მიზეზებზეც გვითხრა — რატომ ეს და არა სხვა ლექსი?

გიორგი კეკელიძე: ყველა ბოლო ლექსი. ადამიანური, ეგოისტური ამბავია.

გიორგი კილაძე: პოპულარული რომ ხარ, ფაქტია. «პოპულარობა ადრე რაღაც სახადი მეგონა. თუკი უკვალოდ და უშრამოდ მოიხდიდი, ხომ კარგი, თუ არადა, მთელი ცხოვრება ივლიდი მისი \"ყვავილით\". ახლა ამაზე ცოტა მეცინება, რადგან პოპულარობაც ჩვენთან სნობიზმის დიდი \"ასპარეზია,» — მითხრა ინტერვიუში ნინო სადღობელაშვილმა. შენ რას მეტყობდი? გიო, როგორ ფიქრობ, პოპულარობა მოდის თუ მოჰყავთ?

გიორგი კეკელიძე: არ ვიცი. პოპულარული — ალბათ რაღაც წრეში, არა მგონია, ქუჩაში გამვლელები მცნობენ — თუმცა კი, ესეც არაა განმსაზღვრელი. ბევრი შესანიშნავი ავტორის სახელი და გვარი, ისეთადგილასაც კი არ იცოდნენ, როგორიც ფილოლოგიის ფაკულტეტია. ყველაფერი კი ერთ მარტივ და გარდაუვალ რამეს ნიშნავს — ლიტერატურა ელიტურ სფეროდ იქცა, ამ სიტყვის არასნობური გაგებით.

მოდის თუ მოჰყავთ? ერთმანეთს უნდა დაემთხვეს, გნებავთ, «დაამთხვიო».

გიორგი კილაძე: განიცდი (ან განიცდიდი) თუ არა რომელიმე პოეტის გავლენას? რას ნიშნავს შენტვის კარგი ლექსი, არსებობს თუ არა ლექსის შეფასების კრიტერიუმები?

გიორგი კეკელიძე: მრავალი პოეტის ზეგავლენას განვიცდიდი. ახლა ყველაზე დიდი პრობლემა მაქვს — საკუთარი თავის ზეგავლენას განვიცდი. ეს საქმეს ადგილზე ტკეპვნით ემუქრება. ლექსის შეფასების არაქართული კრიტერიუმი მაქვს — მხოლოდ „რომ წაიკითხავ და

დაგბურბგლავს» — და ძმანი მისნით შეფასება არ გამოვა. მაშინ ელიოტი პოეტი აღარ იქნება, არადა დიდი ავტორია. ბუნებრივია — უცაბედ ემოციას არ უარვყოფ, მაგრამ არც ვაფეტიშებ.

გიორგი კილაძე: რა კამათი მაქვს გადატანილი მაგ «დაბურბგვლაზე», რომ იცოდეთ... მაგაზე სხვა დროს. ახლა კითხვა: რას ფიქრობ ზოგადად თანამედროვე ქართულ პოეზიაზე, რომელი პოეტის ლექსებს, ნაწარმოებს ელოდები ყველაზე უფრო და რატომ?

გიორგი კეკელიძე: ვფიქრობ, რომ ბევრი ძალიან კარგი პოეტი გვყავს. ლოდინით არავის ლექსებს არ ველოდები, ამ კუთხით ძალიან პროზაული ვარ.

გიორგი კილაძე: ახალგაზრდა პოეტთა გაერთიანება «ლილ'ზე» მომიყვები. ჟურნალი «ლ'ილ» გაიხსენე. მომენატრა... გამოვა? როდის? სად არიან ახლა «ლ'ილელები»?

გიორგი კეკელიძე: დიდი მადლობა. «ლ'ილ» ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ჩაისახა — მე, ზაალ ჩხეიძე, ნათია ნაცვლიშვილი, ქეთო ნინიძე, დიანა ანფიმიადი, ოქტაი ქაზუმოვი ვცემდით ამ ჟურნალს. ძირითადად ჩვენი ჯიბის ფულით, რომლის სტუდენტობისდროინდელ სისქეზე კარგად მოგეხსენება. ვბეჭდავდით ახალგაზრდა ავტორებს, ახალ თარგმანებს. არა, მგონია კიდევ გამოვიდეს — ის სადღაც ბუნებრივად გაჩერდა და ელექტრონულ ფორმატში ტრანსფორმირდა — «ლიბ.გე» სწორედ ხსენებული სინდიკატის პროექტია. ახლა ციფრული ეპოქაა და ჩვენც ამ გზას მივყვებით.

გიორგი კილაძე: «საბას» გამარჯვებული ხარ... შენთან ერთად «საბა» «ლილ'ელმა» დიანა ანფიმიადმაც მოიპოვა... დიანა უკვე ორი პოეტური კრებულის ავტორია, ჩემი აზრით,

განსხვავებული კრებულების, მეთანხმები? უფრო ვრცლად განსხვავებებზე ვისაუბროთ. მოდი, აქვე ზოგადად ლიტ. კონკურსების თემასაც შევეხოთ. რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? ლიტ. კონკურსის ორგანიზატორიც იყავი და ჟიურის წევრიც, მონაწილეობაზე აღარაფერს ვამბობ. ძნელია?

გიორგი კველიძე: დიანა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ავტორია თანამედროვე პოეზიაში. მისი მეტაფორები და იმპროვიზაციის უნარი რომ უმაღლესი კლასისაა — ეს უსათუოა. კრებულებს შორის განსხვავება ერთ მნიშვნელოვან ნიუანსში გახლავთ და ეს თვალშისაცემია, ავტორის ბოლო წიგნი კონცეპტუალურია — ამაზე ავტორმა საგანგებოდ იმუშავა და შესანიშნავი შედეგი აქვს.

ვერცერთ კონკურსს ვერ ექნება პრეტენზია ობიექტურობაზე, სანამ ჟიური რობოტებით არ დაკომპლექტდება. უმთავრესი ისაა, შემფასებლებმა უსინდისობა არ გამოიჩინონ, თორემ ყველა რომ საკუთარი გემოვნების კარნახით იმოქმედებს — ცხადია. უნდა გაექცე ჟიურსა და მსგავს ამბებზე ფიქრს. ვიცი, რთულია: მაგრამ ავტორი არ უნდა იყოს კონკურსდამოკიდებული. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ძნელია — ჩემს თავზე გამომიცდია — მაგრამ ერთადერთი გზაა გასავითარებლად.

გიორგი კილაძე: «მწერლისთვის (და ზოგადად, ხელოვანი ადამიანისთვის) წარსული ძალიან ცოტას (თითქმის არაფერს) ნიშნავს», — ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალმა ბაჩო კვიციანი. ეთანხმები? რატომ?

გიორგი კველიძე: არ ვიცი, უფრო ასე ვფიქრობ — ინდივიდუალურია. ავტორი სუბიექტურ ქრონოტიკში ცხოვრობს, როცა ქმნის. შესაბამისად, ის ყველა დროში ადვილად მოგზაურობს.

გიორგი კილაძე: გიო, როგორ ფიქრობ, «იხსნის თუ არა ლიტერატურული კრიტიკა პოეზიას უნიჭობის სენისაგან»? კითხვა ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს. 2007 წელს «ებლიტფოზე» მომზადებული სტატიის სათაურია. სტატია კი პოეტ გიორგი საჯიას ინიციატივით წამოწყებული დისკუსიის შედეგად დაიწერა. ზოგადად, კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკა და რატომ?

გიორგი კველიძე: კრიტიკა დღეს პიარის ელემენტად უფრო შეიძლება იქცეს, ვიდრე კონკრეტული გემოვნების დამკანონებელ იარაღად. მე პუბლიკაციის სახით ჯერ არავის გავუკრიტიკებია, მაგრამ ისე მსმენია რომ მაკრიტიკებენ, როგორც წესი, ზოგადი ფრაზებით.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან შენი მკითხველები? ახლა შენი მკითხველებით გადაჭედული დარბაზი (ზუსტად ვთქვი) გამახსენდა. მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარი.

გიორგი კველიძე: მე ინტერნეტ-თაობის წარმომადგენელი ვარ, 2000-იანელთა თაობა სწორედ ვირტუალურ რეალობაში დაიბადა. შესაბამისად, ჩემი მკითხველის დიდი ნაწილი სწორედ ინტერნეტის მომხმარებელია.

გიორგი კილაძე: ლიტერატურა და საგამომცემლო საქმე. რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ, საქართველოში?

გიორგი კველიძე: არცთუ ტრაგიკული. მით უფრო, თუ ათი წლის წინანდელ მდგომარეობას გადავავლებთ თვალს. ჩემი ოპტიმიზმი მეტწილად მომრავლებულ თარგმანებს ეხება.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრი ნაწარმოები ითარგმნება ქართულად? შენც თარგმნი, თარგმნის ხარისხი მოგწონს? მათი გავლენა თუ იგრძნობა ქართულ ლიტერატურაში? შენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრია?

გიორგი კეკელიძე: მე არ ვარ პროფესიონალი მთარგმნელი. საერთოდ კი ეს ურთულესი, კატორღული საქმეა, რომლის მკეთებელსაც არაერთი რამ ერთად მოეთხოვება — ალლო, თუ ვინ თარგმნოს, ენის ცოდნა და წერის უნარი.

ჩემი ტექსტებიდან რაღაც ნაწილი ითარგმნა — ეს დროის საქმეა.

გიორგი კილაძე: გიო, «კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა» მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა — თითქმის 40 წელი. როგორ ფიქრობ, რით ჰგავს თანამედროვე ლიტერატურის მოყვარული კაცი ვასიკო კეჭერაძეს. ჰგავს კი საერთოდ? «კარცერ ლუქსის», უფრო ზუსტად, წიგნის «იძულებით» შეყვარების იდეაზე რას მეტყვი?

გიორგი კეკელიძე: არაფრით ჰგავს და ვერც ამ იდეის მომხრეთა შორის ვიქნები. არ არის საჭირო ყველას კითხვა უყვარდეს, მეტიც — ეს შეუძლებელიც კია.

გიორგი კილაძე: ჟურნალ «ფოკუსში» შენი და ბატონი გივის ინტერვიუ გამოქვეყნდა. სანიმუშო ინტერვიუა, კითხვებითა და პასუხებით. ერთ კითხვას იმ ინტერვიუდან დაგისვამ: «რა განმასხვავებელ ნიშნებს დაძებნით ჩვენი და იმ ეპოქის (საბჭოთა პერიოდი იგულისხმება — გ. კილაძე) ლიტერატურულ პროცესს შორის, სად იკვეთება ზღვარი, თუკი საერთოდ არის ასეთი?»

გიორგი კეკელიძე: ზღვარი ბუნდოვანია. თუმცა არსებობს არა იმდენად ფორმის, არამედ ემოციის თვალსაზრისით.

გიორგი კილაძე: «კრიტიკოს ზაზა შათირიშვილის წერილს, სადაც მან ქართულ პოეზიაში ახალი მიმართულებები განსაზღვრა, არაერთი განაწყენებულის კრიტიკა, მითქმა-მოთქმა მოჰყვა... გიო, ბატონმა ზაზამ თქვენი პოეზიაც შეაფასა, არანაკლებ გულწრფელად და შენი პოეზია «ქართული ვერლიბრის ახალი გზის» კონტექსტში განიხილა და მას ნამდვილი პოეტი უწოდა. პოეტი, რომელიც იმ დროს მოვიდა, როცა «გამოსავალი არ ჩანდა»... როგორ ფიქრობ, ბატონი ზაზას ეს გამონათქვამი როგორ მიიღო კრიტიკამ? რატომ ასე და არა სხვანაირად?

გიორგი კეკელიძე: ვერ გეტყვით. ზაზა კონკრეტული კრიტიკოსია და შესაბამისად კერძო, სუბიექტური მოსაზრებები აქვს. ასეა ყველგან, მთელს მსოფლიოში. ბევრი შეიძლება არ ეთანხმებოდეს მას და მათი აზრებიც ლეგიტიმურია. ამ შემთხვევას რაც შეეხება, ეს ის საკითხია, რომელზეც ჩემი პასუხი არამართებული იქნება, წერილი მე მეხება და სხვათა განსასჯელია.

გიორგი კილაძე: დაბოლოს, რას ეკითხები ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცი? აქვე კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცი?

გიორგი კეკელიძე: ყველა ხშირად საკუთარ თავს ვეკითხები, თუ რა შესაძლებლობები შეიძლება მოისინჯოს ქართულ პოეზიაში, რა ნოვაციაა შემოსატანი ფორმალისტური კუთხით, არის თუ არა სამომავლო დომინანტური ფორმა ვერბლანი, რომელსაც რატომღაც დღემდე ნაკლებად იყენებდნენ, თუმცა თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის ფრაგმენტულობის გამო ჩამოყალიბებული პასუხი არ მაქვს.

რაც შეეხება იმას, რისი პასუხიც ვიცი, ორია: აუცილებლად შევეჭიდები ეპიკას და უსათოდ შევეცდები მისი გადმოცემის ფორმა სინკრეტული იყოს.

გიორგი კილაძე — მაკა მიქელაძე

გიორგი კილაძე: ქალბატონო მაკა, პოეტიც ბრძანდებით და პროზაიკოსიც, უფრო? პოეზიით დაიწყეთ თუ პროზით? თქვენი მეგობარი თეონა დოლენჯაშვილი მოთხრობის დასაწყისის პირველი წინადადების, პირველ აბზაცს — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, თქვენ?

მაკა მიქელაძე: ჩემი ცხოვრების მოთხრობის პირველი ნაბიჯები ლიტერატურაში პოეტური იყო. თანდათან პროზაზე გადავედი, არ ვიცი, მეტყობოდა თუ არა ეს ლექსებზე... რაც შეეხება პირველ ფრაზას, კარგი დასაწყისი საქმის მხოლოდ ნახევარია, დასრულებაა ძნელი.

გიორგი კილაძე: ქალბატონო მაკა, პროფესიით ფსიქიატრი ბრძანდებით. «იხვის ტოლმას» ამკარად «ფსიქიატრის ხელი დაჰკრავს». გეხმარებათ პროფესია წერისას? აქვე გკითხავთ, როგორ დაიწერა ეს მშვენიერი რომანი?

მაკა მიქელაძე: პროფესია წერის დროს მეხმარება და ცოტას მიშლის, როცა ამბის მოყოლას ვაპირებ, მაშინაც რაღაც სიღრმეები და ფსიქოლოგიზაციები მიმეზიდება თავის წიაღებში... პერსონაჟები ხშირად მოძრაობენ საავადმყოფოთა სივრცეებში, ალბათ უფრო იმიტომ, რომ აქ სიუჟეტი მძაფრად ვითარდება და დეკორაციებსაც უკეთ ვიცნობ, ვიდრე, ვთქვათ, ველოტრეკზე.

«იხვის ტოლმის» ერთი ნაწილი დაწერა ბესო ხვედელიძემ, მეორე მე, მესამის დაწერა დაგვეზარა და გურამ წიბახაშვილმა შეავსო ფოტოებით. ერთმანეთს ცუდად ვიცნობდით და იმდენი ვიჩხუბეთ... დაგეგმილი «"ბუს კვერცხები"», «"თხის კუდი» და «"მოხარშული წაბლი"» აღარ დაგვიწერია. ცალ-ცალკე ვწერთ.

გიორგი კილაძე: დარწმუნებული ვარ, კიდეც დაწერთ.

მაკა მიქელაძე: არა მგონია, სხვადასხვა სამომავლო გეგმები გვაქვს. შეკვეთებისა და ანაზღაურებების გარეშე ვინ მოჰკიდებს დიდ პროექტებს დღეს ხელს.

გიორგი კილაძე: რას ფიქრობს ზოგადად თანამედროვე ქართულ პროზაზე მაკა მიქელაძე? რაზე წერენ ქართველი პროზაიკოსები დღეს? ვის ახალ ნაწარმოებს ელოდებით ყველაზე უფრო და რატომ?

მაკა მიქელაძე: ქართულ პროზას ჩემი აზრი მის შესახებ ისევე აღელვებს, ვით აგიაშვილ ნიკას აზრი პიკასოს. იგი იყო, არის და იქნება მსოფლიო მასშტაბის მოვლენა. თანამედროვე ქართული პროზაც უსწორებს მხარს დღევანდელობას. იგი ხდება მწვავე, მრავალთემიანი, მოგანგაშე და მაფრთხილებელი; არ კარგავს სიკეთეს, იუმორს და რწმენას, რომ მწერალი გარემოების საყვირია.

საკუთრებს, რომლებსაც აღარ დაადგა საშველი, ზოგი სტამბაშია, ზოგი რედაქტირდება, ზოგიც არ დაწერილა... სხვისას ველი კარგს და ისეთს, კიდეც ერთხელ რომ მომცემს საშუალებას ვთქვა... ნუ, ვართ ეს ქართველები და რა გინდა რომ ჰქმნა. მე ხშირად ვამაყობ იმით, რომ მართლა შემძლია სხვისი სიხარულის გაზიარება. ბოლო დროს ბევრს ვერ ვკითხულობ, მაგრამ არც თუ იშვიათად მიწევს სხვისი ნაწარმოებებით სიხარული, ცოტა გამოფხიზლებაც და საკუთარი თავისთვის მეტის და მეტის მოთხოვნა.

გიორგი კილაძე: ქალბატონო მაკა, ბატონი ნიკა აგიაშვილი რამ გაგახსენათ?!

მაკა მიქელაძე: ის ლექსი გამახსენდა: «აგიაშვილსა ნიკასო არ დაევასა პიკასო, გადაირია პიკასო, რა დავუშავე ნიკასო».

გიორგი კილაძე: დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალ-პროზაიკოსთა რიცხვი. არსებობს თუ არა რაიმე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ქართველ ქალ პროზაიკოსებს გამოარჩევს მამაკაცი-პროზაიკოსებისგან? თუ არ ვცდები, ამ თემაზე მოთხრობაც დაწერეთ.

მაკა მიქელაძე: არ ვიცი, რით განსხვავდება ქალების და მამაკაცების პროზა ერთმანეთისგან, მაგრამ... სამწუხაროდ განსხვავება მაინც საგრძნობია. მამაკაცების მოთხრობების ნაწილი უფრო თავმოხმულია და ნაკლებ მელოდრამატული... სამაგიეროდ, ქალების პროზა უფრო ინტუიტურია, ხშირად მამაკაცურზე თამამიც, თითქმის ყველა აკრძალული თემა პირველად ქალებმა წამოსწიეს... ვერ მიაჩუმათეს.

გიორგი კილაძე: იქნებ ჩამოთვალოთ...

მაკა მიქელაძე: სექსი, ეროტიკა, ტრეფიკინგი, ტერორიზმი, ორგანოტრანსპლანტაცია, ინვალიდობის სხვადასხვა სახე, შიდსი... და ვინ მოსთვლის. ალბათ ქალები უფრო მგრძობიარენი არიან და სხვის ტკივილებზე იოლად ვერ ხუჭავენ თვალს.

გიორგი კილაძე: დღეს ბევრს საუბრობენ ქართული სალიტერატურო ენის პრობლემებზე... ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა «ჟარგონიც»... «ჟარგონი» ენისთვის ერთგვარი შემოლაწუნებასავითაა... — ბრძანა ბატონმა ბესომ. თქვენთვის რა არის იგი?

მაკა მიქელაძე: საუბარში «სლენგს» ვერ ვიტან, არ მიყვარს ხალხი, რომელიც სიტყვის მასალად იგინება; მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ, თავს ამის უფლება მისცენ, მათ ეს ძალიან სასაცილოდ გამოსდით. თუ ნაწარმოები მოითხოვს, რა გაეწყობა. ასეთ დროს შემომლაწუნებელს მეორე ლოყა უნდა მიუშვირო.

გიორგი კილაძე: თქვენ იყენებთ?

მაკა მიქელაძე: იშვიათად, შეიძლება ითქვას, რომ ერთი-ორი ცუდად გაზრდილი პერსონაჟი მყავს. ბოლო რომანი, რომელიც პერიოდიკაში დაიბეჭდა, იძულებით მკურნალობაზე მყოფის ისტორიაა. როგორ წარმოგიდგენიათ, "ხუცურით" დაწერდა და იმეტყველებდა?

გიორგი კილაძე: "წამყვანი ორგანოს" გულისხმობთ?
მაკა მიქელაძე: დიახ.

გიორგი კილაძე: საუბარი კრიტიკის თემით განვაგრძოთ. კრიტიკოსს ლიტერატურულ ცხოვრებაში სიმძაფრე შემოაქვს. რამდენად იგრძნობა დღეს ეს სიმძაფრე, თუ ჰყავს დღეს ლიტერატურას კრიტიკოსები, შემფასებლები? ვინ გაგაკრიტიკათ და რატომ?

მაკა მიქელაძე: ახლა ვწერ მოთხრობას უბედურ კრიტიკოსზე, რომელსაც ყოველი გამმათრახებელი კრიტიკის გაჩარხვის წინ ახსენდება, რომ კატაკლიზმების დროა და კოლეგა ლიტერატორებს არ უნდა აწყენინოს მეორედ მოსვლის წინ. ძალიან სასაცილოა. თუ სიმართლე გინდათ, ერთი ობიექტური კრიტიკოსი შეუფასებელი სიმდიდრეა, ნებისმიერი მწერლისთვის. ფროიდი და ფროიდის უარყოფით, ანუ მამოდრავებელ ძალად ლიბიდო არ განიხილება.

გიორგი კილაძე: მოთხრობას რა ერქმევა, არ მეტყვით?
მაკა მიქელაძე: «ახალგაზრდა კრიტიკოსის ვნებანი».

გიორგი კილაძე: სულ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ლიტერატურული კონკურსის შედეგები გამოცხადდა. რას ფიქრობთ ლიტ. კონკურსებზე. რამდენად ობიექტურად იმართება საქართველოში? რომელიმე ლიტ. კონკურსის ჟიურის წევრი თუ ყოფილხართ? ძნელია?

მაკა მიქელაძე: ლიტ. კონკურსები სახალისოა, ობიექტურობა, თავისთავად ძალიან სუბიექტური ცნებაა. არავინ იცის, ვის რომელი ნაწარმოები რატომ მოსწონს... ხშირად იმარჯვებს ჩვეული ტიპის მოთხრობა და ავანგარდული, არანაკლებ ქართული უყურადღებოდ რჩება. ეს კანონზომიერია ალბათ. საშინელი და საზარელი არაობიექტურობანი არ შემინიშნავს. ლიტ. კონკურსის წევრი არასდროს ვყოფილვარ. მე ხომ ლიტერატორი არ ვარ და არ მენდობიან... არადა ძალიან მინდა, არა ვარ ცუდი მკითხველი.

გიორგი კილაძე: ქალბატონო მაკა. თქვენს გემოვნებიან მკითხველობაში ეჭვი არ მეპარება. ჟიურის წევრიც გახდებით. შემიძლია ვიწინასწარმეტყველო — «საბასი». და როცა ეს ასე იქნება, ეს ინტერვიუ გაიხსენეთ. მოდით, საუბარი მკითხველის თემით განვაგრძოთ: ლიტერატურა მკითხველისთვის იქმნება. ვინ არიან თქვენი მკითხველები? ახლა თქვენი მკითხველებით გადაჭედული ორი დარბაზი (ზუსტად ვთქვი) გამახსენდა. მკითხველებთან პირისპირ შეხვედრის მნიშვნელობაზეც გვითხარით.

მაკა მიქელაძე: მკითხველი სარკეა, მკითხველთა დარბაზი — სარკეებიანი დარბაზი... და ვინც ბავშვობაში პიონერთა სასახლეში ყოფილა, ყველა იტყვის, რამდენ ვინმეს და რამეს ხედავ სარკეებში შენი თავის გარდა. იყო ერთის წიგნი, გახდა მრავალი და მრავლისა.

გიორგი კილაძე: პოპულარული რომ ხართ, ფაქტია. «პოპულარობა ადრე რაღაც სახადი მეგონა. თუკი უკვალოდ და უშრამოდ მოიხდიდი, ხომ კარგი, თუ არადა, მთელი ცხოვრება ივლიდი მისი "ყვავილით". ახლა ამაზე ცოტა მეცინება, რადგან პოპულარობაც ჩვენთან სნობიზმის დიდი "ასპარეზია", — მითხრა ინტერვიუში ნინო

სადღობელაშვილმა. თქვენ რას მეტყობით? ქალბატონო მაკა, როგორ ფიქრობთ, პოპულარობა მოდის თუ მოჰყავთ?

მაკა მიქელაძე: დამსახურებული მოდის, დაუმსახურებელი მოჰყავთ. დღევანდელი მოთხოვნა რეკლამას. ოღონდ ჩემი პოპულარობა ჩემი მოსაყვანი არ უნდა გახდეს. ამისთვის მთელი ინდუსტრიები მუშაობს, ჩვენ უნდა ვისხდეთ და ვწერდეთ...დაუმსახურებელ პოპულარობაზე კი ძველებს უთქვამთ... «როგორც მოვა ისე წავა, წავა თავისთავადაო».

გიორგი კილაძე: თარგმანზეც ვისაუბროთ. თქვენი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემაზე თუ გიფიქრიათ?

მაკა მიქელაძე: თარგმნა ისეთი რუტინული შრომაა... და რა ბედნიერებაა, რომ გვაქვს საშუალება მშობლიურ ენაზე გავეცნოთ მსოფლიო ლიტერატურას. თარგმანები მაქვს, ერთი ინგლისურად. რუსულ საიტებზეც ვაპირებ ორი მოთხრობის დადებას.

გიორგი კილაძე: დაველოდები... დაბოლოს, რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და პასუხი ჯერჯერობით არ იცით? აქვე, კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად იცით?

მაკა მიქელაძე: ყველაზე ხშირად ვეკითხები აი რას (ჰო, აქ გამომრჩა საკუთარ თავს): თავო, თავო, როდის იზამ რამეს იმგვარს, რომ შეგეძლოს მშვიდად წერა, მშვიდად კითხვა? ზუსტად ვიცი მე პასუხი კითხვის, რომ ამქვეყნად არაფერი ვიცი. პასუხი აღმოჩნდა ფილოსოფიური, თქვენ მთხოვეთ ლიტერატურულ პასუხს ვიცი რომ გამვირდა წიგნები, მკითხველი, დრო, სიტბო, ფართი... და არ ვიცი, რატომ.

ნინო დარბაისელი

ცნობილი ქართველი მწერალი და ლიტერატორი თამაზ ჩხენკელი 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას შაბათს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალავენ.

თამაზ ჩხენკელი წლების განმავლობაში ლიტერატურის ინსტიტუტში ქართული ანბანის კვლევაზე მუშაობდა. მას ეკუთვნის ცნობილი მონოგრაფიები და ლიტერატურული წერილები. მონოგრაფია "ტრაგიკული ნიღბები" ქართული მწერლობის კრიტიკაზე შექმნილი საუკეთესო წიგნია.

თამაზ ჩხენკელმა ქართულად თარგმნა ჩინური და ინდური პოეზიის ცნობილი ნიმუშები, მათ შორის, რაბინდარათ თავორის "გიტანჯალი", რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო თარგმნად ითვლება.

მწერალი 2002 წელს თბილისის საპატოო მოქალაქედაც აირჩიეს.

ძვირფასი ქვა

(მცირე მოგონება თამაზ ჩხენკელზე)

გუშინ ეს სამწუხარო ამბავი რომ გავიგე, გავიხსენე:

ახალგაზრდობაში ძალზე კადნიერი ვიყავი (ეს თვისება იქნებ არც ახლა მაკლდეს). მიმაჩნდა, რომ რაკი ჩემი თანატოლებისთვის, და არა მხოლოდ მათთვის, მითოსური საბურველით შემოსილ თამაზ ჩხენკელს პირადად მე ისე ახლოს ვიცნობდი, რომ სალამზე ღიმილით მპასუხობდა, იმის უფლებაც მქონდა, სადმე რედაქციაში თუ შევხვდებოდი, თამამად წამეკითხებინა ჩემი ლექსი და ისიც მოვალე იყო, აზრი დაუყოვნებლივ გამოეთქვა, თანაც — ალტაცებული!

არადა, ის ლექსი მართლა უმწეო გამომივიდა. ჩანაფიქრი თავისთავად ცუდი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტი ვიყავი იმისათვის, რომ თემა და ფორმა დამეძლია.

წაიკითხა.

დუმს.

მე ლოდინით გული ყელში მირტყამს.

აი, მაგიდაზე მისი ზამთარ-ზაფხულ დაკაპიწებული მკლავი შეირხა, მორკალული საჩვენებელი თითი ნიკაპს შეეხო, მერე ჰაერში არტისტულად ატრიალდა...

და როგორი საუბარიც იცოდა — მშვიდად, გემოვნებით დაიწყო:

— რობერტ ფროსტი... კარგია რობერტ ფროსტი! ხომ იცი...

ნინო თავს უქნევს, უხარია: ბატონ თამაზს მისმა ლექსმა ვინ მოაგონა? ვინ და — რობერტ ფროსტი!

ის კი განაგრძობს:

— რას ამბობს, თუ გახსოვს? ...ლექსი უნდა იყოს მკვრივი და მძიმე, როგორც ქვა, და კარგია, ეს ქვა ძვირფასიც თუ იქნება. კარგია ფროსტი!

შენ გაქვს რობერტ ფროსტი?

ცხადია, ის ლექსი დაუყოვნებლივ დავივიწყე.

ბატონ თამაზის გაკვეთილს კი რა დამავიწყებს!

ბრწყინვალე პოეტი და მთარგმნელი

თამაზ ჩხენკელი გარდაიცვალა. გული ჩამწყდა.

კიდევ ერთხელ გადავათვალირე მისი წიგნები: მწვანე ბივრიტი, მშვენიერი მძლევარი, ტრაგიკული ნიღბები, ინდური ლოტოსი, მარიოტა და ა.შ.

მისი თარგმნილი ვან ვეი, დუ ფუ, ლი ბო — ძველი ჩინური პოეზიიდან; რაბინდრანატ თაგორის "გიტანჯალი" და "ბენგალია" ხომ სამაგდო წიგნები იყო ჩვენი თაობის მწერლებისთვის, და როგორც დადებითი ექო თუ გავლენა აისახა კიდევ სამოცდაათიანელთა შემოქმედებაში.

თამაზ ჩხენკელი გამორჩეულად კულტუროსანი და განათლებული პიროვნება გახლდათ. მისი წასვლით იწყო დაცარიელება ძველების ისედაც მეჩხერმა რიგმა.

შეუძლებელია იმ წიგნების ჩამოთვლა, რაც მან თარგმნა, როგორც ფრიად დასაფასებელმა კულტურტრეგერმა, შესაბამისად დიდია მისი ნაღვაწის გავლენის სფერო ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში.

იგი პოეზიით საზრდოობდა და ჩვენში დარჩება თარგმნილი და ორიგინალური პოეზიით.

ვაქვეყნებ ერთ ლექსს წიგნიდან "ქორონიკონი"/2006», თამაზს რომ მივუძღვენი ადრევე.

ჩინური მოტივი

(თამაზ ჩხენკელს)

კენჭს ვისვრი ტბაში და თავს ვიქცევ ნასვამი,
ვერცხლისფერ რგოლებით ვლივლივებ ტბასავით.

ნავს ცალი ნიჩაბი საითკენ წაიყვანს?!
მეგზური ვარსკვლავი და ჩემი ცა იყავ.

ფრინველი ღამისა წყვდიადში სავსავებს,
ვლიდინებ, მოწყენას ხმოვნებში ვაზავებ.

უჩუმრად წახვედი და გული დამწყვიტე,
ჩვენს ბაღში ალუბლის ჩრდილები დაწყვილდნენ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

**ლიტერატურული ისტორიები, ზეპირად მოთხრობილი ლევან
ბერძენიშვილის მიერ;
ნინო სადღობელაშვილი**

«ლიტერატურული მესამე კორპუსი», ანუ ეროვნული ბიბლიოთეკის
ლიტერატურული ცხოვრება;

ლიტერატურული პროექტი: ინტერვიუ მიმოწერით

გიორგი კილაძე — ვაჟა ხორნაული;
გიორგი კილაძე — მაია კილაძე;
გიორგი კილაძე — ლევან ტატიშვილი;
გიორგი კილაძე — თეა თოფურია;

ლიტერატურული პროექტი — «ჩემი ერთი ლექსი»

მარსიანი — «ალუზიები»;
იკა ქადაგიძე — «SALVE»;

ნინო სადღობელაშვილი

აველუმ, მშვიდობით!

ნინო დარბაისელი

ტოტალიტარიზმი, შემოქმედებითი თავისუფლება და თავისუფალი
ლექსი;

პროექტი: «50 საუბარი ხელოვნებაზე»

მაია სიმონიშვილი - «ილუსტრაცია»;

იკა ქადაგიძე

თანამედროვე დონ-კიხოტის პროტესტი;

ქეთი გზირიშვილი

LIVE პოეზია;

მარსიანი

გალაქტიონი და გრანელი;

ნინო გედენიძე

ნაცნობი ქუჩების უცნობი ისტორიები;

ლიტერატურული საუბრები ლევან რამიშვილთან;

«უკანასკნელ ფრაზას ვიტყვი...»;

ლიტერატურული პროექტი: ინტერვიუები თითქმის მსგავსი შეკითხვებით

გიორგი კილაძე — გიორგი საჯაია;
გიორგი კილაძე — ქარდა ქარდუხი;
გიორგი კილაძე — ნოდარ შანიძე;
გიორგი კილაძე — თამარ შაიშმელაშვილი;
გიორგი კილაძე — მათა ჯალიაშვილი;
გიორგი კილაძე — ბაჩო კვიციანი;
გიორგი კილაძე — ზაზა ბიბილაშვილი;
გიორგი კილაძე — გიორგი კეკელიძე;
გიორგი კილაძე — მაკა მიქელაძე;

ნინო დარბაისელი

ძვირფასი ქვა;

გივი ალხაზიშვილი

ბრწყინვალე პოეტი და მთარგმნელი.